

ბ. დ. თოგოშვილი



# საქართველო - ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან

(თბილისი ღრმობიდან XIV ს. დასაწყისამდე)

K84.313  
3

63



სტალინის - 1958

## შესავალი

„დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ დაამსხვრია ეროვნული ჩაგვრის ბორკილები რუსეთში, სამუდამოდ მოსპო ეროვნული უთანასწორობა და დაამკვიდრა ყველა ერის ნამდვილი მშობა, აამალა წინათ ჩაგრული ხალხები ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად თანასწორუფლებიანი ხალხების მდგომარეობამდე. შეიქმნა იმ ხალხთა სახელმწიფოებრიობა, რომლებსაც ეს წინათ არ ჰქონდათ, და აღდგენილ იქნა იმ ხალხების სახელმწიფოებრიობა, რომლებსაც ეს დაკარგული ჰქონდათ“.<sup>1</sup>

წინათ ჩაგრულ და უუფლებო ხალხთა სწრაფმა განვითარებამ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში უზომოდ გაზარდა მათი ნაციონალური თვითშეგნება, გამოიწვია ინტერესის გაღვიძება თავისი ისტორიული წარსულისადმი. ამის მკაფიო მაჩვენებელია ისტორიული მეცნიერების სწრაფი წინსვლა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში.

ოსი ხალხი ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. ოსეთის ისტორიის საერთო სურათი კარგა ხანია შექმნილია. მაგრამ ამ ისტორიის რიგი საკითხებისა ჯერ კიდევ სისტემატურ კვლევასა და დამუშავებას საჭიროებს.

ასეთ საკითხთა რიგს მიეკუთვნება ოსი ხალხის ურთიერთობა მის საუკუნობრივ მეზობელ ქართველ ხალხთან. თუ რუსეთთან ოსეთის ურთიერთობის საკითხი შედარებით სრულადაა დამუშავებული ჩრდილო ოსეთის ასს რესპუბლიკის მოძმე ისტორიკოსების მიერ, იგივე ვერ ითქმის საქართველო-ოსეთის ურთიერთობის

<sup>1</sup> დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავისათვის, თეზისები, ვაზ. „კომუნისტი“ 1957 წ. № 220.

საკითხებზე. ეს ურთიერთობა თავისი ხანგრძლივობიდან და მასობრივით, სპეციალური კვლევის საგანი ხდება.

ამა თუ იმ ხალხის ისტორიული განვითარების შესახებ სადგენად არ კმარა მისი ისტორიული წარსულის განხილვა, სხვა ქვეყნებისა და ხალხების ისტორიასთან ორგანული კავშირის გარეშე. არც ერთ ისტორიულ ეპოქაში ხალხები აბსოლუტური კარჩაყეტილობის პირობებში არ ცხოვრობდნენ.

საქართველო-ოსეთის ურთიერთობის საკითხის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც, რომ იგი ხელს შეუწყობს ქართველ და ოს ხალხებს შორის ძმობისა და მეგობრობის სულისკვეთების განმტკიცებას.

გაითვალისწინა რა საქართველო-ოსეთის წარსული ურთიერთობის შესწავლის მნიშვნელობა, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ იგი საკვლევ თემად დაგვისახა. მეცნიერულ ხელმძღვანელობას გვიწევდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ზ. ვ. ანჩაბაძე.

აღნიშნული საკითხის გასაშუქებლად ჩვენ გარკვეული პერიოდი ავიღეთ; სახელდობრ — უძველესი დროიდან XIV ს. ბოლომდე. უძველესი დრო ამ შემთხვევაში პირობითი ცნებაა და ჩვენ მას მივმართავთ, როგორც ამოსავალ საფუძველს.

ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის შესახებ წერილობითი წყაროები ჩვენ წელთაღრიცხვის დასაწყისიდან იძლევიან ცნობებს. ამ ურთიერთობის ჩანასახზე მიუთითებს საქართველოსა და ოსეთის ტერიტორიებზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულს ეკუთვნიან.

საკითხის განხილვის XIV საუკუნით შეზღუდვა განპირობა იმ გარემოებამ, რომ დღევანდლამდე მისი გაცემა ერთბაშად შეუძლებელი იყო. ურთიერთობის ხასიათსა და მასშტაბში XIV ს. მომხდარი ცვლილებები, ჩვენის აზრით, იძლევა საფუძველს, შევწყვიტოთ აქ მსჯელობა და მომდევნო პერიოდის შესწავლა მომავლისათვის გადავდოთ. ეს ცვლილებები მოჰყვა მონღოლთა კავკასიაში გაბატონებას, როდესაც ოსთა ერთი ნაწილი საქართვე-

ლოს ტერიტორიაზე გადმოსახლდა და აქ მუდმივი ბინა გაიჩინა.  
ამერიიდან ოსთა ეს ნაწილი ქართველი ხალხის ისტორიული გეოგრაფიის  
თანაზიარი გახდა. ეს გარემოება ნიშნავდა ურთიერთობის  
ერთი ეტაპის დამთავრებას და ახალი ეტაპის დაწყებას. ჩვენ სწო-  
რედ პირველი ეტაპის ურთიერთობის ჩვენებას ვისახავთ მიზნად.

ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია, რომ შრომა დაზღვეულია ნაკლო-  
ვანებათაგან. იგი საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ჩვენების  
პირველი ცდაა, ხოლო თუ დავუმატებთ ამას მასალების სიმცირე-  
საც, მაშინ ცხადი გახდება ნაკლოვანებათა გარღვევალობა. თავის  
მხრივ, შეცდომა იქნებოდა გვეცადა იმ დროისათვის, როცა, შე-  
საძლებელია, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე უფრო მეტი მასალა  
აღმოჩნდებოდა. თუ კი ასეთი ბედნიერი მომენტი დადგება, მაშინ,  
ვფიქრობთ, საკვლევი საკითხის შემდგომ გაღრმავებას ხელს ვე-  
რაფერი შეუშლის.

თავი I

ლიტერატურისა და წყაროების მოკლე მიმოხილვა

საქართველო-ოსეთის ურთიერთობის საკითხი დღემდე მეცნიერული კვლევის საგნად არ ქცეულა, მაგრამ საქართველოს თუ ოსეთის ისტორიის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მკვლევარები აღნიშნავდნენ ზოლმე ამ ურთიერთობის რამდენიმე ფაქტს.

ოსეთის ისტორიისა და საქართველოსთან მისი ურთიერთობის საკითხზე ყველაზე ადრინდელი ცნობები მოეპოვება გამოჩენილ ქართველ გეოგრაფსა და ისტორიკოსს ვახუშტი ბაგრატიონს. ვახუშტის „საქართველოს ისტორიაში“ (1885 წ. გამოცემა) და „ალწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში (1941 წ. გამოცემა) მოყვანილია ურთიერთობის პოლიტიკური ფაქტები, ოსთა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსახლება კი დაკავშირებულია მონღოლ-თათართა დაპყრობებთან. მას საინტერესო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული დვალ-ოსთა მიმართების საკითხზეც.

ქართულ ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობები ქართველ-ოსთა ურთიერთობის საკითხებზე გამოიყენა ისტორიკოსმა ს. ბარათაშვილმა.<sup>1</sup> იგი თვლიდა, რომ ამ ქვეყნების მმართველ წრეებს შორის დინასტიური ქორწინებანი პოლიტიკური ანგარიშით ხდებოდა. ეს გარემოება ოსებს აქცევდა საქართველოს ძლიერ რეზერვად სამხრეთელი მტრების წინააღმდეგ.<sup>2</sup> ს. ბარათაშვილი, რა თქმა უნდა, ცდებდა, როცა ოსებს ველურებს უწოდებს. მაგრამ

1 История Грузии, тетради, I—V, 1865—1871 гг.

2 იქვე, რვეული III, 1871 წ. გვ. 74-75.

ეს მას ხელს არ უშლის აღიაროს, რომ ამ „ველურთა“ წარმოდგენლები სიღამონი და როსტომი ახერხებენ მტრად გადაკიდებული ქსნის და არაგვის ხეობათა მოსახლეობის შერიგებას, ხელშეწყობითონ მათ ერისთავებად იქცევიან<sup>1</sup>.

ძველ წყაროებში არსებული ცნობები ოსებისა და ოსეთის შესახებ სისტემაში მოიყვანა სამართლის დოქტორმა ვ. ბ. პაფფმა. მან მრავალჯერ იმოგზაურა ოსეთში, შეისწავლა მათ შესახებ არსებული წყაროები და ლიტერატურა. ამის შედეგი იყო მისი ისეთი შრომების გამოსვლა, როგორიცაა «Материалы для древней истории Осетин<sup>2</sup>», «Народное право осетин<sup>3</sup>», «Этнологические исследования об осетинах<sup>4</sup>» და მრავალი სხვ.

პაფფის მიდგომა ოსეთის ისტორიის მთელი რიგი საკვანძო საკითხებისადმი და მათი ახსნა არაა მეცნიერული. ოსეთის ეთნოგენეზის, სოციალური ისტორიის საკითხებზე მას მრავალი დაუსაბუთებელი მოსაზრება აქვს გამოთქმული. იგივე ითქმის ოსეთის მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით საქართველოსთან, ურთიერთობის კონკრეტული საკითხების პაფფისეული გაშუქების შესახებაც.

ოსეთი ანუ ალანეთი, პაფფის აზრით, არასოდეს არ წარმოადგენდა სახელმწიფოს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ახ. წ. II საუკუნიდან დაწყებული ქართველები, რომელთაც მაშინ უპირატესობა მოიპოვეს ოსებზე, ცდილობდნენ გარდაეკმნათ იგი ქართული ნიშნის ფეოდალურ სახელმწიფოდ, მაგრამ ამას მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწიეს კავკასიის ქედის სამხრეთ კალთებზე<sup>5</sup>.

პაფფს ალანები ერევა ალბანელებთან და პომპეუსის ალბანებთან შეჯახება მას წარმოდგენილი აქვს როგორც ოსეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ბრძოლა ოსებსა და პომპეუსის ჯარებს შორის<sup>6</sup>.

ასეთი მცდარი შეხედულებების მქონე პაფფს ქართველთა და

1 История Грузии, тетрадь II, 1871 г. стр. 48.

2 сборник сведений о кавказских горцах (ССКГ), вып. IV, V, 1870—71 гг.

3 Сборник сведений о Кавказе (ССК), I—1871 г., II—1872 г.

4 ССК, II, 1872 г.

5 ССКГ, вып. IV, стр. 12.

6 ССКГ вып. IV, стр. 20.

ოსთა ურთიერთობის საკითხებიც მცდარად ესმოდა. იგი თვლიდა, რომ ალანეთი თავის პოლიტიკური ძლიერების ხანაში მის მუხობელ ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ხალხებზე ბატონობდა. მისი მიაჩნია, თითქოს ფლავიუს არიანეს ცნობებიდან გამომდინარეობს, რომ ქართველები ახ. წ. II ს. ალანებს ემორჩილებოდნენ<sup>1</sup>.

▶ პაფფი ოსეთში ფეოდალიზმის არსებობას უემპველ ფაქტად თვლიდა. მისი აზრით, ფეოდალიზმი ოსეთში ქართველმა თავადიშვილებმა შეიტანეს; ქართველი ფეოდალები, რომლებიც ოსეთში დამკვიდრდნენ, წარმოადგენდნენ ბაგრატიონთა ოსური დინასტიის სოციალურ დასაყრდენს<sup>2</sup>. ▶

სერიოზული ნაკლოვანებებისა და მცდარი დებულებების მიუხედავად, პაფფის ნაშრომები ოსეთის ისტორიის საკითხებზე არაა მოკლებული ღირსებასაც. მან თავი მოუყარა ამ საკითხზე არსებულ მასალებს და მათდამი ინტერესი გააძლიერა. ამ მხრივ პაფფს გარკვეული წინამორბედები ჰყავდა ვახუშტის, გიულდენ-შტედტის, კლაპროტისა და სხვა მოგზაურ-მეცნიერთა სახით, რომლებიც ოსეთის შესახებ ისტორიული და ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობებს აქვეყნებდნენ.

ოსური ენის და ისტორიის საკითხებს იკვლევდა დიდი რუსი მეცნიერი, ლიბერალურ-პროგრესული მიმართულების აკადემიკოსი ვს. მილერი (1848-1913). ფართო ერუდიციის მქონე მკვლევარს ოსეთის ისტორიისა და კულტურის ყველა მხარე აინტერესებდა. 1869-1889 წ. წ. მან მრავალჯერ იმოგზაურა ოსეთში. შეისწავლა ოსური ენა, ყოფა, კულტურა, ისტორია. მისი შრომებიდან ოსების შესახებ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს «Осетинские этюды», რომლის მესამე ნაწილი ოსეთის ისტორიის უძველეს ხანისადმია მიძღვნილი.

ვს. მილერი ფართოდ იხილავს ოსების მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის, მათ შორის ქართველებთან ურთიერთობის, შესახებ არსებულ მასალებს; მისი რწმენით, ქართული მატრიანე ოსებს

1 ССРГ, вып. IV, стр. 1-3.

2 იქვე, გვ. 28.

3 იქვე, ნაკვ. V, გვ. 39, 40.

იქნობს იმ დროიდან, როდესაც ქართველებმა საკუთარი ისტორიის შეგნება დაიწყეს. ქართული მათიანე მრავალი ზღაპრული ცნობის მიუხედავად შეიძლება გამოყენებული იქნას ოსეთის ეტიუდების მთელი რიგი საკითხების გასარკვევად, რადგან მისი ცნობები სწორედ წყაროების ცნობებით დასტურდება<sup>1</sup>.

ეს მიღწერის დასახელებული შრომა მრავალმხრივია საინტერესო. მასში ოსი ხალხის ეთნოგენეზის საკითხის დეტალური დამუშავების გვერდით საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ბევრი ფაქტია განხილული.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ურთიერთობის პოლიტიკურ მხარეზე, სხვა მხარეებს იგი არ ეხება იგი აღიარებს საქართველოს ოსეთზე ბატონობის ფაქტს, რომელიც მონღოლთა შემოსევის დროიდან წყდება.

კავკასიის მთიანეთის სამხრეთ კალთებზე მცხოვრები ოსები, გიორგი ბრწყინვალის დროიდან საქართველოს ემორჩილებიან. ისინი ლაშქრობენ ქართველებთან ერთად. მათი ნაწილი გაქართველდა. რაც შეეხება ჩრდილოეთ კალთებზე მცხოვრებ ოსებს, — განაგრძობს მიღწერი, — თემურლენგის შემოსევის დროიდან ქართველებმა მათ შესახებ არაფერი იციან<sup>2</sup>. რა თქმა უნდა, ოსების შესახებ რამეს ცოდნა ერთია, ხოლო მათ შესახებ წერა მეორე. ქართველი ისტორიკოსები ოსებზე მხოლოდ მაშინ წერდნენ, როცა მათ ქართველებთან უშუალო კავშირურთიერთობა ჰქონდათ. როცა ეს ურთიერთობა შესუსტდა, რასაკვირველია, ოსების შესახებ ცნობები ქართულ წყაროებში შემცირდა.

საქართველო-ოსეთის ურთიერთობის რიგ საკითხებს შევხვდებით ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი თავის ისეთ შრომებში, როგორცაა „Об осетинской истории“<sup>3</sup>, „Известия грузинских летописей и историков о Северном Кавказе и России“<sup>4</sup>, „Картлис—Цховრება“ — жизнь Грузии<sup>5</sup>, საქართველოს ისტორია (ტფილისი, 1906 წ.); მან ოსეთის ისტორიას სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა, მაგრამ იგი არ დაბეჭდილა, ხოლო დედანი ჯერ მიგნებული არაა.

1 Осетинские этюды, часть III, стр. 17, 19.

2 Осетинские этюды, ч. III, стр. 37—39.

3 «Новое обозрение», 1895 г., № 4078.

4 СМОНПК, вып. 22, 1897 г.

5 СМОНПК, вып. 35, 1905 г.



მ. ჯანაშვილი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ქართული მატრიანის მიხედვით ოსი ხალხი უძველეს დროს თვალსაჩინო როლს თამაშობდა კავკასიის ხალხთა შორის, რომ ოსებს აღწევდნენ საქმეებზე დიდი გავლენა ჰქონდათ და მათი მეგობრულ ურთიერთობებისათვის მუდამ საკეთილო იყო. მათი დახმარებით ქართველები არა თუ იგერიებდნენ შემოსეულ მტერს, არამედ ხშირად შორეულ მიდისა და პართიაშიც აღწევდნენ<sup>1</sup>.

მ. ჯანაშვილი იყენებდა ქართულ ისტორიულ წყაროებში დაცულ ცნობებს, განმარტავდა და აზუსტებდა მათ, თუმცა ხშირად შეცდომასაც უშვებდა. თამარის მამიდა რუსუდანს ის ოსთა მეფის ქვრივად, ხოლო დავითს მის შვილობილად თვლიდა<sup>2</sup>, სინამდვილეში თამარის ეს მამიდა სულთნის ქვრივი იყო და დავითის — თავის ნათესავის, აღმზრდელი. დარიალის კარს იგი სპარსულ „დარი-ალანიდან“ (ალანთა კარი) მომდინარედ კი არ სთვლიდა, არამედ, „დარლ-ალანთაკარიდან“, სადაც დარლ ოსურად გრძელს ნიშნავს. აქ, მისი აზრით, იგულისხმებოდა ის გრძელი და ვიწრო ხეობა, რომელიც აზიისა და ევროპის შემაერთებელი ერთ-ერთი უმთავრესი გზათაგანი იყო<sup>3</sup>. ასეთი აზსნა, ჩვენი აზრით, საეჭვოა. ქართველები ოსებს ალანებად არ იცნობდნენ და არც თვითონ ოსები უწოდებდნენ თავიანთ თავს ალანებს.

ალსანიშნავია აგრეთვე, რომ პოემა „აღლღუზიანი“ მ. ჯანაშვილს ოსეთის ისტორიისათვის მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროდ მიაჩნდა<sup>4</sup>, რაკი მას XII საუკუნეში დაწერილად თვლიდა. ნამდვილად კი ეს პოემა XIX ს. დამდეგსაა დაწერილი ი. იაღლღუზიძის მიერ.

XX ს. დასაწყისში საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიის შესწავლისადმი დიდი ინტერესი გამოავლინა ქართული კულტურის ცნობილმა მოამბეებმა ზ. კიკინაძემ. მისი შრომა „ოსეთის ისტორია“ ანუ „ოსეთი ქართული წიგნებით“ იყო ქართული ის-

1 „Новое обозрение“, № 4076. საქართველოს ისტორია, გვ. 195-196.

2 СМОМПК, вып. 22., стр. 38.

3 СМОМПК вып. 35., стр. 166-167., საქართველოს ისტორია, გვ. 41.

4 „Новое обозрение“, № 4076.

ტორიული წყაროების ცნობების სინათლეზე ოსეთის ისტორიისა და მისი საქართველოსთან ურთიერთობის სურათის ჩვენების ბირველი ცდა. ამ მხრივ იგი დღესაც ინტერესს მოკლებული არ არის იმის მიუხედავად, რომ მეცნიერულ-მეთოდოლოგიურად ძალიან დაბალ დონეზე დგას.

ავტორის დიდი დამსახურება ის იყო, რომ მან ცარიზმის პირობებში, როდესაც ეროვნებათა ურთიერთწაყიდების, ეროვნებათა შორის უნდობლობისა და მტრობის დანერგვის პოლიტიკატარდებოდა, როცა იჩქმალებოდა მათი წარსული ურთიერთობის რეალური ფაქტები, გაატარა აზრი, რომ ქართველ და ოს ხალხს შორის ისტორიულ წარსულში არსებობდა მტკიცე, მეგობრული ურთიერთობა, რომელიც პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ფაქტებში პოულობდა გამოვლინებას. ეს ურთიერთობა, მისი ღრმა რწმენით, სასარგებლო იყო ორივე ხალხისათვის. ამ ორი ქვეყნის ცალკეული გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი, რომელთაც ესმოდათ მეგობრული ურთიერთობის სასარგებლო შედეგები, ცდილობდნენ მის შემდგომ განმტკიცებასა და გაფართოებას დინასტიური ქორწინებების და ნათესაური კავშირების დამყარების გზებით. თუკი ოდესმე ადგილი ჰქონდა ამ ურთიერთობის დასუსტებას, ზ. ჭიჭინაძის აზრით, იგი მტრების აგიტაციის შედეგი იყო, რომელთათვისაც მეზობელთა გათიშვა და მათი ცალ-ცალკე განადგურება ხელსაყრელი იყო<sup>1</sup>.

ზ. ჭიჭინაძე გადამეტებულად აფასებს ქართული კულტურის გავრცელების დონეს ოსეთში. მისი კატეგორიული განცხადებით, ქართული ანბანი ოსებისაც იყო, მათი საერთო შემოქმედების შედეგი იყო. ოსეთში ქრისტიანობის გავრცელება მოხდა მაშინ, როდესაც ეს სარწმუნოება საქართველოში გავრცელდა<sup>2</sup>. აღნიშნულ მოსაზრებებს ისტორიული მონაცემები მხარს არ უჭერენ, იმის მიუხედავად, რომ მოწინავე ქართული კულტურის გავლენა ჩრდი-

1. ოსეთის ისტორია, 1913 წ. გვ. 184.

2 ოსეთის ისტორია, გვ. 44, 62, 63, 67.



ლო კავკასიის ხალხებზე, კერძოდ კი ოსებზე, არავისთვის სადავით არ წარმოადგენს.

მცირე ხნის შემდეგ ზ. ჭიჭინაძის „ოსეთის ისტორიის“ გამოქვეყნების შემდეგ, თბილისში გამოქვეყნდა მისი მეორე შრომა „ოსეთის ისტორიის“ სახელობის ქართლში და ქართველების ღვაწლი და ამაგი მათზე“.

დასახელებულ შრომაში საქართველოში ოსთა გადმოსახლების საკითხი მიზეზობრივად და ქრონოლოგიურად არასწორადაა ახსნილი. ავტორის აზრით, საქართველოს სამეფოს დასუსტების შემდეგ ოსეთიდან დაბრუნდნენ ქართველი მასწავლებლები და ხელოსნები, იქ შიმშილი და სიღატაკე გამეფდა. შიმშილი და მშვიერი ოსები ქართლში გადმოდიოდნენ და უსაგნოდ დაეხეტებოდნენ. ქართველ მებატონეებს ეცოდებოდათ ისინი და მათ თავის მიწებზე ასახლებდნენ, ქართველი გლეხები კი მათ საქონლით, სამუშაო ინვენტარით და სხვ. ამარაგებდნენ, ასწავლიდნენ ნიდაგის დამუშავებას. ეს ყველაფერი ხდებოდა, მისი აზრით, XVI-XVII-ს. ს<sup>1</sup>.

ზ. ჭიჭინაძე, როცა ოსთა გადმოსახლების საკითხში ქართველ მებატონეთა „ღვაწლზე“ მიუთითებს, აღნიშნავს, რომ ოსებმა ეს „ღვაწლი“ არ უნდა დაივიწყონ და უდრტივინველად ემსახურონ საქართველოს მენშევიკურ ხელისუფლებას, ე. ი. ატარონ ქართველ მებატონეთა ექსპლოატაციის მძიმე უღელი.

ზ. ჭიჭინაძისათვის გაუგებარი იყო ის ღრმა სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური მიზეზები, რომელთა შედეგად საქართველოში ოსები გადმოსახლდნენ. ამ მიზეზებზე ჩვენ სათანადო აღვიღზე გვექნება ლაპარაკი, ახლა მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ოსთა გადმოსახლებაში ქართველ მებატონეთა როლი ხელშემწყობი კი არა, ხელისშემშლელი იყო. ისინი მხოლოდ გვიან, ოსთა ჩამოსახლების პროცესის ბოლო საფეხურზე მიმართავენ თანხმად მიწებზე ოსთა დასახლების პრაქტიკას, ხოლო ეს ღონისძიება სიბრალულისა და ჰუმანიზმის გრძნობებიდან ძალიან შორს იდგა. ამით ისინი თავის ყმების რიცხვს და, ამდენად, შემოსავალს ადიდებდნენ, ასეთი სიბრალული, უფრო სწორად, თანაგრძნობა და დახმარება ოსთა ჩამოსახლების მიმართ ქართველ მშრომელ მოსახლეობას — გლეხობას შეეძლო გაეწია და შეძლებისდაგვარად უწევდა კიდევ.

1 ზ. ჭიჭინაძე, ოსთა ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ღვაწლი და ამაგი მათზე, ტფილისი, 1913 წ., გვ. 3-14.

XX ს. დასაწყისიდან ოსი ინტელიგენციის წარმომადგენლებში შეიმჩნევა ერთგვარი დანტერესება ოსი ხალხის ისტორიის საკითხებით. 1903 წ. ქ. ვლადიკავკაზში (ახლანდელი ქვემო ქვეყნდება ალ. კოზაევის შრომა «Древние осетинские летописи» ნაშრომში ბევრი მცდარი შეხედულებაა ოსეთის საზოგადოებრივი წყობილების, მეზობელ ხალხებთან მათი ურთიერთობის, ქრისტიანობის გავრცელებისა და სხვა საკითხებზე. ავტორი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის სულისკვეთებითაა გაყვნილი.

ალ. კოზაევი ოსებს ძვ. წ. III ს-დან ქართველების უძლიერეს მოკავშირეებად თვლის. მას აღნიშნული აქვს ოს-ქართველთა ურთიერთობის ზოგიერთი ფაქტი, ოღონდ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. კოზაევს ბიზანტიასთან ოსეთის ურთიერთობა უფრო მნიშვნელოვან და სიცოცხლისუნარიან მოვლენად მიაჩნდა, ვიდრე საქართველოსთან ურთიერთობა. ის სრულიადაც არ უწევს ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ბიზანტიასთან ოსეთის ურთიერთობაში საქართველო დამაკავშირებელი რგოლი იყო, ხოლო საქართველო-ოსეთის ურთიერთობას თავის ხანგრძლივობით, ხასიათით და მასშტაბით გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ალ. კოზაევის ნაშრომი კომპილაციურ ხასიათს ატარებს. მასალა, რომელსაც ის ემყარება, გამოყენებული აქვთ მასზე ადრინდელ მკვლევარებს და მის შრომას იმდენად აქვს ღირებულება, რამდენადაც გვიჩვენებს ოსი ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლების შეხედულებებს ოსეთის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე.

ასეთივე კომპილაციური ხასიათისაა ვანოს შრომა «Иры история» (ოსების ისტორია), გამოცემული ქ. ვლადიკავკაზში, ოსურ ენაზე, 1913 წელს. ვანო ალანების სიძლიერეს ფანტასტიკურ მასშტაბში წარმოგვიდგენს, აიდეალებს ოსეთის ისტორიულ წარსულს.

ვანოს საქართველო-ოსეთის ურთიერთობა ესმის როგორც ევალეზადი წარმატების განუწყვეტელი ურთიერთშეჯახებანი. მისი აზრით, ურდურე ოსთა მეფე ქართველ მეფეთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო და როცა ოსეთში გამეფდა, ოსეთის მმართველობის საქმე საქართველოს წესზე მოაწყო. ოსები ჯარს ახმარდნენ საქართველოს, 1121 წ. კი თამარ მეფემ დავით სოსლანის თანხ-

მობით საქართველოს შემოუერთა სამხრეთ ოსეთი<sup>1</sup>. აღნიშნულ მო-  
საზრებათაგან არც ერთი ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება.  
საქართველოს ტერიტორიაზე XIII ს. მეორე ნახევარში დაწ-  
ყებულ ოსთა გადმოსახლების პროცესზე ვანოს წინამძღვრება<sup>2</sup> მო-  
ხარია. მაშინ მიმდინარე პროცესი, რომელსაც შიდა ქართლის ტე-  
რიტორიაზე ოსების დასახლება მოჰყვა, მას მიაჩნია ოსთა აჯან-  
ყებად ქართველ ფეოდალთა წინააღმდეგ. ქართველთა მეფემ ოს —  
ბალათარი მცხეთაში მიიტყუა და მოჰკლა, რის შემდეგაც სამხრეთ  
ოსეთი დაიმორჩილა<sup>2</sup>. ამ შემთხვევაში ვანოს ერთმანეთში ერევა  
ოსთა საქართველოში გადმოსახლების დროინდელი ოს-ბალათარი  
(XIII-XIV ს. ს. მიჯნა) იმ ოს-ბალათართან, რომელიც გადმოცე-  
მით ვახტანგ გორგასლანის დროს ცხოვრობდა და მასთან ორთა-  
ბრძოლაში დაიღუპა.

აღ. კოზავეცი ქრისტიანობის დამკვიდრებას ოსეთის ისტორიის  
ყველაზე ბრწყინვალე ფურცელს უწოდებდა, ვანო კი მისგან განსხ-  
ვავებით ოსთაგან ქრისტიანობის მიღებას (VI ს. მიიღეს ბიზანტიი-  
დანო) უარყოფით შეფასებას აძლევს, რადგან ქრისტიანობამ მისი  
აზრით, ყველაფრის საზომად აქცია ფული და ოსური საზოგადოე-  
ბის ზნეობრივი დაცემა გამოიწვია. მსგავსი მტკიცებების უსაფუძ-  
ვლობა თავისთავადაც აშკარაა და ჩვენ მის კრიტიკას არ გამოვუდ-  
გებთ.

\*\*\*

ოსეთის ისტორიის მეცნიერული შესწავლა საბჭოთა ხელი-  
სუფლებების დამყარების შემდეგ დაიწყო, როცა ისტორიული მეც-  
ნიერება საბოლოოდ დაემყარა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრე-  
ბას საზოგადოების განვითარების კანონზომიერების შესახებ. საბ-  
ჭოთა პერიოდში ოსეთის ტერიტორიაზე ჩატარებულმა მსხვილი  
მასშტაბისა და სისტემატიურმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გა-  
მოავლინეს საყურადღებო მასალები მატერიალური კულტურის  
სფეროდან. არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს ოსეთის საქართ-  
ველოსა და სხვა მეზობელ ქვეყნებთან ეკონომიური ხასიათის

1 დასახლებული ნაშრომი, გვ. 52.

2 დასახლებული ნაშრომი, გვ. 55.

ურთიერთობის არსებობას. გ. კოციევა<sup>1</sup> აღიარა რა საქართველოს  
ოსეთთან ურთიერთობის სიმკიდრევე, ამ ურთიერთობის რიგი  
კონკრეტული ფაქტები არასწორად გაიგო და ახსნა. ასეთივე  
ხეზია ოსთა გაქრისტიანების წმინდა ნინოს სახელთან დაკავშირებული  
ოსთა საქართველოში გადმოსახლების IV ს. დათარიღება, ოსეთში  
ფეოდალიზმის გენეზისისა და სხვა საკითხები. იგი პაფფის ძლიერ  
გავლენას განიცდის.

საბჭოთა არქეოლოგიის მონაპოვრები გამოყენებულია პროფ.  
ბ. სკიტსკის შრომაში «Очерки по истории осетинского народа  
с древнейших времен до 1867 г.»<sup>2</sup> მკვლევარი აღნიშნავს ალან-  
ოსების აქტიურ ურთიერთობას საქართველოსთან. ქართული მა-  
ტიანე საუკუნიდან საუკუნემდე გადმოგვცემს ამ ურთიერთობის  
შესახებ<sup>3</sup>.

საქართველო-ოსეთის ურთიერთობის მრავალი ფაქტის მოტა-  
ნის მიუხედავად ბ. სკიტსკის შრომა დამაკმაყოფილებლად ვერ  
ასახავს ამ უაღრესად საინტერესო საკითხს, რადგან მასში ძირი-  
თადი ადგილი ოსეთის შინაგანი განვითარების პროცესის ჩვენებას  
აქვს დათმობილი.

საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ზოგიერთი ფაქტი მო-  
ტანილია საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში<sup>4</sup>. ნაშრომის  
თავისებური ხასიათის გამო მასში შეუძლებელი იყო საკითხის  
ფართო გაშუქება.

აკად. ივ. ჯავახიშვილს „ქართველი ერის ისტორიის“ I, II და  
III წიგნებში განხილული აქვს ქართულ ისტორიულ წყაროებში  
დაცული ქართველ-ოსთა ურთიერთობის მაჩვენებელი ცნობები.

ოსეთ-საქართველოს ურთიერთობის რიგი ფაქტების ახსნა და  
შეფასება მოცემულია აკად. ს. ჯანაშიას „შრომებში“ (I-II). ისინი

<sup>1</sup> Очерки по истории Осетии, ч. I, Владикавказ, 1926 г.

<sup>2</sup> Известия Сев.-Осетинского научно-исслед. инст-та, т. XI, 1917 г.

<sup>3</sup> დასახელებული შრომა, გვ. 36.

<sup>4</sup> ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია,  
1946 წ. თბილისი.

ყოველ ცალკეულ მომენტში ამ ქვეყნების საშინაო და საგარეო  
ვითარებასთანაა დაკავშირებული.

ქართველთა და ოსთა ურთიერთობის პრინციპული საკითხე-  
ბის შესახებ მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრებანი გა-  
მოთქმულია აკად. ნ. ბერძენიშვილის შრომებში. ეს ურთიერთობა  
მას დაკავშირებული აქვს ქვეყნის შიგნით მიმდინარე კლასობრივ  
ბრძოლასთან, რაც ამა თუ იმ ფაქტის სწორი შეფასების გასა-  
ლებს გვაძლევს. იგი აღნიშნავს: „ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა  
სხვადასხვა დროს, ჩვენი ქვეყნის სამტრო თუ მეგობრული დამო-  
კიდებულება მეზობელ ხალხებთან, ომები უცხოელ თავდამსხმე-  
ლებთან ისევე, როგორც ომები სხვისი ქვეყნების დასაპყრობად,  
ჩვენივე საზოგადოების შიგნით მიმდინარე კლასობრივ ბრძოლას-  
თან უმჭიდროეს კავშირში იმყოფებოდა, რომ ზოგი მათგანი ამ  
კლასობრივი ბრძოლის უშუალო შედეგი იყო, ხოლო არც ერთი  
მათგანი ამ საზოგადოებრივი მოვლენის გარეშე არ მიმდინარეობ-  
და“.<sup>1</sup> მკვლევარი სავსებით სამართლიანად მოითხოვს მთიელ ტომ-  
თა, მათ შორის ოსთა შემოტევის საკითხის მიმართ სხვადასხვა კლას-  
ის დამოკიდებულების მეცნიერულ შესწავლასა და გათვალისწი-  
ნებას<sup>2</sup>.

აკად. ნ. ბერძენიშვილმა ფრიად საყურადღებო დებულებები  
მოგვცა საქართველოში ოსთა გადმოსახლების საკითხის ასახსნე-  
ლად. ქართლში, კერძოდ ლიახვის ხეობაში XIII ს. დასასრულიდან  
მიმდინარე ოსთა გადმოსახლება, მისი აზრით, სამამულო ბრძოლის  
ხასიათს იღებს, სადაც თვითეული კლასი თავისებურად აფასებს  
შექმნილ მდგომარეობას. პირველი „ჭირი“ აზნაურებს დასდგო-  
მიათ. მათ მიწათმფლობელობას საფრთხე შეექმნა და ისინი მდგ-  
რად იბრძოდნენ. ასეთივე არ იყო გლეხობის პოზიცია, რომელიც

1 კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს  
საგარეო — პოლიტიკურ ურთიერთობაში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები,  
1, 1955 წ. გვ. 155.

2 იქვე, გვ. 179.

ახნაურთა მიწის დასაცავად ხელს არ გამოიღებდა, თუ ახალმოსულისაგან უარესი არ მოელოდა<sup>1</sup>.

საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ზოგადი სქემატიკური წარმოდგენისათვის მოცემულია „ოსეთის ისტორიის“ მაკეტში<sup>2</sup>.

საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ცალკეული საკითხების შესახებ მრავალ მკვლევარს გამოუთქვამს თავისი აზრი. გ. ახვლედიანი დვალ-ოსთა ურთიერთობის საკითხს ეხებოდა<sup>3</sup>, ზ. ვანევი დვალ-ოსთა მიმართებისა და ოსების საქართველოს ტერიტორიაზე დასახლების ხანას<sup>4</sup>, დ. გვრიტიშვილი დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხს<sup>5</sup>. დ. გვრიტიშვილი ამტკიცებს, რომ ოსთა ახალშენები კავკასიის ქედის პირაქეთა კალთებზე ჩნდება XIII-XIV ს. ს. მიჯნაზე და დაკავშირებულია ჩრდილო კავკასიის ველებზე მონღოლთა მიერ ოსთა განადგურების ფაქტთან.

\* \* \*

წყაროები აღნიშნული საკითხის ირგვლივ ძალიან ცოტაა. არსებული მცირეოდენი ცნობებიც ცალმხრივია, ხშირად ტენდენციურიც.

წერილობით წყაროებში არსებული საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ამსახველი მასალები რომ გამოვიყენოთ, ჩვენს წინაშე დგება ასეთი საკითხი — როგორია დამოკიდებულება ალანსა და ოსს შორის? ფარავენ თუ არა ისინი ერთმანეთს, ან თუ არა, რა თანაფარდობა არსებობს მათ შორის? საქმე ისაა, რომ ქართულ

1 საქართველოს ისტორია XIII-XIV ს. ს. კონსპექტი, თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, VI, 1938 წელი, გვ. 294; საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1956 წ. გვ. 222-223.

2 История осетии, макет, 1954 г. Даваужимау.

3 ოსური ენის ისტორიისათვის, თბ., სახელმწ. უნივ. შოაბზე, V, 1925 წელი, გვ. 319; ისტორიული ცნობა დვალეთისა და დვალების შესახებ, ენიშკის შოაბზე, X, 1941 წ. გვ. 193-195.

4 К вопросу о времени заселения Юго-Осетии, изв. Ю-Ос. НИИ, 1936 г. III;

Народное предание о происхождении осетии, Сталинир, 1956 г.

5 დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, მიმომხ. I, 1949 წ.





წყაროებში ოსთა აღსანიშნავად ხმარებული სახელწოდება „ოსეთი“  
„ოსა“ სხვა ხალხების წერილობით წყაროებში ნახსენებ „ალანებზე“  
(ლათინურში, ბერძნულში, არაბულსა და სომხურ წყაროებში) შეე-  
საბამება.

სამეცნიერო ლიტერატურაში ალან-ოსთა იდენტურობის აზრი  
ბირველად იულიუს კლაპროთმა გამოთქვა 1822 წელს<sup>1</sup> და იგი გა-  
ზიარებულ იქნა მკვლევართა უმრავლესობის მიერ. იყვნენ ამ აზ-  
რის მოწინააღმდეგენიც როგორც, მაგალითად, XIX ს. გეოგრაფი  
სენმარტენი და XX საუკუნეში კოსტა ძუკათი. მათ მიაჩნიათ, რომ  
„ალანი“ კრებითი სახელია და ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის  
უმრავლესობას მოიცავს.

ეს. მილერმა ბევრი გააკეთა ალან-ოსის იდენტურობის და-  
სამტკიცებლად, მაგრამ ბოლოს მაინც შენიშვნას აკეთებს, რომ  
ცნობები ალანებზე მხოლოდ ნაწილობრივ ენება ოსებს და, ნაწი-  
ლობრივ, ჩრდილო კავკასიის სხვა ტომებს<sup>2</sup>.

ბ. სკიტსკიმ<sup>3</sup> და ზ. ვანეევმა<sup>4</sup> ისტორიული წყაროების ცნობე-  
ბის შეჭერების საფუძველზე დამაჯერებლად გვიჩვენეს ალან-ოსთა  
იგივეობა.

ვ. აბაევი ეწინააღმდეგება იმ ავტორებს, რომლებიც ლაპარა-  
კობენ რა ოსთა მემკვიდრეობით კავშირზე ალანებთან, იქვე აკე-  
თებენ შენიშვნას, რომ „ალანები ხალხი კი არ იყო, არამედ „კრები-  
თი სახელწოდება“, ან „გეოგრაფიული ცნება“. ის ფაქტი, რომ  
სხვადასხვა ავტორი ალანთა შესახებ განსხვავებული მასშტაბის  
ცოდნას ავლენს, არ იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ, ლაპარა-  
კობენ რა ალანებზე, მათ მხედველობაში აქვთ არა ხალხი, არამედ  
გეოგრაფიული ცნება.

უკანასკნელ ხანებამდე ოსებს საერთო სახელწოდება არ ჰქონ-  
დათ. იყო ირონ-ები, დიგორ-ელები, თუალ-ები, ხოლო ოსები  
საერთოდ არა. ეს რა თქმა უნდა, არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ  
ოსები ხალხად კი არა, გეოგრაფიულ ტერმინად მივიჩნიოთ. ასეთ

<sup>1</sup> Annales des voyages, XVI, 1822.

<sup>2</sup> Осетинские этюды, ч. III, стр. 47.

<sup>3</sup> Очерки по истории осетинского народа, стр. 33—35.

<sup>4</sup> Средневековая Алания (кандидатская диссертация), стр. 5—9.

<sup>5</sup> Осетинский язык и фольклор, I, 1949 г. стр. 44.

მიდგომას აღნიშნული საკითხის მიმართ ვ. აბაევი ისტორიული ნი-  
პილიზმის გამოვლინებად თვლის<sup>1</sup>.

იმის გამო, რომ ალან-ოსთა იგივეობის დამამტკიცებელი მსა-  
ბუთები არაერთხელ იყო მოყვანილი დასახელებულ მსაბუთებში<sup>1</sup>,  
ბის მიერ, საკიროდ არ მიგვაჩნია მათი გამეორება. ავტორებს,  
რომლებიც ალან-ოსთა იგივეობას უშეებდნენ, მაგრამ შენიშვნას  
უკეთებდნენ და, ამრიგად, არაბად აქცევდნენ მას, აფიქრებდათ ის  
გარემოება, რომ ადრე შუა საუკუნეებში ფართო ტერიტორიაზე  
განსახლებული ალანები შეუძლებელია ჩაითვალოს თანამედროვე  
მცირერიცხოვანი ოსების წინაპრებადო. მათი აზრით, ეს მეტისმე-  
ტი პატივი იქნებოდა ოსებისათვის. მაგრამ აღნიშნული გარემოება  
ალან-ოსთა იგივეობას ხელს არ უშლის. ისტორიამ იცის არაერთი  
მაგალითი ამა თუ იმ ხალხის რიცხოზრდივი შემცირებისა გარკვეულ  
ისტორიულ პირობებში, რომ აღარაფერი ვთქვათ მთლად გაქრობა-  
ზე. ჩრდილო კავკასიის ველებზე ადრე შუა საუკუნეებში ფართოდ  
განსახლებულ ალანურ ტომებს შორის გარკვეული ენობრივი და  
კულტურულ-ისტორიული კავშირი არსებობდა, რის საფუძველზეც  
ძველი ავტორები მათ აერთიანებდნენ საერთო სახელწოდებაში.  
შემდეგში, ხალხთა დიდი ვადასახლების ეპოქაში, ალანთა მნიშვნე-  
ლოვანი ნაწილი დასავლეთით წავიდა ჰუნებთან ერთად, ნაწილი  
ყირიმში და სხვ. ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ველებზე დარჩა  
ალანი მოსახლეობა, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივად მოსახ-  
ლეობდა აღნიშნულ ტერიტორიაზე. ალანთა ეს ნაწილი არის თანა-  
მედროვე ოსების წინაპარი.

ალანები მრავალი ურთიერთმონათესავე ტომებისაგან შედ-  
გებოდნენ, რომელნიც ერთმანეთისაგან თავის სოციალურ-ეკონო-  
მიური განვითარების დონით განსხვავდებოდნენ. ისტორიული გან-  
ვითარების პროცესი მათ უფრო აახლოებდა და ტომობრივ გაერ-  
თიანებათა ჩამოყალიბებას იწვევდა. საბოლოოდ ეს პროცესი ოსი  
ხალხის ფორმირებით დამთავრდა. ასე მიდიოდა ეს პროცესი ქართ-  
ველ, სლავ და სხვა ტომებში. ალანებში აღნიშნული პროცესი შე-  
დარებით გვიან, ადრე შუა საუკუნეების დასასრულისათვის, დამ-  
თავრდა.

<sup>1</sup> Осетинский язык и фольклор, I, 1949 г., стр. 44—45.

VII-ს. სომხურ ანონიმურ გეოგრაფიიდან ჩანს, რომ ამ დროს უკვე არიან ის ტომობრივი სახელწოდებანი და მათი შესაბამისი ტომობრივი ერთეულები, რომლებიც შემდეგშიც მოხანდა, როდესაც კავკასიის ასპარეზზე.

ამ მცირე შენიშვნის შემდეგ შესაძლებლად მიგვაჩნია აღან-ოსთა შესახებ არსებული მასალები გაბედულად გამოვიყენოთ ჩვე-ნი თემის დასამუშავებლად.

“ \* “

✧ საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ჩვენებისათვის წერი-ლობითი წყაროები ძალზე ცოტაა და ცალმხრივიც, მაგრამ დღეს უკვე მათი კრიტიკული გამოყენების გზით გარკვეული დასკვნების გამოტანა შეიძლება.

ძირითად წყაროს აღნიშნული თემისათვის წარმოადგენს ქარ-თულ ისტორიულ თხზულებათა კრებული, ცნობილი „ქართლის ცხოვრების“ სახელწოდებით<sup>1</sup>. იგი ეხება ოსთა ეთნოგენეზის სა-კითხს, ხოლო პოლიტიკური ურთიერთობის ფაქტებს საქართველო-სა და ოსეთს შორის ძვ. წ. IV-III ს. ს. მიჯნიდან გვაძლევს. ამის შემდეგ ქართველთა და ოსთა სამხედრო-პოლიტიკური ურთიერ-ობის ფაქტებზე „ქართლის ცხოვრება“ სისტემატურად იძლევა ცნობებს. მის მიხედვით შესაძლებელი ხდება ურთიერთობის სურა-თის დადგენა ყოველ ცალკეულ ისტორიულ პერიოდში.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობები საქართველო-ოსეთის ურ-თიერთობის ძველ პერიოდზე ზოგ შემთხვევაში ეპიკურ ხასიათს ატარებს. ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ ძველ ქართველ ისტო-რიკოსებს — ლეონტი მროველსა და ჯუანშერს თავის ისტორიულ თხზულებისათვის მასალები აუღიათ ქართულ ხალხურ თქმულება-გადმოცემებიდანაც. ქრონოლოგიურად რაც უფრო ახლო მოდიან ეს ცნობები, მით უფრო სარწმუნო და დამაჯერებელი ხდებიან.

1 არსებობს „ქართლის ცხოვრების“ მრავალი გამოცემა, რომელთაგან ჩვენ მივმართავთ უახლეს გამოცემას ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით (1955 წ. თბილი-სი) და მ. ბროსეს გამოცემას (1849 წ. ს. — პეტერბ.). სხვა გამოცემები რაიმე მნიშვნელოვან განსხვავებას ჩვენთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ არ იძლე-ვიან.



„ქართლის ცხოვრების“ ცნობების მთავარი ნაკლი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მათ ცალმხრივობასა და ფრაგმენტულობაში მდგომარეობს. ისინი ურთიერთობის მხოლოდ პოლიტიკურ მხარეს ასახავენ. ცალკეული პერიოდების ეკონომიური და სოციალური თანამშრომლობის საკითხებზე ისინი თითქმის არაფერს გვაძლევენ. აკად. ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი თქმით, „ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიის ყურადღება საგარეო ურთიერთობის მხრით უპირატესად ომს ექცეოდა და იდეურ-კულტურული თუ სამეურნეო-ეკონომიური ურთიერთობანი მეზობელ ხალხებთან ჩვენი ისტორიოგრაფიის ყურადღების გარეშე რჩებოდა“<sup>1</sup>.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობების შეზღუდულობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მათში საქართველო-ოსეთის მთელი ურთიერთობა გაბატონებული კლასების და მის მეთაურთა ურთიერთობამდეა დაყვანილი. ხალხი, ამ ურთიერთობის ნამდვილი საფუძველი, მატერიალური დოვლათის მწარმოებელი და კეთილმეზობლური ტენდენციების მატარებელი, ყურადღების გარეშეა მიტოვებული. რა თქმა უნდა, მეფე-მთავრები მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში ემყარებოდნენ თითოეული ქვეყნის შინაგანი ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების შედეგად შექმნილ პირობებს. თუ ეს მხედველობაში არ მივიღეთ, ურთიერთობის ნამდვილი მამოძრავებელი ძალები გაუგებარი დარჩება.

ქართული ისტორიული წყაროების აღნიშნული ცალმხრივობა და ნაკლოვანებანი დამახასიათებელია იმდროინდელი არაქართული ისტორიული წყაროებისათვისაც.

ქართული წყაროების გარდა საქართველოს ოსეთთან ურთიერთობის საკითხებზე მცირეოდენი ცნობები მოეპოვებათ რომელიმე მწერლებს: ტაციტს, დიონ კასიუსს, ფლავიუს არიანეს<sup>2</sup>; ბი-

1 რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII ს. ს. მიჯნაზე, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 1, 1944 წ. თბილისი, გვ. 4.

2 რომაელ მწერალთა ცნობები სკვითეთ-კავკასიაზე მოცემულია ვ. ლატიშევს შრომაში: «Известия древних писателей греческих и римских о Скифии и Кавказе.» არსებობს იგი ცალკე გამოცემის სახით, 2 ტომად და, აგრეთვე, გამოურებულია ჟურნალში «Вестник древней истории,» (1947—1949 г. г.).

ზანტიელ მწერლებს: პროკოფი კესარიელს, მენანდრეს, თეოფანეს, ნიკოლოზ მისტიკოსს<sup>1</sup>. ქართულ წყაროების ცნობებთან შედარებით ისინი კიდევ უფრო ფრაგმენტული და შეზღუდულია. მხოლოდ აღნიშნული წყაროების საფუძველზე ჩვენთვის ცნობიერესო საკითხის დამუშავება, მასზე სრული წარმოდგენის შექმნა, შეუძლებელია. ამ საქმეში დახმარებას ვვიწყვს არქეოლოგიური მონაცემები, რომელთა რაოდენობა ჩვენში წარმოებული გათხრების შედეგად დღითიდღე მრავლდება.

ქართული კულტურის გავლენას ოსებზე ვვიჩვენებს ის ეპიგრაფიკული მასალა, რომელიც ოსეთში შემორჩენილ საკულტო ნაგებობათა კედლებზე (მაგ. ნუხალში) შემორჩა.

წყაროების აღნიშნული სიმცირის პირობებში ჩვენ ისლა დაგვიჩენია, რომ მაქსიმალურად ამოვიღოთ მათგან ყველაფერი ის, რაც ცოტად თუ ბევრად ხელს შეუწყობდა საქართველო-ოსეთის ურთიერთობის გარკვევას.

<sup>1</sup> აღნიშნულ ავტორთა ბერძნული ცნობები გამოვიყენე ს. ყაუხჩიშვილმა თარგმანითა და რედაქტ. გამოსულ „გეორგია“-დან (II, III, IV<sup>1</sup> და IV<sup>2</sup> ტომები).

თ ა ვ ი I I

საქართველო-ოსეთის საერთო საზღვარი და  
დამაკავშირებელი გზები

საქართველო-ოსეთის ურთიერთობის საკითხებზე უშუალო მსჯელობის დაწყებამდე საჭიროა მოკლედ მაინც შევჩერდეთ მათ საერთო საზღვარზე და იმ საუღელტეხილო გზებზე, რომელთა მეშვეობით მყარდებოდა აღნიშნულ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირი.

არც საქართველოს და არც ოსეთის საზღვრებს საერთოდ ჩვენ თემასთან დაკავშირებით არ შევეხებით. ჩვენ გვინტერესებს საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი ცენტრალური კავკასიის თარგლებში, რამდენადაც იგი ერთდროულად ოსეთის სამხრეთი საზღვარიცაა.

როცა საქართველო-ოსეთის საერთო საზღვარზე ვლაპარაკობთ, უნდა გავარჩიოთ ეთნიკური და პოლიტიკური საზღვარი მათ შორის. ეთნიკური საზღვარი შედარებით მტკიცე და უცვლელია, პოლიტიკური საზღვარი — ადვილად ცვალებადი.

უძველესი დროიდან XIII ს. მეორე ნახევრამდე საქართველო-ოსეთის ეთნიკური საზღვარი კავკასიის მთიანეთს გასდევდა. მისი სამხრეთი კალთები საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა როგორც ეთნიკური, ისევე პოლიტიკური თვალსაზრისით. ჩრდილო კალთები კი ოსურ ტომებს ეკავათ. კავკასიის ქედი — ეს ბუნებრივი საზღვარი საქართველოსა და ოსეთს შორის, დიდხანს ეთნიკური და პოლიტიკური საზღვრის როლსაც ასრულებდა.

მაგრამ, თუ შედარებით ადვილია საქართველო-ოსეთის საერთო საზღვრის ზოგადი აღნიშვნა, გაცილებით ძნელია მათ შორის

სასაზღვრო პუნქტების დადგენა მთავარი საუღელტეხილო გზების — დარიალის და ალაგირის ხეობათა მიდამოებში.

მატერიალური კულტურის ნაშთების, წერილობრივი წყაროების (პროკოპი, მენანდრე, თეოფანე, ძველი ქართული ისტორიკოსები), ლინგვისტური მასალების (მილერი, აბაევი) საფუძველზე მტკიცდება, რომ ოსები დასავლეთიდან — აფხაზეთისა და სვანეთის საზღვრებიდან დაწყებული „კასპიის კარებამდე“ (შეცდომით ძველი მწერლები დარიალის კარს კასპიის კარსაც უწოდებდნენ), ე. ი. დღევანდელ საქართველოს სამხედრო გზის მიდამოებამდე ცხოვრობდნენ, მასში არ შედიოდა ჩვენთვის ტერიტორია. არაბი ისტორიკოსები, როცა ოსეთის აღმოსავლეთის საზღვრის შესახებ ლაპარაკობდნენ, აღნიშნავდნენ ხოლმე, რომ სერირის (ავარიის — დაღესტანში) სამეფოდან აღანეთში შესვლამდე 3 დღის სავალი გზაა<sup>1</sup>. ერთისიტყვიტ, ჩვენთვის საინტერესო ისტორიულ პერიოდში ოსეთი დარიალის კარებიდან მდ. ყუბანის სათავემდეა გადაჭიმული, უშუალოდ ესაზღვრება აფხაზეთს, სვანეთს და ქართლს. საერთო საზღვრის სიგრძის ცოდნას გარკვეული მნიშვნელობა აქვს დამაკავშირებელ გზებზე მსჯელობისათვის ამ საზღვრის ფარგლებში.

ცნობილია კავკასიონის მთების გრანდიოზულობა და მათი მეშვეობით გარესამყაროსთან კავშირის დამყარების სიძნელე. ასეთი კავშირის დამყარება საუღელტეხილო გზების გარეშე შეუძლებელია. საქართველოს ურთიერთობა ჩრდილო კავკასიასთან სწორედ ასეთი საუღელტეხილო გზების მეშვეობით ხორციელდებოდა.

ცენტრალური კავკასიის ფარგლებში მის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილების მოსახლეობასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა იყო საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც ძველად „არაგვის კარის“, „ოვსთა კარის“ და „დარიალანის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. ამ გზას უძველესი დროიდან თავის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო უდიდესი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მის ორივე მხარეზე ცხოვრობდნენ. კარლ მარქსი აღნიშნავდა, რომ „კავკასიის

<sup>1</sup> Ибн -- Русте. Книга драгоценных камней, пер. П. А. Караулова, СМОПН, XXXII, 1903 г. стр. 49-51

მთები ჰყოფენ სამხრეთ რუსეთს საქართველოს მდიდარი პროვინციებისაგან... ერთადერთი სამხედრო გზა, რომელიც ამ სახელმწიფოს იმსახურებს, მიიკლავება მოზდოკიდან თბილისში დარიალის ვიწრო ხეობით. ის დაცულია სიმაგრეთა უწყვეტ კაშხლებით. მარქსის ნათქვამი შესანიშნავად გვიხსიათებს გზის მნიშვნელობას არამარტო XIX საუკუნისათვის, არამედ აღრინდელ შუა საუკუნეებისათვისაც. კავკასიის ქედის ორივე მხარეზე ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ფრიად ინტენსიური ისტორიული განვითარების პროცესი მიმდინარეობდა არა იზოლირებულად, არამედ აქტიური საერთაშორისო ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის პირობებში. ეს გარემოება განსაზღვრავდა ამ გზის დიდ მნიშვნელობას ყოველ ისტორიულ ეპოქაში.

დარიალის ხეობაზე გამავალი გზა მიჰყვებოდა არაგვის ხეობას, გადაკვეთდა კავკასიის მთიანეთის მთავარ ქედს და ეშვებოდა მდ. თურგის ხეობაში. მდ. თურგს ძველ ქართულ წყაროებში ლომეჯი (ნიშნავს კლდის ნაპრაღს) ანდა „ოვსეთის არაგვი“ ერქვა, რადგან, როგორც ლეონტი შროველი. აღნიშნავს, „მასცა მდინარესა არაგვ ჰქვან, რამეთუ ერთის მთისაგან გამოვალს თავი ორთაგე... ქართლისა არაგვისა და ოვსეთისა არაგვისა“<sup>2</sup>. თურგის ხეობის გავლის შემდეგ გზა „ოვსეთის ველზე“ გადადიოდა და იქიდან ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა რაიონებისაკენ მიიმართებოდა. დარიალის ვიწრო ხეობაში, რომელიც რაიონული ცენტრის — ყაზბეგის ჩრდილოეთით იწყება, გზა მაღალი ფრიადო კლდეებით იყო შემოზღუდული. ხეობის სივიწროვე ამ ადგილას შესაძლებლობას იძლეოდა გზის საგულდაგულო გამაგრებისათვის, ხოლო რაკი გზას უდიდესი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა, აღნიშნული შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოიყენებოდა.

გზის დიდი მნიშვნელობა აღრევე იქნა შეფასებული. ლეონტის ცნობით, იბერიის მეფე მირვანშა ძვ. წ. 130 წ. დარიალის ხეობა ქვითკირის კედლით გაამაგრა<sup>3</sup>. ასე, რომ, როცა რომაელები ძვ. წ.

<sup>1</sup> Маркс и Энгельс, Сочинения, т. IX, Москва, 1933 г., стр. 535.  
<sup>2</sup> ვართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ. 1955 წ. I ტ. გვ. 151.  
<sup>3</sup> ლეონტი შროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ. 1955 წ. I ტ. გვ. 28.



I ს.ში ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ, მათ გზა უკვე გამაგრებული დახვდათ. გზის გამაგრებულობას ერთხმად აღნიშნავენ სტრაბონი, (I ს.) პლ. სეკუნდი (I ს.), იოს. ფლავიუსი (I ს.), მასტოდორე (II ს.) და სხვ. გამაგრებული  
სტრაბონი,  
პლ. სეკუნდი (I ს.),  
იოს. ფლავიუსი (I ს.),  
მასტოდორე (II ს.)  
და სხვ.

სტრაბონის ცნობით, დარიალის გზა ჩრდილოეთის მომთაბარეთა მხრიდან მოემართებოდა: ჯერ სამი დღის სავალი აღმართი ახლდა ამ გზას, შემდეგ იგი მდ. არაგვის (არაგვის) გასწვრივ ვიწრო ხეობას გასდევდა 4 დღის სავალი საცალფეხო ბილიკით. გზის დასასრულს იცავდა მიუვალი კედელი<sup>1</sup>.

იმავე გზას აღწერს მეორე რომაელი მწერალი პლ. სეკუნდი. ის ამბობს, რომ კავკასიის კარებს ბევრი შეცდომით უწოდებს კასპიის კარებს. ეს არის ბუნების უზარმაზარი ქმნილება, მთების უეცარი გაბობის შედეგი. თვით გასავალი შეკრულია რკინით მოჭედილი მორებით. ვარს იქით მხარეს (ის გულისხმობს სამხრეთის მიმართულებას — გ. თ.) კლდეზე კუმანის სახელწოდებით ცნობილი ციხესიმაგრეა აგებული, მრავალრიცხოვანი ტომების გადმოსვლისათვის ხელის შეშლის მიზნით<sup>2</sup>.

პლ. სეკუნდს მთების უეცარი გაბობის შედეგად წარმოქმნილ ადგილად მიაჩნია დარიალის ვიწრო გასავალი, ყაზბეგის ჩრდილოეთით მერვე კილომეტრზე რომ იწყება. გზა აქ ვიწრო ხეობას გასდევდა, სახიფათო და ძნელად სავალიც იყო. სიმაგრეთა ძირითადი წყებაც აქ უნდა ვეძებოთ. მართლაც, ყაზბეგის ჩრდილოეთით მე-10 კილომეტრზე, იქ, სადაც მდინარე ქისტინკა თერგს მარჯვენა მხრიდან უერთდება, საიდანაც, ვახუშტის ცნობით, ძნელი და სახიფათო გზა გადადის ძუჭძუკეთში, ქისტეთში და გულამაყრის ხეობაში, იღგა დავითის ციხე, დავით აღმაშენებლის დროს აშენებული<sup>3</sup>.

უფრო ჩრდილოეთით, თერგის მარცხენა ნაპირზე, 60 მ. სიმაღლის ციცაბო კლდის თავზე შემორჩენილია დარიალის ციხის

1 В. Латишев, Известия древ. писат. (СК), ВДИ, № 4, 1947 г., стр. 218.

2 СК, ВДИ, № 2, 1949 г., стр. 298—299.

3 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941 წ. გვ. 67.

ნანგრევები. მას თამარის ციხეს უწოდებენ, მაგრამ სინამდვილეში იგი ბევრად ადრეა აგებული. შესაძლებელია, იგი იყო წლინობის დასახლებული კუშანია. აღნიშნულ სიმაგრესთან დაკავშირებულია მაღალ კედლებზე აგებული 2 კოშკი. ისინი დამატებით ვით პუნქტებს წარმოადგენდნენ და ძირითად სიმაგრესთან დაკავშირში იყვნენ. მისი ნაშთები მოწმობს, რომ იგი ძლიერი სიმაგრე უნდა ყოფილიყო. მისი მაღალი კედლები კოშკებით იფარავდნენ მუდმივი გარნიზონის სასამსახურო ნაგებობებს. ციხის წყლით მომარაგება საიდუმლო გვირაბით ხდებოდა თერგიდან, შემდეგში წყალსადენიც გაუყვანიათ, რის მაჩვენებელიცაა ციხის შიგნით თიხის მილების არსებობა. ციხე არა ერთხელ შეკეთდა და გადაკეთდა. თანამედროვე ნანგრევები გვიანფეოდალური ხანის გადაკეთების ნიშნებია, მაგრამ კედლებში ძველი ფენებიც შეიმჩნევა<sup>1</sup>.

ცნობილია, რომ ეს გადმოსავალი გზა ტერიტორიულად საქართველოსა და ოსეთის განკარგულებაში იყო. ამაზე მეტყველებს სახელწოდება „ოვსთა კარი“. „აბოს წამებაშიც“ დაცულია ცნობა, რომ ნერსე ერისთავმა გაიარა „კარი ოვსეთისაჲ, რომელსაც დარიალან ერქუმის“. ამ გზით გადმოჰყავდათ ოსთა ლაშქარი ქართლის თუ გაერთიანებულ საქართველოს მეფეებს. ამ გზების დაცვა ყოველთვის შეადგენდა ქართლის, საქართველოს თუ ცალკეულ ბერიოდში აქ გაბატონებულ უცხოელ დამპყრობთა განსაკუთრებულ ზრუნვის საგანს. გზაზე კონტროლი მაკონტროლებელ სახელმწიფოს საშუალებას აძლევდა ჩრდილო კავკასიის მეომარ ტომთა მიერ გზის თვითნებური გადმოლახვისათვის ხელი შეეშალა, ხოლო გაპირვების უამს კი ისინი მოეწვიათ თავის პოლიტიკური ინტერესებისათვის გამოსაყენებლად. ქართული წყაროები, რომლებიც ბევრ ცნობას იძლევიან საქართველოსათვის ოსთა სამხედრო დახმარების ფაქტებზე, ყოველთვის მიუთითებენ მათი გადმოსვლის გზასაც. ასეთ გზად უმთავრესად დარიალის კარი ჩანს.

წყაროების მიხედვით, აღნიშნული სიმაგრე საქართველოს ეკუთვნოდა. იგი სწორედ ჩრდილო კავკასიელ ტომთა თვითნებური გადმოსვლის თავიდან აცილების საქმეს ემსახურებოდა. მისი ეს

<sup>1</sup> В. Долидзе, Р. Шмерлинг, Военно-Грузинская дорога, 1956., 74—75.

დანიშნულება კარგად ესმოდათ ამიერკავკასიაში გაბატონების მოქ-  
სურნე უცხოელ დამპყრობლებსაც, რის მაჩვენებელიცაა ის დიდი  
დიპლომატიური და სამხედრო შეხლა-შემოხლა, რეცქიქრეცქიქრე  
გაიმართა VI ს. ბიზანტიასა და სპარსეთს შორის. გიორგი  
დარიალის ხეობაში საზღვარი საქართველოსა და ოსეთს შო-  
რის ამ სიმაგრეთა მიდამოებშია საქიებელი. მაგრამ საზღვარი ამ  
ფარგლებში მყარი ვერ იქნებოდა. გზის საგანგებო გამაგრების  
ბოუხედავად მის გადმოლახვას ხშირად ახერხებდნენ ჩრდილო კავ-  
კასიელი ტომები (განსაკუთრებით ეს ითქმის ხაზარებზე VII ს. და-  
საწყისიდან). ამ შემოჭრებს თან სდევდა სიმაგრეთა დანგრევა, რის  
გამოც არაერთხელ გამხდარა საჭირო მათი აღდგენა-შეკეთება.  
ვახტანგ გორგასალმა „შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელ ჩუენ  
დარიანისად უწოდთ. და აღაშენა მას ზედა გოდოლნი მალალნი და  
დაადგინა მცველად მახლობელნი მთეულნი. არა ხელეწიფების  
გამოსვლად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყიფჩაყთა, თვნიერ  
ბრძანებისა ქართველთა მეფისა“<sup>1</sup>.

ეს ცნობა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ვახტანგ გორგასალმა  
(V ს.) პირველად შექმნა კარი. იგი გაცილებით ადრე ძლიერად ყო-  
ფილა გამაგრებული. ვახტანგმა იგი მხოლოდ დაიბრუნა ოსთაგან  
და ხელახლა გაამაგრა.

VII ს. არაბები დაჟინებით მიიწვევენ დარიალის გასაავლი-  
სავენ. მათ აინტერესებთ გზაზე კონტროლის ხელში ჩაგდება, რათა  
ხაზართა და ოსთა შემოჭრის მუდმივი საფრთხე გააუფნებლონ. რო-  
გორც ადრე რომაელი მწერლები აღწერდნენ გზას, ისე ახლა არაბ  
მწერალთა თხზულებებში ჩნდება ცნობები გზის სამხედრო-სტრა-  
ტეგიული მნიშვნელობის შესახებ. ალ-მასუდის ცნობით, ალანთა  
სამეფოსა და კაბხის (კავკასიონის) მთებს შორის აგებული იყო „სი-  
მაგრე ალანი“. მასში სპეციალური დაცვა იმყოფებოდა, რათა კაბ-  
ხის მთებთან მისავალი გზა ალანთაგან დაეცვათ. ამ ხალხს არ ჰქონ-  
და სხვა გზა, თუ არა ხიდი, რომელზეც ციხე-კოშკი მბრძანებლობ-  
და. იგი ისეთ მიუღდგომელ ადგილზე იყო აგებული, რომ მას ვერც  
მიუღდებოდა ვინმე და ვერც აიღებდა, თუ შიგ მყოფი მეციხოვნის  
დახმარება არ ექნებოდა.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 156

მურვანმა დაიმორჩილა ამ მხარის მოსახლეობა და მისში გა-  
ნიზონი ჩააყენა. ისინი, — განაგრძობს მასუდი, — ეხლაც (X ს. პო-  
ველ ნახევარში — გ. თ.) არიან იქ და სურსათს სასაზღვრე ქვეყნებში  
თბილისიდან იღებენ, სადამდეც 5 დღის სავალი გზაა. ეტყვიან, რომ  
თუნდაც მთელ ქიადირთა (წარმართთა) მეფეებს შეაჩერებს, რად-  
გან პოზიცია ერთდროულად მბრძანებლობს გზაზე, ხიდზე და  
ველზე!

იბნ-რუსტეს (X ს. დასაწყ.) ცნობით, ალანთა კარის მიდა-  
მოებში მწვერვალზე სიმაგრეა, მის შირზე კი გადის გზა, რომლის  
კედლებს ყოველდღე 1000 კაცი იცავს ადგილობრივ მცხოვრებ-  
თაგან.

გზის ასეთი დიდი მნიშვნელობის გამო იყო, რომ მურვან ყრუ,  
ბულა თურქი და სხვა დამპყრობლები ენერგიულად უტევდნენ და-  
რიალის კარებს. ბულამ ოსთაგან მძევლებიც კი აიყვანა და სამხრეთ  
საქართველოში დაასახლა.

არაბთა დასუსტებასთან ერთად დარიალის ხეობაში არსებული  
სიმაგრეები ოსების ხელში გადადის. დავით აღმაშენებლის დროი-  
სათვის ოსთა კონტროლი ამ გზაზე ისეთი მტკიცეა, რომ მრავალ-  
რიცხოვან ყივჩაღ ტომებს მისი გადმოლაზვის არავითარი იმედი  
არა აქვთ, ხოლო დავით აღმაშენებელს კი დიპლომატიური მოლა-  
პარაკება მიაჩნია ოსებთან დარიალის სიმაგრეთა მფლობელობის  
საკითხის მოგვარების ერთადერთ გზად. ამიერიდან ისინი საქარ-  
ველოს ხელში მტკიცედ გადმოდიან. საფიქრებელია, რომ ამ დროი-  
დან საქართველოს-ოსეთის საზღვარი აწინდელი საქართველო —  
ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრის მიდამოებში გა-  
დიოდა.

XI-XIII ს. ს. გზის მნიშვნელობა გაიზარდა. რუსთა და ჩრდი-  
ლო კავკასიის ხალხებთან მეგობრული კავშირ-ურთიერთობა ამ  
გზის მეშვეობით ხორციელდებოდა.

მონღოლების მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ჩრდი-  
ლო კავკასიის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობა დასუსტდა.  
შესაბამისად დასუსტდა გზის როლიც. მაგრამ მისი სტრატეგიული

1 Н. А. Нараулов, сведения арабских писателей о Кавказе, Армении  
и Азербайджане. СМОМПК, вып. 38. Тифлис, 1908 г., стр. 53—54.

2 СМОМПК, в. 32, 1903-г. стр. 51.

მნიშვნელობა ილხანებსა და ოქროს ურდოს ყაენებს შორის გაძლი-  
ლი მტრობის პირობებში არც მაშინ დაქვეითებულა. ილხანებს ეწი-  
ხოდათ, ქართველ მეფეებს იგი არ გაეხსნათ ოქროს ურდოს მიმართ.  
უკანასკნელთა მიმართ ზოგჯერ დათმობაზე მიდინარებენ ქართველნი  
ილხანთა იგივე შიში განაპირობებდა მათ დაულალავ სწრაფვას  
გადმოსავლის ხელში ჩასაგდებად.

XIV ს. დამლევს, თემურლენგის შემოსევებისას, დარიალის  
გზა მძლავრი დარტყმების ობიექტად იქცა. 1394 წ. მონღოლები  
შეიჭრნენ არაგვის ხეობაში, მაგრამ დარიალის კარები ვერ აიღეს.  
1400 წ. ეს ცდა გამეორდა, მაგრამ ამჯერადაც მიზანს ვერ მიაღწიეს.  
თემური ფიქრობდა, რომ საქართველოს მთავრობა ამ გზას ოქროს  
ურდოს უხსნიდა<sup>1</sup>.

საქართველოს ოსეთთან დამაკავშირებელი მეორე მნიშვნელო-  
ვანი გზა იყო დვალეთის გზა, ანუ ახლანდელი ოსეთის სამხედრო  
გზა. იგი ჩრდილო კავკასიას შამისონის და როკის უღელტეხილებით  
საქართველოს ორივე ნაწილს (დასავლეთსა და აღმოსავლეთს) უკავ-  
შირებდა.

ქართულ ისტორიულ წყაროებში ხშირად იხსენიება ოსთა სა-  
ქართველოში დვალეთის გზით გადმოსვლის ფაქტი. „ამისა (ამა-  
ზასპის — გ. თ.) მეფობასა გარდამოვიდეს ოვსნი, სპანი დიდნი,  
გზასა დვალეთისასა... მოვიდეს ოვსნი და დადგეს ლიახუსა ზე-  
და“<sup>2</sup>. ოსეთში მყოფმა მირიანმა „გარდამოვლო გზა დვალეთისა  
და მოვიდა შინა“<sup>3</sup>. ბუღა თურქისაგან დევნილი მეფე თეოდოსი  
„წარვიდა მეოტი გზასა დვალეთისასა“<sup>4</sup>. „გზა დვალეთისა“ ორ განშ-  
ტობად იყოფოდა, რასაც მოწმობს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“  
ქელიშურ ვარიანტში დაცული შემდეგი ცნობა: „ვითარცა მეფო-  
ბაჲ დაესრულა, ქართლსა შინა სპარსნი განძლიერდეს და ერეთი და  
სომხითი დაიპყრეს. ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკა-  
სიათა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს. და ერთი დიდი კარი

1 საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1946 წ. გვ. 280.

2 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 55.

3 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 68.

4 იქვე, გვ. 256.

ოცნებისავე და ორნი დვალეთს და ერთი პარჭუანს დარბოკეთის-  
სა. და იგი მთიელნი გომარდად დაადგინეს“<sup>1</sup>.

დვალეთის ორი გზიდან ერთი ალაგირის (არდონის) ~~ქვემოთ~~ <sup>ქვემოთ</sup> როკის უღელტეხილით მომავალი გზაა, რომელიც ~~დაც~~ <sup>დაც</sup> ხეობაში ჩამოდის და იქიდან ქართლის რაიონებს უკავშირდება.


დვალეთის მეორე გზა იყო იმავე გზის განშტოება. ალაგირის ხეობიდან მომავალი გზა სოფ. ქვ. ზარამაგთან ორად იყოფა. ერთი ნარდონის და ზაკიდონის ხეობით როკის უღელტეხილისაკენ მოემართება, მეორე კი მამისონდონის ხეობით (ანუ ქელის ხეობით, როგორც მას ვახუშტი უწოდებს) მიიმართება, გადადის მამისონის ანუ ქანჭახის უღელტეხილზე და რიონის სათავეში ეშვება. აქედან ის ქუთაისს და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებს უკავშირდება.

სოფ. ქვემო ზარამაგთან, სადაც ერთდება დვალეთის აღნიშნული ორი გზა შემდეგ რომ კასარისა და ნახასის (ალაგირის ხეობის ნაწილებია) ხეობებით ჩრდილოეთით მიიმართება, მდებარეობს ამალღებული ბორცვი, რომლის ზედაპირი ძველი, აწ საფუძვლიანად დანგრეული, ნაგებობის ნაშთებითაა დაფარული. იგი ციხესიმაგრე უნდა ყოფილიყო, რომლის დანიშნულება გზების დაცვა იქნებოდა.

მის ჩრდილოეთით, უკვე კასარის ხეობაში, ბურონიდან 4 კილომეტრზე ხეობის ყველაზე ვიწრო ადგილას დარჩენილია გადამლობი კედლის ნაშთები. ეს ნაშთები მდ. არდონის მარცხენა ნაპირზეა. კედელი ისეა აგებული, რომ მხოლოდ ვიწრო გასასვლელია — ირიბად მისაველი. პაფფი ამ კარებს „ЗЫЛИН — ДУАР“ — (მრუდე ან ირიბ კარს) უწოდებს<sup>2</sup>. ასევე იწოდება იგი ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. კედელი მცირე მანძილზე მიჰყვება მთის ციციბო კალთას და თავდება კოშკით. აღნიშნული კარის შესახებ ვახუშტის შემდეგი ცნობა მოეპოვება: „არს აქ კარი კლდისაგან და ქვიტყირით ქმნული, დიდ — კამაროვანი, მდინარესა ზელა, მეფე-

1 Е. Такаишвили, Описание рукописей „общ. распр. грамотн. среди грузинского населения“, т. II, вып. 1—4, Тифлис, 1906—1912 гг. стр. 723.

2 Путешествие по ущельям Северной Осетии, ССК, I. 1871 г. стр. 143.



თავან ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თვნიერ მათსა ოცსნი და არს  
 ზეობა ესე ფრიად მაგარ და შეუვალი“<sup>1</sup>.

ქასარის ხეობაში არსებული სიმაგარის შესახებ წყქვეყნის  
 ცნობები არ შემონახულა. გადმოცემა მის აგებას აწერს ალაგირის  
 ხეობაში გაბატონებულ გვარს — ცარაზონოვებს, რომელთაგან გა-  
 მრვიდნენ ქართული ისტორიული წყაროებისათვის კარგად ცნო-  
 ბილი ისტორიული პირები: დავით სოსლანი, ოს-ბაღათარი და ფა-  
 რეჯანი.

თვით კარის სახელწოდება „ქასარ“ (ოს. **къасæр**-იდან)  
 ნიშნავს ზღურბლს, კარიბჭეს. იგი მართლაც წარმოდგენდა ასეთ  
 ზღურბლს საქართველოსა და ოსეთს შორის მთელ რიგ ისტორიულ  
 ეპოქებში. კარის სამხრეთით დვალთა სამოსახლო ტერიტორია იყო.  
ამ ადგილს ძველი სახელწოდება დღემდე შემორჩა. ჩრდილო ოსე-  
ბი მას უწოდებენ „თუალთა“-ს, სადაც: თა მრავლობითობის მაწარ-  
მოებელი სუფიქსია, ხოლო „თუალ“ დუალ-დვალ-იდან არის მი-  
ღებული.

საქართველო-ოსეთის საზღვარი. აკად. ივ. ჯავახიშვილს დაახ-  
 ლოებით კარის მიდამოებში აქვს წარმოდგენილი. „დვალეთის შე-  
 სახებ საგანგებოდ უნდა იქნეს აღნიშნული, — ამბობს ის, — რომ  
 იგი კავკასიონის უღელტეხილის ორ, მთავარსა და პირიქითედს,  
 ქედებს შუა არის მოქცეული... ეს დვალეთი ამ ადგილას საქარ-  
 ველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაპირე ქვეყანა იყო.

ძველთაგანვე დვალეთი საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ ამ  
საზღვარს განსაკუთრებული ყურადღება ~~მე~~ XII ს. მიექცა. საუ-  
კუნეთა განმავლობაში... საქართველოს მთავრობა ამ კუთხეს სა-  
ქართველოსათვის ფრიად მნიშვნელოვან კარად თვლიდა და ამის  
გამო მას ფხიზელ დარაჯად უღვა, საგანგებოდ არღონის გასავალ-  
თან ზღუდეც კი ააგო“<sup>2</sup>.

ამ მნიშვნელოვანი გზის გარდა ალაგირის ხეობიდან საქარ-  
 ველოს ცენტრალურ რაიონებში სხვა, ნაკლებმნიშვნელოვანი, გზა-

1 აღწერა..., გვ. 114.

2 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე  
 თვალსაზრისით განხილული, 1919 წ., გვ. 6-9.

ბილიკებიც ეშვებოდა, რომელთაც ურთიერთობის საქმისათვის ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდათ. ეს წერილი გზა-ბილიკებია:

1. ბან-ფანდაგი (ცხენის გზა) — როკის დასავლეთით, ლიახვის ხეობაში ჩამოდის.

2. ზეკარის უღელტეხილით ჯინათ-ზრუგის ხეობაში ჩამოდის მავალი გზა, რომელიც ქეშელთის ხეობაში გადმოდის.

3. ძედოს გადმოსავლით არღონ-ზრუგის ხეობიდან გადმომავალი გზა, რომელიც ეშვება მდ. ჯოჯორის ხეობაში. მისი ერთი შტო ფაწის ხეობით ონში გადადის, მეორე კი როკის გზას უერთდება.

4. სბის გადმოსავლით გადმოდის გზა თრუსოს ხეობაში და იქიდან საქართველოს სამხედრო გზას ს. კობთან უერთდება. გზის ერთი შტო ედისში ჩამოდის და აქედან პატარა ლიახვით ქართლის სოფლებს უკავშირდება.

ამრიგად, ამ გზა-ბილიკებითაც ჩრდილო ოსეთის მოსახლეობა საქართველოს მრავალ რაიონს უკავშირდებოდა. ამ გზებს ადგილობრივა მნიშვნელობა ჰქონდათ.

არსებობდა ოსეთის დასავლეთ საქართველოსთან დამაკავშირებელი სხვა გზებიც. ერთი ასეთი გზათაგანი იყო „გზა თაკუერისა“. ამაზასპის წინააღმდეგ ამხედრებულმა ერისთავებმა მოიწვიეს ოსთა მაშველი ლაშქარი. მათ „გარდამოვლეს გზა თაკუერისა, და მოვიდეს ერისთავთა თანა ეგრისათა“<sup>1</sup>.

„თაკუერის“ ადგილმდებარეობა ზუსტად არაა განსაზღვრული. ივ. ჯავახიშვილი მას ვარაუდით ლეჩხუმს უწოდებს. „თაკუერის გზა“ უნდა ყოფილიყო ურუხის ხეობიდან (დიგორია) ცხენისწყლის ხეობასა და რაქაში გადმომავალი გზა.

თაკუერის გზის დასავლეთით იყო „გზა აფხაზეთისა“. ისტორიკოს ჟუანშერის ცნობით, ოსეთში გადასული ჭახტანგ გორგასალი ქართლის ლაშქრით „წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა“<sup>2</sup>. ამავე გზით მოდის ქუთაისში ბაგრატ IV ცოლის ძმა დორღოლელი სადარბაზოდ: „წარმოემართა ოვსთა მეფე ყოველითა თავადითა ოვსეთისათა, და აღმოვლო გზა აფხაზეთისა და მოვიდა ქუთათისს“<sup>3</sup>.

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 57.  
2 იქვე, გვ. 157.  
3 იქვე, გვ. 313.



ამ გზის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს მისი გამაგორებულ  
ნასიათი. გადასავლელის სამხრეთ ნაწილში აგებული იყო ციხე სობ-  
ლისი<sup>1</sup>. ლაზეთ-ოსეთის საზღვარზე იყო სხვა მნიშვნელოვანი ციხე  
მაგრე — ბუქლოოსი. მისი სიახლოვე ოსებთან დეტალურად იქნა  
რომ მისიმიანებს ეწინოდათ, რომ ბიზანტიელებს ოსებისათვის არ  
გადაეცათ იგი<sup>2</sup>.

საქართველოდან ოსეთში გადასასვლელ გზებზე ციხე-სიმაგ-  
რეთა არსებობის შესახებ ცნობები მოეპოვება VII ს. იერუსალი-  
მელ მონაზონ თეოდოსი განგრელს. იგი ეხება ბიზანტიიდან 662  
წელს თავის თანამებრძოლებთან ერთად განდევნილ მაქსიმე აღმსა-  
რებლის ცხოვრებას. კონსტანტინე III პოგონატმა მაქსიმე ლაზეთ-  
ში გააძევა. იგი მოთავსებული იქნა ციხეში, რომელიც სქიომარად  
იწოდება და ალანთა მახლობლად მდებარეობს<sup>3</sup>.

მაქსიმეს თანამებრძოლი ანასტასი აპოკრისიარი ალანთა  
საზღვრებში მდებარე ბუკოლუსში (უდრის ბუქლოოსს) მოათავ-  
სეს.

თეოდოსის აღნიშნული ცნობიდან ის საინტერესო დასკვნა  
გამომდინარეობს, რომ გზების ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნე-  
ლობის გამო აქაც საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევენ მათ გა-  
მაგრებას.

„გზა აფხაზეთისა“ მდ. კოდორის ხეობიდან მდ. ყუბანის და  
მისი შენაკადების აუზებში გადადიოდა ქლუხორის უღელტეხილით.  
იგი დღეისათვის კარგად ცნობილი სოხუმის სამხედრო გზაა. აკად.  
ს. ჯანაშიამ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ოსეთი და აფხაზე-  
თი უშუალოდ მოსაზღვრე ქვეყნები იყო, რადგან ოსებს ყუბანის  
სათავეები ეჭირათ. „სწორედ აქეთკენ, — მიუთითებს იგი, — მდი-  
ნარე კოდორისა და მისი შენაკადების სათავეებით, მიიმართება  
გზა, რომელიც გადალახავს კავკასიონს ქლუხორის და, ზოგჯერ,  
მარუხის ზეკარით და რომელსაც ძველთაგანვე აფხაზეთისათვის

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 235.

2 გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ,  
ტ. III, 1936 წ. გვ. 876-87; აგათია სქოლასტიკოსის ცნობა.

3 გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, 1941 წ., გვ. 42.

ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა<sup>1</sup>. სწორედ ამ გზებით ხდებო-  
და ოს და აფხაზ ვაჭართა ის ურთიერთმიმოსვლა და სავაჭრო საქ-  
მიანობა, რის შესახებაც თეოფანე ეპითააღმწერელი ეძღვნება განთი-  
ბას<sup>2</sup>.

ამრიგად, საქართველო-ოსეთს შორის მჭიდრო ეკონომიური  
და პოლიტიკური კავშირის დასამყარებლად მოსახერხებელ გზათა  
მთელი რიგი არსებობდა. მათი მნიშვნელობა ერთნაირი არ იყო.  
დარიალისა და აფხაზეთის გზებს საერთაშორისო მნიშვნელობა  
ქონდათ ეკონომიური და პოლიტიკური თვალსაზრისით. სამხედ-  
რო — ოსეთის გზას უფრო ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა,  
ვინაიდან იგი ნაკლებად შედიოდა იმდროინდელ სახელმწიფოთა  
პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობათა სისტემაში. უფრო  
გვიან, XIII-XIV ს. ს. ოსეთის სამხედრო გზამ დიდი როლი ითა-  
მაშა ჩრდილო კავკასიიდან ოსური ტომების საქართველოს ცენტ-  
რალური რაიონებისაკენ მოძრაობის საქმეში და სწორედ ამ გზის  
მიდამოებში ჩაეყარა საფუძველი საქართველოს ტერიტორიაზე  
ოსთა მუდმივი მოსახლეობის გაჩენას.

აღნიშნული გზების მეშვეობით ვრცელდებოდა ჩრდილო კავ-  
კასიის ტერიტორიაზე ქართული და არაქართული წარმოშობის  
საქონელი. ამ გზებით ხორციელდებოდა მხარეებს შორის მჭიდრო  
პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობა. და, ბოლოს, ამ გზების მეშ-  
ვეობით ხდებოდა საქართველოს კულტურული გავლენის გავრცე-  
ლება ოსეთსა და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებზე. შემთხვევითი  
არაა, რომ ამ გზების მიდამოებშია განლაგებული ის არქეოლოგიუ-  
რი კომპლექსები, კულტურულ — სარწმუნოებრივი ხასიათის ძეგ-  
ლები, რომლებიც ავლენენ დიდ კავშირს ამიერკავკასიისა და სხვა  
ხალხების კულტურასთან.

1 ს. ჯანაშია, შრომები, I, 1949 წ., გვ. 245.

2 გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, 1941 წ. იბილისი, გვ. 108.

თ ა ვ ი III

ოსეთის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური  
წყობილების შესახებ

ცენტრალური ჩრდილო კავკასია უძველესი დროიდან იყო დასახლებული. ძვ. წ. III ათასწლეულში აქ მოჩანს მოსახლეობა, რომელმაც თავის არსებობის კვალი არქეოლოგიური ძეგლების სახით შემოგვინახა.

ძვ. წ. I ათასწლეულში ჩრდილო კავკასიის მოსახლეობამ შექმნა თავისებური, საკმაოდ განვითარებული კულტურა, რომელიც ყობანის კულტურის სახელწოდებას ატარებს (ყობანი სოფელია თავურის ხეობაში, ჩრდილო ოსეთის ასს რესპუბლიკაში, მდ. ვიზელდონის მარცხენა ნაპირზე, სადაც ეს კულტურა პირველად იქნა მიგნებული 1869 წელს). ყობანის კულტურის პერიოდში მაღალ განვითარებას მიაღწია ბრინჯაოს მეტალურგიამ, ხოლო მის ბოლო ეტაპზე იწყება რკინის მასობრივი გამოყენება.

არქეოლოგიური მასალების საფუძველზე მტკიცდება, რომ ყობანის კულტურის მატარებელი ხალხი იდგა პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის საფეხურზე. მათი ძირითადი საქმიანობა იყო მესაქონლეობა. არსებობდა პრიმიტიული მიწათმოქმედებაც<sup>1</sup>. მონადირეობა ამ საფეხურზე დამხმარე დარგი იყო.

ძვ. წ. VIII საუკუნიდან ჩრდილო კავკასიაში შემოდიან სკვითური, ხოლო ძვ. წ. III ს. სარმატული ტომები და თავისებურ

<sup>1</sup> Е. И. Крупнов, Древняя история Кабарды, Ученые записки, Каб. ин-та, VII, 1952 г. стр. 14—15, 22; А. В. Арциховский, Основы археологии, II издание, Москва, 1955 г., стр. 98.

დას ასევე ადგილობრივ მოსახლეობის განვითარების პროცესს.  
ადგილობრივი ტომები კულტურული თვალსაზრისით, ცაკე-  
ლებით მაღლა იდგნენ მოსულ სკვითურ-სარმატულ ტომებთან შედარებით.  
ამიტომ ადგილობრივი ტომების კულტურა იმავდროულად  
მოსულთა კულტურაზე. ყობანის კულტურის დამახასიათებელი ნივ-  
თები და მოტივები განუყოფლად ბატონობდნენ ჩრდილო კავკასიის  
ცენტრალურ რაიონებში ახალი წელთაღრიცხვის პირველ ათას-  
წლეულშიც.

ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან დონისპირეთში, ყუ-  
ბანისპირეთსა და ცენტრალურ კავკასიაში მკვიდრებიან შუა  
აზიიდან გამოსული სარმატული ტომების მონათესავე ალანები.  
ისინი ერევიან სარმატულ და სარმატიზირებულ ადგილობრივ ტო-  
მებს.

ამ სხვადასხვა ეთნიკური ელემენტის თანაარსებობის და ურ-  
თიერთობის საფუძველზე ახ. წ. დამდეგისათვის ჩამოყალიბდა  
ხალხი, ქართული წყაროებისათვის „ოსეების“ სახელწოდებით  
ცნობილი. ამ ხალხის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თა-  
მაშობდა ამიერკავკასიის, ჩრდილო შავიზღვისპირეთის და სამხრეთ  
რუსეთის ხალხთა კულტურული გავლენა.

ალანი ანუ ოსი ხალხის ფორმირების პროცესი დამთავრდა  
იმით, რომ ადგილობრივმა ტომებმა აითვისეს მოსული ტომების  
ენა — ირანული ენა. ირანული ენის შეღწევა კი ადგილობრივ სამ-  
ყაროში ძვ. წ. VIII საუკუნიდან დაიწყო, სკვითთა მოძრაობასთან  
დაკავშირებით. მატერიალური კულტურა ადგილობრივი დარჩა.  
„ენის მხრით ოსები ირანელებია, კულტურის მხრით კი ტიპიური  
კავკასიელები“<sup>1</sup>. სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო. ად-  
გილობრივი ტომების მალაშა კულტურამ დაჩრდილა მოსულ  
ტომთა კულტურა, მისი ცალკეული ელემენტები თავის შემდგომი  
განვითარებისათვის გამოიყენა. ამასთან ამ პროცესს მხოლოდ  
ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ რაიონებში ჰქონდა ადგილი, რაც  
უნდა აიხსნას მოსულ ტომთა კონცენტრაციაში ცენტრალური

<sup>1</sup> Е. И. Крупнов, о происхождении осетинского народа и его культуры по археологическим данным, газета «Социалистическая Осетия.» 41 VII, 1952 г.



კავკასიის საუღელტეხილო გზების მიდამოებში. გზები გამაგობელი იყო და ამიერკავკასიის ხალხები იცავდნენ მათ, ეს უწყვეტად აფერხებდა ხსენებულ ტომთა შემდგომ წინსვლას, იქვე იმდენი ნაწილის დამკვიდრებას ადგილზე და, ამრიგად, სათანადო გავლენას ახდენდა ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებაზე.

იმდროინდელი ჭიანჭველების სოციალურ-ეკონომიურ წყობილებაზე წერილობითი წყაროები ძალიან მცირე მასალას შეიცავენ. ყველაზე ფართოდ მათ ყოფას ეხება IV ს. რომაელი ისტორიკოსი ამიანე მარცელინი. იგი მათ ისეთივე მომთაბარე ხალხად თვლის, როგორც მაგალითად, პეროდოტე (ძვ. წ. V ს. ისტორიკოსი) თვლიდა სკვითებს.

ამიანეს ცნობით, მომთაბარე ალანების ლატაკური ქონება ურმებზეა მოთავსებული, ამ ურმებზე ეწვეიან საოჯახო ცხოვრებას. საძოვრებისათვის ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან. მათი ძირითადი საკვები ხორცი და რძეა<sup>1</sup>.

ალანების სრული მომთაბარეობის ამიანესეული მტკიცება ძნელი გასაზიარებელია. ალანებში ამ დროისათვის გამოირჩევა ბინადარი ნაწილი, რომელიც კავკასიის ქედის ჩრდილო კალთებსა და მის მიმდგომ ველებში ცხოვრობდა. ამ პერიოდის ნაქალაქარების, სამოსახლოების დიდ რაოდენობით არსებობა ალან-ოსთა საცხოვრებელ ტერიტორიაზე შედეგი იყო ბინადარ ცხოვრებისა. მაგრამ, ცხადია, ალანური საზოგადოება ერთგვაროვანი არ იყო. მათში იყო მომთაბარე ნაწილიც, რომელიც ადვილად ინაცვლებდა დასავლეთის მიმართულებით და სხვადასხვა ბარბაროსულ ტომებთან ერთად რომის იმპერიას უტევდა.

ამიანე ამტკიცებს, რომ მათ მონობაზე წარმოდგენა არა აქვთ. ყველა ერთნაირი კეთილშობილური წარმოსობისაა. არც ეს ცნობა შეესაბამება სინამდვილეს. ამიანესვე ცნობით, ალანები ძარცვოსა და ნადავლის მოპოვების მიზნით აწყობდნენ შორეულ ლაშქრობებს მეოტიდის (აზოვის ზღვის), კიმერიის პოსტორის (ქერჩის სრუტის), მიდიისა და არმენიის (სომხეთის) მიმართულებით<sup>2</sup>. ასეთი დახასიათება სავსებით შეესაბამება ხალხს, რომელიც „სამხედრო დემოკრატიის“ საფეხურზე დგას. ამ საფეხურზე კი „ომი დ-

<sup>1</sup> СК. ВДИ. № 3, 1949 г., стр. 304.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 305.



ორგანიზაცია ომისათვის ხალხის ცხოვრების რეგულარული ფუნქციები ხდება“<sup>1</sup>.

„სამხედრო დემოკრატია“ უკვე აღარაა ისეთი ციალური ორგანიზმი, როგორაც ამიანეს ალანები მიიჩნია. იგი გარდამავალი ეტაპია გვაროვნულიდან კლასობრივ საზოგადოებაში გადასვლის გზაზე. მასში სოციალური დიფერენციაციის პროცესი აშკარად იჩენს თავს. ამ პერიოდში და უფრო ადრეც წყაროები შეიცავენ ცნობებს ალან-ოსების ტომთა ბელადებზე, რომელთაც „მეფეებს“ უწოდებს ზოგიერთი ამ წყაროთაგანი. ეს ბელადები — „მეფეები“ წარმართავენ ტომთა საქმიანობას. ბუნებრივია, ისინი მარტონი არ არიან და ჰყავთ თანამდგომელ-თანამშრომელთა გარკვეული რიცხვი. სამხედრო თავდასხმების მოწყობა ისეთ შორეულ ქვეყნებზე, როგორც მიდია და სომხეთი იყო, გარკვეული ორგანიზაციის გარეშე შეუძლებელი იყო. ამიანეს მიერ აღწერილი ალანური მომთაბარე ტომები ასეთი რთული ოპერაციების ჩატარებას ვერ შესძლებდნენ, მით უმეტეს საჭირო იყო საშუალოდ სახელმწიფოებთან (მაგ. იბერიასთან) დიპლომატიური გზით გარკვეული ურთიერთობის დამყარება, რათა თავის ტერიტორიაზე გაეტარებინათ ისინი. არც ამ ლაშქრობათა შედეგად მოპოვებული ნადავლი განაწილდებოდა თანაბრად სამხედრო ბელადებსა და უბრალო მოლაშქრეებს შორის. თვით სიმდიდრისაკენ სწრაფვა გარკვეული აზრით საზოგადოებაში მის ფაქტიურ არსებობას ნიშნავს. ხოლო თუ სიმდიდრის არსებობა მოპირდაპირე პოლუსის — სიღარიბის არსებობასაც გულისხმობს, მაშინ ალანებში გვაროვნულიდან კლასობრივ წყობილებაზე გარდამავალი საზოგადოება ყოფილა.

რომის მონათმფლობელური საზოგადოების კრიზისის დროს რომაელ მწერლებში წარმოიშვა ბარბაროსთა (არარომაელთა) ყოფის იდეალიზაციის ტენდენცია და ამიანეს ცნობები ალანების შესახებ ამ ტენდენციის ტყვეობაში იმყოფება.

არქეოლოგიის მონაცემები ეწინააღმდეგებიან ამიანეს ცნობებს ალანთა მომთაბარეობის საკითხზე. სწორედ ამ დროს ჩნდებ-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბილისი, 1953 წ., გვ. 225.



ბა-ნაქალაქარები ალანთა ტერიტორიაზე<sup>1</sup>. II-IV სს. ნაქალაქარებში მდ. თერგსა და სუნჯაზე აღმოჩენილ იქნა ~~ქვეყნის~~ მარცვლის შესანახი ორმოები ფეტვისა და ხორბლის ~~გაზრდის~~ ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ ალანური ტომები ვალადიან მიწათმოქმედებაზე.

ალანურ-სარმატული ტომები მნიშვნელოვან ვაჭრობასაც ეწეოდნენ. სტრაბონი ახასიათებდა რა ერთ-ერთ სარმატულ ტომს — აორსებს, აღნიშნავდა, რომ ისინი ფლობდნენ ფართო ტერიტორიას კასპიის ზღვის სანაპიროზე და აწარმოებდნენ საქარავნო ვაჭრობას ინდური და ბაბილონური საქონლით. ამ საქონელს ისინი სომეხი და მიდიელი ვაჭრებისაგან ღებულობდნენ<sup>2</sup>. ამ ტომთა ვაჭრობაში ალანებიც მონაწილეობდნენ, რასაც მოწმობს ბოსფორული და უცხო წარმოშობის ნივთების აღმოჩენა ალანთა საცხოვრებელ ტერიტორიაზე.

ჩრდილო კავკასიელ ხალხთა მნიშვნელოვან სავაჭრო ურთიერთობაზე ამიერკავკასიასთან სტრაბონს მოცემული აქვს შემდეგი ცნობა: ქ. დიოსკურიადში (თანამედროვე სოხუმი) თავს იყრის 70 ენაზე მოლაპარაკე ხალხი, რომელთა უდიდესი ნაწილი სარმატებია და საერთოდ კი კავკასიელებად იწოდებიან<sup>3</sup>. დიოსკურიადაში მათი თავმოყრის მიზეზად სტრაბონს მარილის ყიდვა მიაჩნია<sup>4</sup>. ამ სარმატთა შორის იყვნენ ალანებიც, რომლებიც თავის მეზობელ კავკასიელ ტომთა-მსგავსად განიცდიდნენ მარილის ხაკლებობას. გვიანაც, კერძოდ XVIII ს. პირველ ნახევარში, ვახუშტის დროს, ოსები მარილს საქართველოდან ღებულობდნენ<sup>5</sup>.

ალან-ოსეთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ვზების შესაყარზე მღე

1 А. А. Нессен, Археологические памятники Кабардино-Валгарии. Материалы и исследования по археологии СССР (МИА) № 3, 1941 г., стр. 23.

2 СК, ВДИ, 1947 г., № 4, стр. 224—225.

3 СК, ВДИ 1947 г., № 4 გვ. 215; თ. ყაუზჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 122-123

4 ВДИ, 1947 г., № 4 გვ. 224; სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 140.

\* აღწერა... გვ. 111.

ბარეობდა. იქ თავს იყრიდა შავი და კასპიის ზღვების დამაკავშირებელი სახმელეთო გზა, აგრეთვე ამიერკავკასიის ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელი ისეთი მნიშვნელოვანი ვიწროკუთხულო რიც იყო დარიალის, სამხედრო — ოსეთის, ქლუხურის საიწმინდე ტეხილო გზები.

IV-V ს. ს. ალანეთის ტერიტორიაზე ბევრი ნაქალაქარი, ნამოსახლარი და სამაროვანი გვაქვს. ყურადღებას იქცევს სამოსახლოების დაჯგუფება და ტოპოგრაფიული განლაგება. მდ. ბაქსანზე ოთხი დიდი გამაგრებული ნაქალაქარია, თითოეულ მათგანს ცენტრში აქვს ბორცვი, თხრილით გარშემორტყმული. ეს ცენტრალური სიმაგრე თემიდან გამოყოფილი გაბატონებული ოჯახის, — მომავალი წვრილი ფეოდალის სამყოფია და თავის მხრით საცხოვრებელი ნაგებობითა და თხრილითაა გარშემორტყმული. მათგან 6-მ კმ. მანძილზე ღია ტრამალში იყო მცირე მოცულობის მრგვალი სიმაგრეები თხრილებით და ყრილებით გამაგრებული. ისინი იმავე ხანს ეკუთვნიან, რასაც ნაქალაქარები და სადარაჯო ფორპოსტების როლს ასრულებდნენ. განსაკუთრებით არსებითია ის გარემოება, რომ ყველა ეს სიმაგრე გუნდელენიდან ბაქსანამდე (ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია მაშინ ალანთა სამოსახლო) ერთმანეთთან ახლოს, მხედველობის არეში, მდებარეობდა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს მთელი ამ ჯგუფის კუთვნილებას ერთი სამხედრო და სატომო ორგანიზაციისადმი<sup>1</sup>.

სწორედ ასეთი გამაგრებული ნაქალაქარები უნდა იგულისხმებოდეს ჯუანშერის ცნობაში. სადაც ნათქვამია, რომ ვახტანგ გორგასალის ლაშქარი „განიბნიენეს ტყუენვად ოსეთისა, შემუსრნეს ქალაქნი მათნი“<sup>2</sup>.

ოსთა ბინადარი ცხოვრების დამამტკიცებელი მასალები გვაქვს უფრო გვიანდელი პერიოდისათვისაც. VIII-IX ს. ს. სამოსახლოები გვხვდება ქ. ორჯონიკიძეში — ავტურის ქარხანასთან, ხარხასთან, (საქართველოს სამხედრო გზაზე), დარიალის ხეობაში — ?

<sup>1</sup> A. Hecken. დასახ. ნაშრ., გვ. 23-25.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, I, 1955 წ. ს. ყაუხჩიშვილის რედ. გვ. 156.





თამარის ციხის სამხრეთით, სოფ. ზემო და შუა ყობანთან, ზემის-  
კაიასთან<sup>1</sup>.

ადრინდელ შუა საუკუნეებში ჩრდილო კავკასიის უდიდესი ქვეყანაა. რი ნაწილის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობაა. ეს არქეოლოგიური მასალებით კარგად დასტურდება. ძვლების ნაშთები საქონლის რთულ შედგენილობას ავლენს. მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონელი, ცხენი და ღორი — ასეთი იყო მისი შედგენილობა. სამარხებში ცხვრების გამოსახულება-თა სიმრავლე, ღუქარდების (ცხვრის საკრეჭი მაკრატლების) არსებობა მეცხვარეობის განსაკუთრებულ განვითარებაზე მიუთითებს.

ამ პერიოდშივე თავაურის ხეობაში მიწათმოქმედების აშკარა ნიშნებია — ნამგლები ხარხადან, ხელსაფქვავეები ორჯონიკიძიდან და ზემისკაიადან, მიწის დასამუშავებელი რკინის იარაღები, დანახშირებული ქერის და ფეტვის მარცვლები ჩიმის № 10 და № 21 კატაკომპებიდან<sup>2</sup>. ასეთივე ნაშთები გვხვდება დიგორიის (კამუნტა) სამაროვნებშიც.

წერილობითი წყაროებიც ადასტურებენ ოსეთში მიწათმოქმედების განვითარებას. არაბი მწერალი მასუდი (X ს. პირველი ნახევარი) აღნიშნავდა, რომ ალანთა მიწა კარგად მუშავდება და მოსახლეობა ძალიან მჭიდროდაა დასახლებული<sup>3</sup>. ზენა-თესვის ცოდნა აუცილებელი პირობა იყო ალანთა შორის ცხოვრებისათვის. დომინიკანელი ბერი თულიანე (XIII ს. პირველი ნახევარი) ნაღვლიანად აცხადებს, რომ მისი ორი თანამგზავრი ვერ გაიყიდა აქ, რადგან ზენა-თესვა არ იცოდნენ<sup>4</sup>.

ნადირობა, მეფუტკრეობა მეურნეობის დამხმარე დარგებს წარმოადგენდნენ. ელ-თმარის (XIV ს.) ცნობით, რუსებს, ჩერქე-

1 С. С. Куссаева, Археологические материалы Восточной Осетии VI—IX вв. н. э. (ЧМН, Балта) как исторический источник по древней Алании. Ленинград, Государственный Эрмитаж, 1953 г. Кандидатская диссертация, стр. 30.

2 С. С. Куссаева, Археологические материалы Восточной Осетии VI—IX вв. н. э., стр. 264.

3 СМОМПК, вып. 38, 1908 г. стр. 54.

4 Рассказ Рияско-католического миссионера Доминиканца Юльяна о путешествии в страну приволжских венгров, совершенным перед 1231 годом. Записки Одесского общества истории и древностей (ЗООИД), т. V, 1863 г. Одесса, стр. 1000.

ზებსა და იასებს (ოსებს) აქვთ კარგი გემოს მქონე თეთრი ფერის თაფლი<sup>1</sup>.

ასეთ საწარმოო ბაზაზე ყალიბდებოდა კლასობრივი საზოგადოება ოსეთში. სიმდიდრე გროვდებოდა ცალკეულ მშენებელთა მავალ ფეოდალთა ხელში. ალანური პერიოდის სამაროვნები (VI-X ს. ს.) სუარგომში, ბალთაში, ყობანში, კამუნტასა და კუმბულთაში მრავლად შეიცავენ ძვირფასი ქვებით ინკრუსტირებულ ოქროს ნივთებს, სამკაულებს, მძივებს, საყურეებს, ძვირფასი თვლებით მოქედილ ბეჭდებს, ძვირფას იარაღს. დიდი რაოდენობით გვხვდება მათში ვერცხლის სასანიდური მონეტები, არაბული ღირჰემები, ბიზანტიური ოქროს სოლიდები, იმავე პერიოდში მოჭრილი. ერთი სიტყვით, არქეოლოგიური მონაცემები VI საუკუნიდან აშკარად მოწმობენ ქონებრივ დიფერენციაციას<sup>2</sup>.

ოსეთის ადრინდელი და შუა საუკუნეების ეკონომიკის დახასიათება არ იქნება სრული, თუ ხელოსნობის განვითარების დონე არ დავახასიათებთ. ოსეთის ტერიტორიაზე ლითონის ადგილობრივი წარმოება ყობანის კულტურის არსებობის (II ათასწ. ბოლოდან ძვ. წ.) მთელ მანძილზე გვაქვს. ყობანის კულტურის ტრადიცია განაგრძობს არსებობას შემდეგაც. ხელოსნობაში ძირითადი ადგილი მჭედლობას ეჭირა. სამარხთა ინვენტარის სიმდიდრე და მრავალფეროვნება მოწმობს, რომ მათი დიდი ნაწილი ადგილზე იწარმოებოდა. XIII ს. მოგზაური ბერი ვ. რუბრუკვისი აღნიშნავს, რომ „ალანები ასეთ ნივთებს (აბჯრებს — ვ. თ.) კარგად აკეთებენ და აწრთობენ“<sup>3</sup>. ლაონიკ ხალკოკონდილასის (XV ს.) აზრით ალანები ამზადებენ საუკეთესო საქურველს<sup>4</sup>.

საბრძოლო იარაღის დიდი რაოდენობით დამზადების აუცილებლობა ალანების სამეურნეო ყოფაში მჭედლების როლს განსაკუთ-

<sup>1</sup> Тизенгаузен, Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, т. I, 1884 г. стр. 231.

<sup>2</sup> С. С. Куцаева, Дасახლებული ნაშრომი, გვ. 265.

<sup>3</sup> მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ვ. ქიქოძის თარგმანი, ნაკვ. V, 1943 წ. გვ. 168.

<sup>4</sup> В. Ванев. Исторические известия об алахах — осах. Сталинград, 1941 г. стр. 65.

რებით ზრდიდა. ნართების ეპოსში მკედლები დასახლებული პატივისცემით სარგებლობენ. ნართი ურიზმაგი, რომელიც ქალაქს იღებს და უწყალოდ ანადგურებს, მკედლების უბანს ქაქაქსკუნ ლად ტოვებს<sup>1</sup>. მკედლებს ქალაქში თუ დასახლებულ სქესქსქსქსქს ცალკე უბანი უნდა სჭეროდათ.

მკედლობა ნედლეულის გარეშე შეუძლებელია. „არიან აქა (ოსეთში — გ. თ.) ლითონნი ვერცხლისა, ბრპენისა, რკინისა, გოგირდისა და ქვის ბროლისა. არამედ არა უწყიან ხელოვნება გამოღებისა, რათამცა იხმარონ მრავლად“<sup>2</sup>. აღნიშნული ცნობა XVIII ს. პირველი ნახევრის მდგომარეობას ასახავს, როცა ადგილი ჰქონდა ოსეთში ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობის დაქვეითებას. ამიტომაც მათ არ შეეძლოთ მადნის დიდი რაოდენობით ამოღება, პრიმიტიული წესით ამუშავებდნენ მას. ნედლეულის დანაკლისის შეესება ხდებოდა რაქა-ლეჩხუმიდან და სვანეთიდან შემოზიდვის გზით.

თიხის ჭურჭლის დიდი რაოდენობა სამარხებში მკვურჭლეობის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე მიუთითებს.

შუა საუკუნეებში ალანებს სკოდნიათ მატყლის, ტყავის დამუშავება, ნაბდების, მაულის დამზადება. ე. კრუპნოვის აზრით, ამ პერიოდში ყალიბდება მთის კოსტუმი (ე. წ. ჩერქესკა), რომელიც ადგილობრივი ხედლეულის ბაზაზე აღმოცენდა<sup>3</sup>.

სკოდნიათ სხვა დარგებიც. ვახუშტის გადმოცემით, ოსებმა „უწყიან ხელოვნებანი ტყავისა, ქსოვა შალის, თელვა, კეთება ნაბდისა კარვისა. იციან მკედლობა, ზეინკლობა, ხეთა მუშაკობა სახლთშენება, არამედ არლარა ხმარობენ ქვითკირსა“<sup>4</sup>. ეს ცნობა, მართალია, გვიანდელ პერიოდს ეხება, მაგრამ ოსთა ადრინდელი სამეურნეო ყოფისათვისაცაა დამახასიათებელი.

? საკმაოდ კარგად განვითარდა სააღმშენებლო ხელოვნება. იგი კლინდებოდა მიწისზედა და მიწისქვეშა აკლამების, სიმაგრე-

1 Памятники народного творчества осетин. Владикавказ, 1925 г. вып. I, стр. 86.

2 ვახუშტი, აღწერა... გვ. 109.

3 Е. И. Крупнов, Краткий очерк археологии Кабарды, Паль-чии, 1946 г., стр. 58.

4 ვახუშტი, აღწერა... გვ. 111.

ბის, საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში, ხოლო ქრისტიანობის მიღების შემდეგ ეკლესია-სამლოცველოების აგებაში.

შუა საუკუნეების ოსეთის ეკონომიკის დამახასიათებელი ნიშნული ტურალური მეურნეობის ბატონობა მასთან დაკავშირებული სასაქონლო შინაო გაცვლა-გამოცვლის სისუსტით. საშინაო გაცვლა-გამოცვლა საქალაქო ცხოვრების სათანადო განვითარებისა და ქვეყანაში სამეურნეო თვალსაზრისით განსხვავებული რაიონების არსებობის გარეშე ვერ განვითარდება. იმდროინდელ ოსეთში კი არ იყო სათანადო პირობები იმისათვის, რომ საშინაო გაცვლა-გამოცვლა და სასაქონლო წარმოება განვითარებულიყო.

ჩვენ მოგვებოძება რამდენიმე ცნობა, სადაც ლაპარაკია ოსეთის ქალაქებზე. ზაქარია რიტორი (VI ს.) წერდა, რომ ალანებს ხუთი ქალაქი ჰქონდათ<sup>1</sup>, მასული ლაპარაკობდა ალანთა სამეფოს დედაქალაქ მასზე<sup>2</sup>. ელ-ომარი წერდა, რომ „რაც შეეხება ჩერქეზთა, რუსთა და იასთა ქალაქებს, ისინი მათ ბევრი აქვთ“<sup>3</sup>. ჯუან-შერი (XI ს.) ვახტანგ გორგასალის (V ს.) საქმიანობასთან დაკავშირებით ეხებოდა ოსთა ქალაქებს, რომლებიც მან ათათქოს შემუსრა<sup>4</sup>. ამ ქალაქების ქვეშ ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ გამაგრებული ქალაქური ტიპის ციხე-სიმაგრეები, რომელთაც სავაჭრო-სამარეწველო მნიშვნელობა კი არა, არამედ სამხედრო-ადმინისტრაციული დანიშნულება ჰქონდათ.

ნატურალური მეურნეობის ბატონობამ ოსეთში, საქალაქო ცხოვრების განუვითარებლობამ თავისი გამოვლინება ჰპოვა საკუთარი ფულადი ერთეულის უქონლობაში. X-XII ს. ს. ოსებს პოლიტიკურად საკმაოდ ძლიერი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ჰქონდათ, მაგრამ ქვეყანა ფულის მოჭრის აუცილებლობის წინაშე მაინც არ დამდგარა. ვახუშტის გვიანდელი ცნობა ამ საკითხზე არამარტო თანამედროვე, არამედ გაცილებით ადრინდელ მდგომარეობასაც ასახავდა. მის მიხედვით ოსებმა „არა უწყიან თეთრი, არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხვარი, ძროხა, და ტყვე, და ვაჭრობენ ურთიერთსა შინა ამით“<sup>5</sup>.

1 გორგია, ტ. III, 1936 წ., გვ. 18.

2 Н. Караулов, СМОНИК, в. 33 стр. 53.

3 Тизенгаузен, დასახ. კრებული, გვ. 234.

4 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 156.

5 აღწერა... გვ. 111.

გაცილებით მნიშვნელოვანი ყოფილა საგარეო ვაჭრობა ოსეთის ხელსაყრელი მდებარეობა ამიერკავკასიის ჩრდილო კავკასიასთან და შავიზღვისპირეთის კასპიისზღვისპირეთთან და კავშირებელ გზებზე, ამ გზებით მრავალ ხალხთან ურთიერთობის შესაძლებლობა ოსებისათვის ზრდიდა საგარეო ვაჭრობის მასშტაბს. წერილობითი წყაროები არ გვაძლევენ საშუალებას გავარკვიოთ რა წარმოადგენდა გატანის თუ შემოტანის საგანს. ჩრდილო კავკასიის მეზობელ ქვეყნებიდან, ანალოგიებისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შემოქმონდა ლითონის ნაწარმი, ქსოვილები, ღვინო, მხატვრული ნაკეთობა, სამკაულები. გაზიდვის საგანი უნდა ყოფილიყო მესაქონლეობის პროდუქტები: მატყლი, ტყავები, პირუტყვი და მონებიც.

შუა საუკუნეების ოსეთი ვაჭრობდა საქართველოსთან, ბიზანტიასთან, ირანთან, რუსეთთან. მ. კოვალევსკიმ 1885 წ. სოფ. ხა საუტთან გახსნილი აკლდამებიდან გამოიტანა ძვირფასი ირანული და ბიზანტიური ქსოვილებისაგან დამზადებული ტანსაცმლის ნაშთები. არაადგილობრივი წარმოშობის საინტერესო მასალები ნახავს. მილერმაც ს. ბილიმის და სხვა სამარხებში VI-X ს. ს. ნივთების სახით<sup>1</sup>.

VI-X ს. ალანური სამარხები, თითქმის ყველგან, ძალიან მდიდარია ირან-ინდური წარმოშობის ინვენტარით. სასანიდური, არაბული და ბიზანტიური მონეტების გარდა ისინი შეიცავენ სპილოს ძვლის ნივთებს, აბრეშუმის, ფარჩის, სელის ბიზანტიურ ქსოვილებს, სასანიდურ მატყლის ხალიჩებს<sup>2</sup>.

ოსებში საგარეო ვაჭრობის არსებობაზე რამდენიმე ფრაგმენტალური ცნობა წერილობით წყაროებშიც მოგვეპოვება. თეოფანე ჟამთააღმწერლის (VIII ს.) ცნობით ალანები აცხადებენ, რომ ჩვენ აბასგებთან (აფხაზებთან) ურთიერთობა გვაქვს და ჩვენი ვაჭრები დადიან იქ<sup>3</sup>. ჟამთააღმწერლის ცნობით (XIII ს. მიწურულის ამბებთან დაკავშირებით), ოსები ქალაქში (იგულისხმება

1 Е. Крупнов, Краткий очерк... стр. 35.

2 Е. Крупнов, დასაბ. ნაშრ... გვ. 40-41.

3 გეორგიკა ტ. IV, ნაკვ. I, თბილისი. 1941 წ. გვ. 108.

თბილისი — გ. თ.) სავაჭროდ დადიოდნენ<sup>1</sup>. XIII ს. არაბი ავტორები იზნაბდუზახირი და რუჟანდინი ბეიბარსი ალან ვაჭართა ევვიბტესა და ყირიმის ქალაქებში ვაჭრობას ადასტურებენ<sup>2</sup>.

ოსეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უცხოური მონეტები და ნივთები იქ საქართველოს გზით ხვდებოდა ძირითადად, ვინაიდან აქედან ამყარებდნენ ოსებთან პოლიტიკურ ურთიერთობას მაშინდელი მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები: ბიზანტია, ირანი, არაბეთი. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ, როგორც ნივთები, ასევე მონეტები ჩრდილო ოსეთში ძირითადად საუფელტეხილია გზების მიდამოებში გვხვდება. ასეთებია ჩიმი, ხარხა, ბალთა (დარიალის ხეობაში), დიგორიის მდიდარი სამარხები და სხვ.

ოსეთის შუა საუკუნეების ეკონომიკის უფრო ვრცლად დახასიათებისათვის მასალა არ არსებობს. ჩვენ თემასთან დაკავშირებით ამაზე მეტის თქმა იქნებ არც მოგვეთხოვება.

ქონებრივი დიფერენციაციის ის სწრაფი პროცესი, რომელსაც არქეოლოგიური მასალები აღჩინდელი შუა საუკუნეების და საწყისიდან გვიჩვენებენ, სამხედრო თავდასხმები ნადავლის მოპოვების მიზნით, პოლიტიკური კავშირები იმდროინდელ დიდ სახელმწიფოებთან, საგარეო ვაჭრობის განვითარება და თავდაცვითი ხასიათის ბრძოლების წარმოება სტიმულს აძლევდა ტომობრივ გაერთიანებების წარმოშობას ოსებში. ეს გაერთიანებანი სარმატული პერფოდის გაერთიანებებთან შედარებით უფრო მაღალ სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ დონეზე ხდებოდა და უფრო მყარიც იყო.

ქართულ ისტორიულ წყაროებში ოსებზე ცნობები ძვ. წ. პირველი ათასწლეულის შუა ხანებიდან გვხვდება. მართალია, ეს ცნობები XI საუკუნეშია ფიქსირებული, მაგრამ მაინც ძალზე საყურადღებოა. ქართული წყაროები ოსთა ბელადებს „მეფეებს“ უწოდებენ. ქართველთა მეფე ფარნავაზმა ოსთა „მეფეს“ დახმარების გამო მაღლობის ნიშნად თავის და მიათხოვა<sup>3</sup>. მამის დისწულს, ოსთა „მეფეს“ დახმარებისათვის მიმართავს ფარნავაზის მემკვიდრე,

1 ქართლის ცხოვრება, მ. ბროსეს გამოცემა, 1849 წ. ს. პეტ. გვ. 429.

2 Тизенгаузен, დასახ. კრებული, გვ. 55, 98.

3 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24.

საურმაგი<sup>1</sup>. ლეონტი მროველს ეს ცნობები მიეყენებოდა ქვემოთ III ს. ამბებისათვის. ახ. წ. I ს. 70-იან წლებში იგი იხსენიებს ოსთა „მეფეებს“ — ძმებს ბაზუკს და ანბაზუკს<sup>2</sup>. ქვემოთ ორი „მეფე“ ფეროში და კავტია<sup>3</sup>.

888 წელს „მატიანე ქართლისაჲ“ იხსენებს აფხაზთა მეფის მოკავშირე ოს „მთავარ“ ბაყათარს<sup>4</sup>. XI ს. ოსეთის ხელისუფლები ქართულ წყაროებში კვლავ შეფეებად იწოდებიან და ეს მდგომარეობა გრძელდება XIII ს. მეორე ნახევრამდე, როცა ფარეჯანა და ბაყათარი კვლავ მთავრის ტიტულით არიან ცნობილნი.

რასაკვირველია, ქართული წყაროების ოსთა „მეფე“ უძველესი პერიოდისათვის მოდერნიზაციის შედეგია. XI ს. ისტორიკოსებს, რომელთაც საზოგადოების განვითარების პროცესზე ძალიან მკრთალი, მცდარი შეხედულება ჰქონდათ, მათი თანადროული მდგომარეობა ისტორიულ წარსულშიც გადაჰქონდათ. უძველესი პერიოდის ოსთა მეფე სხვა არაფერია, თუ არა ტომთა ბელადი. ასეთი ბელადი არაერთი უნდა ყოფილიყო და მათ შორის ბრძოლა პირველობისათვის სავსებით ბუნებრივი ამბავია. მოსე ხორენელი, VI-VII ს. ს. სომეხი ისტორიკოსი, აღნიშნავს, რომ ალანთა მეფეს, სომეხთა მეფის ცოლისძმას (I ს. ახ. წ.) ტახტი წაართვა ვილაკამ და მხოლოდ სიძის დახმარებით დაიბრუნა იგი<sup>5</sup>.

საქართველოს პოლიტიკური მესვეურები ისეთ ტომთა ბელადებთან დებდნენ პოლიტიკურ კავშირებს, რომელთაც შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ ქვეყნის შიგნით ძალთა თანაფარდობაზე, იმ ანგარიშით, რომ ეს სასარგებლო ყოფილიყო მოკავშირისათვის, სამხედრო დახმარების მიღების ან თავდასხმის აცილების საქმეში. თავის მხრივ ამ ურთიერთობას შედეგად სდევდა ტომთა ბელადების მატერიალური და იდეოლოგიური პოზიციების განმტკიცება, რის გამოც მსგავსი დაახლოებისაკენ მისწრაფება მათში დიდი იყო.

VI ს. ოსთა პოლიტიკურ მესვეურებზე ცნობები ბიზანტიურ წყაროებშიც გვხვდება. მენანდრე ალანთა წინამძღოლ საროდის

1 ქართლის ცხოვრება I, გვ. 27.

2 იქვე, გვ. 45.

3 იქვე, გვ. 68.

4 იქვე, გვ. 261.

5 История Армении Моисея Хоренского, пер. Н. О. Эмина, Москва, 1893 г. стр. 101.

(საროსის) იუსტინიანე პირველის (527-565 წ. წ.) დახლოვებულ პიროვნებად წარმოგვიდგენს. იგი გრძნობს თავისი მდგომარეობის სიმტკიცეს. თუკ ელჩებს იგი არ ღებულობს, თუ ისინი რაიმე რილნი არ წარუდგებიან, სამაგიეროდ ბიზანტიასთან დამოკიდებულებაში ლოიალურად იქცევა<sup>1</sup>. საროდი, ცხადია, ცდილობს თავისი პოლიტიკური ძლიერება გარკვეული ეტიკეტით შეამკოს.

საროდის გამგებლობაში მყოფი ქვეყანა უბრალო ტომთა კავშირი აღარაა. იგი ჯერ არც სახელმწიფოა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგრამ იგი წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანიზაციას სახელმწიფოებრიობის ძლიერი ნიშნებით.

VII ს-დან ოსებს ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ტრამალეზიდან ხაზარები ავიწროებენ, ხოლო VIII საუკუნიდან სამხრეთიდან მოდენილი არაბები. დარიალის ხეობა ხაზარ-არაბთა სასტიკი ბრძოლების ასპარეზად იქცევა. არაბები ახერხებენ დარიალის ციხეში ვარნიზონის ჩაყენებას. ამავე დროს ეყუთვნის სახელწოდება „ბაბ-ილ-ალანის“ („ალანთა კარის“) წარმოშობა. ოსები ებრძვიან როგორც ერთ, ისე მეორე დამპყრობელს და საბოლოოდ დამოუკიდებლობას აღწევენ.

ჩრდილოეთში ხაზართა, ხოლო სამხრეთით არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა შინაგან პროცესებთან ერთად იწვევდა ოსურ ტომთა კიდევ უფრო მტკიცე შეკავშირებას და მათი პოლიტიკური ძლიერების ზრდას.

ოსეთში VI-IX ს. ს. მიმდინარეობდა ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვისა და გაფორმების პროცესი. იგი დაგვირგვინდა მსხვილი პოლიტიკური გაერთიანების შექმნით, რომელმაც IX-XII ს. ს. სახელმწიფოებრივი წყობილების ნიშნები შეიძინა<sup>2</sup>.

აღნიშნულ პერიოდში ოსეთი გადაჭიმული იყო აღმოსავლეთიდან — დაღესტანის (არაბული წყაროების სერირი) საზღვრებიდან დასავლეთით — მდ. ლაბამდე (ყუბანის მარცხენა შენაკადი), ხოლო სამხრეთიდან — კავკასიის ქედიდან ჩრდილოეთით, ხაზარეთის საზღვრებამდე. აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ოსთა ჩრდილოეთი საზღვარი უაღრესად მერყევი იყო.

1 გეორგია, III, გვ. 210, 236.

2 История Осетии, макет, стр. 48.



ოსთა პოლიტიკური გაერთიანება სამხედრო რეალსამართლის მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა და ამით მეზობელ ქვეყნების ყურადღებას იპყრობდა. ისინი ცდილობდნენ მათი ინტერესები უზრუნველყობდნენ თავის პოლიტიკურ ინტერესებისათვის გამტარებულ პოლიტიკურ ღონისძიებებს.

ოსურ ტომთა გაერთიანება სათანადოდ უნდა ასახულიყო მის პოლიტიკურ ორგანიზაციაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არ გავვაჩნია ცნობები; რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდებოდა ამ გაერთიანების სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურის დადგენა. ფრაგმენტული ცნობებით მხოლოდ იმის ვაგება შეიძლება, რომ ამ გაერთიანების მეფე ძლიერი იყო, რომ მას შეეძლო 30-ათასიანი, 40-ათასიანი, ლაშქრის გამოყვანა, რომ მას ჰქონდა სატახტო ქალაქი, ხოლო ქალაქგარეთ — ციხე-სიმაგრეები, სადაც იგი პერიოდულად მიემგზავრებოდა<sup>1</sup>.

ოსთა მეფე დორლოლეს, ბაგრატ IV ცოლისძმას (XI ს.) „მატიანე ქართლისაჲ“ „დიდის“ ეპითეტით ამკობს<sup>2</sup>. მას ჰყავდა ხელქვეითი თავადები, რომელთა თანხლებით ესტუმრა თავის სიძეს ქუთაისში. ბაგრატმა დაასაჩუქრა ისინიც. ისინი, უეჭველია, წვრილი ფეოდალები იყვნენ, რომლებიც ცნობდნენ მეფის-დორლოლეს უზენაეს ხელისუფლებას და მასთან ერთად მონაწილეობდნენ სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში. კონკრეტული მასალების უქონლობის გამო ჩვენთვის ბურუსითაა მოკული გაბატონებული კლასის შიგნით არსებული ურთიერთობა, გაბატონებულ და დამოკიდებულ კლასებს შორის ურთიერთობა და სხვა მრავალი პირველხარისხოვანი საკითხი. საზოგადოების ფეოდალური ხასიათი კი იმ არსებული ფრაგმენტული ცნობებითაც თითქოს აშკარაა.

არქეოლოგი ს. კუსაევა ოსეთის IX-X ს. ს. არქეოლოგიურ ძეგლებში შემჩნეული მატერიალური კულტურის დაქვეითების საფუძველზე ეკვის ქვეშ აყენებს ოსეთში სახელმწიფოს არსებობას, რადგან, მისი აზრით მატერიალური კულტურის საერთო დონის დაქვეითებასთან სახელმწიფოს არსებობა შეუთავსებელია<sup>3</sup>. მკვლევარი სეკტუარად უყურებს შუა საუკუნეების ოსეთში სახელმწი-

1 Н. А. Караулов. СМОНПК, вып. 38, стр. 54.

2 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 313.

3 С. С. Куссаева, დასახ. ნაშრ. გვ. 275.

ფოს არსებობას. მატერიალური კულტურის დაქვეითებას (რაც სა-  
მარხთა ინვენტარის შემცირების საფუძველზე ასკვნის, რაც უტყუა-  
რი კრიტერიუმი შეუძლებელია იყოს, აღნიშნული გარემოებების შედეგად)  
ლება ქრისტიანული რელიგიის გავრცელებისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ  
რებულ დამარხვის წესის შეცვლის შედეგი იყოს! ოსეთში ქრის-  
ტიანობა სწორედ X ს. დასაწყისში გავრცელდა.

მაგრამ, არ ვიზიარებთ რა ს. კუსაევას ექვს ოსეთში სახელმწიფო-  
ფოს არსებობის საკითხზე, ჩვენ არ ვთვლით, რომ ოსეთში იყო  
განვითარებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, ბიზანტიური,  
ქართული, ან რუსეთის სახელმწიფოთა დონეზე მდგარი. ოსური  
სახელმწიფო იყო ადრეფეოდალური სახელმწიფო, რომელთანაც  
XI-XII ს. ს. მეზობელ ქვეყნებს პოლიტიკური და დინასტიური  
კავშირი ჰქონდათ.

XI საუკუნეში ოსეთში, ქართული წყაროების მიხედვით, ცენტ-  
რალნიშნული ხელისუფლებაა. ამ დროისათვის სახელწოდება „მე-  
ფე“ ოსეთში ფეოდალური საზოგადოების მეთაურს ნიშნავს. XII ს.  
დასაწყისიდან, ოსეთის ადრეფეოდალურ სახელმწიფოში დამოღის  
აშკარა ნიშნები იჩენს თავს. ეს პროცესი თავის გამოხატულებას  
პოულობს მეფე-მთავართა რაოდენობის ზრდაში. ცენტრალური  
ხელისუფლება ვეღარ ახერხებს მათ დამორჩილებას, ისინი დამოუ-  
კიდებლობას აღწევენ და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში  
თავიანთი სახელით გამოდიან. ამას უნდა ნიშნავდეს დავით აღ-  
მაშენებლის ისტორიკოსის ცნობა, რომ ოსეთში გადასულ დავითს  
მოეგებნენ „ოსეთის მეფენი და მთავარნი“<sup>2</sup>.

თამარ მეფის დროსაც ოსეთში რამდენიმე მეფე იხსენიება,  
რომელთა შვილები მოდიან თბილისში და თამარის შერთვას ლა-  
მობენ. დავით სოსლანი ერთ-ერთი ასეთი მეფისწულთაგანი იყო,  
რომლის სამფლობელო, ალაგირის ხეობაში მდებარეობდა.

მონღოლთა შემოსევამ და ოსთა დამარცხებამ ოსეთის სახელ-  
მწიფოს პოლიტიკური დაშლა დააჩქარა. მონღოლთა პოლიტიკა  
ოსეთში, ისევე როგორც სხვაგან, პოლიტიკური დეცენტრალიზა-  
ციის გაღრმავებისაკენ იყო მიმართული. რენეგატ მთავრებს ისინი

1 З. Ванев, Средневековая Алания, стр. 73—74.

2 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336.

უნარჩუნებდნენ ძალაუფლებას, ურჩებს დაუნდობლად ემუქრებოდნენ. დეცენტრალიზაციას შინაგანი არეულობაც მოჰყვა, ფეოდალები ერთმანეთს განუწყვეტლივ ებრძოდნენ. იუდეველს ცნობილი შინაგანი არეულობა ისეთი მძაფრი იყო, რომ სოფლის მცხოვრებელთა სახნავად გამოსვლა ერთად და მხოლოდ შეარაღებული თუ შეეძლოთ<sup>1</sup>.

ასეთ პირობებში საწარმოო ძალების მოშლა, ოსეთის სახელმწიფოს საგარეო როლის დაქვეითება ბუნებრივი იყო. ჩრდილო კავკასიის ველებზე დამარცხებული ოსები მთებში შესახლდნენ. წილი იქიდან საქართველოს ტერიტორიაზე იწყეს გადმოსახლება. ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა და სამხრეთ ოსეთის შექმნით დამთავრდა. შესაბამისად, ოსეთის „მეფე“ — ქართული წყაროებისათვის „მთავრად“ იქცა და ბოლოს ისიც გაჰქრა ასპარეზიდან.

ამრიგად, შუა საუკუნეების ოსთა სახელმწიფო იყო ადრეფეოდალური ტიპის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელმაც ვერ მოახწრო განვითარების სრული პროცესის გავლა და დაიშალა.

ოსების კულტურა, რომელიც აღმოცენდა ყობანის კულტურის ბაზაზე, განიცდიდა საქართველოს, ბიზანტიის, სამხრეთ რუსეთის — ტმუტარაკანის სამთავროს კულტურების გავლენას.

X ს. დასაწყისში ოსებმა ოფიციალურად მიიღეს ქრისტიანობა. ამ დროიდან ოსები ქრისტიანული კულტურის ელემენტებს საქართველოსა და ბიზანტიის მეშვეობით ითვისებდნენ. ქართული და ბერძნული ენა და დამწერლობა ფართოდ იკავადგა გზას ოსებში. აღმოცენდა საკულტო არქიტექტურაც, რომლის ნაშთები ჩვენ დრომდე შემორჩა.

თ ა ვ ი IV

საქართველო-ოსეთის ურთიერთობა I-X ს. ს.

§ 1. ჩრდილო კავკასიის ძველი მოსახლეობის ურთიერთობა ამიერკავკასიასთან (უძველესი დროიდან ახ. წ. დამდეგამდე)

ჩრდილო კავკასიის ველებზე ირანულ-ენიანი ალანების შეღწევა ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ხდება. მათი ურთიერთობის შედეგად ადგილობრივ მოსახლეობასთან ჩამოყალიბდა ხალხი, რომელსაც ქართული წყაროები „ოვსებს“, რომაული, ბერძნული, არაბული, სომხური წყაროები „ალანებს“, რუსული წყაროები კი „იასებს“ უწოდებდნენ.

ჩრდილო კავკასიის მოსახლეობას უხსოვარ დროიდან კონდა მჭიდრო ურთიერთობა ამიერკავკასიისა და წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან, ისევე როგორც ჩრდილო შავიზღვისპირეთისა და სამხრეთ რუსეთის რაიონების მოსახლეობასთან. ამ ურთიერთობის შესახებ უძველეს დროს ჩვენ წერილობითი წყაროები არ გავაჩნია. ამ ურთიერთობის ჩვენებას კი შემდგომი დროის მოვლენების გასაგებად გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ალანური მოსახლეობა ჩრდილო კავკასიაში ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. მან აითვისა ადგილობრივი ტომების საუკუნეების მანძილზე შექმნილი კულტურა და განაგრძო მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის ძველი ტრადიცია. ამის გამო ჩვენ იძულებული ვართ აღნიშნული მიზნით გამოვიყენოთ არქეოლოგიური მასალები. მატერიალურ კულტურის ნაშთებს, მათი წარმოშობისა და მოძრაობის გზების გარკვევას შეუძლია შეუქი მოკლდინის მეზობელ ქვეყნებსა და ხალხებთან ურთიერთობის ზოგიერთ საკითხს.

ჩრდილო კავკასია უხსოვარ დროიდან მსოფლიო მნიშვნელობის გზაჯვარედინს წარმოადგენდა. იგი ჩრდილოეთის ქვეყნებს სამხრეთის უძველესი კულტურის ქვეყნებთან აკავშირებდა. ჩრდილო კავკასიამ თავის ისტორიული განვითარების ისტორიულ გზაზე არა იზოლირებულად, არამედ მეზობელ ქვეყნებთან მჭიდრო კავშირში. ამიტომ არის, რომ ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები თავისი მდიდარი ინვენტარით არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალური კულტურის თავისებურებებს და განვითარების გზებს გვიჩვენებენ, არამედ მისი გარესსამყაროსთან სამეურნეო-კულტურული ურთიერთობის საბუთებსაც გვაძლევენ.

კავკასია, — სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის უძველესი ცენტრი, ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციასთან ძვ. წ. III ათასწლეულიდან ავლენს კავშირს. შემდგომ იგი თანდათან ვითარდება მცირე აზიასთან, მესოპოტამიასთან, ირანთან, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან და ჩრდილო კავკასიასთან დამოკიდებულებაში.

ძვ. წ. III ათასწლეულის ნახევრით დათარიღებულ კერას, ნაპოვნს სოფ. შუა ყობანთან, ანალოგიებით ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში მივყევართ. კუმბულტის (დიგორია) კერამიკა — დათარიღებული ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრით, დიდ მსგავსებას ავლენს კოლხეთში აღმოჩენილ „ნაოხვამუს“ კერამიკასთან. გალიათში (დიგორია) აღმოჩენილი ბრინჯაოს ცული ტიპოლოგიურად ახლოს დგას საჩხერულ ცულთან, ხოლო სოფ. კორცაში პ. უვაროვას მიერ აღმოჩენილი ცული საოცრად გავს კუფტინის მიერ გამოქვეყნებულ ცულს აფხაზეთიდან<sup>1</sup>. აღნიშნული მსგავსების ფაქტები შეუძლებელია შემთხვევითი იყოს. ე. კრუბნოვის აზრით, „არსებული მასალა მოწმობს ჩრდილო კავკასიის ცენტრალური ზონის მოსახლეობასა და სამხრეთ კავკასიის, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოს, მოსახლეობას შორის კულტურული განვითარების

1 Е. И. Крупнов, Предисловие, Материалы и исследования по археологии СССР, № 23, 1961 г., стр. 6.

2 Е. И. Крупнов, Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода, *იქვე*, გვ. 37-39.

რების ერთიანობას. ეს ერთიანობა მოდის ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანიდან<sup>1</sup>.

ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის საწარმოო ძალეუკავკასია რების, კერძოდ შთიანი რაიონების ათვისების, მდინერეთაქვეუკავკასიაზე განსახლებისა და მიწათმოქმედებაზე გადასვლის (III-II ათასწ. მიჯნა ძვ. წ.) შედეგად მისი ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან ინტენსიური ხდება.

II ათასწლეულის შუა და მეორე ნახევარში კულტურული ერთობა დასტურდება არამარტო ცენტრალურ წინაკავკასიასა და ჩრდილო დასავლეთ კავკასიას შორის, არამედ ამიერკავკასიას შორისაც (საჩხერე და სხვ.). დიგორიის სამარხებში აღმოჩენილი თიხის ქურჭელი, დამახასიათებელი ორნამენტით, მხოლოდ ამიერკავკასიის ბრინჯაოს ხანის კერამიკასთან („ნაოხვამუ“, სამარხი ს. კიკეთთან) პოულობს საერთოს<sup>2</sup>.

ამიერკავკასია უძველეს დროსვე საშუამავლო როლსაც ასრულებდა ჩრდილო კავკასიის წინა აზიასთან ურთიერთობის საქმეში. ამის მაგალითებია ქორჯონიკიძესთან ნაპოვნი ხურიტული ჰემატიტური ბეჭედი, წინა აზიური ტიპის ხანჯლები, რომლებიც მარტო დიგორიის კომპლექსებში იმდენი აღმოჩნდა, რამდენიც მთელ კავკასიაში. ისინი ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდებიან<sup>3</sup>.

ძალზე საყურადღებოა ის გარემოება, რომ უკვე ამ უძველეს პერიოდში არქეოლოგიური კომპლექსები ძირითადად საულელტეხილო გზების მიდამოებში იყრიან თავს, იმ გზებისა, რომელთაც ამიერკავკასიაში გადმოვყევართ.

დიგორიის ნივთებს ბევრი საერთო აქვთ რაჭა-საჩხერეში მოპოვებულ ნივთებთან. ძვ. წ. II ათასწლეულში აღნიშნული პუნქტები სამეურნეო თვალსაზრისით იმ საფეხურზე ავიდნენ, რომ იქცნენ მნიშვნელოვან საწარმოო რაიონებად, რომლებიც აწარმოებდნენ ბრინჯაოს ყუთ-დაშვებულ ცულებს, ვიჯანტურ ჭინძისთავებს, სამკაულებს, ორნამენტირებულ კერამიკას. ზოგ ამდროინ-

1 დასახ. ნაშ., გვ. 70.

2 МИА, вып. 23 стр. 7.

3 იქვე, გვ. 10.

დელ ნივთში ყობანური ნივთის პროტოტიპი დგინდება. ეს უწყობს ადგილობრივი კულტურის განვითარების უწყვეტობაზე, ყობანური კულტურის ყობანამდელ კულტურასთან კავშირზე მეტყველებს. ძვ. წ. I ათასწლეული ჩრდილო კავკასიის ძველ კულტურულ ერთ-ერთი უმესანიშნავესი ფურცელია, წარმოდგენილი განთქმული ყობანური კულტურით. ყობანს გარდა ამ კულტურის ნივთები აღმოჩენილ იქნა ჩრდილო კავკასიის ბევრ პუნქტსა და უკანასკნელ ხანებში სამხრეთ ოსეთშიც.

ყობანის ტიპის სამარხების ინვენტარი შედგება ბრინჯაოს ცულების, ქამრის ბალთების, ხანჯლების, სამკაულების (სპირალური ბრასლეტები, წვრილი ფიგურული საკიდები, ფიბულები და სხვ.), სხვადასხვა მიძივების და არქაული თიხის ჭურჭლისაგან. ნივთების დანიშნულება მრავალგვარია: არის წმინდა პრაქტიკული დანიშნულების ნივთები — ჭურჭელი, ცხენის აკაზმულობა და სხვ.; საომარი იარაღი: ხანჯლები, შუბის და ისრის პირები, და სხვ.; სამკაულები, საკულტო — ამულეტები შინაური და გარეული ცხოველების ფიგურების სახით, საბავშვო სათამაშოები.

სამარხთა ინვენტარის ეს უბრალო ჩამოთვლაც კი ნათლად აჩვენებს ყობანის კულტურის მატარებელი ხალხის განვითარების მაღალ დონეს. ბრინჯაოს და თიხის ჭურჭელი ადგილობრივი წარმოშობისაა, რასაც ქვის და თიხის ჩამოსასხმელი ყალიბების არსებობა ადასტურებს. რკინა ყობანის კულტურის აღრინდელ საფეხურზე მხოლოდ ინკრუსტაციისათვის გამოიყენებოდა, ხოლო I ათასწლეულის შუა ხანებიდან უკვე ფართოდ ვრცელდება.

ჩრდილო კავკასიაში ყობანური კულტურის გავრცელების რაიონებში რკინის დამუშავების ნიშნები აღმოჩენილი არაა. შესაძლებელია იგი ამიერკავკასიიდან (რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი) შექმნდათ. ყობანური კულტურა ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული და განვითარებული კულტურაა. იგი მეზობელ ხალხთა კულტურებთან მჭიდრო კავშირის პირობებში ვითარდებოდა. „ყობანური ბრინჯაოს ნიმუშების აღმოჩენა წინა კავკასიაში, პოვოლჩიეში, პოდონიეში, პოლტავშიჩინასა და კიევშიჩინაში, ყირომსა და

1 იქვე გვ. 10; Е. Н. Крушов, О происхождении и датировке кобанской культуры. журнал, «Советская археология», № 1, 1957 г. стр. 69—70.

განსაკუთრებით ამიერკავკასიაში ხიშნავს, რომ ჩრდილო კავკასიის მალა მთიანი რაიონების მოსახლეობა იმყოფებოდა მრავალმხრივ ურთიერთობაში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, წინა აზიისა და ამიერკავკასიის ხალხებთან<sup>1</sup>. ამასვე გვაფიქრებინებს კოლხის კულტურის ცალკეული ნივთების საოცარი მსგავსება დასავლეთ საქართველოსა და, პირველ რიგში სამხრეთ ოსეთის, იმერეთის, აფხაზეთის, გურიის, აჭარის და ორღუს სამარხების ინვენტართან. ყობანის კულტურის მსგავსება და სიხსლოვე დასავლეთ საქართველოს ე. წ. კოლხურ კულტურასთან ზოგ მეცნიერს მათი იგივეობის მაჩვენებლად მიაჩნდათ, ზოგიც ტერმინ „ყობანის კულტურის“ ლიკვიდაციას, როგორც მოძველებულისას, ცდილობდა<sup>2</sup>. მაგრამ ამ კულტურებს შორის მსგავსების გარდა არსებობს განსხვავებაც დამარხვის წესში, ცულთა ტიპებში, კერამიკაში, სამკაულებში და სხვ. ჩრდილო კავკასიაში არაა კოლხურის დამახასიათებელი ბრინჯაოს თოხები, ტყავის საფხეკი დანები, წალღები. ყველაფერი ეს უფლებას იძლევა მათში სინქრონისტული კულტურები დაეინახოთ<sup>3</sup>.

სატომთაშორისო ვაჭრობის განვითარების შედეგად ამა თუ იმ მეტალურგიული კერიდან გამოსული ნაწარმი ფართო გავრცელებას პოულობდა. ამის შედეგი იყო ყობანური ბრინჯაოს ნიმუშების გავრცელება ამიერკავკასიაში და პირიქით. იგივე გარემოება ნიადავს უმზადებდა ტომთა დიდი კავშირების წარმოქმნას, შერწყმას და ხალხების ჩამოყალიბებას.

<sup>1</sup> МИА, вып. 23, стр. 7.

<sup>2</sup> М. Jvaschenko, Ein bronzezeitliche Grabfelde in Ešery, ESA, VII, Hei sinki, 1931; М. М. Ивашенко, Матер. к изучению культуры кялхов Мелги, წ. II, თბილისი, 1941 წ. გვ. 57, 59; ს. ჯანაშია, საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში დიდი ოქტომბრის სოც. რევოლ. 20 წლის თავზე, ენიმკ-ის მოამბე, I, ტფილისი, 1937 წ. გვ. XXVIII; მისივე, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIII ს-მდე, შრომები, II, თბილისი, 1952 წ. გვ. 412-414; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ. 1944 წ. გვ. 37.

<sup>3</sup> Э. Е. Крупнов, Древняя История Кабарды, Уч. зап. Каб. НИИ, т. VII, Нальчик, 1952 г. стр. 7; его же, О происхождении и датировке кабарской культуры, ж. СР, № 1, 1957 г. стр. 59 и сл.; А. В. Арциховский, Основы археологии, изд. второе, М., 1955 г. стр. 99.



ყაზბეგში, რომელიც ამიერ და იმიერკავკასიის დამაკავშირებელი საშუალებდო რგოლი იყო, აღმოჩნდა მდიდრულად ორბამეტირებული ვერცხლის თასი არამეული წარწერით და ცხვირის ღერა. ისინი აქ აქემენიდური ირანიდან ამიერკავკასიის მემკვიდრეობხვდენ და ჩრდილო კავკასიის სამხრეთთან კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის არსებობას მოწმობენ<sup>1</sup>.

ყობანური კულტურის ძეგლების ფართო ტერიტორიაზე გავრცელება, მისი ადგილობრივი თვითმყოფი ხასიათი, მემკვიდრეობითი კავშირი ძველ, ყობანამდელ კულტურასთან მოწმობენ არა მის იგივეობას კოლხურ კულტურასთან, არამედ მათ თანადროულობას, მათ შორის ფართო ეკონომიური და კულტურული კავშირის არსებობას.

ამ კულტურების მჭიდრო ურთიერთობით ხსნის არქეოლოგი ო. ჯაფარიძე კოლხური ბრინჯაოს ცულის ყობანური კულტურის გავრცელების რაიონებში შექრას<sup>2</sup>. შიდა ქართლის იმ ნაწილში, რომელიც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შედის, გვხვდება წმინდა ყობანური ელემენტიც... შიდა ქართლის ეს რაიონი უღელტეხილთა მეშვეობით ადრიდანვე უკავშირდებოდა როგორც ჩრდილო კავკასიას, ისე დასავლეთ საქართველოს... აქ გადიოდა ერთ-ერთი ძირითადი გზა, რომელზეც ერთმანეთს ხვდებოდნენ კოლხური და ყობანური კულტურები<sup>3</sup>.

კოლხური ტიპის ცულები ჩრდილო კავკასიაში, განსაკუთრებით ყობანში ბევრი აღმოჩნდა. ყობანის ცულთა ტიპები არ იმეორებენ კოლხურს. ყობანში გვხვდება რკინით ინკრუსტირებული ბრინჯაოს ცულები, საქართველოში ასეთი ცულები არ გვხვდება. იგივე ითქმის ცულთა ზოგ სხვა ტიპზე<sup>4</sup>.

ყობანის კულტურის მნტარებელი ხალხის ურთიერთობა ამიერკავკასიასთან მითაც იყო გაადვილებული, რომ ისინი, სპეციალისტ-

1 Е. П. Крупаов, Древняя История Кабарды, стр. 26.

2 О. М. Джапаридзе, Бронзовые топоры Западной Грузии, Советская археология, XVIII, 1953 г., стр. 283.

3 იქვე, გვ. 288.

4 იქვე, გვ. 288-290.

თა აზრით, კავკასიის ძველი მოსახლეობის იბერიულ-კავკასიურ ენობრივ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ<sup>1</sup>.

ყობანის კულტურის განვითარების გარკვეულ საფეხურზე კერძოდ ძვ. წ. VIII-VII ს. ს. ჩრდილო კავკასიაში სკვითური ელემენტები იჭრება. ძვ. წ. III-II ს. ს. მათ მოჰყვება სარმატული ტალღები, ხდება ადგილობრივი მოსახლეობის სარმატიზაცია. ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე ირანულ-ენიანი ხალხების შეღწევის პროცესს აგვირგვინებს სარმატული ტომების-ალანების დამკვიდრება ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში. ამ პროცესის ბაზაზე ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ჩამოყალიბდა ოსი ხალხი.

სკვითურ-სარმატული ელემენტების შეჭრა ჩრდილო კავკასიაში ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობას ამიერკავკასიის ხალხებთან არ წყვეტს. ყობანის ძვ. წ. II-I ს. ს. სამარხებში აღმოჩენილი საგნები დამახასიათებელია იმავე პერიოდის ცენტრალური კავკასიისა და ამიერკავკასიის ბევრ კომპლექსისათვის<sup>2</sup>.

ამ პერიოდში ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე ოქრო-ვერცხლის ნივთები გვხვდება, მათ შორის მონეტები. კუმბულტაში აღუქსანდრე მაკედონელის მონეტების ოქროსა და ვერცხლის მინაბადები გვხვდება. მთიან რაიონებში აღწევს ელინისტური და რომაული საგნები: ოქროსა და ვერცხლისაგან დამზადებული სამკაულები, მძივები, გემები, მონეტები, ფიბულები<sup>3</sup>.

ამრიგად, ჩრდილო კავკასიის ოსებამდელი მოსახლეობის მჭიდრო ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური კავშირი ამიერკავკასიასთან არქეოლოგიური მასალებით კარგად დასტურდება. ალანოსები აგრძელებენ ამ ძველ ტრადიციულ ურთიერთობას, აღრმავებენ და აფართოებენ მას.

რაც შეეხება ალანებამდელი პერიოდის ურთიერთობათა პოლიტიკურ მხარეს, წერილობითი წყაროების უქონლობის გამო, მასზე არაფრის თქმა არ შეგვიძლია. ასეთი ურთიერთობის უარყოფა მაინც არ შეიძლება. სკვითურ-სარმატული ტომები ჩრდილო

1 Гав. «Соц. Осетия», 1952 г. 41 VII.

2 Е. П. Алексеева, Поздне-иобанская культура центр. Кавказа, Уч. зав. Ленинград. Госуд. университета, 1949 г. № 85, вып. 13, стр. 206, 3 ил., 235, 241.

კავკასიის ძველ მოსახლეობასთან ერთად ხშირად აღწეულენ კავკასიაში.

არც კულტურული ურთიერთობის ცალკე ჩვენებები სათანადო მასალების ნაკლებობის გამო. მისი გმობლებს მისი ლოდ არქეოლოგიურ მასალებში შეიძლება. ინვენტარის მსგავსება, მისი ცალკეული სახეების ტიპოლოგიური სიახლოვე, კულტურულ ნაკეთობათა ფორმების ურთიერთ შედწევა ამ ფაქტსაც უაღრესად საგულისხმოდ აქცევს.

## § 2. საქართველო-ოსეთის ეკონომიური ურთიერთობა (I-X ს. ს.)

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან ჩრდილო კავკასია უფრო მჭიდროდ ებმება ამიერკავკასიასთან საალებ-მიცემო ურთიერთობაში. იბერიასა და კოლხეთში სახელმწიფოებრიობის განვითარებასთან ერთად ამ ურთიერთობას, ექვს გარეშეა, მეტნაკლებად ორგანიზებული ხასიათი ეძლეოდა.

ამიერკავკასიაში რომის ექსპანსიას (ძვ. წ. I ს.) შედეგად მოჰყვა იმდროინდელ ფართო საალებ-მიცემო ურთიერთობათა სისტემაში ადგილობრივი ხალხების ჩართვა. რომის ექსპანსიის ძირითადი მიზანი სწორედ ახალი ბაზრებისა და ნედლეულის წყაროების მოპოვება იყო. რომის მონათმფლობელური საზოგადოება დიდი რაოდენობით საჭიროებდა მონებს და სხვადასხვა საქონელს. ამიერკავკასიას ამ თვალსაზრისით რომისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მას ჩრდილო კავკასიასთან ეკონომიური ურთიერთობა აღრიდანვე ჰქონდა და ახლა რომაელებიც აგრძელებენ ამ ტრადიციას. თვით ამიერკავკასიის ქვეყნები — იბერია და კოლხეთი ამ ურთიერთობის სისტემიდან არ ამოვარდნილან. პირიქით, რომაელთა მათ ქვეყანაში ბატონობისაკენ სწრაფვა იბერ-კოლხებს ჩრდილო კავკასიის მოსახლეობასთან პოლიტიკური კავშირის დამყარების გზებსაც ამებნიებდა რომისადმი დასაპირისპირებლად. აკადემიკოსი ს. ჯანაშია აღნიშნავდა, რომ ეპოქის ომიანი ხასიათი გაცელა-გამოცელის განვითარებას ხელს ვერ შეუშლიდა, რადგან ამ ღროს ომი და ვაჭრობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან<sup>1</sup>. ეს

1 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, 1949 წ. გვ. 195.

რომ ასეა, ამას მოწმობს რომაული დინარის ფართოდ გავრე-  
ლება I საუკუნეში. I-II ს. ს.მისი მინაბადი იჭრება საქართველო-  
ში, რაც გაცვლა-გამოცვლის მასშტაბის გაზრდაზე მიუთითებს.  
ჩრდილო კავკასია ამ მოვლენების გარეშე არა მდგარა, ეს ცნობები  
მონაწილეობას ლებულობდა აღნიშნულ პროცესში და ამით აიხსნე-  
ბა ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე ამ მინაბადების დიდი რაოდე-  
ნობით აღმოჩენა.

რომის მონათმფლობელური საზოგადოების ამიერკავკასიისაღ-  
მი დიდი ინტერესის მაჩვენებელია სააღებ-მიცემო გზებისა და სხვა  
ეკონომიური საკითხების შესახებ ცნობების გაჩენა რომაულ მწერ-  
ლობაში. I ს. გეოგრაფის, სტრაბონის, ცნობით, იბერიას მეზობელ  
ქვეყნებთან ოთხი მთავარი გზა აკავშირებდა. ამათგან ჩრდილო  
კავკასიურ სამყაროსთან მას აკავშირებდა დარიალის ხეობაზე გამა-  
ვალი გზა. იყო ჩრდილოეთში მიმავალი სხვა გზებიც. ვისაც ხელთ  
ეპყრა ეს გზები, მას შეეძლო მათი სავაჭრო მიზნით გამოყენებაც.  
ს. ჯანაშია თვლის, რომ „ამ გზებს დიდი ეკონომიური მნიშვნელო-  
ბაც ჰქონდათ: ჩრდილო კავკასია მონების უმდიდრეს წყაროს წარ-  
მოადგენდა“<sup>1</sup>. მასვე მიაჩნია, რომ ჩრდილო კავკასიის ტომები სა-  
ქართველოს ღვინის მთავარი მომხმარებლები იყვნენ, რაშიც და-  
რიალის გზის მნიშვნელობა დიდი უნდა ყოფილიყო<sup>2</sup>.

სტრაბონის ცნობით, დიოსკურიდაში 70 ეროვნების ხალხი  
იყრის თავს სავაჭრო მიზნით. მათი უმრავლესობა სარმატულ ტო-  
მებს ეკუთვნის, საერთოდ კი კავკასიელებად იწოდებიან<sup>3</sup>. სტრა-  
ბონი არ ჩამოსთვლის<sup>4</sup> სავაჭრო საგნებს, მაგრამ ამ მრავალრიცხოვან  
ეროვნებათა თავმოყრის მიზეზად მარილი მიაჩნია<sup>4</sup>.

ოსეთის ტერიტორიულად ხელსაყრელი მდებარეობა ჩრდილო  
კავკასიის ცენტრალურ ნაწილში განაპირობებდა მის საშუაშაველო  
როლს ამიერკავკასიის ჩრდილოეთთან ურთიერთობაში. მათი ტე-  
რიტორიით გადადიოდა მატერიალური ღირებულებანი, მათი მეშ-  
ვეობით ხდებოდა ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებთან ეკონომიუ-  
რი ურთიერთობის დამყარებაც. გადასავალი გზების მათ ტერიტო-

1 შრომები, II, გვ. 17.

2 იქვე, გვ. 194.

3 СН. ВДН, 1947 г. № 4, стр. 215.

4 იქვე, გვ. 224.

რიაზე არსებობა უზრუნველყოფდა მათ გაბატონებულ როლს ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, კასპიისპირეთსა და შავი ზღვისპირეთს შორის ვაჭრობაში. მისი ეს როლი განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ამიერკავკასიაში რომაელების გაბატონების დროიდან. რომაელები დიდ ყურადღებას აქცევენ ამ გზის — დარიალის გამაგრებას, რაც მისი ეკონომიური მნიშვნელობის შედეგიც იყო. სტრაბონი და პლ. სეკუნდი აღწერენ გზის სიმაგრეთა წყებას.

გზის დასასრულს მდებარეობდა იზერიის დედაქალაქი-მცხეთა. დიდი სავაჭრო და ეკონომიური ცენტრი, სადაც თავს იყრიდა აღმოსავლეთის დასავლეთთან და ჩრდილოეთის სამხრეთთან დამაკავშირებელი სამდინარო და სახმელეთო მაგისტრალები.

ამიერკავკასიაში რომის ექსპანსიის დროიდან გზების ეკონომიური მნიშვნელობა იზრდება, რადგან რომაელები ჩრდილო კავკასიასთან გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობას ამყარებენ. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე შემოტანილი ნივთების დიდი რაოდენობა იმ პერიოდს ემთხვევა, როცა რომის იმპერია შავი ზღვის სანაპიროებზე ამყარებს თავის ბატონობას. ასეთია მაგ., ვერცხლისა და ბრინჯაოს არბალეტური ფიბულები, მინის მოოჭროვილი მძივები, ცისფერი პასტის საკიდები (ნავკრატისიდან და ალექსანდრიიდან-ეგვიპტიდან მოტანილი)¹.

ვაჭრობა ოსებისათვის უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი. როგორც პროფ. ვ. აბაევის ლინგვისტიკური გამოკვლევებიდან ჩანს, ვაჭრობასთან დაკავშირებული ტერმინები ძველი ირანულია. ოს. ვაცარ (ვაჭრობა) ფეხლევეურ Kačar-ს (ვაჭრობა) უდრის, ოს. yæñ (გაყიდვა) ძვ. ირანულ vah -ს, ოს. arγъ (ფასი), ძვ. ირან argha-ს². მათ თავის ძველ სამშობლოშივე ჰქონდათ საკმაო გამოცდილება ვაჭრობის დარგში და განაგრძეს იგი კავკასიაშიც.

ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე — საქართველოს სამხედრო გზის მიდამოებში რომაული მონეტების აღმოჩენა ამიერსა და იმიერ კავკასიას შორის ახლო ურთიერთობის მაჩვენებელია. 1880 წ. სოფ. ჩიშში (ჩრდ. ოსეთში, საქართველოს სამხედრო გზაზე) ოლშევსკიმ

1 Е. Крупнов, К вопросу о культурных связях населения Северо-Кавказа по арх. данным, Уч. зап. каб. НИИ, т. II, 1947 г. стр. 126.

2 В. Абаев, Осетинский язык и фольклор, т. I, М—Л., 1949 г. стр. 66.

აღმოჩინა იმპერატორ ავგუსტის რომაული დინარი<sup>1</sup>, 1888 წ. ვერცხლის რომაულივე მონეტა იქნა ნაპოვნი<sup>2</sup>. იმავე 1888 წ. ვერცხლის რომაული დინარი ბობრინსკიმ იპოვა სტეფანოპოლში (დღ. ყაზბეგი) მოჭრილი ძვ. წ. 27-ახ. 14. წ.<sup>3</sup> მცხეთაში<sup>4</sup> როდენობითაა ნაპოვნი ვესპასიანეს, ტრაიანეს, ადრიანეს ოქროს აურეუსები<sup>4</sup>. ეს ფაქტები აშკარად გვიჩვენებენ აღნიშნული მონეტების ჩრდილო კავკასიაში მოხვედრის გზებს. ისინი საქართველოდან ხედებოდა იქ, ეკონომიური ურთიერთობის ბაზაზე.

VI ს. ბიზანტია-სპარსეთის ბრძოლის პერიოდში ამიერკავკასიაში პირველობისათვის საუღელტეხილო გზების პოლიტიკური მნიშვნელობა განუზომლად იზრდება. ამიერიდან გზების საკითხი ყოველთვის უშუალოდ უკავშირდება მეტოქე სახელმწიფოთა თავდაცვითსა და შეტევით პოლიტიკას, რაც ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ტომთა, პირველ რიგში ალანთა სამხედრო ძალების გადმოყვანაში ან გადმოყვანისათვის ხელის შეშლაში მდგომარეობდა. თითოეული მხარე ცდილობდა მათ გამოეყენებას მოწინააღმდეგის დასასუსტებლად, ან თუ ამას ვერ ახერხებდა, ხელი შეეშალა მათი გადმოსვლისათვის, რათა ისინი ამავე მიზნით მოწინააღმდეგეს არ გამოეყენებინა. აღნიშნული გარემოება გზების ეკონომიურ მნიშვნელობას არ აკნინებს თუნდაც იმიტომ, რომ მთელი ეს პოლიტიკური კიდილი, ამიერკავკასიაში რომ მიმდინარეობდა, სახელმწიფოთა ეკონომიური ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

აღმოსავლეთ საქართველო-იბერია დარიალის გზის მიმართ აქტიურობას იჩენს. იგი ამ გზით უშუალო და საშუამავლო გაცვლა-გამოცვლას აწარმოებს ჩრდილო კავკასიელ ტომებთან.

III-IV ს. ს. ხალხთა დიდი გადასახლება მიმდინარეობს. ჩრდილო კავკასია, კერძოდ ოსეთი ამ გადასახლების გზაზე მოხვდა და ამ პროცესმა მას თავისი დალიც დაასვა. ჰუნების, ბულგარელების, ავარების მოძრაობა იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის გადაჯგუ-

1 Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. V, 1949 г. Баку, стр. 22.

2 იქვე, ნაკვ. III. 1940 წ. გვ. 30.

3 იქვე, V, გვ. 21-22.

4 იქვე, V, გვ. 25-26.

ფებას, რის შედეგადაც ჩრდილო კავკასიაში აღრიდნავე შეჩინულ  
ლი ეთნიკური სიჭრელე საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სახეს ღებუ-  
ლობს. განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდებარე  
თა მოძრაობის არეში აღწან-ოსების მოხვედრამ უკანასკნელს სიჭრელე  
ნომიური და პოლიტიკურ-კულტურული განვითარება შეაფერხა.

აღრიდნელ შუა საუკუნეებში ბიზანტიის იმპერია და ირანი  
აბრეშუმის დიდი მომხმარებლები იყვნენ. ამას აღმოსავლეთის  
ქვეყნებიდან (ჩინეთ-ინდოეთიდან) ღებულობდნენ. ბიზანტია აბრე-  
შუმს ჩინეთიდან საქარაგნო გზის მეშვეობით იღებდა. იგი ჩვენი  
წელთაღრიცხვის დასაწყის საუკუნეებში შუა აზიაზე გაივლიდა და  
რათა სპარსეთისათვის გვერდი აევლო, შემოუვლიდა კასპიის ზღვას  
ჩრდილოეთიდან და შემდეგ კავკასიონის მთების გადალახვის გზით  
კონსტანტინოპოლს ჩადიოდა. ეს გზა ძნელი იყო, მაგრამ მას მინც  
მიმართავდნენ გარკვეულ პერიოდებში<sup>1</sup>. ეს გზა, როგორც ვხედავთ,  
ჩრდილო კავკასიას გადასჭრიდა და, ცხადია, მასზე თავისებურ გავ-  
ლენას მოახდენდა, ჩაითრევდა მას სათანადო ურთიერთობაში.  
IV ს-ში ბიზანტია და ირანი ამიერკავკასიაში უშუალოდ დაემე-  
ზობდნენ ერთმანეთს. მისი დიდი სავაჭრო-ეკონომიური მნიშვნელო-  
ბა განსაზღვრავდა ირან-ბიზანტიას შორის ხანგრძლივ სამკედრო-  
სასიცოცხლო ბრძოლების ასპარეზად მის გადაქცევას.

V-VI ს. ს. ჩრდილო კავკასიის ოსური მოსახლეობის პოლიტი-  
კური და ეკონომიური კავშირი საქართველოსთან გამოცოცხლდა.  
ზემოაღნიშნული ბრძოლა, რომელშიც უფრო გვიან ხაზარები და  
არაბებიც ებმებიან, ხელს უწყობდა ამ კავშირის გამოცოცხლებას.  
თითოეული მეომარი მხარე ცდილობდა ჩრდილო-კავკასიელ ტომთა  
მხარდაჭერის მოპოვებას, რისთვისაც მიმართავდნენ საჩუქრებითა  
და ფულით მათ მოსყიდვას. ასეთი ხასიათის ურთიერთობა ამიერ-  
კავკასიასთან რეგულარული ეკონომიური კავშირის არსებობას სუ-  
ლაც არ გამორიცხავდა.

V ს. დათარიღებული ბატალ-ჩაპკანის (ჩერქეზეთში) სამაროვნის  
მასალები მკვლევარ ტ. მიხაევას მეზობელ მხარეებთან ფართო  
გაცვლითი ურთიერთობის არსებობის დამადასტურებლად მიაჩნია.

1 Пягулевская, Византия на путях в Индию, 1951 г. М—Л., стр.  
186—187.

ინკრუსტირებული სამკაულები — ფიბულები, მძივები და სხვა  
გაცულა-გამოცვლის შედეგად ზვდება მდ. ყუბანის სათავეში. მეზო-  
ბელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა მოსახლეობის უკუნიჭებულობის  
დიფერენციაციის პროცესს აჩქარებდა. აღნიშნულ სავაჭრო  
აღწერებს მიეკუთვნება და მათი სოციალურ-ეკონომიური ვითარების  
დასახასიათებლად კარგ მასალას იძლევა<sup>1</sup>.

უკვე VI ს. დასავლეთ ევროპა ვოლგის წყლის სისტემით, სირ-  
დარიის მეშვეობით, ჩინურსა და ინდურ საქონელს იღებდა. საქონ-  
ლის ნაწილი ტანაიდ-მეოტიდით (დონ-აზოვით) პანტიკაპეიში  
(ქერჩში) მიდიოდა, ნაწილი საქარავნო გზით ტამანის ნახევარკუნ-  
ძულზე, საიდანაც ყირიმსა და შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში ნა-  
წილდებოდა, ნაწილი კი ამიერკავკასიაში მიდიოდა „კასპიის კარე-  
ბით“, უშუალოდ იტილიდან და მაჯარიდან (ჩრდილო კავკასიაში,  
მდ. კუმაზე)<sup>2</sup>.

მაჯარი ხაზარ-ყივჩაღთა ეპოქიდან არსებობდა და თავისი  
მნიშვნელობით დავალებული იყო ჩრდილო კავკასიაში ცენტრალურ-  
რი მდებარეობისაგან, რაც მის სავაჭრო მნიშვნელობასაც განაბი-  
რობებდა. დიოსკურიას (სოხუმს) და ბიჭვინთას მაჯართან მჭიდრო  
ურთიერთობა ჰქონიათ, ხოლო ხუმარა (ზელენჩუკის ხეობაში —  
გ. თ.) საშუალებდო რგოლი იყო მათ შორის<sup>3</sup>. აღრე ამ ადგილებში  
აღწერებს უცხოვრიათ და მჭიდრო ურთიერთობაც ჰქონიათ საქარ-  
ველოს მოსახლეობასთან.

(VI-IX ს. ს. ჩრდილო კავკასიასთან ამიერკავკასიის ეკონომიური  
ურთიერთობის სიცხოველეზე მეტყველებს მრავალი ფაქტი. გან-  
საკუთრებით კარგ საილუსტრაციო მასალას იძლევა აღწერის სა-  
მარხების ინვენტარი. ს. ხასაუტის (ყაბარდოში) აღნიშნული პერიო-  
ლის აკლდამებში ნახულ იქნა აბრეშუმის, ფარჩისა და სელის ქსოვი-  
ლები, ბიზანტიური წარმოშობის მინა, მატყლის მძიმე ხალიჩები,  
მინის ჭურჭელი, ძვირფასი ლითონები (ირანული), ფერადი ქვე-

1 Т. М. Минаева, Могильник Байтал-чанкан в черкесии, Советская Археология, т. XXVI, 1956 г, стр. 260—261.

2 Дьячков-Тарасов, Неизвестный древний торговый путь из Хорезма в Византию через Кавказ, «Новый Восток», 1930 г, Москва, книга 28, стр. 148.

3 დასახ. ნაშრ. გვ. 154.



ბი — სარდარი, მოხატული სარდიონი (წინა აზიური, ჩინეთ-ისლანდი-  
თიდან ხედებოდა კავკასიაშიც და ჩრდილო კავკასიაშიც)!. ჩრდილო  
კავკასიაში აღნიშნული საქონელი ძირითადად საქართველოდან სა-  
უღელტეხილო გზებით ხედებოდა. >

აღნიშნული ეპოქის მონეტები დიდი რაოდენობით გვხვდება  
დიგორის და თავაურის ხეობებში. ისინი სასანიდური, ბიზანტიური  
და არაბული წარმოშობისაა.

თავაურის ხეობაში, აულ ჩიმთან კატაკომბებში აღმოჩნდა  
ბიზანტიური ოქროს მონეტა მავრიკი ტიბერის (582-602 წ. წ.),  
VIII ს. აბასიდური ღირებულებები. სასანიდური მონეტები ძირითადად  
VI ს. თარიღდებიან<sup>2</sup>.

დიგორიაში-კამუნტის (მდ. კამინდონის ხეობაში) სამარხებ-  
ში აღმოჩენილ იქნა ოქროს ბიზანტიური მონეტები: ანასტასის  
(419-515 წ. წ.), იუსტინიანე I (527-565 წ. წ.), იუსტინე  
II (565-578 წ.წ.), ფოკას (602-610 წ. წ.), ირაკლი კეისრის (610-641  
წ. წ.), აგრეთვე ვერცხლის და სპილენძის მონეტები<sup>3</sup>.

გალიათში 1935 წ. (დიგორია) ბიზანტიური VII ს. დავეპყილი  
მონეტის გარდა, VIII ს. ომაიადური ვერცხლის მონეტაც იქნა აღ-  
მოჩენილი<sup>4</sup>...

აღნიშნული ნუმისმატიკური მასალა სათანადო წერილობითი  
წყაროების უქონლობის პირობებში მრავლისმეტყველ ფაქტად უნ-  
და ჩაითვალოს. ისინი ამიერკავკასიასთან (საქართველოსთან) მჭიდ-  
რო ეკონომიური ურთიერთობის არსებობას ადასტურებენ. შესა-  
ბამის პერიოდში საქართველოშიც მონეტათა ის ტიპები ბატონობს,  
რაც ოსეთის ტერიტორიაზე გვხვდება. ჩრდილო ოსების აღმოსავ-  
ლეთ რაიონებში ძირითადად სპარსული, შემდეგ არაბული მონეტე-  
ბი, გვხვდება, დასავლეთ რაიონებში კი განუყოფლად ბიზანტიუ-  
რი მონეტები ბატონობს. ეს ფაქტი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ

1 Е. Крупнов. Уч. зап. Каб. НИИ, II, стр. 129.

2 Е. А. Пахомов Клады Азербайджана и других республик и  
краев Кавказа, вып. II. Баку, 1938 г., стр. 18.

3 იჭვე. ნაკვ. II, გვ. 16.

4 იჭვე. ნაკვ. III, გვ. 32.

მონეტათა ანალოგიურ განაწილებას საქართველოშიც (როცა აღ-  
მოსავლეთ საქართველოში ირანის ბატონობის გამო ირანული მო-  
ნეტა სჭარბობს, ხოლო დასავლეთში ბიზანტიური ~~გაგონების შესაქ-~~  
ბამისად — ბიზანტიური) ჰქონდა ადგილი. ბიზანტიურ ~~ქვეყნებში~~  
ოსეთის ყველა რაიონში ხვდება, ისევე, როგორც სასანიდური და  
არაბული.

აღნიშნული უცხოური მონეტების ბატონობის ფაქტი ოსეთში  
იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მხოლოდ უშუალოდ მათი მომკრეპლი  
ქვეყნებიდან მოდიოდნენ. ეს მონეტები საქართველოშიც იყო მი-  
მოქცევაში და ოსეთშიც საქართველოდან აღწევდნენ.

◀ VIII ს. დასაწყისისათვის ჩვენ მოგვებოება წერილობითი  
ცნობა, რომელიც ოსეთ-საქართველოს (იგი კერძოდ აფხაზეთს ეხე-  
ბა) შორის რეგულარული ხასიათის სავაჭრო მიმოსვლას ადასტუ-  
რებს. ბიზანტიის იმპერატორის მოხელეს ლევ ისავრიელს, შემ-  
დეგში იმპერატორს, თეოფანეს ცნობით, ოსები (ალანები) უცხა-  
დებენ, რომ მათ სავაჭრო ურთიერთობა აქვთ აფხაზეთთან და მათი  
ვაჭრები ყოველთვის დადიან მათ ქვეყანაში (აფხაზეთში)! ▶

აღნიშნული ხასიათის ეკონომიური ურთიერთობა საქართვე-  
ლოსა და ოსეთს შორის გრძელდება IX-X ს. ს., ოღონდ სამწუხა-  
როდ, მის შესახებ კონკრეტული ცნობები არ გავაჩნია.

ამრიგად, I-X ს. ს. ცენტრალური ჩრდილო კავკასიის ოსურ  
მოსახლეობასა და საქართველოს ცალკეულ ნაწილებს შორის, იმის  
მიუხედავად, რომ ისინი ხანგრძლივი ომების ასპარეზს წარმოად-  
გენდნენ, ხშირად ებრძოდნენ დამპყრობლებს, არსებობდა მჭიდრო  
ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი. საგარეო და საშინაო ფაქ-  
ტორების ცვლილებებთან დაკავშირებით იგი ზოგჯერ სუსტდებო-  
და. მაგრამ სავსებით არასოდეს არ შეწყვეტილა. არ შეწყვეტილა  
იმიტომ, რომ ორივე ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამე-  
ბოდა.

### § 3. საქართველო-ოსეთის პოლიტიკური ურთიერთობა

საქართველო-ოსეთის პოლიტიკური ურთიერთობის სურათის  
ჩვენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს XI ს. ქართველი ისტორი-

1 გეორგია, ტ. IV. ნაკვ. 1, 1949 წ., გვ. 108.

კოსის ლეონტი მროველის ცნობებს.) იგი საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის შესახებ წერისას, ეკვს გარეშეა, ემყარებოდა რაღაც ისტორიულ წყაროთა მონაცემებს, რომლებშიც, პრეტიენდებული უნდა ყოფილიყო ზოგიერთი ფაქტი ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის ამიერკავკასიასთან ურთიერთობის შესახებ. რომელი ისტორიკოსის კორნელი ტაციტის, იოსებ ფლავიუსის, ფლავიუს არიანეს და სხვათა ცნობები ალანებთან იბერიის ურთიერთობის შესახებ ლეონტის ცნობების შემოწმებისათვის კარგ მასალას იძლევიან.

ჩვენთვის მიუღებელია ლეონტი მროველის კონცეფცია ამიერკავკასიის ხალხთა წარმოშობის საკითხზე, რომლის მიხედვით ოსები ქართველი და სომეხი ტყვეების ჩრდილო კავკასიის ველებზე დასახლების შედეგად წარმოიშვნენ. ეს ტყვეები თითქოს ხაზართა მეფე უობოსს გადაუსახლებია<sup>1</sup>. ხაზარები ჩრდილო კავკასიაში ახ. წ. VI საუკუნიდან ჩნდებიან და მათთან კავკასიის უძველესი, ისტორიის დაკავშირება შეუძლებელია. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ლეონტის „ხაზარებში“ ჩვენ ვიგულისხმებდით „სკვითებს“, რომლებიც მაშინ მართლაც ცხოვრობდნენ ჩრდილო კავკასიაში და ურთიერთობა ჰქონდათ ამიერკავკასიასთან, VIII-VII ს. ს. ძვ. წ. დაწყებული, მანამდის, ვიდრე მათ სარმატები შეეცვლიდნენ (ძვ. წ. III ს.). ამ შემთხვევაში ლეონტი მროველის აღნიშნული ცნობები ნაწილობრივ რეალურ ხასიათს მიიღებდა.

ლეონტი მროველისა და მისი დროის სხვა ქართველ ისტორიკოსთათვის ოსეთის უძველესი მოსახლეობის მემკვიდრეობითი კავშირი მათს თანამედროვე მოსახლეობასთან კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი. მემკვიდრეობითი კავშირის გაზვიადებულმა წარმოდგენამ მათ ძველი და თანამედროვე მოსახლეობის იგივეობის მცდარი აზრიც კი შეუქმნა.

ლეონტი მროველს ქართლის პირველი ნაბიჯები სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე ოსებთან კავშირში აქვს წარმოდგენილი. ქართლში გაბატონებულ აზონს (ძვ. წ. IV-III ს. ს. მიჯნა),

<sup>1</sup> ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ., I, 1955 წ. გვ. 12 (შემდეგში აღნიშნული გეგნება ქცა I).

რომელიც ემყარებოდა ბერძენთა ლაშქარს, ადგილობრივი პრი-  
ვილეგირებული წრეების მეთაური ფარნავაზი ებრძოდა ეგობის  
მთავრის ქუჩის და ოსთა მეფის ლაშქრის დახმარებით, მაღლიერ-  
მა ფარნავაზმა, რომელსაც წილად ზედა გამარჯვება ამ ბრძოლაში  
„მისცა დაჲ თვისი ოვსთა მეფესა ცოლად“<sup>1</sup>.

თუ ლეონტის ეს ცნობა სწორია, მაშინ ჩვენთვის გასაგები  
გახდება ის ფაქტი, რომ ქართლის პოლიტიკური მესვეურები უძვე-  
ლეს დროიდანვე სათანადოდ აფასებდნენ მეზობელ ხალხებთან კე-  
თილგანწყობილი ურთიერთობის დიდ მნიშვნელობას, კერძოდ  
ჩრდილო კავკასიის როლს ამიერკავკასიის სამხედრო ძლიერების  
განმტკიცების საქმეში და საამისო ღონისძიებებსაც მიმართავდნენ.  
ამ შემთხვევაში ურთიერთობის განმტკიცების ღონისძიებად გა-  
მოყურება ქორწინება, რითაც ოსების გაბატონებული ზედაფენის  
მეთაური („მეფე“) ქართლის მმართველ წრეებს, კერძოდ მეფეს,  
უნათესავდება. ქორწინება პოლიტიკური ანგარიშით ხდება. ფარ-  
ნავაზის ძეს საურმაგს ამ ქორწინებით შექმნილი ვითარება კარგად  
გამოუყენებია მაშინ, როცა მას ქართლის ერისთავები განუდგნენ.  
„მაშინ საურმაგ ეზრახა ოვსთა მეფესა, მამოსსა დისწულსა მისსა,  
და ითხოვა შეწყება. ხოლო იგი სიხარულით წარვიდა შეულად მის-  
სა, და საურმაგ შეიკრიბა დურბუკეთიცა, და წარმოემართა ქართ-  
ველთა ზედა. და ვერავინ წინა აღუდგა მას, და დაიპყრა ქართლი,  
და მოსრნა განდგომილნი მისნი“<sup>2</sup>. ლეონტი პროველის მიხედვით,  
საურმაგის მდგომარეობა ძალზე კრიტიკული იყო. მას ქართლის  
დაპყრობა ხელახლა მოუხდა (იგულისხმება, იგი გაქვეებული იყო),  
მხოლოდ საგარეო ძალის გამოყენებამ მისცა მას დაკარგულის დაბ-  
რუნების შესაძლებლობა.

ლეონტი პროველის აღნიშნული ცნობების სისწორე სხვა წყა-  
რობების მონაცემებით რომ შევამოწმოთ, ამის შესაძლებლობა არ  
გვაკაჩნია. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან უკვე ხერხდება  
მისი რიგი მონაცემების შემოწმება პარალელური უცხოური წყა-  
რობების საფუძველზე. ჩრდილო კავკასიის ხალხებისაგან სამხედრო  
დხმარების მიღებაში შეუძლებელი არაფერია.

<sup>1</sup> ქცა. I, გვ. 23, 24.

<sup>2</sup> ქცა. I, გვ. 27.

მართალია, ეს უცხოური წყაროები ოსებს კი არა, ალანებს იხსენიებენ, მაგრამ ჩვენ ზემოთ მოკლედ შევჩერდით ალან-ოსის მიმართების საკითხზე, საიდანაც ცხადი ხდება მათი იგივეობა. უსი-ბი წარმოიშვნენ ადგილობრივი ტომების ალანურ ტომების ჩვეულების შედეგად და ამ ახალ ეთნიკურ ერთეულს სხვადასხვა წყაროები სხვადასხვა სახელწოდებით იცნობდნენ.

ეს საინტერესო გარემოება შეიძლება აიხსნას, იმით, რომ ჩრდილო კავკასიის ცენტრალური ნაწილის მოსახლეობას ალანთა აქ დამკვიდრებამდე სხვა სახელწოდება ჰქონდა. როცა ახალი ეთნიკური ერთეული ჩამოყალიბდა, მათმა უახლოესმა მეზობლებმა — ქართველებმა მათ ძველი ეთნიკური მასის სახელწოდება დაუტოვეს (ეს ძველი სახელწოდება შეიძლებოდა ყოფილიყო „ოვსი“), ხოლო უცხოურმა წყაროებმა მათზე მოსული ელემენტის სახელწოდება გააგრძელეს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სახელწოდება „ოვსი“-ს, „ოსი“-ს ახსნა ოსური და ქართული ენების ნიადაგზე ვერ ხერხდება. საფიქრებელია, რომ ეს სახელი ცენტრალური ჩრდილო კავკასიის უძველესი მოსახლეობის ენობრივ სამყაროდანღებულობს სათავეს.

ქართულ წყაროებში სახელწოდება „ოვსი“-ს არსებობა ლეონტი მროველამდეც (XI ს.) დასტურდება; „ოვსი“ იხსენება VII ს. მხატვრულ თხზულებაშიაც — „აბოს წამებაში“, სადაც ნათქვამია, რომ ნერსე ერისთავმა გაიარა „კარი ოვსეთისაჲ, რომელსა დარიალან ერქუმის“<sup>1</sup>. „ოვსეთის კარი“ ძველი სახელწოდებაა, ხოლო „დარიალან“ ამიერკავკასიაში სპარსეთის ბატონობის პერიოდში წარმოიშვა. „დარიალან“ უდრის — „ალანთა კარს“. „ოვსი“ აქ „ალანით“ არის შეცვლილი. ქართული წყაროები იცნობენ ამ არაქართული წარმოშობის სახელწოდებასაც. ძველი სახელწოდება გზისა — „ოვსთა კარი“ ისე მტკიცედ იყო დანერგილი მათში, რომ მისი გამოდევნა სპარსული სახელწოდების მიერ ვერ მოხერხდა.

უკვე ახალი წელთაღრიცხვის I ს. პირველ ნახევარში რომაულ წყაროებშიც ჩნდება ცნობები იბერიის სამეფოსთან ალანთა ურთიერთობის შესახებ. იბერიელთა და ალანთა კავშირი საფრთხეს უქმნიდა არამარტო პართიის, არამედ რომაელთა ბატონობასაც.

<sup>1</sup> კ. აკეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935 წ. გვ. 64.

ამით აიხსნება მათი დიდი ინტერესი იბერ-ალანთა ურთიერთობის  
სადმი.

ტაციტი (55-117 წ. წ.), თავის „ანალებში“ ეხება არტაბანს მეფის ფარსმანისა და პართიის მეფის არტაბანის ბრძოლაში არტაბანს უჭირს, ჰკრებს დიდძალ ჯარს, იძენს მოკავშირეებს, მაგრამ ასევე ეხერგებულად მოქმედებს ფარსმანი, რომელიც თავის მხარეზე იზიდავს ალბანებსა და სარმატებს, რომლის მთავრებმა (нязъки) მიიღეს საჩუქრები ორივე მხარისაგან და ორივეს დახმარებას პირდებოდნენ. იბერები სწრაფად უშვებენ სარმატებს კასპიის გზით სომხეთის ტერიტორიაზე. სარმატთა ნაწილი, რომელიც პართიის დასახმარებლად მიემართებოდა, ადვილად იქნა შეჩერებული, ვინაიდან ყველა გასავალი მისთვის დაკეტილი აღმოჩნდა, გარდა ერთისა — ალბანეთის მთების დასასრულსა და ზღვას შორის. ეს გზა კი ზაფხულში გაუვალა იყო. პასატების (ქარის სახელწოდება) ქროლვის გამო იქ წყლის დონე იწევდა და გზას ფარავდა. ასეთ პირობებში იბერები რჩებიან გამარჯვებულნი. არტაბანის შვილი ოროდი სასტიკად დამარცხდა. პართელები ბოლოს და ბოლოს იძულებულნი ხდებიან არმენია მიატოვონ, რადგან იბერებთან ერთად მათ რომაელებმაც შეუტყეს.

ტაციტი ამ ცნობაში ალანებს კი არა, სარმატებს იხსენებს, მაგრამ ეს „სარმატები“ ალანები უნდა ყოფილიყვნენ. ალანებს ხომ ამ დროს ჩრდილო კავკასიაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ. ტერიტორიულადაც ისინი ძირითადად თანამედროვე ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებლებად ჩანან. მათი გადმოყვანა დარიალის, ანუ ოსეთის, გზით იბერიისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. „კასპიის კარები“ ტაციტთან დარიალის კარებს ნიშნავს, რადგან ის, ჭერ ერთი, იბერიის ტერიტორიაზე გადმოდის, მეორეც, ნამდვილი კასპიის კარები — დერბენტის გასავალი მან აღნიშნული აქვს, როგორც სარმატთა ერთი ნაწილის მოძრაობის მარშრუტი. ძველ პერიოდში უცხოელ ავტორებს ხშირად ერეო-

1 Сочинения Корнелия Тацита, пер. В. И. Модестова, 1887 г. Сиб. т. II. Летописи. КН, VI, стр. 280—281; СК, ВДИ. 1949 г. № 3. стр. 211—212.

დათ „კავკასიისა“ (დარიალის) და „კასპიის“ (დარუბანდის) კარებზე  
რაზეც ჯერ კიდევ პლინიუსს სტეკუნდი მოუთითებდა.

რა ინტერესები ამოძრავებს იბერიის მეფე ფარსმანს? ზუსტად  
წინააღმდეგ ბრძოლაში? მისი ძმა მითრიდატი რუჩუღლებზეც კარგად  
ფეს სომხეთში. სომხეთი რომისა და პართიის საცილობელ ობი-  
ექტს წარმოადგენს იმ დიდი სავაჭრო-ეკონომიური მნიშვნელობის  
გამო, რომელიც მას ჰქონდა ინდოეთისა და ჩინეთის დიდ საქარავ-  
ნო გზაზე მდებარეობის გამო. იბერიასაც სომხეთში საკუთარი  
ინტერესები აქვს, ხოლო იმავე დროს რომისადმი სამოკავშირეთ  
ვალდებულებებიც აწევს. რომი ამ დროს ძალიან მოქნილ პოლიტი-  
კას ატარებს იბერიის მიმართ, ითვალისწინებს რა მის ხელსაყრელ  
მდებარეობას, მის მნიშვნელოვან სამხედრო და ეკონომიურ რე-  
სურსებს, ჩრდილო კავკასიის ალანური ტომების რომის წინააღმ-  
მდეგ გამოყენების შესაძლებლობას, რომს სჭირდებოდა კავკა-  
სიაში მაგარი ზურგის შექმნა აღმოსავლეთში გაბატონებისათვის.  
ეს მიზეზები განსაზღვრავდნენ რომის ლოიალურ პოლიტიკას იბე-  
რიის მიმართ და ამ უკანასკნელის გამოსვლას რომაელთა მხარეზე,  
ზემოაღნიშნული ომი პართელებთან, ალანთა დახმარებით, თავისი  
შედეგებით იბერიისათვის სასარგებლო აღმოჩნდა, რადგან სომ-  
ხეთში ფარსმანის ძმა მითრიდატი გამეფდა (35-51 წ. წ.). ამას არ  
შეიძლებოდა იბერიის პოზიციების განმტკიცება არ მოჰყოლოდა  
როგორც სომხეთში, ასევე საკუთრად იბერიაშიც.

იოსებ ფლავიუსის ცნობით, 68 წ. ახ. წ. ალანებმა რომელთაც  
გადაწყვიტეს ძარცვის მიზნით თავს დასხმოდნენ მიდიას, მოლაპა-  
რაკება გამართეს პირკანთა მეფესთან. ამ უკანასკნელს ეპყრა გა-  
სავალი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა რკინის კარებით ჩა-  
კეტა. როცა პირკანთა მეფემ ალანებს გზა გაუხსნა, ისინი დიდ მა-  
სებად თავს დაესხნენ მიდიელებს, იწყეს მათი მდიდარი ქვეყნის  
რბევა. მეფე პაკორი მიუვალ ადგილებში გაიხიზნა და ასეული ტა-  
ლანტით ძლივს გამოისყიდა ტყვედ ჩავარდნილი ცოლი და მძევ-  
ლები. ალანებმა მიაღწიეს სომხეთსაც, დაამარცხეს ტირიდატი და  
დიდი ნაღბლით უკან დაბრუნდნენ<sup>1</sup>.

<sup>1</sup> СМ. В.ИИ, 1947 г. № 4, стр. 217.

ხსენებული პაკორი პარტიის მეფე ვოლოგეზ I-ს ძმა და მეფე ვიდრე იყო, ზოლო სომხეთის ტახტზე მჯდომი ტირიდატი ვოლოგეზისავე ძმა. იბერიის (ფლავიუსის მიხედვით პირკანიის) მეფის მონაწილეობა ამ ამბებში, თუნდაც იმით რომ გზა გაუხსნა ალანებისა და ახსნება მისი მისწრაფებით-დაესუსტებინა პარტიის მონაწილეობა ამერიკაკასიაში საკუთარი პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ. იბერიის მიერ ასეთი პოლიტიკის წარმოებაში რომის ხელიც ერია. რომი ლომბიერი და მოქნილი პოლიტიკით იბერიის მიმართ ცდილობს იგი თავის საიმედო მოკავშირედ აქციოს პარტიის წინააღმდეგ ომში, გამოიყენოს იგი საფრად ჩრდილო კავკასიის მხრიდან ალანური ტომების შემოჭრის თავიდან ასაცილებლად. აკად. ს. ჯანაშიას მოსაზრებით, „იბერიის როლს რომისათვის ზრდიდა ის გარემოება, რომ მის ტერიტორიაზე მდებარეობდა ჩრდილო კავკასიიდან სამხრეთით გადმოსასვლელი ის მნიშვნელოვანი გზები (დარიალის ხეობა და სხვ.), რომელთა საშუალებითაც მას ყოველთვის შეეძლო ჩრდილოეთ კავკასიის მომთაბარე ტომების (აღებულ ხანებში ალანების) დაქირავება და თავის ნებასურვილის მიხედვით სამხედრო საქირთობისათვის გამოყენება“<sup>1</sup>.

იბერიის პოლიტიკური ინტერესების გაფართოებისა და გააქტიურების კვალობაზე, მისი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების კვალობაზე, იგი მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში დამოუკიდებელი პოლიტიკური ხაზის გატარებას იწყებს.

ლეონტი პროველი გვაწვდის ცნობებს იბერთა მიერ ალანთა ლაშქრის გამოყენებაზე სომხეთის წინააღმდეგ, რომელმაც მისი ყუთვნილი ტერიტორიები მიიტაცა. არტაშეს სომეხთა მეფის დროს „მეფეთა ქართლისათა აზორკ და არმახელ მოუწოდეს ოვსთა და ლეკთა, და გარდამოიყვანნეს ოვსთა მეფენი, ძმანი ორნი გოლიათნი, სახელით ბაზუკ და აბაზუკ, სპითა ოვსეთისათა. და მათ გარდმოიტანნეს პაქანიგნი და ჯიქნი“<sup>2</sup>.

ბრძოლა მტკვარზე მოხდა. ოსთა მეფენი ბრძოლაში იღუპებიან, ქართველ-ოსთა ჯარი დამარცხდა და უკუიქცა. ქართველებმა

<sup>1</sup> ს. ჯანაშია, შრომები, I, 1949 წ. თბ., გვ. 184-185.

<sup>2</sup> ქცა. I, გვ. 45.



ადგილმდებარეობის ცოდნის გამო შედარებით ნაკლები ხარალოთ გააღწიეს, ოვს-ლევნი კი უწყალოდ გაიულიტნენ<sup>1</sup>.

ლეონტის ცნობით, ოსთა ეს საატკი მარცხე გამხდალე იმის მიზეზი, რომ ოსები ქართველებს უფრო დაახლოებენ სისხლისათვის სამაგიეროს გადახდის მიზნით. „იწყეს ოვსთა ძენსა სისხლისა მათისა სომეხთა ზედა. გარდამოვიდოდეს ქართლად და დაემეგობრნეს ქართველთა, და აღერივნეს ერთად ოვსნი და ქართველნი. და მარადის ბრძოდეს სომეხთა“<sup>2</sup>. ლეონტის აღნიშნული ცნობა მრავალმხრივია საინტერესო. იგი სისხლის ალების წესზე მიუთითებს ოსებში, რითაც მათი განვითარების შედარებით დაბალი დონე, პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის არსებობა დასტურდება სისხლის ალება გვაროვნული წყობილების დამახასიათებელი მოვლენაა. სისხლის ალება მას ოსთა საქმიანობის მამოძრავებელ ძალად მიაჩნია. აქ, ერთის მხრივ, თუ სწორად შემჩნეულ მოვლენის აღნიშვნის ფაქტთან გვაქვს საქმე, მეორეს მხრივ, ამ მოვლენის აშკარა გაზვიადებას აქვს ადგილი. სისხლის ალება ვერ გახდებოდა შემდგომი დიდი ომების მიზეზი.

ლეონტის ზემოაღნიშნული ცნობა იმითაც არის საინტერესო, რომ იგი ოსთა მოკავშირეობის ზოგ სხვა დეტალსაც გვაცნობს. მანამდე ოსები, მაშინაც კი, როცა ქართველებთან ერთად ებრძოდნენ პართელებს ან სხვა მტრებს, ცალკეულ კოლონებად იბრძოდნენ, ხოლო იბერია-სომხეთის ომში, სადავო ტერიტორიის გამო რომ ატყდა, იბერიელებთან გაერთიანებულ კოლონებში გამოდიოდნენ.

ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრები ალანები-ოსები თავის გამოჩენის დროიდანვე ამიერკავკასიის მდიდარი ქვეყნების მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ. მათ აქ აინტერესებთ ნადავლი, ტყვეები, ქირა სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ. იბერია თავის ხელსაყრელი მდებარეობით, — გადმოსასვლელი გზების მის ხელში არსებობით, სარგებლობს და არამარტო იზღვევს თავს ალანთა მოულოდნელი შემოჭრისაგან, არამედ მათ მახვილს თავის მტრების წინააღმდეგ მიმართავს. ოსებო გზის გახსნის გულისათვის

1 იქვე, გვ. 47.

2 იქვე, გვ. 47.

ხშირად ღებულობენ იბერიის მიერ შეთავაზებულ პირობებს და ებრძვიან მის მტრებს, რითაც იბერიის (ქართლის) საქმესაც დასწრე-ბენ და ნადავლსა და ტყვეებსაც შოულობენ ლეონტის კლდე-ლი ფაქტი, რომ სომეხებთან დამარცხების შემდეგ ოსები დაიხილეთ ებრძვიან მათ, იმით აიხსნება, რომ სომეხეთი მათ მიდიასა და თავის ტერიტორიაზე იოლი ლაშქრობების მოწყობის შესაძლებლობას ართმევს, რაც ოსებისათვის ძალიან მძიმეა. ამავე დროს ქართლის მესვეურთა წაქეზება და ოსთა საკუთარი ინტერესები ხელს უწყობენ მათ შორის კავშირის განმტკიცებას. იბერია ახერხებს ოსებთან კავშირის შენარჩუნებას. ოსებიც მათთან ერთად ებმებიან ომში. ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობს. სომეხთა მეფე არტაშესი მცხეთაში შემოდის. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ-მა ქართველებმა და ოსებმა „ითხოვეს შშვიდობა, და აღუთქვეს მორჩილება და არღარა ძიება სისხლისა და ზღვარისა. მაშინ ისმინა სომეხთა მეფემან ვედრება მათი. და ქმნეს ფიცი და აღთქმა, და დაიმონა ქართველნი და ოვსნი სომეხთა მეფემან, და წარვიდა“<sup>1</sup>.

ბოლოს ქართველებმა და ოსებმა შეურჩიეს სომეხებს მოხერ-ხებული დრო, რაც ბერძენ-სპარსელთა ომის ატეხასთან დაკავში-რებით შეიქმნა, შეიპყრეს სომეხი უფლისწული ზარენი. ზარენის შეპყრობა გამოყენებულ იქნა როგორც დიპლომატიური დაწოლის იარაღი სომეხებზე. დამყარდა ზავი. დააბრუნეს ტყვე უფლისწული, „ხოლო ამისათვის სომეხთა უკმოსცეს საზღვარი ქართლსა, ქალაქი წუნდა და ციხე დამოთისა, ჯავახეთი და არტანი. და მიერითგან იქმნეს მოყუარე სომეხნი და ქართველნი და ოვსნი. და სამნივე ერთობით ბრძოდეს მტერთა“<sup>2</sup>.

საკმარისი იყო სომეხ-ქართველთა შორის სადავო ტერიტო-რიული საკითხი მოეგვარებინათ, რომ მათი მეგობრობა აღდგენი-ლი ყოფილიყო. ოსები-იბერთა მოკავშირენი — სომეხების მოკავში-რენიც ხდებიან და რამდენადაც ამ დროიდან ქართლსა და სომ-ხეთს საერთო მტრები ჰყავთ ირანის, შემდეგ არაბების და სხვათა სახით, მათ გაერთიანებას საგარეო მტრების წინააღმდეგ პირობებ-

1 ქცა. 1, 23. 48.  
2 იქვე. 23: 49.

ექმნება. ალან-ოსები ამიერიდან ქართველთა და სომეხთა მოკავშირეებად გამოდიან.)

ზემოხსენებული ამბების შესახებ ცნობები მოიხსენიება მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიაში“. არტაშესის მეფობაში (87-103 წ. წ.) ალანები მთის სხვა ხალხებთან კავშირში იბერიელთა ერთი ნაწილის მხარდაჭერით, დიდ თავდასხმას აწყობენ სომხეთზე. არტაშესიც გულმოდგინედ ემზადება, დიდ ჯარს კრებს. მოწინააღმდეგენი მტკვარზე დაიბანაკებენ ურთიერთის პირისპირ. იმის გამო, რომ ალანთა მეფის შვილი ტყვედ ჰყავდა არტაშესს, ალანთა მეფე ითხოვს ზავს. არტაშესი უარზეა. მაშინ საქმეში ერევა ალანთა მეფის ასული სათინიცი, რომელიც ურჩევს სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად ზავზე თანხმობა განაცხადოს. მას მოეწონება ეს აზრიც და სათინიციც, ირთავს მას ცოლად და ზავიც მყარდება<sup>1</sup>.

ლეონტისა და ხორენელის აღწერა ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა. იქაც და აქაც ლაპარაკია სომხების წინააღმდეგ ალანთა ბრძოლაზე, მაგრამ მათ შორის განსწავლევაც არის. ლეონტისთან ბრძოლის ინიციატივა იბერების ხელშია, ისინი იწვევენ ოსებს, ხორენელთან კი იბერები პასიურები არიან, ოსები კი იმხრობენ მათ დიდ ნაწილს და ასე ესხმიან თავს სომხებს. ხორენელს დამატებით მოეპოვება ალანთა მეფის ასულის სათინიკის ეპიკური ამბავი. ეს მილერს მიაჩნია, რომ სათინიკის ამბავი მოსე ხორენელმა შეიტანა გოთხენის მელექსეთა სიმღერებიდან — ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან<sup>2</sup>.

ლეონტი მროველს არ მოეპოვება ცნობა ალანთა მეფის სომეხთა მეფესთან დამოყვრების შესახებ, მაგრამ ეს ასეთ ფაქტს არ გამოორიცხავს. ქორწინება დადებული ზავის განმტკიცების საშუალება ან მისი წინაპირობა იყო. შესაძლებელია, რომ სწორედ ასეთი ქორწინება უძღოდა წინ ზავს, რამაც სომეხნი, ქართველნი და ოსნი დაამოყვრა.

ხორენელის მიხედვით სომეხ-ალანთა ურთიერთობა სათინიცი-

<sup>1</sup> История Армении Моисея Хоренского (Новый перевод Н. О. Мина). Москва, 1893 г. стр. 98—99.

<sup>2</sup> В. С. Миллер, Осетинские этюды, ч. III, 1887 г., стр. 27.

არტაშესის ქორწინებით არ თავდება. მას მოსდევს სხვა ხასიათის მოვლენებიც. ხორენელის ცნობით, არტაშესის სარდალი მოემგზავრება ალანეთში, რათა ტახტზე აღადგინოს სათინიკის ძმა, რომელიც მამის სიკვდილის შემდგომ პრეტენდენტის მიერ იდევნიებოდა დაამარცხა ეს მოწინააღმდეგე, წამოიყვანა დიდძალი ტყვე და სახლა ისინი მასისის სამხრეთ აღმოსავლეთ მხარეზე, რომელსაც არტაზი ეწოდა (ვასპურაკანის ოლქში)<sup>1</sup>.

ხორენელისავე ცნობით, სათინიკის საგვარეულოს ალანები (გვართი არუეხეანები) აყვანილ ოქნენ სომეხ ნახარართა წოდებაში, როგორც დიდი დედოფლის მოგვარეები<sup>2</sup>.

თუ შევადარებთ ლეონტის, ფლავიუსის და ხორენელის ცნობებს, დავინახავთ, რომ პირველისათვის ოსები-ალანები იბერებთან აქტიურ კავშირში არიან და ერთად მოქმედებენ, უკანასკნელთათვის კი იბერები პასიურები არიან და ან მხოლოდ გზას აძლევენ (ფლავიუსი), ან ნაწილობრივ მონაწილეობენ მათს ოპერაციებში (ხორენელი). აღნიშნული საკითხის შესახებ უცხოური წყაროების ამ ტენდენციას ყურადღება მიაქცია მ. ინაძემ<sup>3</sup>.

ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაზე ალანთა თავდასხმის საფრთხე რომის აქ ბატონობისათვის სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენდა. რომაელები ამ საშიშროებას სერიოზულ ყურადღებას აქცევენ. იმპერატორი ნერონი ნმ წელს დიდ მზადებას შეუდგა ალანთა წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიციის მოსაწყობად. მას სურდა დარიალის კარის ჩაკეტვა და მასზე კონტროლის დამყარებით მათი შემოტევის შეჩერება.

აკადემიკოსი ი. მანანდიანი სტატიაში «О месте нахождения Caspia via tu Caspiaeportae» ცდილობს დაამტკიცოს, რომ ალანთა ზემოაღნიშნული გადმოსვლები დარიალით კი არ ხდებოდა, არამედ ე. წ. მეოტიდა — კოლხეთის მაგისტრალით. იგი მათი მოძრაობის დაახლოებით მარშრუტსაც კი აღგენს. გზა მეოტიდის ტბიდან (აზოვის ზღვა) შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ გადიოდა, გაივლიდა ქუთაისს, აბასთუმანს, ახალციხეს, ახალქალაქს და ე. წ. «კასპიის კარებით» (აწინდელ ახალქალაქის რაიონში ვა-

1 М. Хоренский, История Армении, стр. 101.

2 დასახ. ნაშრ., გვ. 105.

3 მ. ინაძე «ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის» საქანდ. დისერტ. 1953 წ. გვ. 42-43.

რაუღობს) არტაქსატაში ჩადიოდა<sup>1</sup>. კასპიის კარის არსებობა ახალ-ქალაქის რაიონში საეჭვოა. ტაციტის და ფლავიუსის ცნობები აკარად გვაგრძნობინებენ, რომ აქ ლაპარაკია დარიალის გზაზე და არა რომელიმე სხვა გადმოსავალზე.

ნერონის მიერ ალანთა წინააღმდეგ ექსპედიციის მზადება დაცემირებული იყო პართიის მეფის ვოლოგეზის დაუინებით თხოვნასთან — აღმოეჩინათ დახმარება პართიაში ალანთა შემოსევების აღვეთის საქმეში. 75 წელს ვოლოგეზი თხოვს დახმარებას ვესპასიანეს ალანების წინააღმდეგ. მას არ შეეძლო უშუალოდ დაეკმაყოფილებინა ეს თხოვნა და შეეცადა ალანთა გადმოსვლის მიმართ დაბრკოლებათა შექმნის გზით შეესუსტებინა მათგან მომდინარე საფრთხე. ამ მიზნით მან, ერთის მხრით, კაპადოკიაში რომაული ლეგიონების რიცხვი გაზარდა, ხოლო, მეორე მხრივ, იბერიის გამოყენებას შეეცადა თავის პოლიტიკური გეგმების განხორციელებისათვის. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ იბერიის პირდაპირი თუ არაპირდაპირი თანხმობის გარეშე ალანთა გადმოსვლა ამიერკავკასიაში შეუძლებელი იყო და ვესპასიანეც შეეცადა მათი ეს როლი ალანთა გადმოყვანის საქმეში თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, რა ხასიათის ღონისძიებანი ჩაატარა ვესპასიანემ იმისათვის, რომ ალანები უვნებელი გაეხადა, ამაზე პირდაპირი ცნობები არა გვაქვს. ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტი, რომელსაც საკითხების ამ წრესთან უეჭველად მჭიდრო კავშირი აქვს. მხედველობაში გვაქვს 75 წ. ბერძნულ ენაზე შესრულებული წარწერა, მცხეთაში აღმოჩენილი, რომელიც გვაუწყებს, რომ ვესპასიანემ, მისმა შვილებმა ტიტემ და დომიციანემ „იბერთა მეფეს, მითრიდატეს... კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს და ხალხს კედლები გაუმაგრეს“<sup>2</sup>. ვესპასიანემ მითრიდატეს მცხეთის კედლები, რა თქმა უნდა, უნაგაროდ არ გაუყეთა. ამით, როგორც სამართლიანად შენიშნა მ. ინაძემ, ის ალანთა შემოსევის გზაზე ერთ ციხე-სიმაგრეს ამაგრებდა<sup>3</sup>.

1 Исторические записки, 1948 г. № 25, стр. 59 и сл., 66.

2 თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951 წ. 33-234-235.

3 მ. ინაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 51.

რომის მონათმფლობელური საზოგადოება ახ. წ. II ს-დან დაწყებული, კრიზისის მდგომარეობაში შედის. მისი სამხედრო ძლიერება სუსტდება და იგი დაპყრობითი ომებიდან თავდაცვით პოლიტიკაზე გადადის.

ამ პერიოდში იბერიაში შეიმჩნევა სამეურნეო განვითარების ზრდა, რასაც შედეგად სდევს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაც. რომის „ერთგული“ მოკავშირიდან ის თანდათან მის მტრად იქცევა. იბერია კვლავ იყენებს ალანებს, გადმოჰყავს ისინი და უბირისპირებს მათ რომაელებს, აოხრებინებს რომის ქვეშევრდომ ქვეყნების ტერიტორიებს. დიონ კასიუსის ცნობით, 135 წ. იუდეველთა ომის დამთავრების შემდეგ ატეხილ იქნა ომი ფარსმანთან კავშირში მყოფ ალანებთან. მათ ძალზე შეაწუხეს ალბანეთი და მიდია, თავს დაესხნენ არმენიას და კაპადოკიას, მაგრამ ვოლოგეზის საჩუქრებით დამაყოფილებულნი და კაპადოკიის მმართველ არდანეს მიერ შეშინებულნი, შეჩერებულ იქნენ<sup>1</sup>.

ფარსმანის რომში დიდი ამბით მიღება მაჩვენებელი იყო იმ უდიდესი მნიშვნელობისა, რასაც რომი იბერიას ანიჭებდა თავის აღმოსავლურ პოლიტიკაში. ფარსმანის დასაჩუქრება 500 მეომრითა და საბრძოლო სპილოთი რომის მთავრობის მოხერხებული მანევრი იყო იბერიაში ჯარის ჩაყენებისათვის. პირდაპირი აქტი ჯარის ასეთი ჩაყენებისა იბერია-რომის ურთიერთობას კიდევ უფრო გაამწვავებდა<sup>2</sup>.

რომის იმპერიის წინაშე ალანთა წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა II საუკუნეში მთელი სიმწვავეით ისმის. რომის მმართველი წრეები სპეციალურ ღონისძიებებს ატარებენ ალანთა მხრივ მოსალოდნელი საფრთხის სალიკვიდაციოდ. იმის შესახებ თუ რა ხასიათისაა ეს ღონისძიებანი, გარკვეულ წარმოდგენას იძლევა კაპადოკიის მმართველი არიანე — მსხვილი რომაელი მოხელე. მან გამაგრა რომის იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრები. მის მიერ დაწერილ წიგნში „ალანთა ისტორია“ არის ნაწყვეტი „დისპოზიცია

<sup>1</sup> СК. ВДП, № 2, 1948 г., стр. 276—277.

<sup>2</sup> მ. ინაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 61.

ალანთა წინააღმდეგ“, სადაც ალანთა წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკური პრინციპებია დამუშავებული. აღნიშნული დისპოზიციით გათვალისწინებულია, რომ ალანებთან საბრძოლველად რომელიც გარდა მონაწილეობას ღებულობდნენ მათ შორის რომელი მთელი რიგი ხალხები!.

აღნიშნული დისპოზიციის გაცნობა ექვს არ სტოვებს, რომ ალანებს გარკვეული სამხედრო-ტაქტიკური პრინციპები ჰქონდათ შემუშავებული ბრძოლისათვის. ეს პრინციპები, ჩანს, იმდენად მტკიცე და სერიოზული ხასიათისა იყვნენ, რომ მოწინააღმდეგე მათ გაცნობას და გათვალისწინებას აუცილებლად თვლიდა. აღნიშნული ნაწყვეტი სრული სახით არაა მოღწეული ჩვენამდე. ამიტომ ალანთა სამხედრო ტაქტიკაზე მსჯელობის შესაძლებლობა არ გვაქვს. ისე კი, თითქოს, ცხადია, რომ ალანი ტომების სერიოზული სამხედრო ძლიერება განსაზღვრავდა მათ როლს ამიერკავკასიის იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში.)

(ლეონტი პროველი აღნიშნავს კონფლიქტის წარმოშობას იბერთა მეფე ამაზასპსა (182-186 წ. წ.) და ოსებს შორის. „გარდამოვიდეს ოვსნი, სპანი დიდნი, გზასა დვალეთისასა. ხოლო ვერ იგრძნა ამაზასპ მეფემან გარდამოსვლა ოვსთა, ვიდრე გარდამოვლამდე მთისა. მოვიდეს ოვსნი და დადგეს ლიახუსა ზედა რვა დღე განსუენებად, და არა სადა განვიდა მარბიელი, რამეთუ ქალაქისა მცხეთისა შემუსვრად მოსრულ იყვნეს“<sup>2</sup>. რა იყო მიზეზი ამ თავდასხმისა, ლეონტი არაფერს გვეუბნება, იგი არც სხვა წყაროების დახმარებით ირკვევა. როგორც ჩანს, ამაზასპმა კავკასიონიდან ვადმოსასვლელი გზები გაამაგრა და ამით ოსების ინტერესებს შეეხო. ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობებს ქირის გარდა ოსებისათვის ნადავლიც მოჰქონდათ, ეს კი ოსთა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. მათი გამოუტარებლობა ვადმოსავალ გზებზე — ქართლის ტერიტორიაზე (აღებულ შემთხვევაში დარიალის გზაზე) ოსებს სერიოზულ მატერიალურ ზარალს აყენებდა. მათ ძველი მდგომარეობის აღდგენა მოისურვეს, მცხეთის — ამაზასპის სატახტო ქალაქის შესამუსრავად დაიძრნენ სხვა ვადმოსავალი

1 СК, ВДИ, № 1, 1948 г. стр. 280.

2 ქცა, გვ. 55.

გზით — დეალებით გზით. დარიალის გზა საგანგებოდ გამოარჩეულ-  
ლობის გამო შეუძლებელი იყო ამ მიზნით გამოდგომოდა ოსებს.  
სამხედრო შეტაკებამ ოსებს განაზრახი ჩაუტევა. ლეონტი კვთუ-  
ბით, ამზასპმა სამაგიეროს გადახდის მიზნით „წელსავე მოურსიქსაჲს“  
ერთი ძალი სომხითით, და შეკრიბნა სპანი თვსნი ყოველნი, და  
გარდავიდა ოსეთს და ვერ-ვინ წინააღუდგა და მოტყუენა ოსეთით,  
და მოვიდა შინა გამარჯვებულნი“<sup>1</sup>

(**ლეონტის წარმოდგენით, ამზასპი იოლად არ მოჰკიდებია**  
ოსეთში ლაშქრობას. მან არამარტო „სპანი თვსნი ყოველნი“ შეკ-  
რიბა, არამედ სომხეთიდანაც მოიშველია ძალა. მან მოაოხრა ოსეთი  
და დაბრუნდაო.) ამზასპის საბასუხო ლაშქრობას გადმოსავალ გზებ-  
ზე კონტროლის განმტკიცების ამოცანა ეკისრებოდა. ქართველი  
ისტორიკოსი სულხან ბარათაშვილი თავისებურად აფასებს ოსთა  
კონფლიქტს ამზასპთან. „ძარცვის სულისკვეთებით გატაცებულმა“  
ოსებმა მცხეთასაც კი ალყა შემოარტყესო. იგი ოსთა ამ გამოსვლას  
ოსთა აჯანყებას უწოდებს<sup>2</sup>.

ამ კონფლიქტს არა იმდენად ძარცვა, რამდენადაც სხვა უფრო  
ღრმა მიზეზი განსაზღვრავდა. ლეონტი მიუთითებს, რომ მარბიელი  
მათი არსად გავიდაო.

(**როცა ამზასპი შეიძულეს ქართველებმა „მესისხლეობის“ გა-  
მო (ლეონტი მროველი), ნამდვილად კი მისი თვითმპყრობელური  
მისწრაფებების გამო, „განდგეს ერისთავნი... ეგრისისანი, ერთი  
ოძრხისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა. ეზრახნეს ესე სო-  
მეხთა მეფესა, და ითხოვეს ძე მისი მეფედ, რამეთუ დისწული იყო  
ამზასპისი. მაშინ სომეხთა მეფე ძალითა მრავლითა წარმოემართა  
ქართლად და მოირთო ძალი საბერძნეთითაცა. და ეზრახნეს ოვსთა-  
ცა, ხოლო ოვსნი სიხარულით წარმოვიდეს, რამეთუ მესისხლე იყო  
ამზასპ მათი. და გარდამოვლეს გზა თაკურისა, და მოვიდეს  
ერისთავთა თანა ეგრისათა“<sup>3</sup>.**)

თუ ლეონტი მროველის აღნიშნული ცნობა სწორად ასახავს  
მოვლენათა მიმდინარეობას, მაშინ ცხადი ხდება, რომ ოსები ამჯე-

1 ქცა. I, გვ. 57.

2 С. Баратов, История Грузии, тетрадь I, стр. 75.

3 ქცა. I, გვ. 57.



რად მონაწილეობენ იმ შინაბრძოლაში, რომელიც გაძლიერდა საქართველოს მეფესა და ერისთავებს შორის, მეფე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელია, ერისთავები კი ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალებს განასახიერებენ. ეს საზღვარი ბუნებრივი მოვლენაა. ცენტრალური ხელისუფლებამ გამაგრების საკენ მიმართული ღონისძიებანი ყოველთვის აწყდება იმ ძალების გააფთრებულ წინააღმდეგობას, რომელთათვის საზიანოა იგი. ძლიერი ხელისუფლების შექმნა ერისთავთა ხელისუფლების შეზღუდვის ბაზაზე უნდა მოხდეს, მაგრამ ერისთავები იარაღს არ ყრიან, ყველა ღონისძიებას იყენებენ და გამარჯვებას აღწევენ. ლეონტი ბროველს ამ ბრძოლაში არამარტო ოსთა, არამედ ერისთავთა მონაწილეობაც ამაზასპის მესისხლეობით აქვს ახსნილი, მაგრამ **ოსებს** სულ სხვა ინტერესები ამოძრავებთ, ვიდრე სამაგიეროს გადახდის სურვილი და ერისთავების განდგომას იყენებენ როგორც ხელსაყრელ მოშენებს თავის ინტერესთა დასაკმაყოფილებლად. ეს ინტერესები ძირითადად გადმოსავალი გზების გარშემო იყრიან თავს. ამაზასპმა მათ ჯერ დარიალის გზა ჩაუყეტა. მაშინ ისინი დეაღეთის გზით (სამხედრო-ოსეთის გზა) გადმოდიან ქართლში, მაგრამ როცა მისი ჩაკეტვაც მოახერხა ამაზასპმა, ოსები მასზე დასავლეთით არსებულ გადმოსასვლელს — თაკვერის გზას იყენებენ (თაკვერის გზა ლეჩხუმზე გადმოდიოდა). ოსთა ლაშქარი ერისთავებთან შესაერთებლად თაკვერის გზით გადმოვიდა, მაგრამ ამ გზის არჩევა მხოლოდ იმიტომ არ მომხდარა, რომ ეგრისელებს შეერთებოდნენ. **ლაშქრის** შეყრის ადგილად დანიშნული იყო ქართლი და თუ ქართლში არსებული რომელიმე გადმოსავლით არ გადმოვიდოდნენ, ეს იმ მიზეზით, რომ ისინი ჩაკეტილი იყო. ეგრისში ჩადული ოსები გადმოდიან ქართლში. „ოსთა და მეგრთა გარდამოვლეს მთა მცირე, და შეკრბეს ივინი და ერისთავნი ქართლისანი განდგომილნი“<sup>1</sup>. ერისთავთა განდგომას უშედეგოდ არ ჩაუვლია. ოსთა დახმარებით მათ დაამარცხეს ამაზასპი. **კონკრეტულად** რა შედეგი მოჰყვა ოსთათვის ერისთავთადმი მხარდაჭერას, არ ჩანს, ოღონდ საფიქრებელია, რომ ძირითადი მიზანი, რამაც ისინი ამაზასპის წინააღ-

1 ქცა, I, გვ. 57.

დღე გამოიყვანა, მიღწეული იქნა — საუღელტეხილო გზებისა და მოყენების შესაძლებლობა მოიპოვეს.

ამრიგად, ოსები ქართველების მიერ არამართო გზებისა და მის წინააღმდეგ იყენებდნენ გამოყენებული, არამედ ხშირად მათივე ხელისა და იხუროდნენ ქართული საზოგადოების შიგნით გაშლილი კლასობრივი თუ შინაკლასობრივი ბრძოლისა. მეფის წინააღმდეგ ერისთავთა ბრძოლა შინაკლასობრივი ბრძოლის კონკრეტული გამოვლინებაა. რამელშიც ოსებიც აქტიურად მონაწილეობენ.

ქართველ-ოსთა აქტიური პოლიტიკური კავშირი არც შემდგომში წყდება. ოსები წარმოადგენენ მნიშვნელოვან სარეზერვო ძალას სპარსელთა წინააღმდეგ საქართველო-სომხეთის ბრძოლაში. ლეონტის მიხედვით, ქართველებისა და სომხებისათვის ოსთა სამხედრო დახმარება სისტემატურ ხასიათს ატარებდა. III ს. მეორე ნახევარში „კოსარო სომეხთა მეფემან უწყყო ბრძოლად ქასრე მეფესა სპარსთასა, და შეეწეოდა მას ასფაგურ მეფე ქართველთა, და ამან ასფაგურ განუხუნის კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანის ოგსნი, ლეკნი და ხაზარნი, და მივიდის კოსარო მეფისა თანა სომეხთასა ბრძოლად სპარსთა“<sup>1</sup>.

საქართველოსათვის ოსებს, როგორც მნიშვნელოვან დამხმარე სამხედრო ძალას, არასოდეს არ დაუკარგავს მნიშვნელობა. საგარეო მტრების წინააღმდეგ განუწყვეტლად მებრძოლი საქართველო მოკავშირეს საჭიროებდა. ასეთი შესაძლებელი მოკავშირე მისთვის იყო ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა, კერძოდ, ოსები, რომელთაც ცენტრალური ადგილი ეკავათ. ისინი მით უფრო სიამოვნებით მიდიოდნენ საქართველოს პოლიტიკური ინტერესების შესაბამის ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად, რომ ამას მათთვის მოჰქონდა ქირა, საჩუქრები და ნადავლი. „სამხედრო დემოკრატიის“ საფუძვლზე მდგომი ოსებისათვის, რომელთათვის, ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ომი და ომისათვის ორგანიზაცია ხალხის ცხოვრების რეგულარული ფუნქციები ხდება“, ასეთი ლაშქრობები სიძნელეს არ წარმოადგენდა.

სპარსეთი ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის ძალებს არ ზო-

<sup>1</sup> ქცა, I, გვ. 59.

გავდა. სომხეთის დაპყრობის შემდეგ ის უშუალოდ ქართლს დაემუქრა. „ვითარცა დაიპყრა სომხეთი სპარსთა მეფემან და შემოვიდა ქართლად, წარვიდა ასფაგურ ქართველთა მეფე ოვსეთს, რაოდენცა მოიმატნა სპანი ოვსეთით და განამაგრნა ციხე-ქალაქნი. ხოლო რა უამს შევიდა ასფაგურ ოვსეთს, ეწვია სიკუდილი და მოკულა მუნ“<sup>1</sup>. ეს ის ასფაგურია, რომელსაც კარგად ესმოდა სპარსელთა დაპყრობითი მიზნები ამიერკავკასიაში. როცა სპარსელები სომხებს ებრძოდნენ, ასფაგური დახმარებას უწევდა ამ უკანასკნელთ, როგორც თავისი, ისე ოსთა ჯარებით. მისი ვარაუდი გამართლდა. სომხეთის შემდეგ ქართლის ჯერი დადგა, ქართლის დაპყრობის გარეშე მათი მდგომარეობა სომხეთში მტკიცე ვერ იქნებოდა, რადგან ქართლი უმაგრებდა მას ზურგს. სპარსელთა წინააღმდეგ უშუალო საფრთხის წინაშე მდგარი ასფაგური პირადად მიდის ოსეთში ჯარის დასაქირავებლად, რომელიც ასე საჭირო იყო მისთვის ციხე-სიმაგრეთა გამაგრებისა და სპარსთათვის ღირსეული წინააღმდეგობის გასაწე-ვად.

ლეონტი მოგვითხრობს, რომ ასფაგური უმემკვიდროდ გარდაიცვალა. ქართლის დიდებულებმა სთხოვეს სპარსთა მეფეს მიეცა მათთვის შვილი მეფედ. სპარსელებისათვის ეს თხოვნა მისაღები იყო. შემთხვევითი არაა, რომ „გამოიკითხა სპარსთა მეფემან პირველად ქალაქისა მცხეთისა, და უთხრეს სივრცე და სიმაგრე მისი და მახლობელობა ხაზართა და ოვსთა“<sup>2</sup>. მხოლოდ ამ პირობების გაგების შემდეგ დათანხმდა სპარსთა მეფე თავის შვილის პირიანის გამეფებას ქართლში, „რამეთუ ყოველთა ქალაქთა სომხითისა და ქართლისათა, რანისა და მის კერძოთა, ყოველისა უფროსად და უმაგრესად გამოარჩია (მცხეთა გ. თ.) და მახლობელად ჩრდილოთა მტერთა, რათა ბრძოდის მათ მუნით და იპყრობდეს ყოველთა კავკასიანთა“<sup>3</sup>.

მართლა ჰქონდა თუ არა ადგილი ზემომოყვანილ საუბარს სპარსთა მეფესა და ქართველ დიდებულებს შორის, არ ვიცით, მცხეთა კი ნამდვილად ჩრდილო კავკასიიდან ქართლში გადმოსასე-

1 ქცა. I, გვ. 62.  
2 იქვე, გვ. 63.  
3 იქვე, გვ. 64.

ლელ გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი იყო აქედან  
კარგად შეიძლებაოდა გზის დაცვა და ჩრდილოეთის ტომთა თვით  
ნებური გადმოსვლების შეკავება.

სპარსთა მეფეს მცხეთა ჩრდილო კავკასიის ხალხთა მნიშვნელოვანი  
აქტიური, შეტევითი პოლიტიკის ფორპოსტად უნდა მდებარეობდა. ამისოდ მას  
გარკვეული ღონისძიებანიც კი გაუტარებია. მაშინ,  
როცა მირიან მეფესა და მის ძმას შორის დავა ატყდა სპარსეთის  
ტახტისათვის, „გარდამოვიდეს, ოვსნი ფეროშ და კავტია (ალბათ  
სპარსთა წაქეზებით, გ. თ.) და განრყუნეს ქართლი“. მირიანიც ვალ-  
ში არ დარჩენილა, „გარეს-გარ გარდავიდა ოვსეთს, მოტყუენა ოვ-  
სეთი და მიუწია ხაზარეთამღი, და გარდმოვლო გზა დვალეთისა და  
მოვიდა შინა“<sup>1</sup>.

უკვე V საუკუნეში, ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის ცნო-  
ბით, ოსები სარგებლობენ ვახტანგ გორგასალის მცირეწლოვანე-  
ბით, „გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართ-  
ლი თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოხრეს ველნი,  
არამედ ციხე-სიმაგრენი დაურჩეს, თვნიერ კასპისა, ხოლო კასპი ქა-  
ლაქი შემუსრეს და ტყუე ყვეს, და წარიყვანეს დაჲ ვახტანგისი მი-  
რანდუხტ, სამი წლის ქალი... განვლეს კარი დარუბანდისა, რამეთუ  
გზა ხცეს დარუბანდელთა, და შევიდეს ოვსეთს გამარჯვებულნი“<sup>2</sup>.

ქართლში შემოსასვლელი ძირითადი გზა დარიალის კარი  
ოსებს არც უცდიათ გამოეყენებინათ, რადგან იგი ძლიერ გამაგრე-  
ბული ყოფილა. ისინი მის დასავლეთით არსებული რომელიღაც  
ულელტეხილით გადმოსულან (შეიძლება დვალეთის გზით — სამ-  
ხედრო — ოსეთის გზით), უკან კი დარუბანდის კარით დაბრუნე-  
ბულან. ამ ლაშქრობას, ჯუანშერის თხრობას თუ დავემყარებით,  
მოჰყვა ქართლში ოსთა მნიშვნელობის ზრდა. ძველი მდგომარეობის  
აღსადგენად საჭირო გამხდარა მნიშვნელოვანი სამხედრო ზომების  
მიღება. გზების ჩაკეტვა აუცილებელი იყო საქართველოს სახელ-

1 ქცა, გვ. 68.

2 ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქცა, I, გვ. 145, 146.

მწიფობრივი ინტერესებისათვის — ჩრდილოეთით თავის ზღვარს უშიშროებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთის მხრით კარზე მომდგარ სპარსელთა წინააღმდეგ ომის დროს. ვახტანგს საკუთარი ძალები საკმარისად არ ჰქონდა ოსებთან საბრძოლველად, იშველიებს რანის ერისთავ ვარაზ-ბაკურსაც<sup>1)</sup> ჯუანშერს ძალიან ფანტასტიკურ ფერებში აქვს აღწერილი ვახტანგის მზადება ოსებთან ომისათვის და თვით ომის მიმდინარეობა. მან ურიცხვი ლაშქრით განვლო დარიალის კარი და მდ. თერგზე შეხვდა ოსთა ლაშქარს, რომელიც ასევე მრავალრიცხოვანი იყო. ამას მოსდევს ვახტანგის შერკინების ამბები თარხან-ხაზართან და ოს-ბაღათართან. (იმარჯვებს ვახტანგი. ბრძოლაში „იძლივნეს ოვსნი და ივლტოდა ბანაკი მათი“, ვახტანგის ლაშქარი კი „განიბნივეს ტყუენვად ოვსეთისა, შემუსრნეს ქალაქნი მათნი, და აღიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხვ“<sup>2)</sup>.)

(ქართველები და ოსები საბოლოოდ დაზავდნენ. რა მიზანი ჰქონდა ამ ლაშქრობისას ან ოსებს, ანდა ვახტანგს, ამაზე მოგვეპოვება „ქართლის ცხოვრებაში“ ვახტანგ გორგასალთან დაკავშირებული გვიანდელი ჩანართი: „ხოლო დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიალისად უწოდთ. და აღაშენა მასზედა გოდოლნი მალაღნი, და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი. არა ხელეწიფების გამოსვლად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თვნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“<sup>3)</sup>.)

ეს პატარა ჩანართი ქართველ-ოსთა კონფლიქტის თაობაზე ვახტანგის დროს ბევრ რამეზე მეტყველებს. ჩანართის ავტორს კარგად ესმოდა, რომ შეჯახება დარიალის კარების გარშემო მოხდა, ოსებს უნდა მოეხერხებინათ მისი გახსნა, რაკი ვახტანგი-სათვის ოსეთის კარის შექმნა საჭირო გამხდარა, მან შეუპოვარი ბრძოლით დაიბრუნა გასასვლელი (თერგზე ბრძოლა — გზის მიდამოებში სწორედ ამის მაჩვენებელია) და მასზე ციხე-სიმაგრეები ააგო (შეიძლება განაახლა, რადგან გზა მანამდეც გამაგრებული იყო) და ადგილობრივ მთიელ ტომებს დაავალა მისი დაცვა. ჩა-

1 ქცა, I, გვ. 150.

2 იქვე, გვ. 156.

3 იქვე, გვ. 156.

ნართში ყივჩაღთა ხსენება ანაქრონიზმია, რადგან V ს-ში ყივჩაღთა ხსენება ჩრდილო კავკასიაში ჯერ არც კი ყოფილა.

ჩრდილო კავკასიიდან გადმომავალ გზებზე საქართველო კონტროლის დამყარება ნიშნავდა ჩრდ. კავკასიელ ტყველდამცველ კუთრებით ოსთა; დაქვემდებარებას საქართველოს პოლიტიკური ინტერესებისადმი. ასეთ ვითარებაში საქართველოს შექმნილ თავისი პირობები ეკარნახებინა ოსებისათვის.

(ვანტანგ ვორგასალის შემდეგ ქართველ-ოსთა ურთიერთობის შესახებ ცნობები ქართულ წყაროებში გარკვეული ხნის მანძილზე შედარებით იშვიათია. ეს უნდა აიხსნას ერთის მხრივ იმით, რომ საქართველო დამპყრობელთა აგრესიის ობიექტად იქცევა და ქართველი ისტორიკოსებიც მთავარ ყურადღებას მათთან ბრძოლის ისტორიას უთმობენ. მეორეს მხრივ, ოსეთიც დამპყრობელთა თავდასხმების არეში ექცევა და მეზობელ ქვეყნებთან აქტიური ურთიერთობის საშუალება ესპობა.

აღმოსავლეთ საქართველოში სპარსელმა დამპყრობლებმა მოიკიდეს ფეხი.

დასავლეთ საქართველოში — ლაზიკაში ბიზანტიის გავლენა დამყარდა. ლაზიკის მეფეები იმპერატორების ვასალებს წარმოადგენდნენ და მათი ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა იყო ჩრდილო კავკასიიდან ლაზიკაში გადმოსასვლელი გზების (გზა აფხაზეთისა — ქლუხორის უღელტეხილით, გზა თავკვერისა, გზა დვალეთისა — მისი დასავლეთი განშტოება მამისონის უღელტეხილზე გამავალი) გამაგრება-დაცვა.

ამიერკავკასიაში გაბატონების სურვილი მოსვენებას არ აღეგნა ბიზანტიისა და სპარსეთის მესვეურებს. სპარსეთი ლაზიკის დასაპყრობად მისიწრაფოდა. ბიზანტია კი — ქართლის. ამ ნიადაგზე მათ შორის მეტოქეობა, რომელიც სისხლისმღვრელ ბრძოლებში გადაიზარდა, საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. სასანიდური სპარსეთი ქართლში მომძლავრების შემდეგ უშუალოდ დაემუქრა ლაზიკას, რომლის ხელში ჩაგდებაც ხელსაყრელი იყო მათთვის არა მარტო მისი სიმდიდრის გამო, არამედ მისი მნიშვნელოვანი სავაჭრო როლის გამოც. ლაზიკის ხელში ჩაგდებით სპარსელები შეძლებდნენ შავი და კასპიის ზღვების დაკავშირებას, მათ კი შავინდიდი სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდათ.

ბიზანტია დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის წიკონე ლაზიკას ადვილად ვერ შეეღეოდა. იმპერატორი იუსტინიანე 1 (527-565 წ. წ.) მსოფლიო იმპერიის შექმნაზე უკონცენტრირებლად ამიერკავკასიაში თავის სამფლობელოების შემდგომი განვითარებას ცდილობდა. სპარსეთის მეფე ზოსრო 1 (531-579 წ. წ.) აქტიური დაპყრობითი პოლიტიკის წარმოებას შეუდგა ამიერკავკასიაში. დაპყრობელთა ინტერესები ძლიერად შეეჯახა ერთმანეთს. მათგან არც ერთი არ ფიქრობდა მოპოვებული პოზიციების დათმობას. როგორც იყო. მათ შორის 532 წელს „საუკუნო ზავი“ დაიყარდა. ზავმა არსებული მდგომარეობა (ლაზიკა ბიზანტიას, ქართლი კი სპარსეთს ეკავა) ნორმალურად სცნო. მაგრამ აღნიშნული ზავი მხოლოდ სიტყვით იყო „საუკუნო“ და მისი საუკუნო ხასიათი არც მის ავტორებს სჯეროდათ. ისინი ემზადებოდნენ ომისათვის. 542 წელს ასეთი ომი კიდევ დაიწყო. საომარი ოპერაციების ასპარეზი ლაზიკა გახდა. ლაზებმა ამ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

ლაზთათვის, ცხადია, ბიზანტიაც და სპარსეთიც ორივე საძულველი მტერი იყო, არც ერთს მათთვის სასიკეთო არაფერი მოჰქონდა. მაგრამ ლაზებს აღებულ მომენტში არ შეეძლოთ რეალური წინააღმდეგობა გაეწიათ მტრებისათვის, რის გამოც მიმართავენ ერთი მტრის მეორე მტრის წინააღმდეგ გამოყენების პოლიტიკას. დაახლოვებას ცდილობდნენ მასთან, რომელიც ამა თუ იმ პირობებში ნაკლებად სახიფათო იყო მათთვის.

როცა ბიზანტიის ბატონობამ ლაზიკაში უხეში ფორმები მიიღო მათი მეფე გუბაზი სპარსეთს დაუახლოვდა და მისი ჯარები მიიწვია ბიზანტიის განსაღვენად. მაგრამ სულ მალე აღმოჩნდა, რომ სპარსეთს მათ მიმართ უფრო შავბნელი ზრახვები ამოქმედებდა (მოსახლეობის აყრა და გადასახლება, მათ ადგილზე კი სპარსელების დასახლება). ამან ლაზთა მეფე გუბაზი ისევ ბიზანტიისაკენ შენობარუნა. ახლა ლაზები და ბიზანტიელები ერთად ებრძოდნენ სპარსელებს.

ბიზანტია-სპარსეთის ამ მეტოქეობაზე ამიერკავკასიაში ყურადღებას ვაჩერებთ იმიტომ, რომ მას საქართველო-ოსეთის ურთიერთობის იმდროინდელი სურათის გასაგებად გარკვეული მნიშვნელობა აქვს. მათ ბრძოლაში ოსები-ალანები და ჰუნები ჩათრეულ

იქნენ. გუბაზ მეფეს ქირით გადმოჰყავდა ალანთა ლაშქარი და მათი დახმარებით ამაგრებდა საზღვრებს. ბიზანტიისა და გუბაზისათვის ალანებთან კავშირის დამყარება მარტო იმ მხრივ არ უყო საინტერესო რესო, რომ მათგან სამხედრო დახმარება მიეღოთ. მათთან კარგი ურთიერთობით ისინი ლაზეთის ტერიტორიული ხელშეუხებლობის გარანტიას იძენდნენ და ქართლში სპარსეთის კომუნიკაციების მოშლას ვარაუდობდნენ. პროკოპი კესარიელის ცნობით, გუბაზმა „კავშირში ჩაითრია ალანები და საბირები, რომლებმაც ალუთქვეს სამ კენდინარად არათუ აუოხრებლად დაეცვათ ლაზეთისათვის მათი მიწაწყალი, არამედ იბერიაც ისე გაეუკაცურებინათ, რომ სპარსელებს ამიერიდან აღარ შესძლებოდათ უყვე იქ მისვლა“<sup>1</sup>. აღნიშნული სამი კენდინარი გუბაზის თხოვნით იუსტინიანემ გაიღო და ცხადი ხდება, რომ ლაზიკის ალანებთან კავშირი ბიზანტიის თანხმობით ხდებოდა, მის პოლიტიკურ ანგარიშებსაც შეესაბამებოდა.

ალანებთან კავშირის უზრუნველყოფას ბიზანტიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამას მოწმობს ის, რომ VI ს-ში ბიზანტიელი ისტორიკოსები ამიერკავკასიაში ბიზანტია-სპარსეთს შორის გაშლილ ბრძოლასთან დაკავშირებით ყოველთვის იძლევიან ცნობებს ალანებზეც, როგორც ამ ბრძოლის აქტიურ მონაწილეებზე. ალანთა როლის გაგებაში ამ მოვლენებთან დაკავშირებით გვეხმარება ბრძოლის პროცესში თითოეული მოწინააღმდეგე მხარის ინტერესთა გააზრება. ალანები შეიძლება გამოყენებულ იქნან როგორც სამხედრო ძალა უშუალოდ სამხედრო ოპერაციებში გამოსაყენებლად, ასევე შეიძლება გამოყენებული იქნან მოწინააღმდეგის ზურგში შესაჭრელად და მტრის ძალების დასაბანდებლად.

ალანებთან დაახლოვებაში ბიზანტიის დიპლომატიის ძირითადი იარაღი იყო მოსყიდვა და მათ შორის ქრისტიანობის გავრცელება. იქნებ სწორედ ასეთი პოლიტიკის შედეგი ჩანდეს პროკოპი კესარიელის ასეთ ცნობაში: „იბერთა საზღვრებთან ახლოს, სადაც პირისპირ კავკასიის მთა თავდება, ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს, მათ შორის ალანებიც და აბასგებიც, რომლებიც ქრისტიანები არიან და ძველთაგანვე რომაელთა მეგობრები“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> გეორგიკა, II, გვ. 74-75.

<sup>2</sup> გეორგიკა, II, გვ. 72.





ალანთა ქრისტიანობა VI ს-ში სხვა მონაცემებით არ მტკიცდება, მაგრამ ის ფაქტი კი უეჭველია, რომ ალანთა მოქსეველებმა მთელი მეგობრებად გარკვეული საფუძველი ჰქონდათ ქრისტიანებისა, იმავე VI ს-ზე მოდის.

ბიზანტიის იმპერია ჩრდილო კავკასიელ ტომთა, განსაკუთრებით ოსთა, კეთილგანწყობილების შესანარჩუნებლად ყოველწლიურად დიდ თანხებს ხარჯავდა. არიგებდნენ ფულად საჩუქრებს. ფულის ერთ-ერთი ასეთი დარიგების შესახებ ცნობა მოვბოვება ავათია სქოლასტიკოსს. სოტერიქე (ბიზანტიელი მოხელე) მივიდა მისიმიანთა ქვეყანაში, რათა კეისრის სახელით მეზობელ ბარბაროს ტომებისათვის ფული დაერიგებინა. ამას ყოველწელს აკეთებდნენო. ამ დროს მისიმიელებს უფიქრიათ, რომ სოტერიქეს სურს ლაზეთის საზღვარზე აგებული ციხის — ბუქლოროსის ალანებისათვის გადაცემა, რათა გადაღმა ტომთა ელჩები იქ შეკრებილიყვნენ და საფასური მიეღოთ. ამის შემდეგ რომაელთათვის კავკასიის კალთების შემოვლა საჭირო აღარ იქნებოდა<sup>1</sup>. ბუქლოროსის (ქართ. ბუჯელეს) მდებარეობა გამორკვეული არაა. ის ლაზიკა-ალანეთის საზღვარზე უნდა ყოფილიყო აგებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ალანთათვის მის გადაცემას აზრი არ ჰქონდა.

კავკასიონის მთების სამხრეთ კალთებზე მცხოვრებ ადგილობრივ ტომებს, მაგ. მისიმიანებს და სხვებს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ბიზანტიისა და ლაზეთის ურთიერთობაში. მათთან კავშირის გარეშე საჭირო იქნებოდა კავკასიის მთების შემოვლა, რაც საგრძნობლად აძნელებდა ურთიერთობას. ეს გარემოება განსაზღვრავდა ბიზანტიის ურთიერთობის ხასიათს დასახელებულ ტომებთანაც.

მაგრამ რა დიდიც არ უნდა ყოფილიყო პატარა მთის ტომების როლი ბიზანტია-ალანთა ურთიერთობის საქმეში, ლაზიკა რჩებოდა მაინც ძირითად დამაკავშირებელ რგოლად მათ შორის. მთის ტომები შეტნაკლებად ლაზთა მეფის ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. შემთხვევითი არაა, რომ კეისრის ფულით გუბაზიჭირობს ალანებს. იგი ალანებს ხშირად იყენებს საკუთარი პოლი-

<sup>1</sup> გეორგიკა, III, 1936 წ. გვ. 86-87.

ტიკური ინტერესებისთვისაც. ამ მხრივ დამახასიათებელია გუბაზის მკვლელთა გასამართლებისას ბრალდებულ რუსტიკეს სიტყვა მარისის (ლაზიკის) სახალხო კრებაზე. ეს სიტყვა მოჰყავს ავტორი სკოლასტიკოსს. „მთელი ხალხი აჯანყების მოყვარულია და რუსტიკე. — მას ბარბაროსული წესის მიხედვით, ანასიათებს მისწრაფება არსებული წყობილების შერყევისადმი (ბიზანტიის ბატონობის დამხობისადმი — გ. თ.), მით უმეტეს, რომ ახლო ცხოვრობენ ისინი ვინც მათ მხარს დაუჭერს“<sup>1</sup>. რომაელთა დამარცხების შემთხვევაში გუბაზი „მაშინვე შიკრიკებს აფრენდა ხოლმე, რომ ცნობები მიეტანათ იბერიაში, სვანთა ტომისათვის, კავკასიის გადაღმა მცხოვრებ ბარბაროსთათვის“<sup>2</sup>. აქ იგულისხმებიან კავკასიის მთელი ტომები და ალანები, რომლებიც პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესებით იყვნენ დაკავშირებულნი დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობასთან.

ლაზიკის მეშვეობით ხდებოდა ალანთა წინამძღოლ საროდის ურთიერთობა იუსტინიანე კეისართან, მის შემდეგ კი მის შემკვიდრებთან. VI ს. ბიზანტიელი მწერლის მენანდრეს ცნობით, ავარები „ბევრი ხეტიალის შემდეგ მოვიდნენ... ალანთა ქვეყანაში და ემუდარებოდნენ ალანთა წინამძღოლ საროსის, რომ მისი საშუალებით გასცნობოდნენ რომაელებს, იმანაც (ე .ი. საროსიმ) აცნობა ავარების შესახებ იუსტინეს, გერმანეს შვილს, რომელიც იმ დროს ლაზიკაში მყოფ ჭარს წინამძღოლობდა, ხოლო იუსტინემ იუსტინიანე მეფეს. მეფემაც სტრატეგოსს დაავალა გამოეგზავნა ბიზანტიონში ავართა ელჩები“<sup>3</sup>.

მოყვანილი აღწერა ექვს არ ტოვებს, რომ საროსის კავშირი ბიზანტიელებთან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსავალი გზებით ხდება. ამ კავშირში ლაზთა როლი დიდი უნდა ყოფილიყო. ალანეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსასვლელი გზები ბიზანტიასთან ურთიერთობისათვის არ გამოდგებოდა, რადგან ისინი სპარსეთის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. და-

1 დასახ. ნაშრ. გვ. 150.

2 დასახ. ნაშრ. გვ. 147.

3 იქვე, გვ. 210.

რიალი და დარუბანდი ისე გაუმაგრებიათ სპარსელებს. რომ ვაჟ  
ნება-სურვილზე ეკიდა ჩრდილო კავკასიელი ტომების გადმოყვანის  
თუ შეჩერების საქმე. ამ ფაქტიურ მდგომარეობაზე შეყუთუნებული  
წელს ბიზანტია-სპარსეთს შორის დადებული ზავი ~~საქმე~~  
ველ დებულებად დაწერილი იყო, რომ სპარსელები ნებას არ აძლე-  
ვენ არც ჰუნებს, არც ალანებს, არც სხვა ბარბაროსებს ეგრეთწო-  
ლებული ჩორისა და კასპიის კარების შესავალი ვიწროებით გადა-  
ვიდნენ რომაელთა სამფლობელოს წინააღმდეგ, და რანაკვირველია,  
არც რომაელები გზავნიან ჯარს სპარსელების წინააღმდეგ არც ამ  
დღეილას და არც მიდიელთა სხვა საზღვრებზე<sup>1</sup>. დე-მოოროს ახს-  
ნით, კასპიის კარები დარიალის კარებია და ჩორის კარები კი და-  
რუბანდის გზის მნიშვნელობით უნდა გავიგოთ<sup>2</sup>.

იუსტინიანე კეისრის შემდეგაც გრძელდება ალანი ტომების  
ბიზანტიასთან მჭიდრო ურთიერთობა. 568 წელს კონსტანტინოპო-  
ლიდან შუა აზიაში არსებულ თურქთა კაგანატში საელჩო გაიგზავნა  
აღმოსავლეთის ქალაქების სტრატეგ კილიციელ ზიმარქის მეთაუ-  
რობით, რომელსაც ვვალეზოდა თურქთა კაგანატთან აბრეშუმით  
ვაჭრობის მოწყობა. მას ალანთა ტერიტორიაზე გავლა მოუხდა.  
იოანე ეპიფანიელი აღნიშნავს, რომ სპარსელებს სცოდნიათ ელჩო-  
ბის მარშრუტი და უცდიათ ხელი შეეშალათ მისთვის. „როდესაც  
თურქთა ელჩები მივიდნენ რომაელებთან და იუსტინე მეფემ ელჩე-  
ბი მიიღო და მათ გაბრუნებისას თან გააყოლა ზემარქე, სპარსელებ-  
მა გადასწყვიტეს ფულით მოესყიდათ ალანები, რომელთა ქვეყანა-  
ზე უნდა გაეგლოთ მათ“<sup>3</sup>. სპარსელების დაინტერესება ელჩებისათ-  
ვის ხელის შეშლით აიხსნება იმით, რომ ელჩობა სპარსეთის ინტე-  
რესების წინააღმდეგ იყო მიმართული. ბიზანტია იღებდა სპარსეთი-  
დან აბრეშუმის ნედლეულს, რომელიც ძალიან ძვირი უჯდებოდა,  
რის გამოც ცდილობდა მიეღო იგი სპარსეთის გვერდის ავლით.

1 დასახ. ნაშრ. გვ. 216-217.

2 იქვე. გვ. 217.

3 გეორგიკა: III, გვ. 196.

სოგდიელ (შუა აზიაში) ვაჭართა ხელით. სოგდია თურქთა კავანატიში შედიოდა<sup>1</sup>.

თურქთა კავანატიდან უკან დაბრუნებულ ზემარქს ჩების თანხლებით ისევ ალანთა ტერიტორიის გავლენა რომიმ იგი კეთილგანწყობილებით მიიღო, თურქებს კი იარაღის აკრა მოსთხოვა მიღების წინაპირობად. ამასთან „საროდიმ ურჩია ზემარქეს და მის კაცებს არ წასულიყვნენ მისიმიანთა ქვეყანაზე მიმავალი გზით, რადგან სვანეთის მახლობლად სპარსელები არიან ჩასაფრებულნი. შინ დაბრუნება უმჯობესია ე. წ. დარიანის გზით“<sup>2</sup>. ბიზანტიელ მწერალთა ცნობები ამ ელჩობებთან დაკავშირებით ჩვენთვის მრავალმხრივ საინტერესოა იმის მიუხედავად, რომ ქართველ-ოსთა ურთიერთობის შესახებ პირდაპირ ცნობებს არ შეიცავენ. მათგან ნათელი ხდება, რომ ალანთა ტერიტორიას VI ს.ში გარკვეული ეკონომიური მნიშვნელობა მოუპოვებია ბიზანტიის აღმოსავლეთთან სავაჭრო-საქარავნო გზების ცვლილებასთან დაკავშირებით. აბრეშუმის ნედლეულის ახალი წყაროების ძიებამ ბიზანტია შუა აზიაში მიიყვანა, მაგრამ მცირე აზიით მასთან ურთიერთობა შეუძლებელი იყო საქარავნო გზების სპარსეთის ხელში ჩავარდნის გამო. მაშინ იყენებენ კავკასიის მთიანეთზე გამავალ გზებს, რომლითაც ჩრდილო კავკასიაში გადადიოდნენ, იქიდან კი კასპიის ზღვის ჩრდილოეთის სანაპიროს შემოვლით, ვოლგის გადალახვით შუა აზიაში ჩადიოდნენ. ალანთა მმართველ ზედაფენას საროდის სახით კარგად ესმოდა ალანეთის ეს ახალი მნიშვნელობა, როგორც სატრანზიტო ვაჭრობის ცენტრისა და სხვა სახელმწიფოთა მხრივ მისდამი გაზრდილი ინტერესი. ისინი თვალყურს ადევნებენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. საროდი კარგადაა ინფორმირებული სპარსთა მდგომარეობის შესახებ საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში და სათანადო რჩევა-დარიგებით ხელს უწყობს ჩრდილო კავკასიის ეკონომიური მნიშვნელობის გაფართოებას. იგივე ფაქტი მოწმობს, რომ საქართველოსთან ოსეთის ურთიერთობა არასოდეს არ შემწყდარა და საქართველოს მტრების უღელქვეშ ყოფნის პერიოდშიც ოსთათვის თავისი ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

<sup>1</sup> Пягулевская, Византия на путях в Индию. 1951 г. М.—Л., стр. 194—216.

<sup>2</sup> გეორგიკა, III, გვ. 236.

საბოლოო, გაფრთხილება ზემარქის მიმართ, რომ სვანეთთან სპარსელები არიან ჩასაფრებული და დარიალის გზით უცეთესა მგზავრობა, სინამდვილეს შეესაბამება. სვანეთი ამ ქრონიკის დროს ნამდვილად სპარსეთის ხელში იყო, იგი მხოლოდ 575 წელს სპარსელებმა, ქართლიდან კი სპარსელთა განდევნა VI ს.-ის 60-იან წლებიდან დაიწყო. ისე, რომ აქედან მართლაც შეიძლებოდა უხიფათოდ კონსტანტინოპოლს ჩასვლა.

სამწუხაროდ, ამ პერიოდის საქართველო-ოსეთის ურთიერთობის შესახებ ქართულ წყაროებში ცნობები არ მოგვეპოვებთ. ეს პერიოდი მათში საერთოდაც სუსტად არის ასახული. ბიზანტიელი ავტორები კი ალანებთან კავშირს ბიზანტიის ინტერესებისა და პოლიტიკის თვალსაზრისით განიხილავენ. ამით აიხსნება, რომ მათ ნაწერებში იბერებისა და ლაზების (ეგრისელების) როლი ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ურთიერთობაში მიჩქმალულია. ნამდვილად, ყოველგვარი ურთიერთობა ბიზანტიისა თუ სპარსეთისა ალანებთან თუ სხვებთან, რასაც კი კავშირი ჰქონდა იბერიასა და ლაზიკასთან, ამ ქვეყნების ფაქტიური პატრონების გარეშე შეუძლებელი იყო მომხდარიყო. უკანასკნელნი ამ საქმეში თავის ზელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას (სიახლოვე) ყოველთვის თავის სასარგებლოდ იყენებდნენ. მტრების წინააღმდეგ აჯანყებისას თუ სხვა ხასიათის გართულებისას ამიერკავკასიის ხალხები ერთმანეთს ძმური დახმარების ხელს უწყვდიდნენ, ხოლო ოსები მათი საიმედო მოკავშირისა და რეზერვის როლს მტკიცედ ასრულებდნენ. თეოფანე ბიზანტიელი, როცა ეხება 572 წელს სპარსელებისაგან სომეხთა და იბერთა განდგომას, აღნიშნავს, რომ „არმენიელების მხარეზე იბრძოდნენ კოლხები, აბაზგები და ალანთა მეფე საროე“<sup>1</sup>.

გარდა ბიზანტიისა, ალანთა თავის პოლიტიკური ინტერესებისათვის გამოყენებას ცდილობდა სპარსეთიც. მისი ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული ამოცანა ქართლში დარიალის კარების ჩაკეტვა იყო. როცა 540 წ. ხოსროს ბიზანტიის ელჩები წარუდგნენ, იგი მათგან მოითხოვდა ფულს კარების დაცვის საზღაურად, ვინაიდან თუ მას ჩრდ. კავკასიური ტომები გადმოლახავდნენ, საფრთხე

<sup>1</sup> გეორგიკა, III, გვ. 258.

ბიზანტიის იმპერიის საზღვრებსაც ექმნებოდა. სპარსეთსა და რომის იმპერიას (რომლის მემკვიდრე აღმოსავლეთში ბიზანტია იყო) შორის 363 წელს დადებული ზავით კარები ორივე სახელმწიფოს საერთო ხარჯებით უნდა დაეცვათ. V ს-დან კარების დასაცავად სიმძიმე სპარსელებს დააწვათ თავზე, პუნთა ბატონსა და მათი მემკვიდრეები პერატორ ანასტასისათვის მცირე ფასად შეუთავაზებია დარიალის კარები, მაგრამ ვიდრე ანასტასი მისგან გამომდინარე სარგებლობას ასწონ-დასწონიდა, კავადმა დაასწრო და თვით ჩაიგდო ხელთ იგი<sup>1</sup>.

ბიზანტია-სპარსეთს შორის ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის ატეხილ ხანგრძლივი ომის დროს VI ს-ში ე. წ. კასპიის კარის საკითხი (პროკოპი დარიალის კარს კასპიის კარებს უწოდებს) მრავალჯერ იჩენს თავს ხან როგორც ომის დაწყების უშუალო საბაბი, ხან კი როგორც მებრძოლ მხარეთა შორის ზავის შეკერის ერთი ძირითადი პირობათაგანი.

გ. გოზალიშვილი ამ საკითხზე იმ აზრისაა, რომ კასპიის კარს VI ს-ში ის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, წინააღმდეგობა მოეპოვებოდა. ბიზანტიელთა მხრივ კარისადმი გულგრილობა, ხოლო ირანელთა მხრივ ამ მოთხოვნის (თანადაცვის) დასაბუთების განელება მართო იმით არ უნდა აიხსნებოდეს, რომ ბიზანტიელთათვის ძნელი, თითქოს შეუძლებელი იყო კარის ფაქტიურ დამცველად გამოსულიყვნენ, რაც საბოლოოდ მოუხერხებელი გახდა 532 წლის შემდეგ, როცა იბერიაში საბოლოოდ ბატონობდნენ სპარსელები. აქ უთუოდ სხვა რამ ვარაუდებებსაც უნდა ჰქონოდა ადგილი, რასაც თავისთავად უნდა შეემციებინა კასპიის კარის ოდესლაც უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა.

ეს გარემოება კასპიის კარის გადაღმა, ჩრდილოეთში უნდა ვეძებოთ... იქ ტომთა შორის რაღაც ცვლილებებს ჰქონიათ ადგილი (ამბობუქე სთავაზობს კარს ბიზანტიას, სპარსელები კი მას თვით იგდებენ ხელთ), რის შემდეგაც მათი ექსპანსია ამ მიმართულებით შეწყვეტილად<sup>2</sup>.

სამართლიანად მიგვაჩნია რა მკვლევარის შენიშვნა ბიზანტიის

1 გეორგიკა, II, გვ. 20.

2 კასპიის კარი. ენიშკის მოამბე, V-VI. 1940. გვ. 476-477.

მიერ კასპიის კარების დაცვისადმი ინტერესის განუღებლობა არ შეგვიძლია დავეთანხმეთ მას VI ს-ში კარების სტრატეგიული მნიშვნელობის შემცირების მტკიცებაში. კარებისადმი ბიზანტიის გულგრილობა, ხოლო სპარსეთის მოთხოვნის დასაბუთების განხორციელება კარების ერთად დაცვის შესახებ ნამდვილად გასაწყვეტი იყო იმით, რომ ბიზანტია კარების დაცვის საზღაურად სპარსელებისათვის თანხების მიცემის მაგიერ რაიმე სარგებლობას ვეღარ იღებდა: იბერიაში დასაყრდენი ბაზის უქონლობა ბიზანტიისათვის დარიალის კარებს ყოველგვარ მნიშვნელობას უკარგავდა. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა 532 წელს, როცა სპარსელები საბოლოოდ გაბატონდნენ იბერიაში. სპარსელებმა იგი მაგრად ჩაქეტეს. ამის შესახებ კავადი ბიზანტიის ელჩ რუფინთან შემდეგს განაცხადებს: „ჩვენ ვძლიეთ იქ მცხოვრებ ბარბაროსებს და დავიჭირეთ კასპიის კარები სპარსელთა და რომაელთა სასიკეთოდ, რადგან ანასტასიმ, რომაელთა ავტოკრატორმა მათი (კარების) ყიდვა ფულით არ მოისურვა, რათა იქ დიდი ჯარის ყოლით იძულებული არ ყოფილიყო დიდი ფული გაეღო ორივე მხარის გულისათვის. ჩვენ ხომ იქ იმდროიდან ჩაყენებული გვყავს დიდძალი ჯარი და ვინახავთ მას დღევანდლამდე, ამით თქვენ საშუალება მოგეცით გქონოდით მიწაწყალი, იქ მოსახლე ბარბაროსების მხრივ აწიოკებისაგან უზრუნველყოფილი“<sup>1</sup>. კავადი საქმეს ისე წარმოადგენს, თითქოს სპარსელები მათ ტერიტორიებსაც იცავდნენ კარების დაცვით. მაგრამ ბიზანტიის დიპლომატია ისეთი გულუბრყვილო არ ყოფილა, რამ ფული ეძლია სპარსელთა ჯარის შესანახად, რომელიც თავის საქმეს აკეთებდა და ფულის გადახდის შემთხვევაშიც არაფერი არ შეიცვლებოდა. ამირეკავკასიაში სპარსეთ-ბიზანტიის მეტოქეობა ექვს არ ტოვებდა, ასეთი მეტოქეობის პირობებში კი სპარსეთი არა თუ არ დაიცავდა ბიზანტიის ტერიტორიების ხელშეუხებლობას, არამედ ეცდებოდა ჩრდილო კავკასიელი ტომებიც ჩაეთრია ბიზანტიასთან ბრძოლაში. ბიზანტიას სიმძიმის ცენტრი გადააქვს ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელ იმ გზებზე, რომლებიც მის გავლენის ქვეშე მყოფ დასავლეთ საქართველოში გადმოდიოდნენ. ამ გზებით მას ქირით და სხვა დიპლომატიური ღონისძიებებით გადმოჰყავს ალანი

<sup>1</sup> გეორგიკა, II, გვ. 29-30.

და სხვა ტომების სპარსეთის წინააღმდეგ. ბიზანტიამ კარგად იცოდა, რომ სპარსელებს შეეძლოთ დარიალის კარი იმავე მიზნებით გამოეყენებინათ, მაგრამ გზის სიშორის გამო ეფექტური ჯომებების გამოყენება არ შეეძლო. მას ისედაც უჭირდა სპარსთა შეტევების წინააღმდეგ ზომების მიღება.

სპარსთა დაეინებითი მოთხოვნა კარების დაცვისათვის ფულის გადახდის შესახებ ბიზანტიისაგან სწორედ თანხების წაგლეჯას ისახავდა მიზნად.

დარიალის კარების დაცვის საკითხი იმპერიათა შორის 502 წ. ატეხილი ომის მხოლოდ საბაბი იყო<sup>1</sup>, რაც გზის სტრატეგიული მნიშვნელობის დაცემაზე არავითარ შემთხვევაში არ მეტყველებს. ასეთ დაცემას ადგილი რომ ჰქონოდა, სპარსეთი მის გამაგრებაზე ხელს აიღებდა და თანადაცვის მოთხოვნაც უაზრო გახდებოდა. თუ შეიძლება გზის სტრატეგიულ მნიშვნელობის დაცემაზე ლაპარაკი, ეს მხოლოდ ბიზანტიის მიმართ. გამოწვეული მისი ტერიტორიული სიშორით. სპარსელთათვის მას თავის მნიშვნელობა არ დაუკარგავს იბერიაში მათი ბატონობის მთელი პერიოდის მანძილზე. რაც შეეხება მკვლევარ გ. გოზალიშვილის მითითებას ჩრდილოეთ კავკასიაში, კასპიის კარების გადაღმა, მცხოვრებ ტომთა შორის რაღაც ცვლილებებზე, რამაც თითქოს გზის მნიშვნელობის დაცემა გამოიწვია, მასზე ჩვენ შევნიშნავთ, რომ იმ პერიოდში, როცა აღნიშნული მოვლენები მოხდა, ე. ი. VI ს. პირველ ნახევარში, რამდენადაც ამის თვალის გადავლება შეიძლება წყაროების ცნობებით, ჩრდილო კავკასიის ტომთა შორის ისეთ ცვლილებებს არ ჰქონიათ ადგილი, რომლებსაც შეეძლოთ გზის სტრატეგიული მნიშვნელობის დაცემის გამოწვევა. მებრძოლი მხარეები — სპარსეთიც და ბიზანტიაც ჩრდილო კავკასიიდან ღებულობენ ადამიანთა ახალ-ახალ რეზერვებს, საამისოდ ბიზანტია ფულს ურიგებს ყოველწლიურად ჩრდ. კავკასიულ ტომებს, ცდილობს ქრისტიანობაც გაავრცელოს მათში, რომ ამით უფრო განამტკიცოს თავის პოლიტიკური გავლენა მათზე. სპარსეთის გავლენას ძირი გამოუთნაროს, რომელიც თავის მხრივ დარიალის კარებით ალანურ ტომებს თავის მხარეზე იზიდავდა.

ერთი სიტყვით, სპარსელები ჩრდილო კავკასიის მცხოვრებთა

1 გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრ. ენიშკ-ის მოამბე, IV-V, გვ. 476, 477.





მიმართ მართო თავდაცვითი ღონისძიებით არ იფარგლებოდნენ და გაჭირვების უამს მათგან სამხედრო დახმარებასაც ეძიებდნენ. ბიზანტია-სპარსეთის 13 წლიანი ომის დროს (542-555) სპარსელებს ალანების გამოყენება მოუხერხებიათ. პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, რომ ხორიანეს, სპარსელთა სარდლის, ჯარში ალანები შედიოდნენ<sup>1</sup>. სპარსელები ყოველთვის ვერ ახერხებდნენ ალანთა ჩათრევას თავის სასარგებლო პოლიტიკურ კომბინაციებში. როცა მათ სცადეს საროდის მოსყიდვა, რათა მას ხელი შეეშალა ბიზანტიის ელჩებისათვის თურქთა კაგანატში გამგზავრების საქმეში<sup>2</sup>, პირიქით მოხდა. მან ბიზანტიის ელჩებს სპარსთა ჩასაფრების ადგილი გააცნო და უხიფათო გზაზე დააყენა. ამ შემთხვევაში ბიზანტიის დიპლომატია უფრო უნარიანი აღმოჩნდა, არ დაუშვა ალანთა სპარსულ ორიენტაციაზე გადასვლის შესაძლებლობა. ალანთა მმართველი ზედაფენის (საროდის მეთაურობით) მატერიალური ინტერესები ბიზანტიის მხრით მეტ დაკმაყოფილებას პოულობდა და მისდამი ორიენტაცია ამიტომაც მტკიცე იყო. <sup>1</sup>

VI ს. 70-იან წლებიდან კავკასიის ხალხთა ბრძოლას სპარსელების წინააღმდეგ ბიზანტია მხარს უჭერდა. ისარგებლა რა სპარსეთში ატეხილი ბრძოლით იმპერატორმა მავრიკემ 591 წელს ქართლი თბილისამდე მიიღო. ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველოც ბიზანტიის გავლენაში ექცევა და საქართველოს ალანებთან ურთიერთობაც ამიერკავკასიაში ბიზანტიის ინტერესების შესაბამის ხასიათს ღებულობს.

ქართლის სპარსელთაგან განთავისუფლების შემდეგ აზნაურ-წარჩინებულებმა თავისთვის სასურველი პირი — გუარამი განაჩინეს ერისმთავრად<sup>3</sup>. ბიზანტია გუარამის მეშვეობით ქართველებისა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა, პირველ რიგში ოსთა, ძალებით აგრძელებს სამხედრო მოქმედებას სპარსეთის წინააღმდეგ. „მაშინ ცეისარმან წარმოსცა განძი დიდი გუარამ კურაპალატისა თანა, და უბრძანა, რათა მით განძითა გამოიყვანნეს ჩრდილოს ლაშქარნი, და

1 გეორგიკა, II, გვ. 121, 123.

2 იოანე უმიფანიელი, გეორგიკა, III, 196, 199.

3 სუმბატ დავითისძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქცა, I, გვ. 374.

შეერთნეს თანა სპანი ქართველთანი, და შეგზავნეს სპარსეთს. სო-  
ლო გუარამ ყო ეგრე: გამოიყვანნა ოვსნი, ღურბუქნი და დიდონი,  
და წარუძღუანნა წინა ერისთავნი ქართლისანი, შევიდეს, და დაბრუნდეს  
განს, დაუწყეს ტყუენვად<sup>1</sup>.

ხიზაიროთქა

(ოსთა სისტემატური მონაწილეობა ქართველების მხარეზე  
ამიერკავკასიაში გაშლილ ბრძოლებში არ შეიძლება აიხსნას იმით,  
რომ ამით ოსები თავს იცავდნენ. ოსებს სამხრეთიდან დაპყრობის  
საფრთხე მაშინ არ მოელოდათ, ისინი დაინტერესებული თუ იყვნენ  
ქარების განსნის, საკითხით. იმიტომ, რომ ამიერკავკასიის ხალხებ-  
თან, განსაკუთრებით ქართველებთან ურთიერთობის საშუალება  
ჰქონოდათ, მოეწყობათ ლაშქრობები ნადავლის მოსაპოვებლად სამხ-  
რეთით მდებარე ოლქებში და სხვ. მაგრამ მთავარი ფაქტორი, რაც  
ოსებს კავკასიაში გაშლილი პოლიტიკური ამბების შუაგულში აყე-  
ნებდა, მთავარი ბიძგი სამხედრო ჭირა და ნადავლი იყო, რომელიც  
ომების ბუნებრივი შედეგი იყო აღნიშნული ხანისათვის. თვით  
ალანებში სიმდიდრისაკენ მისწრაფება ამ დროისათვის ძალზე შე-  
სამჩნევი იყო. საზოგადოებრივი განვითარების ის დონე, რომელ-  
ზეც მაშინ ალანები იმყოფებოდნენ, როცა კლასთა წარმოშობა ინ-  
ტენსიურად მიმდინარეობდა, აადვილებდა მათ გამოყენებას რო-  
გორც დაქირავებული ჯარისას. ერთი რამ კი შეიმჩნევა, რომ ოსები  
ჭირით — მოსყიდვის გზით უწყევნ დახმარებას ბიზანტიას და სპარ-  
სეთს. ქართველებთან ერთად მათი გამოსვლების შემთხვევაში ასე-  
თი მოსყიდვის დამადასტურებელი მონაცემები არ გავაჩნია, რაც  
გვაფიქრებინებს, რომ ქართველებთან დამოკიდებულებაში მათ  
ჰქონიათ სხვა რაღაც საერთო ინტერესებიც; რომელიც განაპირო-  
ბებდა ოსთა გამოსვლას ქართველთა რეზერვის როლში. ეს ინტე-  
რესები ეკონომიური ხასიათისა უნდა ყოფილიყო. რომლებიც ოსებს  
საქართველოს მიმართ ადრევე გაუჩნდათ. სამწუხაროდ ეკონომიუ-  
რი ურთერთობის სურათის შესაქმნელად მასალები არაა და ჩვენს  
ხელთ არსებული რამდენიმე ნაწყვეტი ცნობა რეალური ვითარების  
წარმოდგენას საგრძნობლად აძნელებს.

VI ს. დასასრულიდან ალანთა ურთიერთობა საქართველოსთან

1 ქუანშირი, ქცა, I, გვ. 219-220.

გარეშე ფაქტორების გავლენით სუსტდება. ამ დროს ჯერ თურქთა  
კავანატი, შემდეგ VII ს. დასაწყისიდან ხაზართა სახელმწიფო ავი-  
რობებენ ოსეთს. ხაზარები „ოსთა კარით“ — დარიალზე იქმნებოდა  
ქართლშიც. აღნიშნულ მოვლენებს ოსებისათვის უკვე აღსანიშნავია  
უვლიათ. მათ ოსთა როლი ჩრდილო კავკასიაში და ამდენად ამიერ-  
კავკასიის საქმეშიც საგრძნობლად დაასუსტეს. >

VII-VIII ს. ს. ოსები სამხრეთიდან — კავკასიის მხრიდან არაბ-  
თა მოწოლას განიცდიან. არაბებს ხაზარებთან ბრძოლის პროცესში  
უხდებათ შეჯახებანი ოსებთანაც, რომლებიც გადმოსავალი გზების  
მიდამოებში ცხოვრობენ. არაბები ცდილობენ დარიალის კარის ჩა-  
კეტვას, როგორც ამას თავის დროზე სპარსეთი აკეთებდა. არაბებს  
გზის ჩაკეტვით სურთ ხაზართა შემოსევების თავიდან აცილება, აგ-  
რეთვე არ დაშვება ოსთა ქართველებთან შესაძლებელი სამხედრო  
კავშირისა არაბთა წინააღმდეგ. არაბებს გარნიზონები ჩაუყენებიათ  
დარიალის ციხეში, კოდორის ხეობაში გადმომავალ გზაზე განლაგ-  
ებულ ციხეებში, რომელთა სტრატეგიული მნიშვნელობა სავსებით  
ნათელია — ჩრდილოეთიდან ხაზართა და ოსთა თავდასხმების თავი-  
ვიდან აცილება.

ოსები არაბთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი და სომეხი ხალ-  
ხის ერთგული მოკავშირენი იყვნენ. VII ს. შუა წლებში არმენია-  
ეების თემის პატრიკი არაბი სარდლის პაბიბის წინააღმდეგ იბრძვის  
ალანების, აფხაზებისა და ხაზარების მეშველ ჯარებთან ერთად<sup>1</sup>.  
ჩრდილო კავკასიის ტომთა ამ შესაძლებელ თავდასხმათა აცილებას  
ემსახურებოდა არაბთა სამხედრო ექსპედიციები დარიალის კარით  
ჩრდილო კავკასიაში შესაჭრელად. 723-725 წ. წ. ქართლში შემო-  
სული არაბი სარდალი ჯარაბ იბნ-აბდულაჰი, 724-25 წ. წ. იჭრება  
დარიალის კარით ჩრდილო კავკასიაში<sup>2</sup>. მიზანი ხაზართა წინააღმ-  
დეგ ბრძოლა იყო, მაგრამ იგი აქ მცნოვრებ ოსებსაც მთელი სისას-  
ტიკით ატყუებოდა, რის გამოც ოსები არაბთა მოსიხსნელ მტრებად  
იქცეოდნენ.

1 Баладэори. Книга завоевания стран, текст и перевод с /арабского,  
проф. П. К. Жузе, Баку, 1927 г., стр. 8;

შდრ. ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 376.

2 ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 371.

მურვან ყრუს შემოსევისას (736-738 წ. წ.) საქართველოს წარჩინებულები კავკასიის მთიანეთში აჯარებენ თავს, რის გამოც მან თავისი მახვილი იქითვე წარმართა. „ყოველნი მთავარნი და პეოლნი ტიახშინი, ნათესავნი ერისთავთა და წარჩინებულთანი კავკასიად, და დაიმაღნეს ტყეთა და ღრეთა. და მოვლო ყრუმან მთელი კავკასია, და დაიპყრა კარი დარიალისა და დარუბანდისა“<sup>1</sup>. მურვანმა სწორად გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ჩრდილო კავკასიის მეომარი ოსური მოსახლეობა ადვილად შეიძლებოდა გამხდარიყო არაბთა ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ხალხის მოკავშირე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ყოველთვის და, რათა ასეთი შესაძლებლობა (ეგებ უკვე რეალური ფაქტი) თავიდან აეცილებინა, ასევე ხაზართა შემოტრაც შეეკავებინა, დარიალის კარი დაიპყრო და გაამაგრა. ბალაძორი კარის დაპყრობას და მის მცველებად დივინის ხალხის ჩაყენებას ციხეში არაბ სარდალს იაზიდ იბნ-უსეიდ ას-სულამს მიაწერს, რომელიც 754 წელს ხალიფა აბუ-ჯაფარ აღ-მანსორმა არმენიის ვალიდ დანიშნა<sup>2</sup>.

როცა მურვან ყრუ დასავლეთ საქართველოშიც შეიჭრა და აფხაზეთი ააოხრა, „ერისთავი კეისრისა ლეონ შესრულ იყო ციხესა შინა სობლისსა, რომელ არს გარდასავალსა ოქსეთისასა“<sup>3</sup>. კავკასიის მთების ვიწრო და ძნელად მისადგომი ხეობები მათში აგებული ციხე-სიმაგრეებით საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდნენ ბტრებისაგან დევნილ ქართველებისათვის.

არაბების შეჭრა დასავლეთ საქართველოში იქიდან ბიზანტიის განდევნის მომასწავებელი იყო. კეისარი ადვილად არ თმობს მას, ცდილობს ალანთა მოქრთამვას და მათი შეჭრის მოწყობას აფხაზეთში, ეგრისსა და ქართლზე, რომლებიც ბიზანტიისადმი ურჩობის გზას დაადგნენ. თეოფანე ქამთაალმწერელის ცნობით ოუსტინიანე მეორემ 717 წელს სპათარი ლეონი (მომავალი იმპერატორი) „გაგ-

1 ქცა, I, გვ. 234.

2. Владзори დასახ. ნაშრ., გვ. 20; შრდ. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, მას. საქ. და კავ. ისტ. ნაკვ. 31, 1954 წ., გვ. 12.

3 ქცა, I, გვ. 235.

ზავნა ალანიაში; თან გაატანა დიდძალი ფული და დაავალა მას წყვეტებინა ალანები აბაზგიის წინააღმდეგ, იმ დროს, როდესაც სარკინოზებს ეპყრათ აბაზგიაც, ლაზიკეც და იბერიაც. ისინი კვებდნენ რა და, ლაზიკეში რომ ჩავიდა, ფული ფაზისში დასტკვდა. შესწავლის ვად, თან წაიყვანა რამდენიმე კაცი ადგილობრივთაგან და აფსილიაში წავიდა. შემდეგ გადალახა კავკასიის მთები და ალანიაში მივიდა<sup>1</sup>. კეისრის ცბიერ მოხელეს მოუხერხებია ალანთა აბაზგიაში შექრის მოწყობა, იმის მიუხედავად, რომ ალანები აცხადებენ: „ჩვენ ახლო ურთიერთობა გვაქვს მათთან (აბაზგებთან), ჩვენი ვაქრები განუწყვეტლად დადიან იმათ ქვეყანაში“<sup>2</sup>. )

( ბიზანტიის ცბიერი დიპლომატია დაპირებებისა და მოსყიდვის მეშვეობით ახერხებს ურთიერთობის გაფუჭებას ისეთ მეზობლური ურთიერთობით დაკავშირებულ ქვეყნებს შორის, როგორც აბაზგია (აფხაზეთი) და ოსეთი იყვნენ. ბიზანტიის ინტერესები ამ შემთხვევაში მდგომარეობდა იმაში, რომ აღედგინა არაბთა ბატონობის შედეგად შერყეული პოზიციები საქართველოში. ლეონის მისია სწორედ ამაში მდგომარეობდა. )

( საერთოდ, წყაროების სიმცირისა და ფრაგმენტულობის მიუხედავად, შეიმჩნევა, რომ VII ს-დან დაწყებული X ს. ჩათვლით გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებთან დაკავშირებით (ხაზართა მიერ ოსთა მძიმე პირობებში ჩაყენება, ნაწილობრივი დამორჩილება) ოსთა მონაწილეობა ამიერკავკასიის პოლიტიკურ მოვლენებში წინა პერიოდთან შედარებით სუსტდება. ხაზარ-არაბებთან ბრძოლა აბანდება მათ ძალებს ადგილზე, სავსებით კი მათი ტრადიციული კავშირი საქართველოს ნაწილებთან არ შემწყდარა. )

საქართველოში ბულა თურქის შემოსევისას (853 წ.) მის წინააღმდეგ გამოვიდა აფხაზთა მეფე თეოდოსი. მის წინააღმდეგ „ბულამ წარავლინა ზირაქ, სპასალარი ფკსი, და ბაგრატ, ძე აშოტ კუროპალატისა: შეიბნეს და გააქცივნეს აფხაზნი... და თევდოსი მეფე წარვიდა მეოტი გზასა დვალეთისასა“<sup>3</sup>. დვალეთის გზა ოსეთში გა-

1 გეორგიკა, IV, ნაკ. I, 1941 წ., გვ. 107-108.

2 იქვე, გვ. 108.

3 მატიაზე ქართლისა, ქტა, I, გვ. 256.

დადიოდა. ბუნებრივია, ამ გზით წასულ თეოდოსს სრული იმედი უნდა ჰქონოდა, რომ ოსები მას უხიფათოდ გაატარებდნენ და აფხაზეთში დაბრუნებაში ხელს შეუწყობდნენ. კავკასიის მთების შემოვლით ქართლიდან აფხაზეთში გადასვლის სხვა მაგალითებიც არაა ბოძს. ქართლის ერისთავი ნერსეც, არაბთაგან შევიწროებულ, „ოვსეთის გზით“ ხაზარებში ჩამოსული, აფხაზეთში გადადის<sup>1</sup>.

ბულა თურქის საქართველოში შემოსევის წინა ხანებში საქართველოს კავშირი ოსებთან რამდენადმე ისევ გამოცოცხლდა. ოსებს ქართველებისათვის არაბთა წინააღმდეგ მხარდაჭერა აღმოუჩენიათ, რის გამოც ბულას საკიროდ მიუჩნევია ოსების სამაგალითოდ დასჯაც (ოსები არა მარტო რეზერვს, არამედ საიმედო თავშესაფარსაც წარმოადგენენ არაბთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართველობისა). ქართალეთს მყოფი ბულა (არაგვის ხეობაში) „ლამოდა შესლვასა ოვსეთად, და შევედა ცხვანტამდის. ხოლო აბულაბაზ სომეხთა ერისთავმან და გუარამ ამოტის ძემან მიუწერეს მთიულთა, რათა არა შეუშუან. ხოლო მათ გაწირნეს მძევალნი მათნი. უშუელა ღრმერთმან; რამეთუ მივიდა თოვლი, დაუდგეს წინა და შეებნეს. მოსცა ღმერთმან ძლევა და მოკუდა ურიცხე ერი სარკინოზთა; და ცხენმან ძოვა იელი, და დაიხოცა ფრიალ“<sup>2</sup>.

არაბობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი და სომეხი ხალხი ბულას ოსეთში შეჭრის განზრახვას აფასებდა ამიერკავკასიაში არაბთა პოლიტიკური გეგმების თვალსაზრისით და ეს განზრახვა საშიშად მიიჩნია, რის გამოც ყოველის ღონისძიებით შეეცადნენ მის ჩაშლას. ბულას წარმატების შემთხვევაში ქართველებს ოსთაგან მხარდაჭერა და გაკირვების დროს საიმედო თავშესაფარი ესპობოდათ. არაბებმა პირველი მარცხის მიუხედავად კვლავ სცადეს ოსეთში შეჭრა. მომდევნო წელს ბულას ახალი ლაშქარი შეიჭრა ოსეთში. მან ამჯერად „დარიალანით გამოიყვანნა ოვსნი ვითარ სახლი ასო, და დასხნა იგინი დმანისს, და ენება ზაფხულს შესვლა ოვ-

1 კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 75

2 ქცა, I, მტნე ქსა, გვ. 256.

სეთად<sup>1</sup>. ბუღას, როგორც ჩანს, მხოლოდ ნაწილობრივ მიუღწევია მიზნისათვის, რაკი მეორე წელს აპირებდა ახალ ლაშქრობას, ამ ახალი ლაშქრობისათვის ნიადაგის მოსამზადებლად მან აიყვანა მძევლები ოსთაგან (ასეთივე მძევლები ჰყავდა კარებენს მიღაქორენს მცხოვრებ მთიულთაგანაც). მძევლების დანიშნულება იყო კარებით თავისუფალი შესვლის უზრუნველყოფა ოსეთში. ოსთაგან მძევლების აყვანით ბულა თურქი ვარაუდობდა საქართველოში ოსთა არაბების წინააღმდეგ შემოჭრის, ან ქართველთადმი მათი სამხედრო დახმარების აღკვეთას. საბედნიეროდ, მას მეორე წელს ოსეთში შესვლა აღარ დასცალდა.

უკვე VIII- ს-ის მეორე ნახევარსა და IX ს. დასაწყისში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების შედეგად მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში საქართველოს ტერიტორიაზე წარმოიშვა დიდი ფეოდალური სამეფო-სამთავროები — აფხაზეთის, კახეთის, ჰერეთის, ტაო-კლარჯეთის. რაც შეეხება ქართლს, აქ IX ს-ის დამდეგს არაბებმა ერისმთავრობა მოსპეს და ამის გამო ის შედარებით გვიან გამოვიდა ამ სამთავროთა რიგში. ამ ფაქტმა საქართველო-ოსეთის ურთიერთობაშიც გარკვეული თავისებურება შეიტანა. ოსეთი ამიერიდან ისეთ სამთავროებს უკავშირდება, რომელთაც მას საერთო საზღვარი აქვს და საამისოდ გამოსაყენებელი გზებიც აკავშირებს. ფეოდალურად დაქუცმაცებულ საქართველოში ასეთ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ აფხაზეთის სამეფო და ქართლი. ამის შედეგია ის, რომ ამიერიდან ოსების ურთი-

1 ქტა, I, გვ. 257. «ქართლის ცხოვრების» ზოგიერთი ვარიანტი ოსთაგან ვადმოყვანილ მძევლების რიცხვს 3000 კომლად სთვლის. 100 კომლია აღნიშნული ანასეულ, მარიამისეულ, პალაშვილისეულ. შაჰაბლისეულ ნუსხებში, აგრეთვე «ქართლის ცხოვრების» ძველ სომხურ თარგმანში. ასეთი სხვადასხვაობა «ქართლის ცხოვრების» ნუსხებში ადვილი წარმოსაშობი იყო გრაფიკულ ნიადაგზე, ვინაიდან ასომთავრული რ (= 100) ვადამწერლებს ადვილად შეეძლოთ წაეციხებინათ (= 3000). სწორია 100 კომლი, რაც სავსებით შეეფერება მათ დანიშნულებას — მძევლობას. 3000 კომლის მძველად აყვანა ოსთაგან შეუძლებელი იყო მათი საერთო დამარცხების გარეშე, ბუღას კი ისინი ვერ დაუმარცხებია და მეორე წელსაც ემზადებოდა ლაშქრობისათვის.

ერთობა საქართველოსთან მათს აფხაზეთის სამეფოსთან ურთიერ-  
ობაში ვლინდება.

სამთავროთა წარმოშობისთანავე საქართველოში მუყე, ქუჩუქუქი  
მიური განვითარების მოთხოვნილებათა შესაბამისად, გიგანტური  
ლება ხანგრძლივი ბრძოლა პირველობისათვის, რაც იმავდროულად  
იყო ბრძოლა საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროთა გაერ-  
თიანებისათვის. ბრძოლაში თითოეული მხარე საკუთარი შინაგანი  
რესურსების გარდა საგარეო ძალის გამოყენებასაც ცდილობდა.  
ოსები ამ ბრძოლის პროცესში აფხაზთა სამეფოს მხარეზე აღმოჩნდ-  
ნენ, რადგან საერთო საზღვრები და დამაკავშირებელი საულელტე-  
ხილო გზები („გზაჲ აფხაზეთისაჲ და სხე.) მათი დაახლოების ხელ-  
საყრელ პირობებს ქმნიდნენ.

888 წელს აფხაზთა მეფე ბაგრატი ტაო-კლარჯეთში თავის ცო-  
ლისძმის ნასრის გამეფებისათვის ებრძოდა ადარნასე მეფეს. უკა-  
ნასკნელს „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით სომხები და ქართლის  
მპყრობელი გურგენ კუროპალატი ეხმარებოდნენ. „შეიბნეს  
მტკვარსა ზედა; იძლიენეს აფხაზნი, მოკლეს ნასრა და ბაყათარ,  
მთავარი ოვისი, და ერისთავი აფხაზთა“<sup>1</sup>. ოსები ამ ამბებში მხოლოდ  
ბრძოლის შედეგებთან დაკავშირებით არიან ნახსენები, მაგრამ თა-  
ვისთავად ცხადია, მათ მონაწილეობას ომში განაპირობებდა აფხაზ-  
თა სამეფოსთან აღრიდანვე დამყარებული პოლიტიკური და ეკო-  
ნომიური ურთიერთობანი. აფხაზეთის მეფეები ოსებთან დამყარე-  
ბულ ამ მჭიდრო ურთიერთობას თავის პოლიტიკური ინტერესების  
მისაღწევად იყენებენ. ოსთა სიახლოვე, მიმოსვლის სიადვილე და  
ოსთა მნიშვნელოვანი პოტენციური სამხედრო ძალა აფხაზთა მე-  
ფეებს შესაძლებლობას აძლევდა მათი გამოყენებით საქართველოს  
გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში აქტიურად ჩაბმულიყვნენ.  
აფხაზთაგან ოსთა სამხედრო ძალების თავის სასარგებლოდ გამოყე-  
ნების შესახებ კონკრეტული ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება, მაგ-  
რამ თუ გავითვალისწინებთ იმ დიდ ინტერესს, რაც, ითანე მისტი-  
კოსის ცნობით, აფხაზეთის მმართველმა წრეებმა ოსთა ვაჭრისტი-  
ების ჩაქმეში გამოიჩინეს X ს. დასაწყისში, დავრწმუნდებით აფ-

1 ქცა. I. მტნე ქსა, გვ. 261.



ხაზეთის ფეოდალური ზედაფენების მხრივ ოსებთან ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების ცდების აქტიურობაში.



IX-X ს. ს. ოსეთის პოლიტიკური აღმავლობის წინააღმდეგ დროს იქ იქმნება ძლიერი სახელმწიფოებრივი ტერიტორიები. მელიც ბიზანტიის სამეფო კარის გაძლიერებული ინტერესის საგანი ხდება. ბიზანტია დაინტერესებული იყო ხაზართა გამაუფლებელი ძალის გამონახვითა და თავისი ჩრდილოეთის საზღვრების განმტკიცებით. ასეთ ძალად ბიზანტიას მიაჩნდა გაძლიერებული ალან-ოსები.

აფხაზთა მეფე ალანების გაქრისტიანებით თავის ღვთისმოსაობის გამო კი არ იყო დაინტერესებული, არამედ აქედან გარკვეულ პოლიტიკურ სარგებლობას გამოელოდა. ქრისტიანობას იდეოლოგიურადაც უნდა განემტკიცებინა ოსთა უძველესი კავშირი აფხაზეთთან უკანასკნელის გავლენის ზრდის საფუძველზე და უფრო მეტად გამოეყენებინა მისი სამხედრო რესურსები თავის ინტერესთა დასაკმაყოფილებლად.

X ს. ში კიევის მთავრის სვიატოსლავის ლაშქრობებმა (965-966 წ. წ.) ხაზართა კაგანატს ბოლო მოუღო. ამიერიდან ჩრდილო კავკასიაში ალან-ოსთა სახელმწიფოს პოლიტიკური ძლიერება სწრაფი ზრდის გზით წავიდა. X-XI ს. ს. ოსთა სამეფო ჩრდილო კავკასიაში საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო ორგანიზაცია იყო, რომლისათვის ახგარიშის გაწევა უზღებოდათ მის მეზობელ ქვეყნებს.

აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა საქართველო-ოსეთის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება.

#### § 4. საქართველო-ოსეთის კულტურული ურთიერთობა

ჩრდილო კავკასიის მოსახლეობას უძველესი დროიდანვე მჭიდრო ეკონომიური და კულტურული კავშირი ჰქონდა გარესამყაროსთან, განსაკუთრებით კი ამიერკავკასიასთან.

ჩვენი წელთაღრიცხვის დამდგვიდან ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრები ოსები მჭიდრო პოლიტიკურ ურთიერთობაში იმყოფებიან იბერიის სახელმწიფოსთან. ამ ურთიერთობის პროცესში არ შეიძლებოდა კულტურულ მომენტებსაც თავი არ ეჩინათ. საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანა იყო, რის

გამოც მისი გავლენა მეზობელ ხალხებზე ადვილად ხორციელდებოდა.

ოსები ენის მხრით ინდოევროპელები არიან, კულტურის მხრით კი ტიბურ კავკასიელები (ე. კრუპნოვი). ის ადგილებზე ტომები, რომელთა ენობრივი ასიმილაციაც მოსულმა სარმატომა-ალანებმა მოახდინეს, ენობრივად იბერიულ-კავკასიურ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა მონათესავენი იყვნენ. ოსებმა (ალანებმა) ამ ადგილობრივ ტომთა კულტურის დიდი ზეგავლენა განიცადეს. რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ისინი მატერიალური და სულიერი კულტურის მხრივ კავკასიელები გახდნენ.

ჯერ კიდევ სტრაბონი აღნიშნავდა იბერიის მთიანი ზოლის მოსახლეობის ყოფაცხოვრების მსგავსებას მეზობელ სკვითურ-სარმატული ტომების ყოფაცხოვრებასთან, რომლებთანაც მათ, სტრაბონის აზრით, მეზობლობაც და ნათესაობაც აქვთ<sup>1</sup>. მათი მჭიდრო ურთიერთობა უკვე ახ. წელთაღრიცხვის დამდეგს უცხო დამკვირვებლისათვისაც შესამჩნევი ყოფილა.

იმის მიუხედავად, რომ ალანებმა ადგილობრივი კავკასიური ტომების ენობრივი ასიმილაცია მოახდინეს, გაავრცელეს რა მასზე თავის ინდოევროპული ენა, მაინც განიცადეს კავკასიურ ენათს გარკვეული ზეგავლენა. ოსური ენის ბგერით სისტემაში შევიდა ტიბურ კავკასიური ბგერები და ბგერათა რაოდენობით ქართულსა და სომხურ ენებს დაუახლოვდა. ინდოევროპული ენები ბგერათა სიმცირით ხასიათდებიან. კავკასიურ სამყაროდან შევიდა ოსურ ენაში ყელბჭული თანხმოვნები: კ, ჰ, ტ, წ, ჰ<sup>2</sup>.

ოსურმა ენამ კავკასიური ენების გავლენა მარტო ფონეტიკის სფეროში კი არ განიცადა, არამედ მორფოლოგიაშიც. ინდოევროპულ ენებში არსებით სახელთა ბრუნება ფლექციურია — მხოლოდითსა და მრავლობითში ბრუნვათა დაბოლოებანი სხვადასხვაა. ოსურში კი იგი აგლუცინაციური გახდა კავკასიურ ენათა მსგავსად; როცა მხოლოდითსა და მრავლობით რიცხვებში ბრუნვების დაბოლოებანი ერთნაირია, ოღონდ მრავლობითში ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის ემატება მრავლობითობის ნიშანი.

1 ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 148;

თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 128.

2 В. Дбаев, Осетинский язык и фольклор, I, стр. 25.

ქართველ-ოსთა ურთიერთობის შედეგი ნათლად აისახა აღნიშნულ ენების ლექსიკაში. უამრავი კავკასიური სიტყვაა ოსურ საოჯახო მოწყობილობის სახელწოდებებში, მიწათმოქმედებაში, ბაღეობა-მეხობის, ქრისტიანული კულტის, სხვა ტერმინებში<sup>1</sup>.

ეს არც არის გასაკვირი. ოსური ენა და კულტურა ორი ეთნიკური კულტურის ურთიერთმოქმედების და ურთიერთშეღწევის პროცესში ჩამოყალიბდა. ამის გამო ორივე კულტურა სათანადოდ აისახა მასში, იმის მიუხედავად, რომ ამ პროცესში გამარჯვება ხვდა ირანულ ენას. ოსურმა ენამ ადგილობრივ ენობრივ სამყაროდან ქარბად აითვისა მისი ცალკეული ელემენტები, მაგრამ ძირითადად იგი ინდოევროპული დარჩა როგორც ლექსიკის, ასევე ფონეტიკის, მორფოლოგიის და სინტაქსის სფეროშიც. ოსურმა ენამ ქართულ—კავკასიურ ენებიდან აითვისა ის ტერმინები, რომლებიც მიაღწია ლექსიკაში არ არსებობდა.

ქართულ-კავკასიური ენების ოსურ ენაზე მოხდენილი გავლენა ზაუკუნეების მანძილზე ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა თანაცხოვრების და ურთიერთკავშირის შედეგი იყო.

საქართველო-ოსეთის კულტურული ურთიერთობის საკითხის ჩვენებისათვის პირდაპირი მასალები არ მოგვეპოვება. ჩვენ იძულებული ვართ არაპირდაპირი მასალების მოშველიებით შევეცადოთ ნაწილობრივ მაინც ავსახოთ ურთიერთობის ეს მნიშვნელოვანი მომენტი.

თავისთავად ცხადია, რომ ქრისტიანული რელიგიის გავრცელებას ოსეთში შედეგად მოჰყვა საქართველოსთან მისი კულტურული კავშირის განმტკიცება. ოსთა გაქრისტიანების საკითხებზე ძველ მკვლევრებს მცდარი აზრი ჰქონდათ და, ამის შესაბამისად, ქართველ-ოსთა კულტურული ურთიერთობის საკითხებიც ასევე მცდარად ჰქონდათ გაგებული.

ხარკოვის არქივისკომპოსი მაკარი თვლიდა, რომ ანდრია მოციქულის ქადაგებას ოსეთში (I ს. ახ. წ.) მოჰყვა ქრისტიანობის

<sup>1</sup> История Осетии, макег, стр. 29.

გავრცელება, ოღონდ იგი ვაბატონებულ რელიგიად არ ქცეულა.  
[დოქტორ პაფფის აზრითაც, ოსები I ს. მომზადებულნი იყვნენ ქრისტიანობის მისაღებად, რის გამოც გაიშალა იქ ანდრია, მოციქულის ქადაგება. შემდეგში, სამხრეთ ოსები IV ს. პირველ ნახევარში წმინდა ნინომ გააქრისტიანაო?]

ოსების გამაქრისტიანებლად წმინდა ნინოს ასახელებენ: დ. ლავროვი ნარკვევში: «Заметки об Осетии и Осетинах»<sup>3</sup> ს. ფარფოროვსკი სტატიაში «Народное образование у осетин»<sup>4</sup>

[ზ. ჭიჭინაძის აზრით, ოსეთის ეკლესია სამოციქულო ეკლესიაა, რადგან ანდრიამ იქადაგა იქ, აყურთხა მღვდელ-მთავრად ოსეთში ვინმე მატათა, ხოლო წმ. ნინომ ოსეთი საბოლოოდ გააქრისტიანა<sup>5</sup>. მასვე უეჭველ ფაქტად მიაჩნია ვახტანგ გორგასალის შიერ ოსთათვის საეპისკოპოსო კათედრის დაარსება ნიქოზში V ს-ში. აქლებულობდნენ ოსეთში მომუშავე მღვდლები კურთხევასო.]

[აღნიშნულ მკვლევართათვის ქრისტიანობის გავრცელება უბრალო გარეგნულ ფაქტორებზეა დამოკიდებული (ცალკეულ პირთა ქადაგებაზე) და ქვეყნის შინაგან სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ამიტომაც მათი თვალსაზრისის გაზიარება შეუძლებელია.]

[ოსთა გაქრისტიანება, ისევე როგორც ყველა სხვა ხალხისა, ერთდროული აქტი არაა. იგი შედეგია ხანგრძლივი პროცესისა, როცა მის მისაღებად შინაგანი განვითარების თვალსაზრისით პირობები უკვე მომწიფებულია. ქრისტიანული რელიგია კლასობრივ-საზოგადოების რელიგიაა და, ბუნებრივია, იგი მანამდე ვერ გაიკავფედა გზას, ვიდრე მისი შესაბამისი კლასობრივი ურთიერთობანი არ ჩამოყალიბდებოდა. [აკად. ს. ჯანაშია თვლის, რომ „ნიადაგი

1 История христианства в России до равнозностельного князя. Владиуира (второе издание), Сиб., 1869 г., стр. 85,87.

2 ССКГ, вып. IV. 1870 г., стр. 31.

3 СМОНПК, вып. III. 1883 г., стр. 200.

4 Журнал Министерства народного просвещения, 1917 г., январь, стр. 88.

5 ოსეთის ისტორია, გვ. 44, 62, 63, 67.

ქრისტიანობის გავრცელებისათვის... იყო ფეოდალური ურთიერ-  
ობების განვითარება. ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად  
ქრისტიანობა ხელ-ხელა იპყრობს მთელ კავკასიას. ამ მხრიდან ჩვენ  
ლო კავკასიაში, რა თქმა უნდა, უკანასკნელ რიგში შევიღო ქრისტიანობა.  
ნობა, იმიტომ, რომ აქ ყველაზე ნელი ტემპით ვითარდება ეს ახალი  
საზოგადოებრივი ურთიერთობა. ამ შემთხვევაში, ბაზა, ასე ვთქვათ,  
ამოსავალი წერტილი ქრისტიანობის გავრცელებისათვის ჩრდილო  
კავკასიაში არის უკვე საქართველო — ჯერ აფხაზთა სამეფო, შემ-  
დეგ — საქართველოს ფეოდალური მონარქია<sup>1</sup>.

ამიტომაცაა, რომ ოსეთში ქრისტიანობის გავრცელების სა-  
კითხის გასარკვევად რომელიმე მისიონერის, თუნდაც იგი „მოცი-  
ქული ანდრია“ იყოს, ქადაგების ფაქტს არსებითი მნიშვნელობა  
არა აქვს.)

ვინაიდან ოსეთში ქრისტიანობის გავრცელება საქართველოს  
მეშვეობით ხდება, ეს კი მათი კულტურული ურთიერთობის ხასია-  
თის საკითხის საჩვენებლად საინტერესოა, ამიტომ ოსთა გაქრის-  
ტიანების პროცესს მოკლედ მაინც გავაღვივებთ თვალს იმ მწირო  
ცნობების საფუძველზე, რომლებიც მოგვეპოვება.

ოსეთში ქრისტიანობის ქადაგების VI ს-ზე აღრინდელი ცდე-  
ბის შესახებ ცნობები მხოლოდ საეკლესიო გადმოცემებშია დაცუ-  
ლი<sup>2</sup>. შედარებით სარწმუნო ცნობები ჩვენ VI ს-დან გვაქვს და აქე-  
დანვე დავიწყებთ მის თვალის გადევნებას.

VI ს. ბიზანტიელი მწერალი პროკოპი კესარიელი „სპარსე-  
ლებთან ბრძოლის ისტორიაში“ წერს: „იბერთა საზღვრებთან ახ-  
ლოს... ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს, მათ შორის ალანებიცა  
და აბასგებიც, რომლებიც ქრისტიანები არიან და ძველთაგანვე რო-  
მაელთა მეგობრები“<sup>3</sup>. აბასგები, მისი ცნობით, VI ს-ში გაქრის-  
ტიანდნენ<sup>4</sup>. ამავე დროს ვარაუდობს იგი ალანების (ოსების) გაქ-  
რისტიანებასაც.

პროკოპის მიხედვით, ალან-აბასგთა რომაელებისადმი მეგობ-

1 შრომები, ტ. I, გვ. 245.

2 История христианства в Роесии... стр. 86.

3 გეორჯიკა, II, გვ. 72.

4 იქვე, გვ. 105.

რობა თავის ერთ-ერთ გამოხატულებას მათ მიერ ქრისტიანობის მიღებაში პოულობს. ასეთი მდგომარეობა ბიზანტიის მთავრობისათვის სასურველი იყო და მის განსახორციელებლად ცდას არაკლებდა.

რატომ აინტერესებდა ბიზანტიას კავკასიის ხალხებს შორის რიგში ალანთა, გაქრისტიანება? VI ს.-ე ბიზანტიის ისტორიაში ხასიათდება მსოფლიო იმპერიის შექმნის გეგმებით, რაც იმპერატორ იუსტინიანე I (527-565 წ. წ.) სახელთანაა დაკავშირებული. ამ გეგმებში ამიერკავკასიის ქვეყნებს დიდი ყურადღებუ ექცეოდა. მაგრამ ბიზანტიის დამპყრობლური ინტერესები აქ სპარსეთის ასეთსავე ინტერესებს შეეჯახა და დაუპირისპირდა. დაიწყო ხანგრძლივი, მწვავე და ცვალებადი წარმატებით მიმდინარე ბრძოლა ორ დამპყრობელს შორის ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის. ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხები ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდნენ როგორც ერთ, ისე მეორე დამპყრობელს, მაგრამ რაკი მათი მოგერიება არ შეეძლოთ, ირჩევდნენ ხოლმე მის მხარეზე გადასვლას, რომელიც აღებულ მომენტში ნაკლებ საფრთხეს უქმნიდა მათ პოლიტიკურ არსებობას.

ბიზანტიას კავკასიის გარდა ბრძოლების წარმოება უხდებოდა დასავლეთშიც. იტალიაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა, ღუნაის ხაზზე სლავებთან და პუნებთან უხდებოდა ბრძოლა. თვით იმპერიის შიგნით მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის გაშლილი ბრძოლა ქვეყნის ძლიერებას ასუსტებდა<sup>1</sup>.

ასეთ პირობებში ბიზანტიას ან ხელი უნდა აეღო მსოფლიო იმპერიის შექმნის ფანტასტიკურ გეგმებზე, ანდა მთელი თავისი სამხედრო, დიპლომატიური და იდეოლოგიური შესაძლებლობანი გამოეყენებინა თავის პოლიტიკური მიზნებისათვის. მან უკანასკნელი გზა აირჩია.

ბიზანტიის დიპლომატია ქრისტიანობის გავრცელებას სამართლიანად აფასებდა როგორც ამა თუ იმ ქვეყანაზე პოლიტიკური გავლენის დამყარების იარაღს. მას მოწინააღმდეგე ძალები მოკავშირედ უნდა გარდაექმნა და ბიზანტიის პოლიტიკური ინტერესები-

<sup>1</sup> М. В. Левченко, История Византии (краткий очерк), 1940 г. М., стр. 79.

სათვის მებრძოლთა რიგებში ჩაეყენებინა. იუსტინიანეს დროს კასიაში ასეთ ძალებად გამოიყურებოდნენ აბასგები და ალანებ-ოსები.

ქრისტიანობა

ამრიგად, ბიზანტია VI ს. მიმართავს ალანთა ენერგიულ ცდებს. ეს ცდები, ჩანს, არც თუ წარუმატებელი ყოფილა. ალანთა მმართველი წრეები ამიერიდან მჭიდრო პოლიტიკურ კავშირში იმყოფებიან საიმპერიო ხელისუფლებასთან. ალანთა ბელადი საროსი სპარსელთა ინტრიგების მოუხედავად მტკიცედ დგას ბიზანტიურ ორიენტაციაზე, რაშიც, შესაძლებელია, ქრისტიანობას გარკვეული ადგილი ეკავა.

აღებულ პერიოდის ბიზანტია-ოსეთის ურთიერთობა, საქართველოს მეშვეობით წარმოებული, შეუძლებელია მხოლოდ სამხედრო ხასიათისა ყოფილიყო. მას თან ახლდა მეტნაკლებად რეგულარული ეკონომიური და კულტურული ურთიერთობანი. ასეთივე ხასიათის ურთიერთობანი სპარსულ და, შემდეგ, არაბულ სამყაროსთანაც ხდებოდა.

ალან-ოსთა გაქრისტიანებისათვის დასაყრდენი ბაზაც არსებობდა. ლაზიკა-აფხაზეთი და შავიზღვისპირა ადიღეური ტომები გაქრისტიანებული იყვნენ და ალანეთი კი მათი უშუალო მოსახლერე ქვეყანა იყო. არქეოლოგიური მასალები ნალჩიკის რაიონიდან (კატაკომბების კედლებზე ჯვრების გამოსახულება VI-VII ს. ს.),<sup>1</sup> რიმ-გორაზე (კისლოვოდსკთან) VII-VIII ს. ს. დათარიღებული ქვის ჯვარის აღმოჩენა მოწმობს, რომ ძველად აქ მოსახლე ალანურ ტომებში ქრისტიანობის ელემენტები საკმაოდ ძლიერად იყო შექრილი. ქრისტიანობის გავრცელების ინიციატივა რომ ბიზანტიიდან მომდინარეობდა, ამას მოწმობს ოს ხალხში დარჩენილი ტრადიცია ზოგიერთი ძველი ტაძრის აგება იუსტინიანეს მიაწერონ. დიგორიაში ერთი ტაძარი იუს-ძუარად (იუსტინიანეს ტაძრად) იწოდება.<sup>2</sup>

ცხადია, ქრისტიანობის გარედან გავრცელების ცდებს წარმატება მაშინ ექნებოდა, თუ ოსეთის საშინაო ვითარება საამისოდ ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა. ოსეთის სოციალური განვითარება

<sup>1</sup> Е. Крушов, Краткий очерк археологии Кабарды, стр. 42.

<sup>2</sup> История Осетии, макет, стр. 56.

VI-IX ს. ს. სამხედრო ბელადების გაძლიერების, გვაროვნული არისტოკრატიის გამოყოფის, ერთი სიტყვით, კლასობრივი დნფერენციაციის სწრაფი გზით მიდიოდა. თუ მხედველობაში მივიღებთ ბიზანტიანულ წყაროებს (X ს.) ცნობას, რომ ვაბატონებული წრეები ქრისტიანობაში არიან, სხვები წარმართები<sup>1</sup>, აღმოჩნდება, რომ ქრისტიანობის აღზევების პროცესში მყოფი საზოგადოებრივი ფენები იღებენ. ქრისტიანობა ამტკიცებდა მათთვის ხელსაყრელ ურთიერთობას ბიზანტიასთან. ამავე დროს კლასობრივადაც იგი ხელსაყრელი იყო მათთვის. თუ ქრისტიანობამ ოსეთში ორმად არ გაიღვა ფესვები და ადვილად წავიდა აღმოფხვრის გზით, მხოლოდ იმიტომ, რომ მოსახლეობის ფართო ფენები, რომლებშიც გვაროვნული წყობის ტრადიციები ძლიერი იყო, არ თანაუგრძნობდნენ მას. ამასვე ხელი შეუწყო საერთაშორისო სიტუაციის შეცვლამაც.

უკვე VI ს. მეორე ნახევრიდან ჩრდილო კავკასიას სწვდება ჯერ თურქთა (შუა აზიიდან მომავალთა) მახვილი, ხოლო VII საუკუნის დასაწყისიდან მათ სცვლიან ხაზარები, რომელთა უღელქვეშ დროდადრო ექცევიან ოსებიც. ასეთ პირობებში ალანებს დამოუკიდებელი არსებობის შენარჩუნება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის პირობებში უხდებოდათ. ამიერკავკასიის მხრიდან, დარიალის გზით, არაბები მოიწევენ მათკენ. ყოველივე ამის შედეგი ის იყო, რომ კავკასიის ისტორიის ასპარეზზე VII-IX ს. ს. ოსთა როლი სუსტდება.

ჩვენ როცა ოსეთის გაქრისტიანების აღრინდელ ცდებზე ვლაპარაკობთ, მხოლოდ და მხოლოდ ბიზანტიის ინტერესებზე ვჩერდებით და ეს ცდებიც მისგან გამომდინარე მიგვაჩნია. თუ ეს ასეა, მაშინ რა კავშირი აქვს ყველაფერ ამას საქართველო-ოსეთის კულტურული ურთიერთობის საკითხთან? საქმე ისაა, რომ ბიზანტიის აქტიური პოლიტიკა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის მიმართ მიზნად ისახავდა მათ სპარსელთადმი დაპირისპირებას. ამ საკითხში კი ბიზანტიისა და ლაზიკის მმართველი წრეების ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდნენ და უკანასკნელნი მათი ხელშემწყობების როლში გამოდიოდნენ. ვიდრე დასავლეთ საქართველო ბიზანტიის მეურვეობისაგან თავდაღწევისათვის ბრძოლას დაიწყებდა, მათი ინ-

1 СМОНПК, вып. 32, 1908 г. стр. 49—51.



ტერესები ოსებთან ურთიერთობაში ერთნაირი იყო. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, იგი ჯერ სპარსთა, შემდეგ არაბთა ბატონობის უღელქვეშ მოექცა და ოსეთთან დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობა არ ჰქონდა. მთავრად, ერთი თული სამეფო-სამთავროები ოსეთის გაქრისტიანებზე შეტეხილებად მანამდე ვერ გამოვიდოდნენ, სანამ დამოუკიდებელი არსებობის გზას დაადგებოდნენ. რელიგიის მეშვეობით გავრცელება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ მას გამავრცელებლის პოლიტიკური ძლიერება უმაგრებს ზურგს. რა თქმა უნდა, აღნიშნულ საკითხში ქართული სამეფო-სამთავროების როლის უგულვებლყოფაში წყაროების (უმთავრესად ბიზანტიურის) არაობიექტურობასაც მიუძღვის ბრალი. ისინი ბიზანტიის როლს გაზვიადებულად წარმოადგენენ და საქართველოს მხარდაჭერას შეძლებისდაგვარად ჩქმალავენ.

VI ს. შემდეგ ბიზანტიის ინტერესი ოსების გაქრისტიანების მიმართ შენედა, იმიტომ, რომ ოსთა სამხედრო ძალა დასუსტებული იყო. როცა IX-X ს. ს. ბიზანტია-ხაზარეთის ინტერესები ურთიერთდაპირისპირებული შეიქმნა, ბიზანტიამ კვლავ მიმართა ოსებს. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, ალანეთის მმართველს შეუძლია ეომოს ხაზარებს, რადგან უკანასკნელის 9 კლიმატი (რაიონი) უშუალოდ მათ ეკვრისო. ალანებს შეუძლიათ ააოხრონ ისინი და დიდი ზიანი მიაყენონ ხაზარებს, რადგან აქ მოდის ყველაფერი ის, რაც მათ სიმდიდრეს შეადგენს. თუ ალანეთის მმართველი იმპერატორთან კეთილგანწყობილებაშია, ხოლო ხაზარები მტრობენ იმპერატორს, მაშინ მას შეუძლია გადაუჭრას ხერსონში, კლიმატებსა და სარკელში მიმავალი გზა ხაზარებს. ხაზარები, ჩაყენებული ასეთ პირობებში, იძულებულნი იქნებიან შშვიდობა დაიცვან.<sup>1</sup>

მოვლენათა ასეთ განვითარებასთან დაკავშირებით, ოსეთის გაქრისტიანების ბიზანტიური პოლიტიკა კვლავ დღის წესრიგში დადგა. ამ დროისათვის ოსეთში შესაძლებელი გახდა ქრისტიანული რელიგიის უფრო მყარ ნიადაგზე მიღება. X ს. დასაწყისში, კერძოდ,

<sup>1</sup> Сочинения Константина Багрянородного „О фемах“ и „О народах“ с предисловием Гавриила Ласкина, М. 1899 г., стр. 76.

921-925 წ.წ. ქრისტიანობა ოსეთში ოფიციალურ რელიგიად იქცა. ეს ფაქტი დაკავშირებულია კონსტანტინოპოლის პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის და აფხაზთა მეფე გიორგის (921-955წ.წ.) სახელთან.

ქრისტიანობა  
2020-01-15

თუ ოსეთში ქრისტიანობის გავრცელების აღრიცხვას დროს საქართველოს როლი არ ჩანდა, ახლა, მისი გავრცელების ბოლო ეტაპზე, მის გებატონებულ რელიგიად ქცევის საქმეში ვითარება სრულიად სხვაგვარი იყო. ამ დროს უკვე ჩამოყალიბებულია აფხაზეთის სამეფო, ქართლის, კახეთის, ტაო-კლარჯეთის სამთავროები. მათ შორის ბრძოლა პირველობისათვის სავსებით ბუნებრივ მოვლენა იყო, რაც საბოლოო ანგარიშით საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლას წარმოადგენდა. მათი ურთიერთობა მეზობელ ხალხებთან ამ ბრძოლის ასპექტში განიხილებოდა.

IX საუკუნიდან ოსეთთან მჭიდრო ურთიერთობას ამყარებს აფხაზეთის სამეფო. 921 წელს ტახტზე ასული გიორგი განაგრძობს თავის წინაპარ მეფეთა პოლიტიკას — აფხაზეთის სამეფოს ხელქვეით ქართულ სამეფო-სამთავროთა გაერთიანების პოლიტიკას. მხარეები ხშირად მიმართავენ საგარეო ძალას. აფხაზეთის სამეფოს ინტერესებს ამ მხრივ გარკვეული გამოცდილება ჰქონდათ. ბიზანტიისაგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის გამოაიყენეს ხაზართა ძალა. გიორგი ალანებზე თავის საკუთარი გავლენის განმტკიცებისა და მათი თავის პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებისათვის ალანთა გაქრისტიანების ბიზანტიური პოლიტიკის ხელშემწყობის როლში გამოდის. ოსები 888 წელს აფხაზებს ეხმარებოდნენ ტაო-კლარჯეთში გაშლილ ბრძოლაში. ამ და მსგავს ფაქტებს შედეგად სდევდა ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცება. ერთი სიტყვით, აფხაზთა სამეფოსათვის ოსებთან ურთიერთობის დადებითი შედეგები შემოწმებული იყო ცხოვრების პრაქტიკით.

აფხაზეთის მმართველი წრეები უფრო შორსაც მიდიან და ამ კავშირის იდეოლოგიური გზით განმტკიცებას ცდილობენ.

გიორგი აფხაზთა მეფის როლი ოსეთის გაქრისტიანების საქმეში ჩვენთვის ცნობილია პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის წერილებიდან. ერთ წერილში იგი გიორგის თხოვს: „თუ მას (იგულისხმება ალანთა ეპისკოპოსი) ამ უცხო ტომში, უცხო ქვეყანაში მყოფს,

რამე უჭირს ცხოვრების პირობების შესამსუბუქებლად. აღმოუჩინე დახმარება გულისხმიერად.<sup>1</sup> გამოდის, რომ გიორგის როლი ალანთა გაქრისტიანებაში პატრიარქის თხოვნის დაკმაყოფილებას შედგენდა.

შემდეგ წერილში პატრიარქი გიორგის დამსახურებას აღიშნავს: „შენი ღვთისმოსაეობის საბუთია შენი ღვთისნიერი სწრაფვა, რომელიც გამოიჩინე და იჩენ, რომ ალანთა ტომი იხსნა და ჭეშმარიტება შეაცნობინო... შენ დიდი ამაგი დასდე და განანათლე ალანის მმართველი და ყველა ისინი, ვინც მასთან ერთად ღირსი ვახდა წმინდა ნათლისღებისა“<sup>2</sup>. ცნობიდან ირკვევა, რომ ლიტერატურაში გაბატონებული აზრი, თითქოს ოსეთში ქრისტიანობის გავრცელება, მის ოფიციალურ რელიგიად გადაქცევა ბიზანტიის მოღვაწეობის შედეგია, ზუსტი არაა. ალანეთის მმართველი და სხვებიც უშუალოდ გიორგის მოუხათლავს, იგი კი გამოდიოდა საქართველოს გარკვეული ნაწილის ინტერესებიდან და, ამრიგად, მისი როლი აღნიშნულ საქმეში დიდი იყო. რა თქმა უნდა, არც ბიზანტია და არც აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) მმართველი წრეები უბრალო ღვთისმოსაეობის პრინციპებიდან არ ამოდიოდნენ, როცა ალანთა გაქრისტიანებას ცდილობდნენ. თითოეული მხარისათვის ქრისტიანობას პოლიტიკური ამოცანა ეკისრებოდა — განემტკიცებინა გავლენა ამა თუ იმ ხალხზე, ალებულ შემთხვევაში ოსებზე.

ახლად გაქრისტიანებული ოსეთი ბიზანტიის საპატრიარქო კარმა თავის ეპარქიათა სიაში მოაქცია. კონსტანტინოპოლიდან იგზავნებოდა აქ ბერძენი ეპისკოპოსები და მღვდლები. ალანთა ეპარქია პირველად X საუკუნეში გვხვდება ეპარქიათა სიებში, ე. წ. ნოტიციებში<sup>3</sup>. ნიკოლოზ მისტიკოსის დროს იგი საარქიეპისკოპოსო იყო, შემდეგ კი სამიტროპოლიტოდ იქცა და, რუსეთის შემდეგ, 61-ე ადგილს იკავებდა<sup>4</sup>.

<sup>1</sup> გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. 2, გვ. 213.

<sup>2</sup> Ю. Кулаковский Христ. У алав, Виз. времени, V, стр.3--4 გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. 2, გვ. 214.

<sup>3</sup> Визант. времяни, V, стр. 8.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 8; გეორგიკა, IV, ნაკვ. 2, გვ. 144, 149; 947-998 წ. წ. იხსენება ტიპიკონი ალანთა მიტროპოლიტ ნიკოლოზისათვის.

ალანთა ებარქიის ამაღლება პირდაპირ კავშირშია მონა პოლიტიკური ძლიერების ამაღლებასთან. იგი იქცა იმ რეალურ ძალიად, რომელიც ბიზანტიის ჩრდილო საზღვრებთან ხაზართაქვეყნების პარალიზაციას ახდენდა. ბიზანტია ახერხებდა ალანთა მებრძოლებზე წაყიდვას. X ს. უცნობი ებრაელი მწერლის ცნობით „არონის დროს ალანთა მეფე ებრძოდა ხაზარებს, რადგან ბერძენთა მეფემ წააქეზა“<sup>1</sup>. მისივე ცნობით, „დადო მეფემ კავშირი ჩვენს მეზობელთან, ალანთა მეფესთან, რადგან ალანთა სამეფო ძლიერია ვველა ხალხზე, რომლებიც ჩვენს გარშემო ცხოვრობენ“<sup>2</sup>.

ოსთა მიერ ქრისტიანობის მიღებას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ხელს უწყობდა ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებას და კულტურის ამაღლებას. იმდროინდელი საეკლესიო ორგანიზაცია გაბატონებული კლასის ხელში მასების დამორჩილებისა და დაყმობის ახალი მძლავრი საშუალება იყო. ნიშანდობლივია ამ მხრივ ნიკოლოზ მისტიკოსის წერილი ალანთა არქიეპისკოპოს პეტრესადმი, სადაც ურჩევს, რომ სასტიკად მხოლოდ უბრალო ხალხს მოექცეს, წარჩინებულ პირებთან კი მხოლოდ მამობრივი შეგონებით იმოქმედოს, შრავალცილიანობის ნებაც დაართოს“<sup>3</sup>.

ქრისტიანობას ის უდიდესი მნიშვნელობაც ჰქონდა ოსებისათვის, რომ იგი უფრო მტკიცედ დაუკავშირდა თავის მეზობელ ქრისტიანულ ქვეყნებს: საქართველოს, რუსეთს, ბიზანტიას. შეექმნა შესაძლებლობა ამ ქვეყნების ქრისტიანული კულტურის გაცნობათვის.

ის, რაც ითქვა ოსთა გაქრისტიანების საკითხზე, ეხება ოსთა იმ ნაწილს, რომელიც აფხაზთა უშუალო მეზობლობაში, მდ. ყუბანის სათავეს აუზში, ცხოვრობდნენ. ოსეთის აღმოსავლეთ რაიონებს ბიზანტიური გავლენა ვერ აღწევდა და აქ ქრისტიანობა საქართველოს ფეოდალური მონარქიის შექმნის დროიდან იკავებს გზას“<sup>4</sup>.

საქართველოსა და ბიზანტიასთან მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა ოსეთში დამწერლობის გამოყენების აუცილებლობას

1 Н. К. Кок-овцев, Новый еврейский документ о хазарах и хазаро-русско-византийских отношениях в X веке, СПб. 1913 г., стр., 12.

2 იქვე, გვ. 11.

3 Византийский временник, V, стр. 4-5.

ჰქმნიდა. ზ. კიჭინაძე აღნიშნავს, რომ ოსებს ქრისტიანობის მიღებასთან დაკავშირებით შეუსწავლიათ... „საყდრების შენებაც... მისი ისტატობა, ხელოსნობა, ხელოვნებანი და სხვანი. ამის [გარდა] წეს... კითხვაც კარგად იცოდნენ“.<sup>1</sup> მას მიაჩნია რომ ქართულ საეკლესიო წესების (ძვ. წ. III ს.) მიერ შექმნილი ქართული ანბანი ერთდროულად ოსებისაც იყო, რადგან მის შექმნაში ოსებსაც მიუღიათ მონაწილეობა.<sup>2</sup> აღნიშნული ცნობის სანდოობა ყოველმხრივ საეკლესიო მაგრამ მას უძველესი დროიდან ქართველ-ოსთა კულტურული ურთიერთობის არსებობა რომ უეჭველ ფაქტად მიაჩნია, ამას ამჟღავნებს.)

ოსთა მიერ ქრისტიანობის მიღების დროიდან იზრდება მისი ინტერესი ქრისტიანული სამყაროს კულტურული მონაპოვრებისადმი. „ქრისტიანობის საშუალებით ქართული ენა გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაშიც, პირველ რიგში ჩერქეზებსა და ალანებში“.<sup>3</sup> ამ დროიდან ქართული კულტურის ბაზაზე აღზრდილი ოსების რიცხვი საკმაოდ უნდა გაზრდილიყო.

მასალების ნაკლებობა ამ საინტერესო საკითხზე უფრო კონკრეტული შეჩერების საშუალებას არ გვაძლევს. ხოლო ის, რაც ითქვა, ოდნავადაც ვერ ამოსწურავს იმ მრავალფეროვან კულტურულ ურთიერთობას, რასაც ადგილი ჰქონდა რეალურ ცხოვრებაში.

<sup>1</sup> ოსეთის ისტორია, გვ. 8.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 33-34.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1946 წ., გვ. 158-159.

საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XI-XIV ს. ს.

§ 1. საქართველო-ოსეთის ეკონომიური ურთიერთობა  
(XI-XIV ს. ს.)

(საქართველოს ცალკეული ნაწილების გაერთიანებამ ერთ ფეოდალურ მონარქიად მისი პოლიტიკური გავლენა მთელ მახლობელ აღმოსავლეთსა და ჩრდილო კავკასიაში განუზომლად აამაღლა. უსეტის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის სახეს ღებულობს და ურთიერთობა ამ ორ საუკუნოვან მეზობლებს შორის უფრო მტკიცე ხდება. სარწმუნოებრივი მომენტი, X ს. დასაწყისში ოსეთის ოფიციალურ რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადებაში რომ გამოიხატა, პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების გზაზე მნიშვნელოვან ხელშემწყობ პირობებს ქმნიდა. ამავე პერიოდში ფართოვდება დინასტიური კავშირი ამ ორი ქვეყნის მმართველ წრეებს შორის.)

(სამწუხაროდ, წყაროებში ურთიერთობის სხვა საკითხებთან შედარებით, ეკონომიური ურთიერთობა ყველაზე სუსტად არის ასახული. თავის მხრივ ეს სამწუხარო გარემოება არ გვაძლევს უფლებას ოსეთ-საქართველოს შორის ეკონომიური ურთიერთობა უარყოფით და სოკლედ მაინც არ შევჩერდეთ მასზე.)

(XI საუკუნიდან დაწყებული ჩრდილო კავკასიის როლი საერთაშორისო ვაჭრობაში უჩვეულოდ იზრდება. იგი იქცევა აღმოსავლეთის ქვეყნებსა და დასავლეთ ევროპას შორის სავაჭრო ურთიერთობათა განვითარების უმნიშვნელოვანეს გზაჯვარედინად. მისი სიახლოვე ყირიმისა და ტამანის ნახევარკუნძულებთან, რომლებიც შავი ზღვის მეშვეობით საზღვაო ვაჭრობით დაკავშირებულნი იყვნენ იტალიის ქალაქ — სახელმწიფოებთან (ბიზანტიური ფლოტის



მეშვეობით), აგრეთვე კასპიისა და შავი ზღვების სანაპიროთა დამაკავშირებელი გზის მცირე აზიიდან ჩრდილო კავკასიისკენ გადმოწევა (მცირე აზიაში თურქ-სელჩუკთა გამოჩენა შემდეგად), დარუბანდის, დარიალის და სხვა გადმოსავალთა მეშვეობით ამიერკავკასიასთან მისი დაკავშირების სიადვილე, — იყო ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც ჩრდილო კავკასიის სავაჭრო-ეკონომიურ მნიშვნელობას ზრდიდნენ.

ყირიმის სანაპირო ქალაქები — კაფა, ხერსონესი, სუდაკი, სარკელი (ჩრდილო კავკასიაში) და სხვ. ცენტრები იქცევიან მრავალი ეროვნების ვაჭრების თავმოსაყრელ ადგილებად. აქ წყაროები მოიხსენებენ რუს. ხაზარ, ყივჩაყ, ალან, ებრაელ, ეგვიპტელ, ირანელ, სკანდინავიელ და სხვ. ვაჭრებს, რომლებიც მნიშვნელოვან სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდნენ ერთმანეთთან. ამ გაცნობილებულ ვაჭრობაში ოსეთი აქტიურად მონაწილეობდა.

ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში გადმომყვანი ერთ-ერთი ძირითადი მაგისტრალი ყველა ეპოქაში დარიალის გზა იყო. დავით აღმაშენებლის დროს ამ გზაზე საქართველოს კონტროლი დამყარდა, რამაც, რა თქმა უნდა, მისი ეკონომიური მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა.)

XI-XIII ს. ს. ფართოვდება საქართველოს ურთიერთობა ჩრდილო კავკასიასა და სამხრეთ რუსეთის ველებზე მოსახლე ხალხებთან. საქართველოში არსებული სავაჭრო ამხანაგობანი დიდ საქარავნო ვაჭრობას აწარმოებდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან: ირანთან, ერაყთან, სირიასთან, ეგვიპტესთან, ბიზანტიასთან, რუსეთთან, ყივჩაყეთთან და უფრო შორეულ ქვეყნებთანაც. გატანის საგნები საქართველოდან იყო აბრეშუმი, ბამბა, ძვირფასი სამოსელი, ოქრონემსული ფარჩა, ბეწვეული, ღვინო და სხვ.)

აღნიშნული საგნებით ვაჭრობა ჩრდილოეთის ქვეყნებთან (რუსეთი, ყივჩაყეთი და სხვ.) ძირითადად დარიალის გასავალით ხდებოდა, რის გამოც ოსეთი უშუალო ვაჭრობის წარმოების გარდა ამ სატრანსპორტო ვაჭრობაში სამუშაოველო როლს ასრულებდა. ის გატანის საგნები, რომლებიც ჩამოვთვალეთ, ოსეთისათვის ისევე საჭირო და აუცილებელი იყო, როგორც სხვა ქვეყნებისათვის. ოსეთის არისტოკრატიულ წრეებს, რომლებსაც მჭიდრო პოლიტიკური და დინასტიური კავშირები ჰქონდათ მაშინდელი მსოფლიოს ისეთ მოწინავე ქვეყნებთან, როგორც იყო საქართველო, რუსეთი, ბიზანტია, ან

1 საქართველოს ისტორია, 1946 წ. ნაწ. 1, გვ. 216.

შეეძლოთ თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება საქმად განვი-  
თარებული იმპორტის გარეშე.)

ქართული ვაჭრები XI-XII ს. ს. ოსეთის მეშვეობით კონტაქტს  
სიურ ურთიერთობას ამყარებენ რუსეთთანაც. შემდგომში უნდა ითქვას,  
არის, რომ თბილისის ამირა აბულ-ასანი თამარის გათხოვნასთან  
დაკავშირებულ ბჭობისას რუსეთსა და, საერთოდ, ჩრდილოეთის  
ქვეყნებში არსებული მდგომარეობის კარგ ცოდნას ავლენს. იგი იმ  
სავაჭრო წრეების მიერ იყო ინფორმირებული, რომელნიც არაერთ-  
გზის გადასერავდნენ ხოლმე კავკასიის საუღელტეხილო გზებს და  
ვაჭრობდნენ ჩრდილოეთში. ასეთ ვაჭართა კონკრეტულ წარმომად-  
გენლად გამოიყურება ზანქან ზორაბაბელი, რომელსაც თამარისათ-  
ვის საქმროდ გიორგი უფლისწულის გადმოყვანა დაეკისრა<sup>1</sup>. თავის-  
თავად ცხადია, მისთვის ეს პირველი მოგზაურობა არ იყო. აშკარად  
ჩანს, რომ დარიალის გზაზე მიმოსვლის საკითხი კარგად იყო მო-  
წესრიგებული. შესაძლებელი ყოფილა მოგზაურობის დაჩქარება  
ცხენების ცვლით, რაც კიდევ ერთი საბუთია იმისათვის, რომ სა-  
ქართველოს მმართველი წრეები სათანადოდ აფასებდნენ გზის მნიშ-  
ვნელობას.

(დარიალის, დარუბანდის და სხვ. გადმოსავალი გზები ჩრდი-  
ლოეთით მცხოვრებ ხალხებსაც გამოუყენებიათ ამიერკავკასიის  
ქვეყნებთან სავაჭროდ. იბნ-ხაუკალის და მასუდის ცნობებით,  
ვოლგის ბულგარებს ბეწვეული, ცვილი, თახვი გაჰქონდათ დარია-  
ლის, დარუბანდის და კასპიის ზღვის გზით<sup>2</sup>.)


XII ს. დასაწყისიდან აღნიშნავენ საქართველოს პოლიტიკური  
გავლენის ზრდას ოსეთზე, რაც მათ შორის თავისუფალი მიმოსვ-  
ლის არსებობას გულისხმობს. ეს გარემოება დინასტიური კავშირე-  
ბის სიმტკიცესთან ერთად მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ა  
ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-გაცვლითი ურთიერთობის გაფართო-  
ებისათვის.

საქართველო-ოსეთის ეკონომიურ ურთიერთობაში გარკვეუ-  
ლი როლი უთამაშია დასავლეთ საქართველოში გადმომყვან გზას,

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარაიანდელთანი, აკად. კ. კეკელიძის რედაქციითა  
და გამოკვლევით, თბილისი, 1941 წ. გვ. 81.

<sup>2</sup> Д'Анжон. История Монголов, т. I, Иркутск, 1937 г., стр. 103.





ქლუხორის უღელტეხილზე გამოშვალს და „აფხაზეთის გზის“ სახელით ცნობილს. ალანეთის ეპისკოპოსი თვედორე თავის წერილში პატრიარქ გერმან II-დმი (დაწერილია 1222-1240 წ. -წ. შ. შ. შ.) უწოდებებს მას, რომ ვილაც ლაზი, ეპისკოპოსად გადაცემული; არაქონიერად აღურთხებდა მღვდლებს ალანეთში მისი არყოფნის პერიოდში, და დასძენს, რომ იგი მის ალანეთში მოხვლამდე დაბრუნდა თავის ქვეყანაში, და რომ მას იცნობენ აქაური ვაჭრები, ლაზთა ქვეყანაში რომ დაიარებიანო<sup>1</sup>. ეს ერთი დამაჯერებელი საბუთი, ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის, კერძოდ ალანების საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობის არსებობის დასამტკიცებლად ქლუხორის გადასავალით.

XIII ს. დასასრულისათვის ეამთაღმწერელიც იძლევა მოკლე ცნობას, რომ „წარვიდეს ქალაქსა (იფულისხმება ქ. თბილისი — გ. თ.) ოცსნი ვაჭრობად“<sup>2</sup>. ამ სავაჭროდ წასულ ოსთა თავგადასავალი დაწვრილებითაა მოცემული. ისინი სურამელი ბეგას შვილს — რატის შეეჯახნენ და დამარცხებულ იქნენ. ეს ქართველ ფეოდალებსა და ოსებს შორის ურთიერთობის გამწვავების პერიოდია და თუ კი ასეთ პერიოდში ოსები ასე თავისუფლად ვაჭრობენ თბილისში, ადვილად წარმოსადგენია, რომ ნორმალური ვითარების დროს ეს ურთიერთობა უფრო ფართო და ინტენსიური იქნებოდა.

საქართველო-ოსეთის ეკონომიური ურთიერთობის ხასიათის საკითხის გასაგებად შესაძლებლად მიგვაჩნია ამ საკითხის ირგვლივ გვიანდელ პერიოდში გამოთქმული მოსაზრებანიც გამოვიყენოთ. მხედველობაში გვაქვს ვახუშტის ცნობები. ასეთ ვითარებაში მოდერნიზაციაში ჩავარდნის საფრთხე რეალურია, მაგრამ ვითვალისწინებთ რა იმას, რომ ოსების ყოფა ჩვენთვის საინტერესო პერიოდიდან XVIII ს. პირველ ნახევრამდე ბევრად წინ არ წასულა, ვთვითყვანთ მათ.

ვახუშტი აღნიშნავს: „არა არს ქვეყანათა მათთა შინა მარილი, სელი, კანაფი, და ბანბა და აბრეშუმი, რათამცა ყონ სამოსი თვისნი. ამისთვის უმეტესნი სცხორებენ ცხოვართა ტყავითა, გარნა ამათაჲ ზიდვენ ქართლიდამ, რაქიდამ და ჩერქეზიდამ“<sup>3</sup>. ვახუშტი, უსვამს

1 ЗОДНЛ, т. XXI, 1898 г. стр. 22.

2 ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოც., გვ. 429.

3 ვახუშტი, აღწერა., გვ. 111.

რა ხაზს ოსეთში მთელი რიგი აუცილებელი საგნების არსებობას, მიუთითებს, რომ მათ გარედან, ძირითადად. საქართველოდან ლეგულობდნენ. ჯერ კიდევ სტრაბონი აღნიშნავდა I ს-ში, რომ სპარსელები მატები დიოსკურიაში იყრიან თავს სავაჭრო მიზნით ფაქტობრივად საგანი, რომელიც მათ აინტერესებთ, მარილია.

(ოსეთის ფეოდალურ წრეებს დიდი მოთხოვნილება უნდა ჰქონოდათ ფუფუნების საგნებზე, განსაკუთრებით აბრეშუმის ქსოვილებზე. განსახილველ პერიოდში საქართველო იყო ქვეყანა, რომელიც აბრეშუმით ვაჭრობას ეწეოდა და ოსეთიც აქედან იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებას.)

(ზ. კიკინაძეს ზეპირ-გადმოცემათა საფუძველზე მოჰყავს მოსახრებანი, რომ თამარის და დავით სოსლანის შეუღლების მომენტიდან თბილისში მომრავლდა ოსი ვაჭარ-ხელოსნების რიცხვი, რადგან ვაჭრობა-ხელოსნობა ოსეთში განვითარებული იყო. ამ ვაჭრებს ოსეთიდან სხვადასხვა საქონელი შემოჰქონდათ.)

საქართველო-ოსეთს შორის გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობის არსებობა უძველეს ფაქტს წარმოადგენს. მაგრამ დგება საკითხი: რა ხასიათისაა იგი, რა საფუძველს ემყარება, ფულად მეურნეობას თუ ნატურალურს? ამ და მთელ რიგ საინტერესო საკითხებზე მსჯელობისათვის მასალა არ გაგვაჩნია. ვახუშტის დროს ოსთა მეურნეობა მთლიანად ნატურალურ ურთიერთობას ემყარება. ის აღნიშნავს: „არა უწყყიან თეთრი, არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხვარი, ძროხა და ტყვე, და ვაჭრობენ ურთიერთსა შინა ამით“<sup>2</sup>. ძნელია, ეს დახასიათება მიეუყენოთ XI-XIV ს. ს. ვითარებას, მაგრამ ვახუშტის დროინდელი ვითარების ზოგიერთი მომენტი სათავეს აღრიდანვე უნდა ლეგულობდეს.)

ოსეთს საკუთარი მონეტა არ შეუქმნია. ზ. კიკინაძე ურდურე ოსთა შეფეს მიაწერს ოსური მონეტის მოქრას 1029 წლისათვის<sup>3</sup>, მაგრამ იგი არაფრით არ დასტურდება.

(ოსეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიურმა გათხრებმა მონეტების მნიშვნელოვანი რაოდენობა გამოავლინეს, მაგრამ ისინი უცხოური წარმოშობისაა და ძირითადად VI-X ს. ს. თარიღდება. თუ

1 ზ. კიკინაძე, ოსეთის ისტორია, გვ. 168, 170.

2 ვახუშტი, აღწერა... გვ. 111.

3 ზ. კიკინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 140-141.

მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ უფრო გვიანდელი  
ქველები ნაკლებად არის შესწავლილი ოსეთის ტერიტორიაზე. შე-  
საძლებელია უფრო გვიანდელი (XI-XIII ს. ს.) მონეტებიც აღმო-  
ნდეს. მაგრამ ერთი რამ ეხლავე შეიძლება შევნიშნოთ: საქართვე-  
ლოსთან ოსეთის ეკონომიური ურთიერთობა ემყარებოდა როგორც  
ნატურალურ, ისე ფულად მეურნეობას. ოსებს რომ საკუთარი მონე-  
ტა არ ჰქონდათ, ეს ამ საქმეში ხელისშემშლელი ვერ იქნებოდა.  
რადგან მაშინ მონეტათა მთელი რიგი ნიმუშები საერთაშორისო  
ეკვივალენტის როლს ასრულებდნენ და ასეთი მონეტები ოსთათვი-  
საც მისაწვდომი იყო. ცნობილია, რომ ოსები ჭირით სალაშქროდ  
მიდიოდნენ ბიზანტიაში, სხვა სახელმწიფოებშიც და მიღებულ  
ფულს მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის საწარმოებ-  
ლად იყენებდნენ. XIII ს. არის აღან ვაჭართა რიგი, რომელთაც იხ-  
სენებენ არაბული ისტორიული წყაროები და რომლებიც ყირიმის  
სანაპირო ქალაქებში, ოქროს ურდოს ქალაქებსა და შორეულ ეგ-  
ვიპტეშიც კი აღწევენ სავაჭრო მიზნით. ისინი ხშირად სხვადასხვა  
ქვეყნის მმართველი წრეების (განსაკუთრებით ოქროს ურდოს ყა-  
ენების) დიპლომატიურ დავალებათა შემსრულებლებიც იყვნენ<sup>1</sup>.

აღნიშნულ ვაჭრებს საქართველოსკენაც გახსნილი ჰქონდათ ვა-  
და მათ ხელში არსებული საერთაშორისო მიმოქცევაში მოქმედი  
ფულადი ერთეულებით შეეძლოთ ეწარმოებინათ ანგარიშსწორება  
ქართველ ვაჭრებსა თუ საქართველოში მყოფ უცხოელ ვაჭრებთან.  
XIII-XIV ს. ს. საქართველოში დამკვიდრებულ ოსურ მოსახლეო-  
ბას ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან ნატურალური გაცვლა-  
გამოცვლის წარმოება შეეძლო.

ქართველ-ოსთა ეკონომიური ურთიერთობა არასოდეს არ შეწყ-  
ვეტილა. მაშინაც კი, როცა ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის  
ბრძოლის შედეგად ჩრდილო კავკასიის მნიშვნელოვანი სავაჭრო  
როლი დასუსტდა, ოსთა ეკონომიური ურთიერთობა საქართვე-  
ლოსთან მაინც გრძელდებოდა, თუმცა მისი მასშტაბი საგრძნობ-  
ლად შემცირდა. XVII-XVIII ს. ს. და შემდგომ ხანაში ქართლში,  
იმერეთში, რაჭაში ოსების მიმოსვლა სავაჭრო-გაცვლითი მიზნით,  
ისევე, როგორც პირიქით, ძველი ტრადიციული ურთიერთობის გა-  
მოძახილს წარმოადგენს.

<sup>1</sup> Тизенгаузен, Сборник материалов относящихся к истории Золотой Орды, т. 1, стр. 55, 98, 111, 112.

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ გზებზე, რომლებიც აკავშირებდნენ ოსეთს საქართველოსთან. ისინი იმდროინდელი საქონლის გამტარი არტერიებიც იყვნენ. დარიალის გზაზე სწორედ მონღოლთა შემოსევამდელ პერიოდში წარმოშობილი ქალაქები: ყინვანი (ქუჩა ქუჩა) თი, თამარაშენი — დიდი ლიახვის ხეობაში, მიუთითებენ უკვე იქიდან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობის სიცხოველეზე. ასეთვე ქალაქები იყო ჩრდილო კავკასიაშიც ჩვენთვის საინტერესო პერიოდში: ქ. ორჯონიკიძის შიდამოებში, ჭულათი ანუ ტატარტუფი (სტანიცა ელზოტოვოსთან, ჩრდილო ოსეთის ასსრ), მაჯარი (მდ. კუმაზე) და სხვ. ეს ქალაქები მოქმედებდნენ მონღოლთა ბატონობის პერიოდშიც. ისინი ამიერკავკასიის ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელი გზის ჩრდილოეთ ნაწილზე იყვნენ განლაგებული, რაც ამ გზის ეკონომიური მნიშვნელობით იყო შეპირობებული. ამ ქალაქების სავაჭრო წრეებს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოს ქალაქებთან.

(აეთად წარმოგვიდგენია ჩვენ საქართველო-ოსეთს შორის XI-XIV ს. ს. არსებული ეკონომიური ურთიერთობა იმ ფრაგმენტული ცნობების საფუძველზე, რომლებიც სადღეისოდ ჩვენს განკარგულებაში არსებობს.)

## § 2. საქართველო-ოსეთის პოლიტიკური ურთიერთობა

(XI ს. - XIII ს. პირველი მეოთხედი)

(საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიაში XI-XIV ს. ს. უაღრესად საინტერესო პერიოდია. წინა პერიოდში მიმდინარე ბრძოლა საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროთა გაერთიანებისათვის წარმატებით დაგვირგვინდა. საქართველოს ფეოდალური მონარქიის შექმნამ მისი საერთაშორისო მნიშვნელობა საგრძნობლად განაბტაცა. იგივე ფაქტი განაპირობებდა საქართველოს მეზობელ ხალხებთან ურთიერთობაში ახალი ეტაპის დაწყებას. გაერთიანებამდე საქართველოს ცალკეული ნაწილი (იბერია, ეგრისი — ლაზეთი, შემდეგ უფრო გვიან სამთავროები) თითოეული თავისი ვიწრო კუთხური ინტერესების შესაბამის ურთიერთობას ამყარებდა მეზობელ ხალხებთან, მათ შორის ოსებთანაც. გაერთიანების დამთავრების დროიდან საერთო ქართული სახელმწიფოებრივი ინტე-

რესები განსაზღვრავენ საქართველოს მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის ხასიათსა და მასშტაბს.

(იგივე პერიოდი ოსეთისათვის მნიშვნელოვანი ძვრების შემცველია. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების მთელმა წინამძღვარმა პროცესმა იქ X-XI ს. ს. ადრეფეოდალური სახელმწიფოს შექმნამდე მიგვიყვანა. ამ ადრეფეოდალური სახელმწიფოს მნიშვნელოვანი საძებრო რესურსები და დიდი მნიშვნელობის სავაჭრო-საქარავნო გზებზე ხელსაყრელი მდებარეობა განაპირობებდნენ მის ფართო საერთაშორისო კავშირებს.)

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო საქართველოს და ოსეთის ურთიერთობა მოცემულ პერიოდში მეტ-ნაკლებად ორგანიზებულ ხასიათს იღებს. მათი ურთიერთობის მეგობრული ტენდენციები ძველ ფორმებსა და მასშტაბებში ვეღარ თავსდება და შემდგომ ვითარდება.

(იმდროინდელი ქართული და არაქართული წყაროების გამოუსწორებელი ნაკლი ის არის, რომ ქვეყანათა ურთიერთობა, ხალხთა ურთიერთობა ამა თუ იმ ქვეყნების მმართველი წრეების ურთიერთობამდე დაჰყავთ. ამასთან, ეს ურთიერთობაც ძალზე სქემატურადაა ასახული მათში. ჩვენი ამოცანაა შემორჩენილი ფრაგმენტული ცნობების მაქსიმალური გამოყენების გზით, რეალურ ისტორიულ ვითარებათა გათვალისწინებით, ურთიერთობის მეტ-ნაკლებად სრული სურათი წარმოვადგინოთ.)

ვიღრო საქართველო-ოსეთის ურთიერთობის კონკრეტულ ჩვენებაზე გადავიდოდეთ, მოკლედ მაინც უნდა აღვნიშნოთ, თუ რატომაა დაინტერესებული საქართველო ოსეთთან კავშირის სიმტკიცით და უწყვეტობით. აგრეთვე ისიც, თუ რითაა გამოწვეული ოსთა მტკიცე ორიენტაცია საქართველოზე, რატომაა იგი საქართველოს აღნიშნული მისწრაფების აქტიური კონტრაგენტი.)

საქართველოს კავკასიის ყელზე თავის გეოგრაფიული და სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ყოველ ისტორიულ ეპოქაში თავის საზღვრების დაცვის მნიშვნელოვანი ამოცანა ეკისრებოდა. ამასთან მისი საზღვრები ამ თვალსაზრისით სხვადასხვა შეფასებას იმსახურებდნენ. მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, საქართველოს სამხრეთი და სამხრეთ აღმოსავლეთი საზღვრების მიართულებით შეტევით პოლიტიკის წარმოება უხდებოდა, ხოლო

როცა ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა, მაშინ თავდაცვითი პოლიტიკის წარმოებით კმაყოფილდებოდნენ. საქართველოსათვის ისევე ადგა ჩრდილოეთის საზღვრების საკითხი. აქეთ საქართველოს თავის საზღვრების დაცვის — თავდაცვითი პოლიტიკის წარმოება უფრო პირითად ამოცანად მიაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ველახურობის რიოდებში საქართველო თავის ტერიტორიების გასაფართოებლად ხშირად მიმართავდა სამხრეთის მიმართულებით დაპყრობით ლაშქრობებს, ჩრდილოეთის მიმართულებით, კავკასიის მთების გადაღმასეთი ლაშქრობების მოწყობაზე ჩვენ ცნობები არ გავგაჩნია, მათ ალგილი არ ჰქონიათ. მართალია, ქართული წყაროები შეიცავენ ცნობებს ჩრდილო კავკასიაში ამაზასპის (II ს.), მირიანის (IV ს. და სანაყისი), ვახტანგ გორგასალის (V ს.) შეპრაზენ, მაგრამ იმავე წყაროების ცნობებით, მათ დამსჯელი ექსპედიციების ხასიათი ჰქონდათ და არც ერთ მათგანს ტერიტორიის მომატება არ მოჰყოლია.)

მაგრამ რატომ სჯერდებოდა საქართველო ამ მხარეს თავდაცვით პოლიტიკას? განა ჩრდილო კავკასიის ველები ამ მხრივ არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდნენ, განა მათ საქართველოსათვის რაიმე სარგებლობის მოტანა არ შეეძლოთ? ჩრდილო კავკასიის ველები საკმაოდ ნაყოფიერი იყო, რათა ისეთი კულტურული ქვეყნის ინტერესი აღედგა თავის მიმართ, როგორც საქართველო იყო. მაგრამ სხვა გარემოებები ჩრდილო კავკასიას საქართველოსათვის გარკვეულ, თავისებურ ხასიათს აძლევდა. ვერ ერთი, დამაკვირვებელი გზები, მთელი მათი მოხერხებულობის მიუხედავად, ხელუდავდა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობას (გადასასვლელები სეზონურად მოქმედებდნენ, მათზე დიდი ზანების ერთბაშად გადასვლა შეუძლებელი იყო, რაც ასე საჭიროა შეტევითი პოლიტიკის საწარმოებლად). გაცილებით მნიშვნელოვანია მეორე მომენტი, რომელიც საქართველოს ჩრდილო კავკასიას მიმართ თავდაცვითი პოლიტიკით დაკმაყოფილებსავე უბიძგებდა. ეს მომენტი ჩრდილო კავკასიის სტრატეგიულ მდებარეობაში უნდა ვეძებოთ. სამხრეთ რუსეთსა და ჩრდილო კავკასიის ველებზე ხშირად ნიძარობდნენ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალი მომთაბარე მეჯოგე ტომები, რომლებიც თავის მოძრაობის გზაზე ყველაფერს ნიაღვარივით ლეკავდნენ (პუნები, თურქული ტომები, ბულგარელები, ყივჩაყები და სხვ.). მათი ტალღები ჩრდილო კავკასიაშიც აღწევდა და ნორმალური ცხოვრების მიმდინარეობას

ხელს უშლიდა. ეს ფაქტორი ახელდება საქართველოს ტერიტორიულ ინტერესებს ჩრდილო კავკასიის მიმართ.

მესამე ფაქტორი საქართველოს ტერიტორიული ინტერესებზე სისუსტისა ჩრდილო კავკასიის მიმართულებით იყო. თავდაცვით გზებზე საქართველოს არასრული კონტროლის არსებობა. გზების ჩრდილო ნაწილები ოსთა განკარგულებაში იყო, და თუ ქართველები ცდილობდნენ გზების სრულიად ხელში ჩაგდებას, ოსებსაც ამ მიმართულებით ცდა არ დაუკლიათ.

აღნიშნულ პირობებში საქართველოსათვის უფრო ხელსაყრელი იყო ჩრდილოეთის მხრივ თავდაცვით პოლიტიკას დასაყრდენობა და შეტევითი პოლიტიკა სამხრეთით მიემართა.

მაგრამ რა ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო ის ფაქტორები, რომლებიც საქართველოს თავდაცვით პოლიტიკას განაპირობებდნენ ჩრდილო კავკასიის მხარეზე, მას არ შეეძლო მართოდნენ საზღვრების დაცვით დაკმაყოფილებულიყო და ჩრდ. კავკასიაში მიმდინარე პროცესებისათვის გულგრილად ექცია. სამხრეთით შეტევითი პოლიტიკის წარმოების ინტერესები, რაც საქართველოსათვის ხშირად თავდაცვის პოლიტიკაში გადაიზრდებოდა ხოლმე აგრესორი სახელმწიფოების შემოტევის შედეგად, ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ურთიერთობაში სხვანაირ ამოცანებსაც აყენებდა. საქართველოსათვის პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად მიმართავდა ჩრდილო კავკასიის ხალხთა სამხედრო ძალების გამოყენებას. ოსები ჩრდილო კავკასიის ცენტრალური რაიონების მოსახლეობა, ამ ურთიერთობის სისტემაში ძირითად ადგილს იკავებდნენ, მათი მეშვეობით მყარდებოდა საქართველოს ურთიერთობა ჩრდილო კავკასიის სხვა ტომებთანაც, რომლებიც ოსების მეზობლად ცხოვრობდნენ. გარკვეული დაპირებებით (ქირა, საჩუქრები, სამხედრო ნადავლის მთხოვება) ისინი სიამოვნებით ემსახურებოდნენ საქართველოს და ამა თუ იმ ოპერაციის დამთავრების შემდეგ ბრუნდებოდნენ თავის ქვეყანაში.)

როგორც კი საქართველოს საშუალება მიეცა მეტი უზრადღევა მიექცია ჩრდილო კავკასიისათვის, მაშინვე იგი თავის პოლიტიკური გავლენის სფეროში მოაქცია (დავით აღმაშენებლის მეფობის პირველი ხანებიდან), მაგრამ აქ კვლავ თავისებურება იჩენს თავს. იქ გავლენის დამყარება სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე ხდება, გადასავალ გზებზე სრული კონტროლის მოპოვების შემდეგ, რაღაც

ეკონომიურ და პოლიტიკურ ნიადაგზე. საქართველოს ეს გავლენა ჩრდილო კავკასიაში — ოსებზე გრძელდება დიდხანს, ვიდრე გარეშე უხეშმა ძალებმა იგი არ დაასუსტეს.)

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს მთელ სფეროებში პოლიტიკაში ჩრდილო კავკასიის მიმართ ოსები აქტიური გრძელდებიან. რით უნდა ავხსნათ ოსთა ასეთი მისწრაფება საქართველოსთან სიახლოვისა და კავშირის ძიებისაკენ? — ცხადია, საქართველოს დიდი ეკონომიური მნიშვნელობით ოსთათვის. ჩვენ კონკრეტული მონაცემები არ გავაჩნია ამ საკითხზე მსჯელობისათვის, მაგრამ ეკონომიური გაცვლა-გამოცვლის არსებობაში დაეჭვებისათვის საფუძველი არ არსებობს. ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობა ამ საკითხზე (ისინი წინა პარაგრაფში მოვიყვანეთ) სრულიად გარკვეული დასკვნების გამოტანის უფლებას გვაძლევს. აღზევების პროცესში მყოფი ჯერ გვაროვნული არისტოკრატია, ხოლო ფეოდალური ურთიერთობათა ჩასახვის შემდეგ ფეოდალური არისტოკრატია თავის გაზრდილ მოთხოვნილებებს ფუფუნებისა და სხვა ზოგჯერ აუცილებელ საგნებზე საქართველოს მეშვეობით იკმაყოფილებდა. საქართველოს გარესამყაროსთან ფართო სავაჭრო კავშირი ჰქონდა დამყარებული.

(თავისთავადაც, ეკონომიურად და კულტურულად განვითარებული ქვეყანა — საქართველო ოსებს და სხვა მეზობელ ხალხებს ახდენდა იზიდავდა.) (ასევე იზიდავდა ბარბაროსულ სამყაროს რომის იმპერია, ბიზანტიის იმპერია). მდიდარი ქვეყნები მეომარ ხალხების ვერცხლის მოყვარეობას თავის ინტერესებისათვის იყენებდნენ. ისინი აქ უხვ ქირას, საჩუქრებს, მდიდარ ნადავლს ელოდებოდნენ და ღებულობდნენ კიდევ. ყველა ეს გარემოება, ერთად აღებული, ოსეთს საქართველოსთან ურთიერთობაში აქტიური კონტრაგენტის როლს ასრულებინებდა.

(XI საუკუნიდან საქართველოს ოსეთთან ურთიერთობის სიმტკიცისა და გაფართოების მიზნით ამ ქვეყნების მმართველ წრეებს შორის ხშირდება დინასტიური ქორწინებები. ქორწინება ყველა ეპოქაში ნათესაური ურთიერთობის დამყარების მნიშვნელოვან საშუალებად იყო მიჩნეული. შუა საუკუნეებში დინასტიური კავშირი სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური კავშირის დამყარების, ან თუ ასეთი კავშირი უკვე არსებობდა, მის შემდგომი განმტკიცებისა და გამარადისების იარაღს წარმოადგენდა. საქართველო-ოსეთის



ურთიერთობაში მსგავსი დინასტიური ქორწინებანი არსებულ მე-  
გობრულ ურთიერთობათა განმტკიცება. შენარჩუნებას ისახავდნენ  
მიზნად. ისინი თავისებურ თანამშრომლობისა და ურთიერთდამხმ-  
რების ხელშეკრულებათა როლში გვევლინებიან. ხეტიქიშენქიშენქი  
ტიკული მიზნები ყველა ამ ქორწინების უახლოეს მიმდევარსადაც  
ლობდა თავის აშკარა გამოხატულებას.

საქართველოს მეფეს გიორგი I-ს (1014-1027), ცოლად ჰყოლი-  
ათა მეფის ასული, რომელსაც იმდროინდელი ბიზანტიელი მწერ-  
ლების (კედრინი, ზონარა) ცნობებით, აღდა რქმევია.

„მატიანე ქართლისა“-ს ცნობით, ბაგრატ IV-ს (1027-1072) ცო-  
ლად შეუერთავს „ბორენა დედოფალი, ოვსთა მეფისა ასული, და  
ლორთლოელისა“<sup>1</sup>.

სხენებულ გიორგი I-ს პირდაპირი მემკვიდრის — ბაგრატის  
გარდა ჰყავდა სხვა ძეც ოსთა მეფის ასულისაგან — დემეტრე. „და  
ამისსა შემდგომად სხუაცა ძე დარჩა გიორგი მეფესა ანაკოფიასა  
შინა, ოვსთა მეფისა ასულსა მეორესა ცოლსა თანა. და აზნაურთა-  
გან იყო მათ შუა მიდამო საუბარი, და ყრმა მცირე იყო, სახელით  
დემეტრე. ეგრეცა გაამეფეს, თუცა ვის გულს ედვა, და ვერცალა გა-  
მოინდევს ბაგრატ მეფემან და დედამან მისმან, არცალა თავადთა  
დიდებულთა ამის სამეფოსათა. და ვერლარა დაიდგნა და წარვიდა  
სამეფოსა მისგან, და მიმართა ბერძენთა მეფესა, და წარუტანა თანა  
ანაკოფია, და მიერთგან წარუხდა ანაკოფია აფხაზთა მეფესა მო-  
ქაყამადმდე“<sup>2</sup>.

როგორც აღნიშნული ცნობიდან ჩანს, აზნაურთა წრეში დემეტ-  
რეს (რომელიც მცირეწლოვანი იყო) გამეფების მსურველნი ყოფი-  
ლან. მაგრამ განაზრახის სისრულეში მოყვანა ვერ შესძლეს. ბაგ-  
რატს დედითა და მომხრე დიდებულებით უცდია ანაკოფიიდან (იგი  
საუფლისწულოდ ჰქონია მიცემული დემეტრეს მამისაგან) მისი გა-  
მოყვანა, მაგრამ დემეტრე ვერ მიენდო ძმას, დედითურთ ბიზანტია-  
ში წავიდა და ანაკოფიაც მათ მისცა. ს. ბარათაშვილს ეს ფაქტი ახს-  
ნილი აქვს ალდას პატივმოყვარეობით, რომელსაც სურდა დემეტრეს  
უფლებათა გაფართოება ბაგრატის ხარჯზე და რაკი წარმატებას ვერ  
მიადწია, ბერძენთა მხარეზე გადავიდაო<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ქცა, I, გვ. 295.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 295.

<sup>3</sup> С. Баратов, История Грузии, тетрадь III, 1871 г. СПб. стр. 57.

საქმე მხოლოდ აღდას პატივმოყვარეობა როდია, მან აღვიღო რომ სქონოდა. „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული ცნობებიდან ამკარად მოჩანს ტახტის გარშემო, ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ამტყდარი ბრძოლის კონკრეტული გამოვლინება. წინაურ-დიდებულები ორ ბანაკად გაყოფილან, რომელთაგან ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მოწინააღმდეგენი დემეტრეს ემხრობოდნენ და მას ბაგრატს უპირისპირებდნენ. ეს ჯგუფი რაჟი დემეტრეს გამეფების რეალიზაცია ამჯერად არ შეეძლო, უკან იხევდა და ხელსაყრელი მომენტის დადგომას ელოდებოდა. დემეტრეს ბიზანტიამ წასვლა მათ გარეშე არ მომხდარა და იმის მაჩვენებელია, რომ დიდგვარიან მემამოხეთა ამ ჯგუფს ბიზანტია თავის მოკავშირედ და დასაყრდენად მიაჩნდა.

ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე აქტიურად ჩაერია საქართველოს საშინაო საქმეებში. ბიზანტიის დიპლომატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო, არ დაეშვა საქართველოს გაერთიანება, ხელი შეეშალა ამ გაერთიანების საქმის წარმატებისათვის. იგი ცდილობდა ამ მიზნით, უშუალო სამხედრო ღონისძიებათა გარდა, დაყრდნობოდა ქართველ დიდებულებს, რომელთაც მოსყიდვა — ქრთამებით აგულიანებდა საკუთარი მეფის წინააღმდეგ გამოსვლისათვის, ასეთ ვითარებაში დემეტრე უფლისწულის ჩასვლა ბიზანტიაში სწორედ დროულ და სასარგებლო ფაქტად იქნა მიჩნეული. ბიზანტიამ სცადა დემეტრეს გამოყენება თავის პოლიტიკური ინტერესების განხორციელებისათვის. იგი თავის ჩარევას საქართველოს საშინაო საქმეებში ასაღებდა როგორც კანონიერების, სამართლიანობის აღდგენის საშუალებას, ცდილობდა ხალხისათვის თვალის ახვევას და თავის ნამდვილი მიზნების დამალვას. ადრე ბიზანტიის ნამდვილი ზრახვების დაფარვის ნიღაბი გურგენ კლარჯის ძე დემეტრე იყო. ძველი ქართველი ისტორიკოსის თქმით, ბიზანტიის მთელი ეს მოქმედება მიმართული იყო „შესატყუვენელად ქუეყანისა მკვდრთა“. საქართველოსათვის მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. კონსტანტინე VIII-ს სიკვდილმა 1028 წელს ცოტა ხნით გადასდო გამწვავებული მდგომარეობა.

ახალი კეისრის დროს ბაგრატი ცდილობს ბიზანტიასთან ურთიერთობის მოგვარებას, ცოლად ირთავს კეისრის ასულ ელენეს.

ამ უკანასკნელს დიდხანს არ დასცალდა საქართველოს დედოფლობა, სულ მალე გარდაიცვალა და ბაგრატი ახლა ოსთა მეფეს დაუ-  
ნათესავდა.

დემეტრე უფლისწულის კონსტანტინოპოლს წასვლა და მისი კოფიის ბერძენთათვის გადაცემა, ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, 1032 წელს მოხდა.<sup>1</sup> ამის შემდეგ დიდგვარიან აზნაურთა ბრძოლას სამეფო ხელისუფლებასთან სათავეში უდგება კლდეკარის ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტი. ბრძოლა სასტიკ და დაძაბულ ხასიათს იღებს. ერთდროულად სწარმოებს აქტიური პოლიტიკა თბილისისა და საქართველოს სხვა ნაწილების შემოსაერთებლად.

ამ ასპექტში თანდათან ნათელი ეფინება ბაგრატ IV-ს ერთ გონივრულ ნაბიჯს — ოსთა მეფის ასულის შერთვას და ამით ოსებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას. მისი სიმამრი და ცოლისძმა ოსეთის უძლიერესი მფლობელები იყვნენ, რომელთაც ბაგრატი ოსეთის გაქირვების ჟამს სერიოზული სამხედრო დახმარების აღმოჩენა შეეძლოთ. ამას გარდა, ბაგრატს ამ ფაქტით, შესაძლებელია, სურდა ოსეთიდან მეტოქე დემეტრესათვის ყოველგვარი მხარდაჭერის პერსპექტივა ხელიდან გამოეცალა (დემეტრე დედით ოსეთის მეფეთა ნათესავი იყო).

ბაგრატ IV-მ ქორწინებით დასახულ მიზანს მიაღწია. დემეტრეს ოსეთიდან არავითარ მხარდაჭერა არ ჰქონია. ჩვენ არა გვაქვს ცნობები, რომლებიც დემეტრეს ცდებს ოსეთიდან დახმარების მიღებაზე დაგვიდასტურებდნენ, მაგრამ ასეთ ცდებს ადგილიც რომ ჰქონოდათ, ოსები პრეტენდენტს კი არა, იმ მეფეს დაუჭერდნენ მხარს, რომელთანაც არანაკლები ნათესაობა და კავშირი ჰქონდათ.

ბაგრატ IV ოსეთის სამეფო კართან დანათესავების წყალობით უკანასკნელთა სამხედრო ძალებს თავის სასარგებლოდ იყენებს. 1037-1038 წლებში იგი თბილისის განთავისუფლებას შეეცადა და საამისოდ ალყა შემოარტყა მას. ამ ოპერაციაში უკვე ოსებიც მონაწილეობდნენ. ამაზე პირდაპირი ცნობა არა გვაქვს, მაგრამ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულია ერთი ცნობა, სადაც კახთა მეფისა და ოსთა მეფის რაღაც წაყიდებაზეა ლაპარაკი. კახელები ბაგრატის

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 11. 1948 წელი. გვ. 136.

მხარეზე მონაწილეობდნენ თბილისის გარემოცვაში, რომლის დროსაც „მოკლულ იყო დიდი კახთა მეფე კვრიკე ოვსისა ვისმე მონისა მიერ, რამეთუ წყობასა შინა ოვსთა მეფე ურდურე შეტყვევდა კვრიკეს ნიჟესა. და მესისხლეობით მოიკლა კვრიკე მეფე ნადირიშასა შინა, და ფიღრაზის გორთა, ოვსისა მონისა მიერ“.<sup>1</sup>

ურდურე, ბაგრატ IV-ს სიმამრი, კავკასიონის ქედის რომელიღაც ვადმოსასვლელით შეიჭრა კახეთის ტერიტორიაზე. ბაგრატს გარჯეული დიპლომატიური მოსაზრებით შეეძლო თავის ტერიტორიაზე არსებული ვადმოსასვლელები ოსებისათვის ჩაეკეტა, რომ კახეთთან უკუთიერთობის გამწვავება აეცლინა. მაგრამ, როგორც ჩანს, იგი კახეთის სამეფოს დასუსტებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა გატარებას ხელს უწყობდა; ეს სავესებით შესაძლებელია. ურდურეს შემოსევა კახეთზე უკანასკნელის დასუსტებას გამოიწვევდა, რაც ბაგრატის პოლიტიკისათვის სასარგებლო იყო. იგი საქართველოსათვის კახეთის შემოერთების საქმეს მნიშვნელოვან ამოცანად თვლიდა და ხელსაყრელ შემთხვევაში შეტევაზეც გადადიოდა. თბილისის გარემოცვის შემდეგ იგი კახეთზე ლაშქრობს კიდევ<sup>2</sup>, მაგრამ დავით აღმაშენებლის მეფობამდე კახეთის შემოერთება ვერ მოხერხდა, რადგან ქვეყნის შიგნით დიდებულ აზნაურთა აშლამ ხელისუფლების წინაშე სხვა ამოცანები დააყენა.

განდგომილმა ლიბარიტმა საბერძნეთიდან გამოიყვანა დემეტრე ჯარის თანხლებით და დაუპირისპირა იგი ბაგრატს. „შემდგომად მკორედისა ქაშისა გამოიყვანა ლიბარიტ დემეტრე, ძმა ბაგრატისი, საბერძნეთით, ბერძენთა მეფისა ლაშქრითა. და მიერთნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი, მოვლეს ზემო ქუეყანა და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენს, არე-არე მოწუეს ქართლი“<sup>3</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი ლიბარიტის აღნიშნულ განდგომას 1044-45 წ. წ. ათარიღებს.

ლიბარიტის განდგომამ ბაგრატის წინაშე დიდი საფრთხე აღმართა. მისი აქტიური მოკავშირენი შეიქნენ ბერძენნი და კახნი,

<sup>1</sup> ქცა, I, გვ. 297.

<sup>2</sup> ქცა, I, გვ. 298.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 298.

რომელთათვის ბაგრატის გამაერთიანებელი პოლიტიკა მიუღებელი იყო. მოპირდაპირეთა შორის დროებითი ზავი ჩამოვარდა, მაგრამ რაკი განდგომის მიზეზები დარჩა, კვლავ მოსალოდნელი იქნებოდა ლი გართულებანი. უკვე 1047 წელს „ლიპარიტ განმეგრეს“<sup>1</sup> საბერძნეთით დემეტრე, ძმა ბაგრატ მეფისა. ბერძენთა მეფისა ვანძი და ლაშქარი შემწე იყო. და განხეთქნა ამის სამეფოსა კაცნი: რომელნიმე წარუდგინნა დემეტრეს, და რომელნიმე დარჩეს ბაგრატის ერთგულებასა შინა... და იუუნეს თანამდგომ ლიპარიტისა კახნი ძალითა მათითა, და დავით სომეხთა მეფე ძალითა მისითა.“<sup>1</sup>

ამ ცნობიდან ნათელი ხდება, რომ ცენტრალური ხელისუფლების არამართო განმტკიცების, არამედ შენარჩუნების საქმეც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის პირობებში წყდებოდა. ზოგჯერ ისეთი მდგომარეობა იქმნებოდა, რომ სამეფო ხელისუფლების საქმე ბეწვზე ეყიდა. ბაგრატის წინააღმდეგ ერთიანდებიან ქართველი დიდებულები, ბერძნები, კახთა და სომეხთა მეფეები, — ყველა ამათვის მიუღებელია საქართველოში ძლიერი სამეფო ხელისუფლების არსებობა. დემეტრე კი მათ ხელში მხოლოდ უბრალო იარაღია, რომელსაც თავის ზრახვების კანონიერების ნიღბად იყენებენ. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ დემეტრეს სიკვდილმა შინაგანი არეულობა არ შეწყვიტა. იგი კვლავ გრძელდებოდა.

აღნიშნულ მოვლენათა შუქზე უფრო ნათლად ვლინდება ბაგრატის ოსეთთან დაახლოების მთელი ხელსაყრელობა საქართველოსათვის. ბიზანტიის დიპლომატია ყოველთვის ახერხებდა თავისი

1 ქცა, I, მატიანე ქართლისაჲ, გვ. 300.

ზ. ჭიჭინაძე დემეტრეს ბაგრატის ძმად კი არა, არამედ ძედ თვლის, ბორენასაგან ნაშობად. გიორგი ბაგრატს პირველი ცოლისაგან ჰყავდა, დემეტრე კი მეორე ცოლისაგან, რის გამოც ტახტი გიორგის ეკუთვნოდა. რათა ძმებს შორის უთანხმოება არ ჩამოვარდნილიყო, ბორენამ თავისი ვაჟი ანაკოფიას გააბარა, იყო კონსტანტინოპოლში, საიდანაც წავიდა ოსეთში და იქ დაცოლშვილდაო. „ქართლის ცხოვრების“ ცნობა დემეტრეს შესახებ სწორი არ არისო. (ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, 1913 წ., გვ. 123, 124, 127, 128;). ზ. ჭიჭინაძის აზრის განხილვა შეუძლებელია, რადგან იგი ისტორიულ წყაროთა ცნობებს არ შეესაბამება.

პოლიტიკური ინტერესების განსორციელების იარაღად ოსების და მოყენებას. ამჯერად ოსებს საქართველოს გაერთიანების მოწინააღმდეგე კოალიციასთან არაფერი არ აკავშირებს; ეს კავშირები სათანადო ღონისძიებათა შედეგი იყო. მან ოსებთან კავშირის განმტკიცების გზით უზრუნველყო თავისთვის მხარის დაკერა ჩრდილოეთის მხრიდან. ოსები ბაგრატს ეხმარებიან. ბაგრატის ცოლისძმა დორლოლელმა ფადლონთან ბრძოლაში 40 ათასიანი ჯარი მიაშველა სიძეს) ეს მნიშვნელოვანი ძალა რომ მის მოწინააღმდეგეებს ჰყოლოდათ, შეიძლებოდა საქმე კოალიციის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო. ბაგრატის ფრთხილმა ღონისძიებებმა თავისი გაიტანეს და წარმატებაც ბოლოს მის მხარეზე აღმოჩნდა.

რაც შეეხება ამირა ფადლონის წინააღმდეგ ქართველ-ოსთა შეერთებულ ლაშქრობას, ამაზე შემდეგი ცნობა მოგვეპოვება: „გამოიყვანა ღორღოლელი (ბაგრატ IV-ემ, გ. თ.), ოვსთა მეფე, 40 ათასითა კაცითა ოვსითა, და წარუძღუანა ძე მისი გიორგი კურაპალატი და მოაოხრა განძა, და აღიღო ტყუე და ნატყუენავი ურიცხვ. და ვაგზანა თავის სამეფოდ“.<sup>1</sup>

ფადლონის მოთოკვას საქართველოსათვის მცირე ხნით მშვიდობიანობა მოჰყვა. ამ პერიოდში ქართველ-ოსთა ურთიერთობის სიმჭიდროვეზე მეტყველებს ერთი ფაქტი, რომელსაც უშუალოდ განძის ლაშქრობის შემდეგ ჰქონდა ადგილი. ეს ფაქტია დორღოლელის დარბაზობა საქართველოს სამეფო კარზე, რომელიც „მატიანე ქართლისას“ ავტორს შედარებით დაწვრილებით აქვს აღწერილი. „აღისურვილა დიდმან ოვსთა მეფემან დორღოლელმან დისიძისა მათისა ბაგრატისა სევასტოსისათვს, და ითხოვა დარბაზობა ბაგრატისგან. ხოლო ბაგრატ ნება სცა და მხიარულად წარმოემართა ოვსთა მეფე ყოვლითა თავადითა ოვსეთისათა, და აღმოვლო გზა აფხაზეთისა და მოვიდა ქუთათისს. და ნანა დაჲ მათი დედოფალი, დედა გიორგი კურაპალატისა; რამეთუ გიორგი კურაპალატი გებულ იყო უწინა, და მოიყვანეს ქართლს. და მეფე დეა ტინისხიდის ჭალასა, ნადარბაზევს, და მოეგება წინა დიდითა ზეიმითა და პატივითა“.<sup>2</sup>

1 ქცა, I, გვ. 313.

2 იქვე, გვ. 313.

იმავე წყაროს ცნობით, დორღოლელი 12 დღე სტუმრობდა საქართველოში. ბაგრატმა იგი დიდად პატივსაცემი, დაქვეყნებული გაისტუმრა. „მატიანე ქართლისა“ -ს 12 დღე სტუმრობდა განყოფილებული იქვე და მათი აჩქარების მიზეზს ზამთრის მოახლოებით ხსნის (როცა გადმოსასვლელი გზები იკეტება თოვლისაგან)¹.

დორღოლელის სტუმრობა ბაგრატ IV-სთან განძის ლაშქრობის შემდეგ მაჩვენებელია ბაგრატის მხრივ ოსთა მნიშვნელობის სათანადო შეფასებისა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ამოცანების გადაჭრის საქმეში. ოსები ბაგრატის მხარდასაჭერად გამოდიან დარიალის გზით, აფხაზეთის გზით (ქლუხორის უღელტეხილით ქუთაისში) და სხვა გადმოსასვლელითაც.

ოსთა აქტიურ მხარდაჭერას ბაგრატისათვის ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ უკანასკნელმა ქვეყნის პატრიოტულ ძალებსა და მათზე დაყრდნობით შესძლო ბიზანტიის შემოტევის მოგერიება, რომელმაც საქართველოს გაერთიანების საქმის ხელის შესაშლელად თავი მოუყარა მნიშვნელოვან სამხედრო ძალებს ქვეყნის შიგნით და გარეთ.

ასეთ პირობებში ბუნებრივი იყო ქართველ-ოსთა შემდგომი დაახლოება ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სფეროში. პოლიტიკური კავშირის სიმჭიდროვეს ზემომოყვანილი ფაქტები ადასტურებს, ხოლო ეს გავლენას ახდენდა ეკონომიური და კულტურული დაახლოების საქმეზეც. თავისუფალი მისვლა-მოსვლა მათ შორის სავაჭრო-გაცვლითი მიზნით სავსებით შესაძლებელი და კანონზომიერი მოვლენაა შექმნილ ვითარებაში. ქორწინებასთან დაკავშირებული ცერემონიალი, ოსთა ლაშქრის ქართველი ლაშქრის მხარდამხარ ბრძოლა, მეგობრული ვიზიტები ხელს უწყობდა ქართული კულტურისა და ყოფაცხოვრების ელემენტების გაცნობას ოსების მიერ, რასაც მათი შემდგომი კულტურული განვითარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ბაგრატის შემდეგ ქართულ წყაროებში რამდენიმე ხნით ოსებთან ურთიერთობის შესახებ კონკრეტული მაგალითები არა გვაქვს. საქმე ისაა, რომ საქართველოში თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა იმა-

1 ქცა, I, გვ. 313.

ტა. საქართველოს მათთან ბრძოლის რეალური შესაძლებლობა არ გააჩნდა, გიორგი II მათ მიმართ წინააღმდეგობის გაუწევლობის ტაქტიკას დაადგა. ასეთ პირობებში ოსთა დახმარების ქვეყნებს ფრანკ ვითარბი აზრი არ ჰქონდა და ქართული წყაროებიც კარგად იცნობენ რიოდის ოსების შესახებ.

საქართველოსათვის თურქ-სელჩუკთაგან მომდინარე საფრთხე უჩვეულოდ დიდი იყო. საგარეო გართულებას საქართველოსათვის დაერთო კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამწვავება. ქართველი ხალხის გადასარჩენად მისი ძალთა სრული მობილიზაცია იყო საჭირო. ამ ამოცანის გადაწყვეტის აუცილებლობა სამეფო ტახტთან ერთად მემკვიდრეობით მიიღო დავით IV-მ (1089-1125 წ. წ.). თურქთა ამიერკავკასიიდან განდევნისა და დიდგვარიან აზნაურთა სეპარატისტული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა მან მოხერხებულად დაუკავშირა თურქთა სასულტნოში დაწყებულ არეულობას, დაკავშირებულს სულტან მალიქ-შაჰის სიკვდილთან (1092 წ.) და ჯვაროსანთა ლაშქრობას (დაიწყო 1097 წელს) აღმოსავლეთის მაჰმადიანურ ქვეყნებზე.

დავითმა შეუწყვეტელი, სწრაფი თავდასხმებით თურქები საქართველოს ტერიტორიიდან განდევნა. მაგრამ ვიდრე ისინი ამიერკავკასიაში რჩებოდნენ, საქართველო გრანტირებული არ იყო თავდასხმებზეგან. დავითმა მიზნად დაისახა თურქებისათვის ამიერკავკასიაში ფეხის ამოკვეთა.

ხანგრძლივი ომიანობითა და შინაგანი არეულობებით დასუსტებულ ქართველ ხალხს მართოდენ საკუთარი ძალებით არ შეეძლო ასეთი გრანდიოზული ამოცანის გადაჭრა. ამ მიზნისათვის დაჭირავებული ჯარების გამოყენება ნაკლებ ხელსაყრელი იყო. მას ღრობებითი ხასიათი ჰქონდა და ყოველი ცალკეული ბრძოლის დამთარების შემდეგ ძალას კარგავდა. არც ფეოდალური ლაშქარი იყო ყოველთვის საიმედო, რადგან მისი ხელმძღვანელები — მსხვილი ფეოდალები — სამეფო ხელისუფლებას ხშირად ოპოზიციამი უღდგენ.

ერთი სიტყვით, საჭირო იყო მუდმივი ჯარის შექმნა, რომელიც ყოველთვის მზად იქნებოდა გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ გამოსვლისათვის. დავითმა გადასწყვიტა ყივჩაყთა გაღ-



მოსახლება საქართველოში და მათგან მუდმივი ქორის შექმნა და  
 დავითმა კარგად იცოდა ყივჩაყთა გაქირვებული მდგომარეობა.  
 მისი მეუღლე ყივჩაყთა მთავრის ასული იყო და ~~ქრ. ეკლ. მუდმივად~~  
 მათთან მოლაპარაკებას აადვილებდა. ყივჩაყები (შერეობა) ~~ქრ. ეკლ. მუდმივად~~  
 სიამოვნებით დათანხმდნენ დავითის წინადადებაზე: „ხოლო მათ  
 სიხარულითა მიითულნეს, გარნა ითხოვეს გზა მშვიდობისა ოვსთა-  
 გან. ამისთვისცა ბრძანა მეფემან წარსლვა ოვსეთს, და სიტყუასა-  
 ვე თანა წარემართა და თანა წარიტანა გიორგი ქყონდიდელი და  
 მწიგნობართ — უხუცესი თვსი, კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა  
 სულისა და ხორცთასა, საყუგ სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრა-  
 ხი, სვანი და ფრთხილი“<sup>2</sup>.

საქართველოს ურთიერთობა ყივჩაყებთან დარიალის კარებით  
 ხდებოდა, მაგრამ დარიალის ხეობის ციხე-სიმაგრენი ოსთა ხელში  
 იყო და მათ გარეშე არც ერთი მხრიდან გზის გადალახვა არ შეიძ-  
 ლებოდა. ოსებს კი ყივჩაყებთან მტრობა ჰქონდათ და არ ატარებდ-  
 ნენ ამ გზით საქართველოში. ოსებს ეშინოდათ გზაზე კონტროლის  
 დაკარგვისა, რაც ასე ხელსაყრელი იყო მათთვის. მეორეს მხრივ,  
 ყივჩაყთა დაბინავენას საქართველოში მოჰყვებოდა საქართველოში  
 ოსთა მნიშვნელობის დასუსტება. ოსთათვის კი საქართველოსთან

1 ყივჩაყები XI ს.ში დასახლდნენ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებში. ყი-  
 ვჩაყთა სტებები უზვი სამოვრებით მესაქონლეობის განვითარებისათვის  
 ხელსაყრელ პირობებს ქმნიდნენ და მომთაბარე ტომებს იზიდავდნენ. ამ რაიონ-  
 ნებში მდებარე ყივჩაყები რუსეთის საშიში მტრები იყვნენ. მათი შეჭრებანი  
 სისტემატური ხასიათისა იყო. XII ს. დასაწყისიდან ყივჩაყებს ენერგიულად შე-  
 ებრძოლა და შევიწროება დაუწყო ვლადიმერ მონომახმა. ყივჩაყების ერთი ნა-  
 წილი იძულებული გახდა ჩრდილო კავკასიის ველებზე გადანაცლებულიყო.  
 ჩრდილო კავკასიაში ყივჩაყები ოსებს დაემუზობლნენ და მათთან კონფლიქტში  
 აღმოჩნდნენ ტერიტორიულ ნიადაგზე. მათი ჩრდილო კავკასიაში ყოფნა ოსთა  
 სამოსახლო ტერიტორიის საფრთხეს უქმნიდა და ამის გამო მათ შორის მტრო-  
 ბისა და უნდობლობის ატმოსფერო შეიქმნა.

2 ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქცა, I, გვ. 336,



მკიდრო კავშირი ყოველთვის სასარგებლო იყო მატერიალური თვალსაზრისით (ქირა, ნადავლი, ვაჭრობა-გაცვლა).

დავით აღმაშენებელს, როგორც გამოჩენილ მატერიალისტს, კარგად ესმოდა, რომ ჩანაფიქრის შესრულებისათვის მატერიალური იყო ყივჩაყ-ოსთა მტრობის დაძლევა და ოსთა დათანხმება ყივჩაყთათვის გზის მიცემაზე. ამასთან ერთად წარმოიშვა მეორე ამოცანაც — დარიალის გზის კონტროლის ხელში ჩაგდების ამოცანა. დავითს ოსთა წინააღმდეგ სამხედრო ძალების გამოყენება არ უცდია (მას შეეძლო ოსთათვის ორი მხრიდან — ჩრდილოეთიდან ყივჩაყების, სამხრეთიდან ქართველების სამხედრო ძალა დაეპირისპირებინა, რათა ისინი აეჭულებინა გზის გასახსნელად). დავითი მოერიდა საქართველოს ამ ძველ მოკავშირე ქვეყანასთან ურთიერთობის გამწვავებას, გამოიყენა საქართველოს მორალური ავტორიტეტი ოსებზე, ქრისტიანობაც, რომელიც ოსებში X ს. გავრცელდა და მოარიგა ისინი ყივჩაყებთან, ოსეთში შესულ დავითს „მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და... დადგეს წინაშე მისსა, და აღიხუხეს მძევალნი ორთავანვე, ოვსთა და ყივჩაყთა, და ესრეთ ადვილად შეაერთა ორნივე ნათესავნი. და ყო შორის მათსა სიყუარული და მშვიდობა ვითარცა ძმათა. და აღიხუნა ციხენი დარიალსა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი. და შექმნა გზა მშვიდობისა ყივჩაყთათს, და გამოიყვანა სიმრავლე ფრიად დიდი“<sup>1</sup>.

ოს-ყივჩაყთა დავის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მნიშვნელოვან დიპლომატიურ გამარჯვებად თვლის. ამით საქართველო ოსთა სახით სამხედრო რეზერვის მნიშვნელოვან მარაგს ინარჩუნებდა. ოსებთან მტრობის პირობებში საქართველოს საგარეო ვითარება ძალზე გართულებული იქნებოდა.

დავითის ისტორიკოსის ცნობით, მას 1118 წ. 45 ათასი ყივჩაყი გადმოუყვანია საქართველოში თავის ოჯახებით. სოპეხი ისტორიკოსის მათე ედესელის ცნობით კი დავითს 15 ათასი ყივ-

<sup>1</sup> ქცა, I, გვ. 336.

ჩაყი, 500 ალანი და ასეული ფრანგი გამოუყვანია<sup>1</sup>. ომავე სომეხი ისტორიკოსის სიტყვით, დავითს სხვა დროსაც მიუმართავს ოსთა სამხედრო დახმარებისათვის. დიდგორის ომში 5000 არაბი (დ. ბაქრაძის შენიშვნა) ლორიეს აზრით — ოსი) მონაწილეობდა დავითის მხარეში.

მაგრამ დავით აღმაშენებლის ოსეთში გადასვლას მარტო ის მნიშვნელობა არ ჰქონია, რომ ყივჩაყთათვის გზის გახსნა უზრუნველყო. უფრო მნიშვნელოვანი იყო ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში გადმოსავალ საუღელტეხილო გზების ხელში აღება, რითაც ჩრდილო კავკასიის მოსახლეობასთან ურთიერთობის საქმის რეგულირება შეეძლო. ეს გადმოსავალი გზები ყოველთვის დიპლომატიური და სამხედრო ღონისძიებათა ობიექტებს წარმოადგენდნენ ყველა იმათთვის, ვინც საქართველოში ფეხის მოკიდებას ფიქრობდა. მათ ხელში ჩაგდებასაკენ მიისწრაფოდნენ ქართველი მეფეები, აგრეთვე აქ შემოჭრილი უცხოელი დამპყრობლები (რომაელები, სპარსელები, ბიზანტიელები, არაბები), თვით ჩრდილო კავკასიის ხალხებიც. არაბთა ამიერკავკასიაში დასუსტების შემდგომ პერიოდში, ჩანს, დარიალისა და სხვა გადმოსასვლელ გზათა კონტროლი ოსთა ხელში გადავიდა. მათვე მოუხერხებიათ ამ გზებზე არსებული ციხე-სიმაგრეების აღება, ამას ნიშნავს დავითის ისტორიკოსის ცნობა, რომ მას გზების და გზებზე აგებული ციხე-სიმაგრეების საქართველოსათვის დაბრუნება 1118 წელს მოუხერხებია.

დავით აღმაშენებელს, რომელსაც საქართველოს გაერთიანების პროცესი უნდა დაეგვირგვინებინა და უცხოელ დამპყრობთა თარეშებისაგან ეხსნა, არ შეეძლო ამ გადმოსავალი გზების მიმართ გულგრილი დარჩენილიყო. ყივჩაყთათვის გზის გახსნა მხოლოდ

<sup>1</sup> ვახუშტი, საქართველოს ისტორია, 1885 წ. ტფილისი, სქოლიო 5, გვ. 179 (დ. ბაქრაძის შენიშვნა). Dulaurier, Recueil des histor. des croisades. Docum. armen; I, 129; M. Brosset, histoire de la Georgie, S.—P. 184 ff. p. 363. სქოლიო 3.

<sup>2</sup> ვახუშტი, საქართველოს ისტორია, გვ. 182, სქოლიო; მ. ბროსე, Additions a l'histoire de la Georgie 1851. p. 228-229; დიულორიე, Recueil... 33. 127-130.

საბაბი იყო ამ საკითხის მოსაგვარებლად. უმისოდაც იგი საქართველოს ცენტრალური მთავრობის წინაშე ადრე თუ გვიან მთელი სიმწვავეით დაისმებოდა.

დავითის მიერ ოსებთან დიპლომატიური მოლაპარაკებების განხორციელება საინტერესო საკითხების გადასაჭრელად არსებობდა ხელსაყრელი პირობები, რომლებიც შეიქმნა საქართველოს ოსეთთან საუკუნეების მანძილზე მკვიდრო ურთიერთობით. აღნიშნული პერიოდისათვის საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გავლენა გზას იკაფავს ოსებსა და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებში. ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად ოსეთში ქართული ენა და ქართული კულტურის ელემენტები ვრცელდებოდა, რაც, ცხადია, აღვილებდა მათ შორის საერთო ენის გამოჩნდას. დავით აღმაშენებელს და მის წინაპარ მეფეებს უნდა ეზრუნათ ოსეთის გაქრისტიანების საქმის წარმატებისათვის, რადგან ქრისტიანობა ხელს შეუწყობდა ოსების მოქცევას საქართველოს იდეოლოგიურ და პოლიტიკურ გავლენაში. დავითის ისტორიკოსის შენიშვნა: „რადღენი ნათესავნი წარმართთანი შვილად წმიდისა ემბაზისად მოიყვანნა და შეაწყნარნა ქრისტესა“<sup>1</sup>, — მნიშვნელოვანწილად ეხება ოსებსაც. გიორგი ჭყონდიდელის დავითთან ერთად ოსეთში წასვლა მოლაპარაკებების საწარმოებლად შესაძლებელია იმის მაჩვენებელი იყოს, რომ მოლაპარაკებებისას ქრისტიანულ კულტან დაკავშირებული იერარქიის საკითხებიც წამოიჭრა. ჭყონდიდელს ხელი მიუწვდებოდა მათზე. ოსები, მართალია, ოფიციალურად X ს. გაქრისტიანდნენ, მაგრამ ქრისტიანობა იქ ერთბაშად არ განმტკიცებულა. XII-XIII ს.ს. საქართველოს საერო და სასულიერო წარმომადგენლები ცდილობენ მის განმტკიცებას ეკლესიების აგებითა და სხვა ღონისძიებებით.

თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებიდან ცნობილია, რომ დავით სოსლანი თამარის მამიდა რუსუდანს ენათესავებოდა დავით აღმაშენებლის ოსეთში გათხოვილი ასულის მხრივ („ესე დედოფალსა რუსუდანს... თვს ეყოდა მამის დისა მისისა, დავითის ასუ-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 354.

ლისა ოსეთს გათხოვილობისა მიზეზითა“<sup>1</sup>. დავითის ამ ასულს აკად. კ. კეკელიძის აზრით, რუსუდანი რქმევია<sup>2</sup>. ჩვენ არ ვიცით დავითის ოჯახის შემადგენლობა, არც ის, თუ როდის გათხოვდა ეს ასული ოსეთში, დავითის სიცოცხლეში, თუ მის შემდეგ. უნდა იყოს ხანი ამ ქორწინებისა, მაგრამ რაკი ჩვენ ხელთა გვაქვს ცნობა 1118 წელს დავითის უშუალო ურთიერთობის შესახებ ოსებთან, შესაძლებელია ქორწინება ამ მოლაპარაკების უშუალო შედეგი, ან მისი წარმატებით დამთავრების ერთი წინაპირობათაგანი იყო. აღნიშნული ქორწინება შეიძლებოდა დემეტრეს დროსაც მომხდარიყო, მაგრამ ის კი სრულიად უეჭველია, რომ მას საქართველოსეთის ურთიერთობის განმტკიცების ამოცანა ეკისრებოდა და ამ მიმართულებით არც თუ უშედეგო აღმოჩენილა. ამის შემდეგ ოსეთის სამეფო დინასტია საქართველოს სამეფო დინასტიას, — ბაგრატიონებს, დაენათესავა დედის მხრივაც (დავით სოსლანი მამის-დემეტრე გიორგის ძის მეშვეობით ბაგრატიონთაგან მომდინარეობდა), რასაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროისათვის. ცხადია, ბაგრატიონთაგან ჩამომავალი ოსეთის მეფეები მთელ ოსეთში ერთადერთნი არ იყვნენ (დავით აღმაშენებელს მოეგებნენ **ასთა ნეფენი და მთავარნი**), მაგრამ, ჩანს, ისინი სათანადოდ აფასებდნენ საქართველოს სამეფო კართან ურთიერთობის მთელ მნიშვნელობას საკუთრად ოსეთში თავის გავლენის განმტკიცებისათვის. აღნიშნული ურთიერთობა ზრდიდა ოსეთის ბაგრატიონთა პოლიტიკურ და მორალურ წონას ოსეთში.

XII ს. დასაწყისში დავით აღმაშენებლის მიერ ოსეთთან დამყარებულ ურთიერთობას მოჰყვა ოსეთის მოქცევა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გავლენის სფეროში. დავითის ისტორიკოსის განცხადებით, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები დავით აღმაშენებლის მეფობის დასასრულს გადაჭიმული იყო

1 ისტორიანი და აზმანი... გვ. 88.

2 რუსთველოლოგიური შტუდიები, ტფილისის საბ. უნივ. შრომები, III, 1936 წ., გვ. 120; მისივე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1956 წ., გვ. 313, 318.

ნიკოფსიიდან დარუბანდამდის, ოსეთიდან არეგაწაზღე<sup>1</sup>. ოსეთი  
დავით აღმაშენებლის დროიდან საქართველოს პოლიტიკურ გავ-  
ლენაში მოექცა. დავით აღმაშენებლის... „აჩრდილს<sup>2</sup>...  
იყენეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი<sup>3</sup>...  
და ყივჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და  
სპარსეთისანი“<sup>2</sup>...

კად. ივ. ჯავახიშვილს დავით აღმაშენებლის დროიდან საქარ-  
თველო-ოსეთის ურთიერთობა ყმაღნაფიცობის პრინციპზე აგებულად  
მიიჩნია. „უკვე დავით აღმაშენებლის დროიდან ოვსნი და ყივჩაყნი  
საქართველოს ყმაღნაფიცნი იყვნენ“<sup>3</sup>. რაში გამოიხატება საქარ-  
თველო-ოსეთი ოსთა ყმაღნაფიცობა? — ლაშა გიორგის დროინდელი  
შემატიანეს ცნობით, დეფეტრუს თე გიორგის „აფხაზეთი, სუანეთი  
და ყოველი სამოქალაქო აქუნდა დაწყნარებით, და ოვსთა და ყივ-  
ჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან, ეგრეთვე შარვა-  
ნის სახლი“<sup>4</sup>. ამ ვარაუდობას თურქებთან ხანგრძლივი ბრძოლებისა  
და დიდგვარიან აზნაურთა განდგომის მუდმივი საფრთხის პირო-  
ბებში საქართველოსათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

აღებულ ხანაში ოსები სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ.  
მათ შეეძლოთ სერიოზული წინააღმდეგობა გაეწიათ ყივჩაყთა  
მრავალრიცხოვანი ურდოებისათვის და საქართველოსთან ურთი-  
ერთობაშიც აქტიური კონტრაგენტის როლი შეესრულებინათ.  
ყმაღნაფიცობის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა ოსებთან  
კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებისა და მისგან სკჟ-  
ხედრო დახმარების მიღების ინტერესებისათვის მუდმივად ატარებ-  
და გარკვეულ ღონისძიებებს ოსეთის მმართველ წრებთან დინას-  
ტიური ნათესაობის განმტკიცების ხაზით.

ოსეთის ყმაღნაფიცობა საქართველოს მიმართ სამხედრო ექს-  
პედიციების ან დაპყრობის გზით არ დამყარებულა. იგი აღმოცენ-  
და-ეკონომიური და სარწმუნოებრივი მომენტების ბაზაზე. ამიტომ

1 საბინინი, საქართველოს სამოთხე. ს. პეტერბურგი, 1882 წ., გვ. 513.

2 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 360.

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1949 წ. წ. III, გვ. 245.

4 ცხოვრება გიორგი მეფისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 367.

იგი შედარებითი სიბრბილით ხასიათდებოდა. მის შესანარჩუნებლად დამატებითი ღონისძიებები ტარდებოდა. აი ერთი ასეთი ღონისძიების ნიმუში: დემეტრემ თავის მემკვიდრე გიორგის „ამას თვისსა მეფობასა შინა მოგუარა ცოლი მამამან, ასული მეფისა...“<sup>1</sup> სახელით ბურღუხან, თვთ ესევეთარი შესატყვისი ქმნიასა შინა... ტან-ლომისაჲ, თვთ მზე-მზეთაჲ შეუნებითა და მოფენაობითაცა, ვითარ ითქუმის,...თვთ მარიაჲს ესახების... მადლითა, სიბრძნითა, შეწევნითა და მეოხებითა“<sup>1</sup>. ბურღუხანის სიმშვენიერეს, ქრისტეშემოსილობას, სიბრძნესა და გონიერებას ხაზი აქვს გასმული ქართული ისტორიკოსის თხზულებაში, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ისინი ამ ქორწინების ძირითადი გადამწყვეტი ფაქტორები არ შეიძლება ყოფილიყვნენ. საქართველოს ბაგრატიონებს შეეძლოთ ისეთივე მშვენიერი სადედოფლო ეშოვათ სხვაგანაც, მაგრამ თუ მაინც ოსეთის სამეფო კარი იქნა არჩეული სადედოფლოს ძიების ადგილად, ეს გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით მოხდა. ლაშა—გიორგის მემკვიდრეობა, რომ გიორგი III ოსებს რამდენ ათას კაცსაც უბრძანებდა — მოდიოდნენ, ჩვენ ისე უნდა გავიგოთ, რომ აქ მართო ბრძანება საკმარისი არ იყო. საჭირო იყო სხვა ხელშეწყობი პირობები, რომ ბრძანება რეალური და პრაქტიკულადაც სისრულეში მოყვანილი ყოფილიყო.

დემეტრე მეფე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოსებთან მეგობრულ ურთიერთობას, რისთვისაც საკმარისად არ მიაჩნდა უკვე არსებული ურთიერთობის დონე და მის შემდგომ განმტკიცებას შეეცადა თავის ვაჟის გიორგის ოსთა მეფის ასულზე დაქორწინების გზით. დემეტრეს ისტორია ქართულ ისტორიოგრაფიაში წყაროების უქონლობის გამო შეუსწავლელია. ამიტომ ჩვენ ნათელი წარმოდგენა არ გვაქვს აღნიშნული ქორწინების მიზნისა და ამოცანის შესახებ.

ერთ ფეოდალურ მონარქიად გაერთიანების პროცესის დამთავრებასთან დაკავშირებით საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით აქტიური პოლიტიკის წარმოება მოუხდა. ამ მხარეში მას, ერთი მხრივ, აქ მრავლადა

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი... გვ. 55.

გაჩენილ მაჰმადიანურ სამეფო-სამთავროთაგან თავდაცვის ინტერესები გაუჩნდა, ხოლო მეორე მხრივ — სახელმწიფო საზღვრების გაფართოების ამოცანა. ჩრდილოეთით საქართველოს საგარეო პოლიტიკის წინაშე კავკასიონის, ამ ბუნებრივი საზღვრის გადარღვევა სახელმწიფოებრივი საზღვრების გადატანის საკითხი დასაძლავდა და აქ იგი კმაყოფილდებოდა თავისი პოლიტიკური გავლენის დამყარების ისეთი დონით, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემდა უზრუნველყო ჩრდილოეთელ მეზობლების სამხედრო მხარდაჭერა.

აღნიშნული გარემოება ჩრდილო კავკასიისადმი საქართველოს ინტერესს უზომოდ ზრდის XI-XII ს. ს. ფაქტია ისიც, რომ ასეთი ინტერესი არც მასზე უწინ ყოფილა სუსტი. საქართველოს სამეფო კარი მთელ რიგ ღონისძიებათა გატარებით ოსებს ითრევს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეული პოლიტიკური ამოცანების განხორციელების საქმეში გამოყენებისათვის. ოსეთის სამეფო კართან ხშირი დინასტიური ქორწინებანი ასეთ ღონისძიებათა რიგს მიეკუთვნება. დემეტრეს მიერ გადადგმული ნაბიჯი — გიორგის დაქორწინება ოსთა მეფის ასულ ბურღუხანზე, უკანასკნელის სიმშვენიერის თუ სხვა თვისებების მიუხედავად, გარკვეული პოლიტიკური ანგარიშით გაკეთებული საქმეა.

დემეტრეს დროსვე გიორგის — ტახტის მემკვიდრეს, მოწინააღმდეგე გამოუჩნდა თავისივე ძმის — დავითის სახით, რომელმაც მამას მეფობაც კი წაართვა. მართალია, იგი მალე მოკვდა და გიორგის კვლავ გზა გაეხსნა ტახტისაკენ, მაგრამ დავითის ძე დემეტრე (დემნა) მომავალში ახალ გართულებათა მომასწავებელი იყო. დემეტრეს სწორად ჰქონდა თავის შვილის გიორგის მძიმე მომავალი წარმოდგენილი და მისი პოზიციების გამაგრება შეუდგა. მისი პოზიციების გამაგრებაში ოსებს თვალსაჩინო როლის შესრულება შეეძლოთ და დემეტრემ, რომლის და ოსეთში იყო გათხოვილი, რძალადაც ოსი მეფის ასული მოიყვანა და ოსეთის მეფესაგან მხარდაჭერა გაინალდა. ოსებთან ურთიერთობის განმტკიცების ამოცანა არამართო საგარეო პოლიტიკის საჭიროებებიდან გამომდინარეობდა. არამედ შინაკლასობრივი ბრძოლის გამწვავების ფაქტიდანაც. საქართველოს ძველ ისტორიიდან ოსთა გამოყენება



შინაკლასობრივ ბრძოლაში ცნობილი იყო და ახლაც გიორგი, სა-  
მამრს—ხუდანს სიძისათვის მნიშვნელოვანი სამხედრო დახმებების  
აღმოჩენა შეეძლო. სავსებით შესაძლებელია 1177 წ. ~~დემეტრე აღმაშენებლის~~  
ყების პერიოდში გიორგის ოსთავან სამხედრო დახმებების მიხედვით  
თუმცა წყაროები ამაზე არავითარ ცნობას არ იძლევიან (მაგრამ  
განა მართო ამაზე სდუმან ისინი?!).

როცა იმავე გიორგის წინააღმდეგ დაიძრნენ მეზობელი მაკ-  
მადიანური ქვეყნების გაერთიანებული ძალები (ხვარასნის და ერ-  
ყის სულტნის, ბაღდადის ხალიფის, სპარსეთის ათაბაგის ილდი-  
გუზის და სხვათა მონაწილეობით), მან „მსწრაფლ შემყრელმან  
შვიდთავე მისთა სამეფოთა, იმერთა და ამერთამან გამოასხნა ოვსნი,  
და ქუეყანანი დიდძალნი, და მომართა სულტანსა, მყოფსა აუ-  
რაცხელითა და უჰამრავითა ლაშქრითა“<sup>1</sup>. ამ ენერგიული საპასუ-  
ხო ღონისძიებების შედეგი ის იყო, რომ მაკმადიანთა ლაშქარმა  
უბრძოლველად გაცლა ირჩია. ბრძოლა შემდეგში მაინც გაგრძელ-  
და, მაგრამ აღნიშნულ ამბებში ოსთა გადმოყვანის ფაქტი ნიშან-  
დობლივი და ფრიალ საყურადღებო მოვლენაა. ამ ცნობიდან ისიც  
გამომდინარეობს, რომ ქართველებს შეეძლოთ ოსთა დამხმარე  
ლაშქრის სწრაფი მოწვევა. საქართველოს ლაშქრის შეყრის მომენ-  
ტისათვის ოსთა ლაშქარიც ასწრებდა გადმოსვლას და შეერთებუ-  
ლი ძალებით ლაშქრობდნენ ხოლმე მტერზე. ეს ფაქტი გვაფიქრე-  
ბინებს, რომ საქართველო-ოსეთს შორის გადასავალი გზებით ურ-  
თიერთობა კარგად იყო მოგვარებული. სასწრაფო საქმეზე წარგ-  
ზავნილები ცხენების ცვლით გაივლიდნენ ხოლმე გზას. „ცვალები-  
თთა ჰუნეთათა“, როგორც თამარის ისტორიკოსი ზანქან ზორაბა-  
ბელის ყივჩაყეთში ჩასვლის შესახებ აღნიშნავდა.

სხვა ცნობები გიორგი მესამის (1156-1184 წ. წ.) დროს სა-  
ქართველო-ოსეთის ურთიერთობის შესახებ ქართულ წყაროებში  
არ მოიპოვება. ასეთი ცნობები არც არაქართულ წყაროებში ჩანს.  
რა თქმა უნდა, გიორგის ოსებთან ურთიერთობა ოსთა სამხედრო  
ძალების ერთი გადმოყვანით არ ამოიწურა და მის ხშირ ლაშქრო-  
ბებში ისინი ყოველთვის მონაწილეობდნენ. ცხადია, ქართველ-ოს-  
თა ურთიერთობა არც მართო ამ გაერთიანებულ ლაშქრობებით

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი... გვ. 61.

ამოიწურებოდა და იმდროინდელი ცხოვრების სხვა მხარეებშიც  
ვლინდებოდა. სამწუხარო ისაა, რომ ჩვენ ამის შესახებ წყაროები  
არ გვწყალობენ.

ვიორჯის ასულის, დედის ხაზით ოსთა მეფის ჩამოყალიბების თა-  
მარის დროს (1184-1213) ქართველი და რსი ხალხების ურთიერ-  
ობა ახალ, მაღალ საფეხურზე აღის. მოვლენათა განვითარება  
ისე წარმართა, რომ მათ შორის მეგობრულ განწყობილებას  
თამარის ოს უფლისწულ დავით სოსლანზე გათხოვებამ ხელსაყ-  
რელი პირობები შეუქმნა. თავისთავად ქორწინების ფაქტებზე ლა-  
პარაკი არ ეღირობოდა, ისინი რომ ამ ხალხებს შორის არსებული  
გულთბილი, ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობის გამომხატველ-  
ნი არ იყვნენ. ერთდროულად მსგავსი ქორწინებანი საქართველო-  
ოსეთის პოლიტიკური კავშირის სიმტკიცის და მისი შემდგომი გა-  
ფართოების ტენდენციის მაჩვენებლებია.

XII ს. საქართველოს ცხოველი ურთიერთობა აქვს დამყარე-  
ბული ჩრდილოეთის ქვეყნებთან, მათ შორის რუსეთთან. საქართ-  
ველოს სავაჭრო წრეები ოსეთ-ყივჩაყეთის გავლით აღწევენ რუ-  
სეთს და იქ მიმდინარე პროცესების შესახებ საქმის კურსში არიან.  
ამავე ვაჭართა საშუალებით საქართველოს სამეფო კარის წრეებიც  
ინფორმირებულნი იყვნენ რუსეთში შექმნილ მდგომარეობაზე და,  
როცა თამარის გათხოვების საქმე დღის წესრიგში დადგა, იგი სუზ-  
დალის მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის შვილზე, გიორგიზე გაათ-  
ხოვეს. გიორგი, ბიძისაგან დევნილი, ყივჩაყებთან იყო თავშეფარე-  
ბული ჩრდილო კავკასიაში. აქედან, საქართველოს სამეფო დარ-  
ბანის გადაწყვეტილებების თანახმად, იგი თბილისში ჩამოიყვანეს და  
თამარზე დააქორწინეს.

რატომ იქნა არჩეული გიორგი თამარის საქმროდ საქართვე-  
ლოს დიდებულების მიერ, რატომ მიეცა მას უპირატესობა სხვა  
კანდიდატებთან შედარებით (ისინი კი მცირერიცხოვანი არ ყოფი-  
ლან)? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა პროფ. იასე ცინცაძე. გიორგი  
რუსის გვარიშვილობა, ყივჩაყეთში მისი უთვისტომობა და, ნაწი-  
ლობრივ, სარწმუნოებრივი მომენტიც იყვნენ ის ფაქტორები, გან-  
საკუთრებით კი მისი უთვისტომობა და ყმა — მამულის უქონლო-  
ბა. რომელიც მის კანდიდატურას ქართველ დიდებულთათვის ყვე-

ლაზე მიმზიდველად ხდიდა. საქართველოს სამეფო სასახლეში შესვლა გიორგის აიძულებდა დასაყრდენი ეძია ადგილობრივ გზატკეცილზე წრეებში. ფეით თამარს, და მის სახით კონტრულს ხელისუფლებას, გიორგის სასახლეში შესვლა, ცხადია არაფერს შემატებდა, გიორგი კი მიღწეული მდგომარეობის გამო ამ დიდებულთა მადლიერი დარჩებოდა სამუდამოდ<sup>1</sup>. ერთი სიტყვით, დიდებულები გიორგის თავის იარაღად გადაქცევას უპირებდნენ.

საქართველოს შიგნით გაშლილმა სოციალურმა ბრძოლამ, რომელიც არასოდეს არ შემწყდარა, მაგრამ განსაკუთრებით თამარის ტახტზე ასვლის მომენტიდან გამწვავდა, განსაზღვრა გიორგი რუსის შემოყვანა საქართველოს სამეფო სასახლეში. იმავე სოციალურმა ბრძოლამ გაბატონებულ კლასში გიორგი რუსის გაძევება გამოიწვია და თამარის გათხოვების საკითხი მემკვიდრისა და ლაშქრის წინამძღოლის მისაღებად კვლავ დღის წესრიგში დააყენა. თამარის ისტორიკოსის — ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობით, ქართველი დიდებულები, სამღვდლოება თამარს „უშვილობასა მოახსენებდეს, სახლისა მისისა უნაყოფოებას დრტუნივიდეს, წინამძღვარსა სპათასა ითხოვდეს“<sup>2</sup>. თამარს მთხოვნელები ამჯერადაც ბევრი ჰყავდა როგორც ქრისტიანულ, ისე მაჰმადიანურ სამყაროდან. თამარის ხელის მიძიებელთა შორის ოს უფლისწულებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ. ჯერ კიდევ თამარის პირველ ქორწინებამდე „მოსრულ იყვნეს ოვსთა მეფეთა შვილნი, შუენიერნი და სახე-კეთილნი მოყმენი, მოპაჯენი და მთხოვნელნი ღმრთისანი და მინდობილნი ქაბუჯობისანი, ვითარ „ღირს რამცა ვყავით მოწონებად და მიხუდომად ბედსა ამას საზესთაოსა“... რაკი მაშინ საქმე გიორგი რუსის სასარგებლოდ გადაწყდა, „უქმ იქნა განზრახვაჲ მათი“. განზრახვის ჩაშლა მათ მიძიმედ განუცდიათ. ერთი მათგანი უკან დაბრუნებისას გზაზე, ნიქოზს გარდაცვლილა და იქვე დაუკრძალავთ<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ი. ცინცაძე, ქივბანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI ს. ს.), თბილისი, 1956 წ., გვ. 96-99, 106.

<sup>2</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფის თამარისი, ივ. ჯავახიშვილის გამოც., 1944 წ. თბილისი, გვ. 16.

<sup>3</sup> ისტორიანი და აზმანი... გვ. 82.

წყაროები არ გვეუბნებიან, რატომ ეთქვა უარი მათ, სადაც ისაა რომ ქართველ დიდებულთა ის წრე, რომელსაც გიორგის კანდიდატურა ხელსაყრელად მიაჩნდა, დიდი წონისა იყო და დაარბაზსა და მოწინააღმდეგენიც ჰყავდათ.

მაგრამ, როცა უკვე გიორგი გაძევებული იყო, მისი მომხრე დიდებულები დროებით მიჩუმებულნი, საქართველოს მმართველ წრეებში თამარის საქმროს შერჩევის საკითხს უფრო რეალურად მიუდგნენ და ასეთად დავით სოსლანი წამოაყენეს. დავითი ქართული ისტორიული წყაროების ცნობით, დედოფალ რუსუდანთან იყო გაზრდილი. „იყო სახლსა შინა დედოფალისა რუსუდანისასა მოყმე ეფრემის ძეთაგანი, რომელ არიან ოვსნი, კაცი მძღვნი და ძლიერი ბრძოლასა შინა. ესე დედოფალსა რუსუდანს ვინაჲთაგან თეს ეყოდა მამის დისა მისისა, დავითის ასულისა, ოსეთს გათხოვილობისა მიზეზითა, მოეყვანა საზრდელად სახლსა შინა მისსა, და იხილეს მუნ მიმავალთა და წარმომავალთა, რამეთუ მოყმე იყო ფერ-ნაკუთად კარგი, ბეჭ-ბრტყელი, პირად ტურფა და ტანად ზომიერი, ორთავე კერძოთა გუარათაგან სახელმწიფოჲ“<sup>1</sup>. ამავე დროს დავითი იყო „კეთილად ზრდილი და წვრთნილი, მხნე და ძლიერი, რაინდობითა და შვილდოსნობითა უსწორო შემმართველი, ტანითა ახოვანი და ყოვლითურთ სრული სიკეთითა“<sup>2</sup>.

თამარის ისტორიკოსის ცნობაში დავით სოსლანის დახასიათება უაღრესად საინტერესო მოვლენაა. იგი გვიჩვენებს, რომ დავითის წამოყენებას თამარის საქმროდ გარკვეული სიძნელეები ახლდა თან გიორგი რუსის მომხრეთა წინააღმდეგობის გამო. ბუნებრივია, დავით სოსლანის წამოყენება იმის შედეგი იყო, რომ დიდგვარიან აზნაურთა გარკვეული ჯგუფი მხარს უჭერდა მას. მოწინააღმდეგე დიდგვარიანები მიჩუმებულნი იყვნენ დრომდე და ამან დავითის მომხრეებს შესაძლებლობა მისცა თავის კანდიდატის გამარჯვება უზრუნველეყოთ. მით უმეტეს, ამ ჯგუფს მხარი დაუჭირა თამარის მამიდა რუსუდანმა და, ბასილი ეზოსმოდღვრის ცნობით, „თამარცა მიემორჩილა ნებასა მათსა (დავითის მომხრე დი-

1 ისტორიანი და აზნანი... გვ. 88.

2 ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოც., გვ. 291-292.

დებულთა — გ. თ.) მეცნიერებისათვის ყრმისა“<sup>1</sup>, ბასილი აღნიშნული ცნობის საფუძველზე მისი გამომცემელი აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „თამარი ახალ საქმროსკეცნობდალქსწორედ „მეცნიერებისათვის ყრმისა“ თანხმობა ვაჩუქდალქსწორედ თუ გავიხსენებთ, რომ თამარი პირველი ქმრის მოყვანის დროს დიდებულებს ეუბნებოდა, როგორ ირჩევთ ისეთ ადამიანს, რომელსაც არ ვიცნობთო, საფიქრებელი ხდება, რომ შესაძლებელია დავით სოსლანი გულში თამარს მაშინვე უფრო შესაფერისად მიაჩნდა და მეორეჯერ არჩევანიც მისი სურვილის თანახმად ყოფილიყო მოხდენილი“<sup>2</sup>.

პროფ. ს. მაკალათია აღნიშნავს, რომ როცა გიორგი რუსი განდევნეს, „თამარმა ამით ისარგებლა და სავაზიროს დაუკითხავად შეირთო მისთვის სასურველი პიროვნება ოსთა უფლისწული დავით სოსლანი, რომელიც არ აცხადებდა არავითარ პრეტენზიებს საქართველოს სამეფო ტახტზე. იგი იყო თამარის ერთგული მეუღლე და თავის ვაჟეცობით და გულადობით იცავდა თამარის მონარქიულ უფლებებს“<sup>3</sup>.

თამარის ისტორიკოსები („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი და ბასილი ეზოსმოძღვარი) დავით სოსლანს იდეალურ პიროვნებად წარმოგვიდგენენ, ისინი თამარს ხოტბას ასხავენ და ვერ ითმენენ მის მოწინააღმდეგეებს. ეს ჩანს მათ დამოკიდებულებაში თამარის პირველი გათხოვების ფაქტისადმი, როცა მის დამაჩქარებელ დიდებულებს და თვით გიორგი რუსს უაღრესად უარყოფით შეფასებას აძლევენ.

გამწვავებული სოციალური ბრძოლის დროს უმტკივნეულოდ არც დავით სოსლანის სასახლეში შეყვანის საკითხი გადაწყვეტილამოწინააღმდეგე ჯგუფს არ სურდა დავითის შესვლა სასახლეში. ისტორიკოსთა მიერ დავითის ჩამომავლობისა და პიროვნების ვრცელი დახასიათება ამ საკითხზე მწვავე შეხლა-შემოხლის შედეგია.

1 ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფის თამარისი, გვ. 18.

2 ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფის თამარისი, ივ. ჯავახიშვილის შესავალი წერილი — თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი, გვ. 10.

3 ს. მაკალათია, თამარ მეფე, თბილისი, 1942 წ., გვ. 21-22.

თამარის ქმრობის კანდიდატისადმი გარკვეულ მოთხოვნათა მიზნით იყო წაყენებული წარმომადგენლის, ფიზიკური და გონებრივი განვითარების თვალსაზრისით. დავითის მომხრეთ ადვილად დაემტკიცებინათ (ამ ისტორიკოსების თანახმად), რომ დავითი უფრო მსუბუქი და მშვილდოსანი და მეომარი იყო, გონებრივადაც განვითარებული, ზრდილობიანი. რაც შეეხება მის გვარიშვილობას, აქ თითქოს სადავო არაფერი იყო. იგი მამით ქართველ ბაგრატიონთა ერთი შტოს ჩამომავალი იყო, დედითაც ბაგრატიონებს ენათესავებოდა და „ორთავე კერძოთა გუარათავან სახელმწიფო“ იყო. მაგრამ დავითის მოწინააღმდეგე ჯგუფმა მაინც გამოიწია დავითის გვარიშვილობაში სუსტი ადგილი, რომელიც, თითქოს, მის ქართველ ბაგრატიონთა ტახტზე ასვლას შეუძლებელს ხდიდა. ეს სუსტი ადგილი იყო დავითის „ეფრემის ძეობა“. ქართველი ბაგრატიონები თავს ბიბლიური დავითის, ებრაელთა მეფის ჩამომავლებად თვლიდნენ. ეფრემი ამ დავითის ძმისწული იყო ბიბლიით, და მას დავითის ჩამომავლებთან შედარებით მეორეხარისხოვანი ადგილი ეკირა<sup>1</sup>. ცნობილია, რომ გიორგი I-ის (1014-1027) ძე დემეტრე ტახტისათვის დიდხანს ებრძოდა თავის ძმას ბაგრატ IV. ამ ბრძოლის პროცესში შემუშავდა, ალბათ, თეორია ბაგრატის უპირატესობისა დემეტრესთან შედარებით, რომელმაც მათ მემკვიდრეთა დროს ჩამოყალიბებული სახე მიიღო. დემეტრე დედით ოსეთის მეფეთა ნათესავი იყო, მისი შვილი ოსეთში გამეფდა კიდევ. ამ დემეტრეს მემკვიდრეებს პრეტენზიები უნდა ჰქონოდათ საქართველოს ტახტზე, მაგრამ მათი „ეფრემის ძეობის“ შესახებ საქართველოს საშეფო კარზე შემუშავებული თეორია მათ ამ პრეტენზიებს არ სცნობდა. ეს თეორია გაიხსენეს დავით სოსლანის მოწინააღმდეგეებმაც. დავითის „ეფრემის ძეობა“ თამარის მომხრე ჯგუფმაც და მისმა ისტორიკოსებმაც იცოდნენ, მაგრამ იგი ქორწინებისათვის ხელშემშლელ გარემოებად არ მიიჩნდათ.

ბევრი დავის, აშკარა თუ ფარული ბრძოლის შემდეგ დავითის საკითხი დადებითად გადაწყვეტილა. ამ საკითხის დადებითი გადაწყ-

1 კ. კეკელიძე, ერთი მომენტი ქართული პოლიტიკური აზროვნებისა კლასიკური ხანის ლიტერატურაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1956 წელი, გვ. 316-318.

ვეტით წყდებოდა დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ოსეთის საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცების ამოცანა.

ზიზ-ლიქოსუქა

დავით სოსლანის პიროვნება სხვა მხრივაც მისაღები იყო. იგი ქართული კულტურის, ქართული ზნე-ჩვეულებების კარგი მცოდნე იყო, ნათესავად მოხვდებოდა თამარის მამიდა რუსუდანს დავით აღმაშენებლის ასულის — რუსუდანის ხაზით<sup>1</sup>.

თამარის ისტორიკოსებს დავითის მამისა და დედის ხაზით ბაგრატიონობის მტკიცება იმიტომ დასჭირებიათ, რომ დავითის უფლება სასახლეში შესვლისა დაესაბუთებინათ. დავითის „ეფრემის ძეობაც“ ადვილად იქნა დაძლეული იმიტომ, რომ დავითის გამარჯვება „ზეცის განგებად“ ჩათვალეს. „უკუეთუმცა არა იყო ზენაჲ განგებისაჲ მოქმედებასა შინა, ჰხედავს შარავანდელობაჲ თქუენი, თუ რაოდენნი რაოდენგზის მოყმენი, შვილნი ხელმწიფეთანი — ბერძენთა და რომთანი, სულტანთა და სკვთთანი, სპარსთა და ოესთანი, მცდელნი სამართალთაებრ უკუნ არღვიენა არშემძლებობამან თვნიერ ბრძანებისა საუფლოისა“<sup>2</sup>. ეს მით უფრო ჭდეილი იყო, რომ საერთოდ ყველა მეფის ამაღლებას ღვთის განგებად და ნებად სთვლიდნენ. თამარის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ თამარიც ღვთისაგან ამაღლებულ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნის: „ღვთისაგან ღმერთ-

1 ვახუშტი ბაგრატიონს მცდარად ჰქონდა წარმოდგენილი თამარის მამიდის დამოკიდებულება დავით სოსლანთან. მისი აზრით, თამარს ორი მამიდა ჰყავდა, ორთავეს რუსუდანი ერქვათ. მათგან ერთი ოსეთში იყო გათხოვილი და დავითი მისი გერი იყო. საქართველოს ისტორია, 1885 წ., გვ. 202.

დავითის გამზრდელი რუსუდანი, თამარის მამიდა ისტორიკოს მოსე ჯანაშვილსაც ოსეთში გათხოვილად მიაჩნდა, რომლის მეშვეობით, თითქოს, დავითი თამარს და რუსუდანს ენათესავებოდა. თამარ მეფე და მისი ისტორიკოსნი, ტურნ. „მოამბე“, 1904 წ. თებერვალი, 11, გვ. 13.

დავითი ენათესავებოდა მხოლოდ თამარის მამიდა რუსუდანს, თვით თამარს კი არა, ვინაიდან ნათესაობის პერიოდმა (ექვსამ თაობამ) მათ შორის უკვე განვლო.

2 ისტორიანი და აშმანი შარავანდედთანი, გვ. 89.

ქმნილნი დავით და თამარ<sup>1</sup>. სიგელებს შესავალში თამარი ხაზს უსვამდა ხოლმე, რომ იგი იყო მეფე „ნებრთა ღვთისათა“.

აკად. კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ გიორგი რუსის გაძევების შემდეგ კრიზისი შეიქმნა, სხვა გამოსავალი აღარ იყო. რუსი გადის საქართველოს ტახტზე, როგორც ქმარი დედოფლისა, „ეფრემიანი“ დავით სოსლანი იქნა მოწვეული, მაგრამ ამ აუცილებლობისა და გამონაკლისისათვის თეორიული საფუძველი იქნა გამოძებნილი: 1. ეს არჩევანი არის საქმე ღვთის განგებისა, 2. დავით სოსლანი ორთავე კერძთა გვართაგან სახელმწიფო იყო<sup>2</sup>.

პატრიცემულ მკვლევარს საესებით ვეთანხმებით იმაში, რომ გიორგი რუსის გაძევების შემდეგ კრიზისი მართლაც არსებობდა, მაგრამ იგი გიორგის გაძევების შემდეგ არ დაწყებულა. კრიზისმა ადრევე იჩინა თავი და გიორგი რუსი ამ კრიზისული მდგომარეობის მსხვერპლი შეიქმნა. კრიზისი, ცხადია, თამარის უქმრობაში არ მდგომარეობდა, არამედ იმ მწვავე სოციალურ ბრძოლაში, რომელიც ძალაუფლების გარშემო გაიმართა ქართველ დიდებულთა წრეში. დავით სოსლანის შემოყვანა თამარის ქმრად ერთად-ერთი გამოსავალი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, თუნდაც იმიტომ, რომ კანდიდატები მრავალნი იყვნენ და მათგან მისაღები პირი სხვაც შეიძლებოდა შერჩეულიყო. თუ მან მაინც გაიმარჯვა, ეს იმიტომ რომ მას ამ დიდებულთა წრეში ძლიერი მომხრეები ჰყავდა, რომლებმაც მოწინააღმდეგე ჯგუფს სძლიეს და თავის კანდიდატს გზა გაუხსნეს. ამ ჯგუფს სახელმწიფოს ინტერესები უფრო მაღლა ჰქონდა დაყენებული და თამარის საქმროდ დავით სოსლანის დასახელებით სწორედ ამ ინტერესებიდან გამოდიოდა. ამ ჯგუფის გამარჯვება გააადვილა იმანაც, რომ თამარმა და მისმა მამიდა რუსუდანმა მას დაუჭირეს მხარი.

მთელი წინასწარი ბრძოლისა და განსჯის შემდეგ დიდებულებმა განაზრახი სისრულეში მოიყვანეს. ამისათვის „ჰკადრეს დედოფალსა თამარს, და წარვიდეს დიდებულნი იმერნი და ამერნი: და წარმოიყვანეს დედოფალი და გაზრდილი მისი დავით“<sup>3</sup>. თამარი და

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 101.

2 ეტიუდები... I, გვ. 318.

3 ისტორიანი და აზმანი... გვ. 89.



დავითი დაქორწინდნენ 1189 წელს თბილისში, დიდუბის სასახლეში.



ქვეყნის

თამარის ორივე ისტორიკოსი ხაზს უსვამენ დავითის ქორწინებას ბუნებას და იმ გარემოებას, რომ „არიან ოცსნი კაცი მძლენი და ძლიერნი ბრძოლასა შინა“. თავისთავად ცხადია, ასეთ მეომარ ხალხთან დანათესავების წყალობით საქართველო თავის საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობას გაიუმჯობესებდა.

თა ფორმებში გრძელდებოდა საქართველო-ოსეთის ურთიერთობა თამარ-დავითის მეფობის პერიოდში, ამაზე კონკრეტული მსჯელობის საშუალება არა გვაქვს ცნობების უქონლობის გამო. ამ პერიოდში ურთიერთობა კეთილმეზობლური იყო და მისი შედეგებით როგორც ქართველი, ისე ოსი ხალხი თანაბრად სარგებლობდა. ქვეყნებსა და ხალხებს შორის ურთიერთობა ყველა ეპოქაში თითოეული ქვეყნის თუ ხალხის რეალური ინტერესების საფუძველზე იგება და თუ ინტერესთა დამთხვევას ადგილი არა აქვს, ურთიერთობის სიმყარეზე და ხანგრძლივობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. აღებული მაგალითისათვის ხსენებული გარემოება უმკველად ანგარიშგასაწევი. საქართველო ძლიერი ფეოდალური მონარქია იყო, ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად ოსეთზე მაღლა იდგა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ მას ოსეთთან ურთიერთობა თავის უპირატესობის გამო არ სჭიროდა. პირიქით, მისი უპირატესობა და სიძლიერე სწორედ მაშინ იქნებოდა უზრუნველყოფილი, თუ იგი მეზობელ ქვეყნებთან, მიუხედავად განვითარების მათი დონისა, მჭიდრო ურთიერთობას დაამყარებდა და ამ გზით, მათ თავისი პოლიტიკური ინტერესების განხორციელების საქმეში ჩააბამდა. ქართული დიპლომატია შესანიშნავად ერკვეოდა ამ საკითხებში და მეზობელ ქვეყნებთან დამოკიდებულებაში რეალური სარგებლობის მიღების პრინციპებით ხელმძღვანელობდა. ოსეთი საქართველოსათვის ამ თვალსაზრისით ყოველთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელი იყო, როდესაც საქართველოს დიპლომატიის წინაშე დიდ სამხედრო ძლიერებასთან დაკავშირებული სახელმწიფოებრივი ამოცანები ისმებოდა, ოსეთთან ურთიერთობა განსაკუთრებით მაღალ საფეხურზე აღიწოდა.

თამარ-დავითის მეფობისას განვითარების მეტი შესაძლებლობა შეექმნა ქართველ-ოსთა ურთიერთობის ეკონომიური და კულტურული ხასიათის მომენტებსაც. იმის მიუხედავად, რომ ქრისტიანული მასალები არ მოგვეპოვება, თავისუფალი მისვლა-მოსვლა საქართველოსა და ოსეთს შორის სავაჭრო-გაცვლითი მიზნით ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. თავისუფალი მისვლა-მოსვლა ქართველ და ოს ხალხს ერთმანეთის ცხოვრებას, ურთიერთ მიღწევებს აცნობდა. ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ თამარის და დავითის დაქორწინების შემდეგ თბილისში მომრავლდნენ ოსი დიდებულები, ხელოსნები, ვაჭრები და, რომ დავით სოსლანი ოსებს საქართველოში თავისუფალი მისვლა-მოსვლის საქმეში მფარველობას უწევდა<sup>1</sup>.

იმის მიუხედავად, რომ ზ. ჭიჭინაძის აღნიშნული ცნობა დოკუმენტურად არ დასტურდება, მასში იმ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში შეუძლებელი არაფერია. მრავალმხრივი დინასტიურ-ნათესაობა საქართველოსა და ოსეთის მმართველ წრეებს შორის ჭკმნიდა ნდობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის პტმოსფეროს. ახლა როცა საქართველოს სამეფო კარზე იმყოფებოდა დავით სოსლანი, ცხადია, მისვლა-მოსვლა ამ ორ ქვეყანას შორის გაფართოვდებოდა, მით უმეტეს, უშუალო მეზობლობა-მოსაზღვრეობა ამ საქმეში ყოველგვარ დაბრკოლებას ხსნიდა.

უაღრესად საინტერესო საკითხია თამარის დაქორწინებასთან დაკავშირებით თამარისა და დავითის უფლებრივი ურთიერთობა. თამარი ოფიციალურად საქართველოს მეფე იყო, ნაკურთხი მეფე. მაგრამ დავით სოსლანიც მეფედ იწოდებოდა, ამასთან ზოგჯერ მეფეთა მეფედ. დავით სოსლანის მონაწილეობის შესახებ საქართველოს სახელმწიფოს მმართველობის საქმეში წყაროები ძალიან მცირე ცნობებს იძლევიან. ამ საკითხის გასარკვევად არაპირდაპირი მონაცემებიც უნდა მოვიშველიოთ.

საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლის უმაღლ დავით სოსლანი შეუდგა საქმიანობას, რომლის მიზანი იყო საქართველოს სამეფო ხელისუფლების განმტკიცება განსაკუთრებით უნდა ებრძოლა მას

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, გვ. 168, 170.



მოწინააღმდეგე დასთან, რომელსაც საშიშად მიუჩნევდა დავით სოსლანი და გიორგი რუსის მხარის დაქვრა, მისი დაკარგული მდგომარეობის აღდგენა უცდია. 1191 წ. გიორგი [ქუჩუშჩიქი] მა მომხრე დიდებულებმა დასავლეთ საქართველში [ქუჩუშჩიქი] მას მხარს უჭერდნენ ისეთი მხსვილი ფეოდალები, როგორც იყვნენ ტაოელი გუზანი (შავშეთ-კლარჯეთის მფლობელი), სამცხის სპასალარი ბოცო, მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი, ივანე ციხისჯვარელი და სხვები. მთელი დასავლეთ საქართველო მემამბოხეთა მხარეზე აღმოჩნდა. ისინი ორ ნაწილად გაიყვნენ. ერთი ნაწილი ლიხით ქართლში გადმოვიდა და გორამდე ყველაფერი ააოხრა, მეორე ნაწილმა კი სამხრეთ საქართველოში ილაშქრა. თამარმა ამ საფრთხეს ენერგიული კონტრზომები დაუპირისპირა. დავით სოსლანი ქართლში მოქმედ ამბოხებულთა წინააღმდეგ დაიძრა, მაგრამ ვიდრე მათ შეებმოდა, სამხრეთ საქართველოს დაჯგუფება თორგვსა და ერუშეთს შორის მომხდარ ბრძოლაში თამარ-დავითის მომხრეთაგან დამარცხებული იქნა და ქართლის დაჯგუფება თავისთავად მოიშალა. ამ დიდი საფრთხის დროს დავითის სარდლობაში იმყოფებოდნენ ჰერ-კახნი, ყივჩაყები და ქართველთა დიდებულები, რომელთაც მიეშველა „სიმრავლე ყოელისა კავკასიისა და მთეულობისა“<sup>1</sup>. ამ კავკასიელთა შორის დავითის მხარეზე ოსები უეჭველი მონაწილენი არიან. ოსთა მონაწილეობა ამ ბრძოლაში ვახუშტი ბაგრატიონს საეჭვოდ არ მიაჩნდა, მაგრამ ის ფიქრობდა, რომ ოსები ჰერ-კახთა და ყივჩაყებთან ერთად, თითქოს, თამარზე თავდასხმას ფიქრობდნენ, მაგრამ რაკი ჯავახეთში გაიმარჯვა, მერე პირიქით, მხარი დაუჭირეს<sup>2</sup>. ასეთი მტკიცებისას რა საბუთს ემყარებოდა ვახუშტი

1 ისტორიანი და აზმანი... გვ. 93-94.  
 2 ვახუშტი, საქართველოს ისტორია, გვ. 203.

ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი დიდებულთა განდგომის და გიორგი რუსის მხარეზე გამოსვლის ფაქტს თავისებურად ხნის. ეს მოვლენა მას დავით სოსლანის ბრძოლად მიაჩნია გიორგი რუსის დამამხობად. აბულ-ასანი მას დავითის ყველაზე დიდ მტრად მიაჩნია, რისთვისაც უკანასკნელს იგი დაუსჯია. ბრძოლის სერიოზული ხასიათი მას წარმოდგენელი აქვს, რაკი მიაჩნია, რომ დავითს ამ გამარჯვებასათვის მოკავშირეთა ძებნა დასჭირდა...

თამარ მეფე და მისი ისტორიკოსნი, ეურნ. „მოამბე“. 1904 წ. თებ. II: 83: 20-25, 32.

ჩვენ არ ვიცით. ვფიქრობთ, რომ ვახუშტი ცდება.

ცხადია, დავით სოსლანი იბრძოდა თავის მდგომარეობის შესახებ. ნარჩუნებისათვის, რომელსაც საფრთხე შეუქმნა გიორგი რუსის თავის გამოსვლით, მაგრამ ეს იყო არა ვიწრო პიროვნული ინტერესების ბაზაზე აღმოცენებული ბრძოლა, არამედ საქართველოს სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე მწვავე სოციალური და პოლიტიკური ბრძოლის საფუძველზე წარმოშობილი დასთა შეურეგებელი დაპირისპირებულების კონკრეტული გამოვლინება. გიორგი რუსის განდევნა იმ პოლიტიკური დასის პოლიტიკური მარცხის ნიშანი იყო, რომელმაც იგი გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით საქართველოს ტახტზე აიყვანა. ახლა დავით სოსლანის გამეფება, რომელსაც უმალვე მოჰყვა მიქაელ პატრიარქის (რეაქციული დასის ერთ-ერთი მთავარი სულის ჩამდგმელის) გარდაცვალებისას მწიგნობართუხუცესობისა და ჭყონდიდლობის ანტონისათვის (თამარის აშკარა მომხრე) გადაცემა და სხვა ცვლილებანი, სასახლის კარზე შეფასებულა იყო როგორც მოწინააღმდეგე დასზე შეტევის დასაწყისი. რაკი ეს ცვლილებები, როგორც პროფ. ი. ცინცაძე აღნიშნავს, ამ დასს კარგს არას უქადოდა, მან განდგომილებითა და ძალით წინანდელი მდგომარეობის აღდგენა სცადა!

გიორგი რუსი და დავით სოსლანი ქართული ფეოდალური საზოგადოების შიგნით არსებულ სხვადასხვა დასებს ემყარებოდნენ. გიორგი გარკვეული მიზეზების გამო (მის შემომყვანთა პოლიტიკური ინტერესების განსაზღვრული მიმართულების გამო) თამარის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა, რამაც მას მარცხი აგემა ბოლოს, დავით სოსლანი კი თავიდანვე თამარის მომხრეთა კანდიდატი იყო და, როგორც წყაროები აღნიშნავენ, ძალიან ერთგული თამარისა. ეს გარემოება დავითის მდგომარეობას გიორგისთან შედარებით თვალსაჩინოდ ამტკიცებდა.

1 ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI ს. ს.), გვ. 130.

1191 წლის აჯანყების ჩაქრობა ნიშნავდა მეფის შეუზღუდავი თვითმპყრობელობისა და დიდგვარიან აზნაურთა სრულყოფილი ნობის მომხრეთა დროებით მორიგებას. გამარჯვება არც ერთ მხარეს არ ხვდა. ეს იყო დროებითი მოვლენა, რადგან შეუზღუდავი იყო იმ საზოგადოებრივი ძალების მორიგება, რომლებიც ამ ტენდენციებს გამოხატავდნენ. დავითს ამ კომპრომისის მიღწევაში უდაოდ გარკვეული როლი შეუსრულებია. მას, ქართლ-კახეთის ლაშქრის გარდა, ზურგს უმაგრებდა ოს-ყივჩაყთა მხედრობაც. ყივჩაყები დავით აღმაშენებლის დროიდან, კერძოდ 1118 წლიდან საქართველოში მუდმივი ჯარის კონტიგენტს ჰქმნიან, ოსები კი საქართველოში რეგულარულ, მუდმივი ჯარის ნაწილებად არ ჩანან. დავით სოსლანის დროს ოსთა მხედრობა საქართველოში იმყოფება და, შეიძლება ვიფიქროთ, მუდმივადაც. მისი სიდიდე, ხასიათი ჩვენ არ ვიცით. მის შესახებ თამარის ისტორიკოსი ცნობას გვაძლევს აღსართან შარვანშას და მისი სიძის თბილისში სტუმრობასთან დაკავშირებით, რომლის მიზანსაც ადარბადაგანის სულტნის აბუბექრის წინააღმდეგ სამხედრო-დახმარების თხოვნა შეადგენდა. ისტორიკოსის ცნობით, ქალაქარეთ მათ გამოეგებნენ თამარი და დავითი, გაიმართა სამხედრო პარადიც. „პირველად, რა გამოვიდეს ტფილისით ქალაქით, მიაგებნეს წინა ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი და შემდგომად მათსა ჰერნი და კახნი, შემდგომად ქართველნი, შემდგომად მესხნი, თორელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი...“<sup>1</sup> ამ ცნობიდან შეუძლებელია გაირკვეს, აღნიშნული ოსური რაზმი სავალდებულო სამსახურს იხდის ყმადნაფიცობის ნიადაგზე, თუ დავით სოსლანის მსლებელი რაზმია. არც ერთი შესაძლებლობა გამორიცხული არაა, თუმცა ჩვენ მაინც იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომ იგი დავითის პირად ამაღლას წარმოადგენს და საქართველოში მისი მოსვლის დროიდან მუდმივად იმყოფება. ოსთა ჯარი მანამდეც ხშირად ყოფილა საქართველოში, მაგრამ მხოლოდ საგანგებო მოწვევის შედეგად, როცა საქართველო თავდაცვითი ან შეტევითი ბრძოლი-

1 ისტორიანი და აზმანი... გვ. 103.

სათვის ემზადებოდა. რაკი ბრძოლის საკითხი და ჯარის შეკრება<sup>1</sup> შირვანშას მოსვლის შემდეგ გადაწყდა<sup>2</sup>. ხოლო მოსალოდნელი არ არის საკითხის გადაწყვეტამდე წინასწარ ოსთა ჯარი გადმოეყვანათ საქართველოში, ამიტომ აღნიშნული ოსთა რაზმის<sup>3</sup> დაქირება<sup>4</sup> ამაღლის შემადგენლობაში ყოფნა უფრო მისაღებ მოსაზრება<sup>5</sup> ვაჩნია. აღნიშნული ცნობიდან ისიც აშკარაა, რომ საქართველოში ოსთა ჯარი დამსახურებული პატივისცემით სარგებლობს თავის მაღალი ბრძოლის უნარიანობით. რასაც ქართველი ისტორიკოსები ხაზს უსვამენ. მათდამი პატივისცემას ხელს უწყობს ცენტრალური ხელისუფლების საჭიროებაც დამხმარე სამხედრო ძალაში, რომელსაც აღებულ მომენტში ოსები და ყივჩაყები წარმოადგენდნენ.

თამარი და დავითი ოფიციალურად ორივე მეფედ იწოდებოდა, მაგრამ საინტერესოა ეს წოდება ნიშნავდა თუ არა მათ თანასწორუფლებიანობას სახელმწიფოს მმართველობის საქმეებში.

საქართველოს სამეფო კარზე „მეფე-ქმრის“ საკითხი პირველად თამარის დროს დაისვა და მისი უფლებამოსილობის საკითხიც მაშინ მუშავდებოდა. ჩამოყალიბებული სახით ეს საინტერესო საკითხი არ არსებობდა და ჩვენც თამარის ისტორიკოსების თხზულებებში დაცული პირდაპირი თუ არაპირდაპირი ცნობების ანალიზი უნდა მოვახდინოთ და შემდეგ ამ საკითხზე გამოთქმული მოსაზრებანი მოვიყვანოთ.

შირვანის — საქართველოს ყმადნაფიცი სამთავროს — მფლობელები აღსართანი და მისი სიძე ამირ-მირანი, ადარბადაგანის მფლობელ აბუბექრისაგან შეწუხებულნი, მიმართავენ თხოვნით ღვთისაგან „პატივცემულ და განდიდებულ დავითს და თამარს“: „ვინათგან ძალი აქუს ხელმწიფობასა თქვენსა, და სიბრძნით განგებასა თქვენსა მორჩილებს ყოველი, სვესა ალექსანდრიანსა, თქვენ თამარ ღვთივ განბრძნობილისასა, და სიმზნესა და სიქველესა, თქვენ დავით დავითიანსა და უებრობასა ლაშქართა თქვენთასა, ალება ყოვლისა სპარსეთისა, მაშა მოგვეცით ასული...და დასვით დედოფლად და პატრონად ყოვლისა სპარსეთისა. მაშინ არა მღირსობელმან სიძობისა მათისამან, უბრძანეს იმედი შევლისა და ხელით შე-

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი... ვვ. 102, 104.

წევნისა: მასვე უამსა ვასცეს ბრძანება და წარავლინნეს შიკრიქნი და მალე-მსრბოლნი, წვევად და ხმობად სპათა იმერთა და ამერთა<sup>1</sup> აღნიშნული ცნობიდან მიღებული შთაბეჭდილება და ვითოს დიდი როლი ეკავა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კითხვების გადაწყვეტის საქმეში. შარვანის დაცვა მაჰმადიანთაგან თამარ-დავითის შეთანხმებული გადაწყვეტილების შედეგია. შარვანის მფლობელები დავითს დავითიანობით მიმართავენ და არა ეფრემიანობით, როგორც მოსალოდნელი იყო ქართული წყაროების თანახმად. მართალია, მიმართვის აღნიშნული ფორმა დიპლომატიური ნორმაა, მაგრამ თავისთავად ასეთი შემთხვევა სამეფო კარზე დავითის მტკიცე მდგომარეობისა და მნიშვნელობის მაჩვენებელია.

დავითს სამეფო კარის ყველაზე დიდი მოხელეების — ამირსპასალარის, მსახურთუხუცესის თუ სხვა დიდი ერისთავების მიმართ ბრძანების უფლება აქვს. იმავე აღსართან-ამირშირანის სტუმრობისას მაჰმადიანთ დაიტრაბახეს — ჩვენი მგობნი ბურთაობაში არ მოიძებნებაო. მაშინ „უბრძანა მეფემან ამირსპასალარსა მისსა ზაქარიას და მსახურთა უხუცესსა ივანეს, ჰერეთისა და ერისთავსა გრიგოლსა და სხუათა მოყმეთა და ჩავიდეს მოედანს... ისლიმნი მსწრაფლ იძლივნეს დავით მეფისა და მისთა მოყმეთაგან“<sup>2</sup>.

თამარის ისტორიკოსის ცნობებით, „ლაშქრობდა დავით ბრძანებითა და გამორჩევითა თამარ სუე-ალექსანდრიანისაჲთა და იმარჯუებდა შეწევნითა ზეგარდამოჲთა“. ლაშქრობები ჩვეულებრივ ხდებოდა „წინაძღუანებითა დავით მეფისა სუიანისაჲთა“<sup>3</sup>. ზოგჯერ ისტორიკოსების ცნობები ისეთი დასკვნის გამოტანის საშუალებასაც იძლევიან, რომ თამარის გვერდის ავლით (დაუკითხავად) დავითი ცალკეულ ლაშქრობებს აწყობს. მსახურთუხუცესი, — კაენის პატრონი, იწვევს დავითს პირდაპირ გელაქუნზე გასალაშქრებლად<sup>4</sup>. დავითს მეფურ პატივს სცემენ თამარის დარად, ამირსპასა-

1 ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოც. გვ. 301-302.  
2 ისტორიანი და აზმანი... გვ. 104.  
3 იქვე, გვ. 95,93.  
4 იქვე, გვ. 99.

ლარისა და სხვა მოხელეების ანგარიშს თამართან ერთად ისიც იხ-  
მენს. ზაქარია და ივანე მხარგრძელები რახსის პირს მოწყობილი  
ლაშქრობის შემდეგ „მოვიდეს წინაშე დავით სუე — ამალღებულსა...  
და თამარ ღმრთივ დამყარებულისა“<sup>1</sup>. შამქორის ომში, <sup>შემდგომში</sup>  
ამირებს დავითის წინაშე წარადგენენ, შეხვედრისას შროვანის  
მფლობელები ცხენიდან ჩამოხტომით სცემენ თაყვანს<sup>2</sup>. შამქორე-  
ლებმა დავითს „მოართვეს კლიტენი; და ამღებელმან ქალაქისამან,  
ითაყვანა ამირ-მირმან და უბოძნა მას. თვთ გაემართა განძას..., გა-  
მოეგებნეს დიდებულნი და დიდვაჟარნი, ყადნი და მულიმნი. დავრ-  
დომით მიწა — ქმნილთა და თაყუანისმცემელთა შეასხეს ქებაჲ  
და შესხმაჲ დავით მეფესა და ცრემლით მოქენეთა შეჰვედრეს  
თავნი და შეიღნი... და ვითარცა შევიდა სრად, აღვიდა და დაჯდა  
ტახტსა სულტნისასა“<sup>3</sup>.

მოყვანილი ცნობები საკმაოდ ნათლად მიუთითებენ დავითის  
დიდ როლს საქართველოს სახელმწიფოებრივი მმართველობის  
ერთ დარგში — სამხედრო საქმეში. იგი ლაშქრის საერთო წი-  
ნამძღოლია, იმის მიუხედავად, რომ ამირსპასალარი არსებობს.  
ამირსპასალარი დავითს ემორჩილება უშუალოდ. თვით დავითი  
მხოლოდ სერიოზული ხასიათის სამხედრო ღონისძიებებში მონა-  
წილეობს. წვრილი ლაშქრობები ამირსპასალარისა და სანაპირო  
ქვეყნების გამგებელთა მეთაურობით ხდება. თავისთავად ცხადია,  
რომ დავითი სამხედრო საქმეებში დამოუკიდებელი არ ყოფილა,  
თამარის დაუკითხავად არც ერთი მნიშვნელოვანი სამხედრო წა-  
მოწყობის საქმე არ გადაწყდებოდა, მაგრამ თუ გავითვალისწი-  
ნებთ, რომ თამარი ქალი იყო და დავუშვებთ, რომ სამხედრო საქ-  
მეებში ნაკლებად ერკვეოდა და ვერც სარდლობას გასწევდა, და-  
ვითის როლი მთელი სიგრძე-სიგანით გამოჩნდება. მართალია სა-  
ქართველოს სამეფო კარზე მაშინ იყო გამოჩენილ სარდალთა მთე-  
ლი ჯგუფი, მაგრამ ეს მეფე-სარდლის როლს სულაც არ აქვეითებ-  
და, მით უმეტეს თუ მას სარდლობის ნიჭი და უნარი ჰქონდა. წყა-

1 ისტორიანი და აზმანი.. გვ 99.

2 იქვე, გვ. 108.

3 იქვე, გვ. 108.



როებიდან გამომდინარე დასკვნები ისეთია, რომ დავითი ამ მოვლეს  
საკმაოდ ცნობილი იყო.

თამარის ისტორიკოსები ყველგან და ყველგან თამარს აქმ-  
ბენ, მის როლს მეტისმეტად აზვიადებენ კიდევ. ცინცაძე ივრ  
შესახებ პირდაპირ აღნიშნავს, რომ ისინი თამარს მოღვაწეობის  
ობიექტურ და მიუყვარებელ აღმწერლებად ვერ ჩაითვლებიან.  
ისინი თამარის პიროვნებას აღმერთებენ და მის მოწინააღმდეგეები-  
სადმი საშინელ მტრობასა და სიძულვილს ამჟღავნებენ<sup>1</sup>. დავითი  
თამარის მოწინააღმდეგე არ ყოფილა, პირიქით, მისი უერთგულესი  
ადამიანი იყო, მაგარმ ისტორიკოსთა აღნიშნული ტენდენცია დავი-  
თის მოღვაწეობის შეფასებაშიც იჩენს თავს, ბასილის ცნობით,  
„მონაპირეთა მონახიან საქმე, ანუ ციხე ასაღებელი, ანუ თურქმანი  
შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატეხელი, ანუ ქუეყანა მოსარბე-  
ველი, მოახსენიან თამარს და მან გასინჯის საქმე იგი და გამოიკით-  
ხის. უკეთუ ღირს იყვის შეყრასა ლაშქართასა, უბრძანის ზაქარიას  
და ივანეს და შეყარნიან ლაშქარნი, თუით დავით მეფე წავიდის და  
არა სადათ შემოქცეული ცუდად“<sup>2</sup>. გამოდის ისე, რომ დავითი მთელ  
ამ მოვლენათა მიღმა და მხოლოდ იმ მომენტში, როცა ლაშქრო-  
ბის საქმე გადაწყდა თამარისაგან, ხოლო მხარგრძელებმა იგი შეპ-  
ყარეს, დავითი სათავეში უდგება მას და გამარჯვებული ბრუნდება  
ყოველთვის. დავითის როლის ასეთი გაგება სწორი არ იქნებოდა.  
ლაშქრობის საქმე დარბაზის სხდომაზე წყდება, რომლის ერთი  
აქტიური წევრთაგანი დავით სოსლანიც იყო და საქმის გადაწყვე-  
ტაში მას თავისი ხმა ჰქონდა. თამარი პიროვნულად ლაშქრობის  
მოწყობის პირობებსა და პერსპექტივებს ვერ გადაწყვეტდა. ეს  
მხოლოდ ისტორიკოსის მეტისმეტი კეთილგანწყობილების შედე-  
გად ეწერება თამარს. დავითს თავის ენერგიული ღონისძიებებით  
სამეფო ხელისუფლების საგარეო და საშინაო მდგომარეობის  
განმტკიცებისათვის ხელი შეუწყია. შემთხვევითი არაა, რომ ისტო-  
რიკოსი ეხება რა თამარ-დავითის ქორწინების უახლოეს მომდევნო  
პერიოდს, აღნიშნავს: „დღითი-დღე წარმატებოდეს საქმენი თამა-

1 პროფ. ი. ცინცაძე, ძიებანი... გვ. 114-115.

2 ბასილი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 23.

რისნი უმჯობესად და უკეთესად ბრძნად და მართლად ვანგებინათუის<sup>1</sup>. მართალია, თამარის მდგომარეობის განმტკიცება შინაპოლიტიკურ ბრძოლაში თამარის მომხრე დასის გამარჯვების შედეგი იყო, მაგრამ დავითის ენერგიულ საქმიანობას ამ დასის ინტერესების სასარგებლოდ მცირე მნიშვნელობა არ ჰქონია ქვეყნის შიგნით სტაბილური მდგომარეობის დასამყარებლად.

დავითი საქართველოს ყველაზე საშიში მტრების წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური ხელმძღვანელი იყო. რუჟნადინის წინააღმდეგ გამოსულ ქართველობას 1205 წ. სათავეში ედგა დავითი. მისი მეთაურობით მტრისათვის მიყენებული დარტყმა გადამწყვეტი აღმოჩნდა<sup>2</sup>. მტერი დამარცხდა და საქართველო ახლო აღმოსავლეთის უბლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა. თამარის ისტორიკოსი ამ ბრძოლის უდიდეს მნიშვნელობას განსაკუთრებით უსვამს ხაზს. ბრძოლის წინ თამარმა სოსლან დავითი ლაშქრით შეავედრა ვარძიის ღეთისმშობელს, რომელმაც „განადიდა დიდება დავითისი და თამარისი“<sup>3</sup>. ცხადია, როცა თამარი დავითს და ლაშქარს ავედრებდა ღმერთს, აგრეთვე ისტორიკოსი, რომელიც ამას საგანგებოდ აღნიშნავს თავის თხზულებაში, გრძობდნენ, რომ უმაღლესი პასუხისმგებლობა ამ ლაშქრობის შედეგებისათვის დავითს ეკისრებოდა, იმის მიუხედავად, რომ ლაშქართან ერთად იყვნენ ამირსპასალარი ზაქარია, გამოჩენილი სარდლები ივანე მხარგრძელი, შალვა და ივანე ახალციხელები და სხვ.

თამარის ისტორიკოსები დავითის საქმიანობაში უპირატესად სამხედრო მხარეს მიაქცევენ ყურადღებას.

რა უფლებრივი ურთიერთობა არსებობდა თამარსა და დავითს შორის ქვეყნის საშინაო საქმეებთან მიმართებაში, ამაზე ცნობები თითქმის არ გაგვაჩნია. საბედნიეროდ, თამარის ისტორიკოსს ბასილს ორიოდ ისეთი ცნობა შემოუნახავს, რომელიც გარკვეული მოსაზრების წამოყენების საფუძველს იძლევა.

1 ბასილი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 19.

<sup>2</sup> ისტორიანი და აზმანი..., გვ. 126-127; ქართლის ცხოვრება, ბროსეს ვაშოც, გვ. 322.

3 იქვე, გვ. 126-127; ქართლის ცხოვრება, ბროსეს ვაშ., გვ. 322.

ბასილი მთელ თავის თხზულებაში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თამარი ლმობიერი ბუნებისა იყო, მის დროს არცინ არ დასჯილა ფიზიკურად გარდა გუზანისაო. გუზანი დიდებული დალი იყო, განუდგა ქვეყანას და ავაზაკობდა. იპყრეს და „დავით მეფისა წინაშე მოიყუანეს. ხოლო მან იცოდა დიდი მოწყალება თამარისა, ამისათვის მისსა შეკითხვამდის თულანი დასწუნა, ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტეანეთათვის“<sup>1</sup>. ბასილის ამ ცნობიდან სრულიად აშკარად გამომდინარეობს, რომ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც დამნაშავეთა დასჯა იყო, თამარსა და დავითს შორის გარკვეული დამოკიდებულება არსებობდა. დავითს არ შეუძლია თამარის შეკითხვის გარეშე დასაჯოს დამნაშავე. რა მდგომარეობაში იმყოფება ამ მხრივ თამარი, ევალება მასაც თუ არა დავითს შეეკითხოს. მსგავსი შემთხვევების დროს, ძნელი სათქმელია. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ დავითი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში თამარის ლმობიერ პოლიტიკას ყოველთვის არ თანაუგრძნობდა. გუზანის დაუკითხავად დასჯა მისი ამ განწყობილების მაჩვენებელია. დავითს გარეშე მტრების მიმართაც ახასიათებდა ასეთი სიმკაცრე. ბასილის ცნობით, კარის ციხე-სიმაგრეს ქართველებისაგან ალყა ჰქონდა შემორტყმული. მაგრამ იგი გაქიანურდა. მაშინ დავით სოსლანი გაემგზავრა იქ და ჩაუდგა სათავეში ქალაქის ალების ოპერაციებს. კარელებმა შემდგომი წინააღმდეგობა უშედეგოდ სცნეს, დამორჩილება გადაწყვიტეს, მაგრამ თამარის მოსვლა ითხოვეს, მას დაემორჩილებითო. ისინი ალყის დროს ციხიდან ილანძღებოდნენ ქართველთა მისამართით და ეშინოდათ, დავითი ამას არ გვაპატიებსო<sup>2</sup>. უეჭველია, კარელებს რაიმე მსგავსი მაგალითი ახსოვდათ და დავითის სიმკაცრე სწორედ ამიტომ აშინებდათ. ეს გარემოებაც თამარის ლმობიერი პოლიტიკის საპირისპიროდ გამოიყურება.

1 ბასილი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 30.

2 იქვე, გვ. 32.

ექვი არაა, ზოგიერთ მომენტში დავითი თანახმა არ იქნებოდა თამარის ამა თუ იმ ღონისძიებისა, ანდა მისი თვალსაზრისის (ამ მაგალითების შემთხვევაში ლმობიერების) მიყენებისა. ცალკეული შემთხვევისადმი. იგი ასეთ შემთხვევაში თვითნებურად არ იქცეოდა, მაგრამ რა გამოხმაურებას ჰპოვებდა მისი ასეთი მოქცევა თამარის მხრივ, ამაზე ისტორიკოსის ცნობა არაფერს იძლევა. თვით ისტორიკოსი თავის პირად განწყობილებას ამ საკითხის მიმართ აშკარად არ გამოხატავს, მაგრამ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ასეთი შემთხვევები გამონაკლისი იყო. თანხმობა მათ შორის სავალდებულოდ მოჩანს, ხოლო თუ ზოგჯერ ადგილი აქვს თამარის დაუკითხავად დავითის მიერ რაიმე ღონისძიების გატარებას, ეს ისტორიკოსს საერთო წესის დარღვევად მოიჩნია. ეს გარემოება მათ შორის კონფლიქტს არ იწვევდა და მათი მეგობრობა არ ირღვეოდა.

დავითს შესძლებია ზოგ შემთხვევაში თავის შეხედულები-სამებრ ციხე-სოფელი თუ მამული გაეცა. თამარის ისტორიკოსი შამქორის ომთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ დავითი იჭდა ცხენზე, რომელიც მას ვასაკ ხაჩინელისაგან ეყიდა და მასში ციხე და სოფელი გარდმანი მიუცია<sup>1</sup>.

ინტერესს მოკლებული არ არის ის გარემოებაც, რომ თამარის დროს გაცემულ სიგელებზე დავითის ხელმოწერა გვხვდება. 1203 წ. შიომღვიმის მონასტრისადმი გაცემულ სიგელში დავით სოსლანი მეფეთა მეფეთ იწოდება და ხელმოწერა უზის. სიგელს ანტონი ჭყონდიდელის ვრცელი მინაწერი აქვს, სადაც ხელმოწერათა სახე-ლები შემდეგი თანმიმდევრობითაა გადმოცემული: დავით და თამარ; და ძე მათი გიორგი ლაშა<sup>2</sup>.

რამდენადმე დასაზუსტებელი უნდა იყოს დავით სოსლანის როლის შეფასება არსებულ ლიტერატურაში. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „დავით სოსლანი... მხოლოდ ქმარი იყო მეფისა და მხოლოდ

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი..., გვ. 105.

<sup>2</sup> Д. Бакрадзе, Грузинская палеография, Труды V арх. съезда в Тифлисе, 1881 г., стр. 212, таблица XXIII;  
ს. კაკაბაძე, შიომღვიმის სამი საბუთი, თბ., 1912 წ., გვ. 8-9.

აპის გამო მეფეც<sup>1</sup>. დავით კაპანაძე ქართული ნჭმიზმატიკის თან-  
რისდროინდელი ძეგლების ანალიზის საფუძველზე, როცა მონეტა-  
თა ავერსზე დავითი თამართან ერთად იხსენება, ხოლო რევერსზე  
არაბულ წარწერაში არა, ასკვნის, რომ დავითი კმაყოფილდება ცხოვ-  
ბილი დედოფლის ქმრის მდგომარეობით<sup>2</sup>. ჩვენს მიერ მითითებული  
მასალა კი ცხადყოფს, რომ დავითის როლი თამარის სახელმწიფო-  
ში უფრო ფართო იყო.

დავით სოსლანის როლს სახელმწიფო საქმეებში „მეფე  
ქმრის“ უფლებათა გარკვევის საკითხთან დაკავშირებით დაწერი-  
ლებით შევხვ პროფ. ი. ცინცაძე. მას მიაჩნია, რომ „თამარის „მე-  
ფე-ქმარი“ „სპათა და ლაშქართა“ სათავეში დგას, იგი საქართვე-  
ლოს მეფის“ მართებათა და განსაგებელთაგან „სახელმწიფოს ლაშქ-  
რის პატრონობას და მთავარ წინამძღოლობას ასრულებს ფაქტიუ-  
რად თუ არა, ფორმალურად მაინც. ამ საქმეში თამარის შემცვლე-  
ლია იგი, რადგან ქალისათვის ლაშქრად ყოფნა დიდ სიძნელებ-  
თან იყო დაკავშირებული. ამათ გარდა თუ რა შედიოდა კიდევ „მე-  
ფე ქმრის“ კომპეტენციაში, დასადგენია“<sup>3</sup>.

როგორ ესმოდათ თამარის თანამედროვე ისტორიკოსებს და-  
ვით სოსლანის როლი სამეფო კარზე? ლაშა-გიორგის დროინდელი  
მემატიანე აღნიშნავს: „თამარის ქმარი დავით იყო ოვსთ მეფე,  
ტომი ბაგრატიონთა, კაბუჯი და ლომი მისათხრობელი; ამათ ყო-  
ველთა განმარჯვებათა და ნაქმართა თანადამხუდარი და თვთქო-  
ნელი, შემმართველი, მოლაშქრე მკვრცხლი“<sup>4</sup>. მისთვის დავითი  
ჩრდილში მიმდგარი პიროვნება კი არაა, არამედ მოვლენათა  
ცენტრში მდგომი და აქტიური მოღვაწე. დავითი მაშინდელ გა-  
მარჯვებათა და საქმეთა უშუალო მონაწილე იმ შემთხვევაში შეიძ-  
ლებოდა ყოფილიყო, თუ ის განსაზღვრული უფლებების მქონე  
მეფე იყო და არა მხოლოდ ქმარი თამარისა.

1 ქართველი ერის ისტორია, წიგნი 11, გვ. 292.

2 Д. Капанадзе, О медной монете с именами Георгия и Тамары, КСИИМК, вып. XXIV, 1949 г., стр. 62—63.

3 ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 140.

4 ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება 1, გვ. 369.

დავით-თამარის ურთიერთობაზე შედარებით ვრცლად შეი-  
რების უფლება მივეციტ ჩვენ თავს იმიტომ, რომ ეს საკითხი სა-  
ქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან  
დავითი ოსეთის უფლისწულია, ოსეთთან ურთიერთობის საკითხს  
როვემ და ოსეთის დიდმა მნიშვნელობამ საქართველოსათვის გა-  
მოიწვია ეს ქორწინებაც და დავითს ოსეთთან კავშირი არც შემდ-  
გომ შეუწყვეტია. ტრადიციით დავითი ოსეთში დაიმარხა. ურთი-  
ერთობა საქართველოსა და ოსეთს შორის აღნიშნულ პერიოდში,  
ცხადია, აღნიშნული ქორწინების ფაქტით არ ამოიწურებოდა.

საქართველო-ოსეთს შორის დამყარებული მტკიცე პოლიტი-  
კური კავშირი, რომლის ერთ-ერთი გამოხატულება დინასტიური  
კავშირებიც იყო, შედეგი იყო ორივე ამ ქვეყნის ინტერესთა დამთხ-  
ვევისა. მთელ ამ დინასტიურ და პოლიტიკურ კავშირებს მიღმა  
არ შეგვიძლია არ დავინახოთ ამ ქვეყნების შშრომელი მასების ტენ-  
დენცია მეგობრობისაკენ, გამომდინარე მათი სასიცოცხლო ინტე-  
რესთა გარკვეული ერთიანობიდან. მმართველ წრეებს თავის პო-  
ლიტიკურ საქმიანობაში დაახლოების მიზნით წარმატების იმედ-  
შეიტლებოდა ჰქონოდათ მხოლოდ მაშინ, თუ ანგარიშს გაუწევდ-  
ნენ ინტერესთა აღნიშნულ ერთიანობას, რომელიც ნდობისა და მე-  
გობრობის ატმოსფეროს შექმნას მოითხოვდა. პოლიტიკური კავ-  
შირი ქვეყანათა ეკონომიურ დაახლოებას ხელს უწყობდა. ის ფაქ-  
ტი, რომ ეპოქა ფეოდალურია, რომელიც ნატურალური მეურ-  
ნეობის ბატონობით ხასიათდება, ხელს არ უშლის მათ შორის  
ფართო ეკონომიურ გაცვლა-გამოცვლას. მით უმეტეს, მეურნეობ-  
რივი თვალსაზრისითა და განვითარების დონით მათ შორის საგრძ-  
ნობი განსხვავება არსებობდა.

ოსები აქტიურად მონაწილეობდნენ კავკასიის ერთიანი დიდი  
ფეოდალური მონარქიის წარმოქმნაში. ოსეთის ფეოდალური ზედა-  
ფენები თავიდანვე მკვიდრო ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულ-  
ტურულ ურთიერთობაში აღმოჩნდნენ საქართველოსთან, ეზიარნენ  
ქართულ მაღალგანვითარებულ კულტურას. საქართველო ამიერ-  
კავკასიის უძლიერესი სახელმწიფო იყო. ასეთ პირობებში არა მარ-  
ტო ქართველური წარმოშობის ხალხები, არამედ არაქართველური  
ხალხებიც. ბუნებრივია, მიისწრაფოდნენ მისკენ, მასთან მკვიდრო

ურთიერთობაში ექცეოდნენ. აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს რომ „კავკასიის მთიანეთსა და იმიერკავკასიის მთისძირება ქვეყნებს უძველესი დროიდანვე მჭიდრო ურთიერთობაში მყოფნიდნენ“ იმიერკავკასიისთან. ეს ურთიერთობა, რასაკვირველია, მჭიდროდ გრძელდებოდა, როცა ფეოდალურად დაწინაურებულ საქართველოში იზრდებოდა და ძლიერდებოდა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების დიდი პროცესი. აფხაზთა მთავრები თუ გაერთიანებული საქართველოს მეფეები სულ უფრო და უფრო მჭიდროდ სამხედრო-პოლიტიკურსა და კულტურულ ურთიერთობას აბამდნენ თავის ამ ჩრდილოეთის მოძმე მეზობლებთან. ჩერქეზ-ოსები თუ დურძუკუნძები სულ უფრო და უფრო ორგანულად მონაწილეობდნენ კავკასიის ერთიანი დიდი ფეოდალური სამყაროს წარმოქმნაში და, ბუნებრივია, ისინი ვერ დარჩებოდნენ იმ სამყაროს გარეთ, რომელიც ხსენებულ პროცესის შედეგად საქართველოს მოთავეობით წარმოიქმნა. ასე რომ, თამარის მეფობის უკანასკნელ ხანაში ყველა ეს იმიერკავკასიელი მთიელები საქართველოს მეფის ყმადნაფიცთა შორის იმყოფებოდნენ და პოლიტიკური გავლენის გარდა ფეოდალური საქართველოს ძლიერ კულტურულ გავლენასაც განიცდიდნენ“<sup>1</sup>.

მოყვანილი ამონაწერი ზუსტად გვხიბს იათებს ოსებისა და იმიერკავკასიის სხვა ხალხთა დამოკიდებულებას ქართული ფეოდალური მონარქიისადმი. მტკიცე ურთიერთობამ საქართველოსთან აღნიშნული ხალხები ბოლოს მისი პოლიტიკური და კულტურული გავლენის ორბიტში მოაქცია. მათი ყმადნაფიცობა საქართველოს მიმართ სწორედ მისდამი სამხედრო სამსახურში მდგომარეობდა, ოღონდ ეს სამხედრო სამსახური უხვად ნაზღაურდებოდა საჩუქრებისა და დიდი ნადავლის მიღებით. ამდენად იგი ჩრდილო კავკასიის მემომარ ხალხთათვის სამძიმო არ ყოფილა. სხვა, უფრო ძლიერი, ფეოდალური ექსპლოატაცია ჩრდილო კავკასიის ხალხების მიმართ ისტორიულად ჩამოყალიბებულ თავისებურებათა გამო საქართველოს არ შეეძლო ეწარმოებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შეეძლოთ საქართველოსაგან განზე გამდგარიყვნენ, საქართვე-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორია, აკად. ნ. ბერძენიშვილის რედ., თბილისი, 1958 წ. გვ. 204-205.



ლო (უფრო სწორად ფეოდალური წრეები), რომელიც სომხეთისა და ქონების მოხვეჭას სამხრეთის მიმართულებით ცდილობდა, ჩრდილო კავკასიიდან სამხედრო ძალის მეტს არას საჭიროებდა და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ურთიერთობა მშვიდობიანად ვითარდებოდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი მოპყვა საქართველოს მთიანეთის ფეოდალიზმის უღელქვეშ მოქცევის ცდას XIII ს. დამდეგს, როცა აჯანყების ჩაქრობას ფეოდალური საქართველოს სამხედრო ძალთა დიდი დაძაბვა დასჭირდა.

დავით სოსლანი 1207 წელს გარდაიცვალა. თამარის ისტორიკოსი აღნიშნავს: „ამისთვის მოიწია მწუხარებაჲ, რამეთუ მიიცივალა სოსლან დავით, კაცი აღსაესე ყოვლითა სიკეთითა, საღმრთოჲთა და საკაცობოჲთა, შესახედავად განმშუენებელი, ხოლო წყობათა და ომთა შინა მხნე (ვიდრემე) და გულოვანი, უხუჲ და მდაბალი და სიკეთე აღმატებული და იტირებდეს და იტყებდეს და დაუტევეს მწუხარებაჲ ყოველსა მკვდროვანსა“<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ დავით სოსლანის დახსნათება თამარის ისტორიკოსთაგან საოცრად ემთხვევა მის ჩაბრუნებისთვის დახსნათებას. დავითის გარდაცვალების უმალ თამარმა ტახტზე აიყვანა ლაშა გიორგი და მათი თანამეფობა გაგრძელდა 1213 წლამდე, თამარის გარდაცვალებამდე<sup>2</sup>.

ოსური გადმოცემები დავით სოსლანს ოსეთში, ალაგირის ხეობაში დამარხულად თვლიან. ქართული ცნობები დავითის საფლავის შესახებ არაფერს იძლევიან. ჩვენ ეს ფაქტი იმის მაჩვენებლად მიგვაჩნია, რომ დავითს არ შეუწყვეტია ურთიერთობა ოსეთთან მას შემდეგაც, რაც ის თამარის მეუღლე გახდა და გარდაცვალების შემდეგაც ოსეთში დაიკრძალა.

საქართველოსა და ოსეთს შორის მჭიდრო ურთიერთობა უკანასკნელის შინაგან სოციალურ და ეკონომიურ განვითარებაზე

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი..., გვ. 129.

<sup>2</sup> ზ. ჭიჭინაძის აზრით, როგორც კი თამარს და დავითს შეეძინათ ორი შვილი, თამარის თხოვნით დავითი განეშორა მას და ოსეთში წავიდა საცხოვრებლად. აქედან ის ომების შემთხვევაში ვადმოდიოდა საქართველოში. გარდაიცვალა იგი 1230 წელს. ზ. ჭიჭინაძის ეს მოსაზრება მცდარია. ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, გვ. 175-176.



გარკვეულ კვალს სტოვებდა. საქართველოსთან მჭიდრო ურთიერ-  
თობა ოსეთის მმართველი წრეების გავლენასა და ავტორიტეტს  
ოსეთის საზოგადოებებში, ბუნებრივია, ზრდიდა და საქართველოს  
საზოგადოების ფორმირებას აჩქარებდა. იგივე გავლენებს ქვეყნის  
ცალკეულ ნაწილთა შორის შინაბრძოლას გარკვეულ აზრით ანე-  
ლებდა. საქართველოს მთავრობა დაინტერესებული უნდა ყოფი-  
ლიყო ოსეთში იმ ძალების განმტკიცებით, რომლებიც საქართვე-  
ლოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებას ხელს  
შეუწყობდნენ. ვფიქრობთ, ამ აზრით უნდა იქნას გაგებული თამარის  
ისტორიკოსის შემდეგი განცხადება: „რაოდენნი დაგლაზაკე-  
ბულნი მეფენი განამდიდრნა (თამარმა — გ. თ.), რაოდენთა მიმე-  
ლავრებულთა უკუნსცა სამეფო თვისი, რაოდენნი განდევნილნი სა-  
მეფოოვკე თვისად კუალად აგნა... და ამის მოწამე არს სახლი შარ-  
ვანშეთი და დარუბანდელთა, ლუნთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუ-  
ქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვ-  
რებას ამის მიერ იყუნეს და მტერთაგან უზრუნველობასა“<sup>1</sup>. ფეო-  
დალური საქართველო თვალყურს ადევნებდა მეზობელ ქვეყნებში  
მიმდინარე შინაგან პროცესებს და საჭიროების შემთხვევაში ერეო-  
და მათ საქმეებში, სასურველ მიმართულებას აძლევდა მათ. პო-  
ლიტიკური დაინტერესებულობის გარეშე მიმძლავრებულათვის სა-  
მეფოების დაბრუნებას აზრი არ ჰქონდა.

ოსეთი საქართველოს მხრივ დაწყობის ან უშუალო შემოერ-  
თების ობიექტი არასოდეს არ გამხდარა. მაგრამ მასთან ნორმალუ-  
რი ურთიერთობის დაცვა და განმტკიცება საქართველოს სახელმწი-  
ფოს წინაშე ყოველთვის აქტუალურ საკითხად იდგა. ჩვენ უკვე  
აღვნიშნეთ იმ მიზეზების შესახებ, რომელთაც საკითხის აქტუალო-  
ბას განაპირობებდნენ და იმ ღონისძიებათა შესახებაც, რომელთა  
გატარებით ურთიერთობა კეთილმეზობლური და მეგობრულ საწყი-  
სებზე ვითარდებოდა.

ამრიგად, XI ს. მოყოლებული, XIII ს. პირველი მეოთხედის  
ჩათვლით, მონღოლთა შემოსევამდე, საქართველოს ურთიერთობა  
ოსებთან მოკლედ შეიძლება დახასიათებულ იქნეს როგორც მშვი-  
დობიანი, ურთიერთხელსაყრელი, მეგობრული ურთიერთობა.  
ქართული წყაროების ცნობებით, იგი გარკვეული სამხედრო კავ-

<sup>1</sup> ბასილი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ვვ. 15.

შორის ხასიათს ატარებდა, რომელიც თავისი მახვილით მიმართული იყო საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს საგარეო მტრების წინააღმდეგ. შედარებით ბურჟუაზიისა მოცული ამ კავშირის გრძელსამხედრო (მაგ. ეკონომიური, კულტურული) ხასიათი, მაგრამ მათი არსებობაში ეჭვის შეტანისათვის საფუძველი არ არსებობს.

განხილული პერიოდის საქართველო-ოსეთის ურთიერთობაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იგი გარეშე ძალების ზეგავლენისაგან თავისუფალი იყო, მისი ხასიათი და მასშტაბი ამ ქვეყნების შინაგანი განვითარების პროცესებით იყო განსაზღვრული. დავით აღმაშენებლის დროიდან ეს ურთიერთობა ყმადნაფიცობის ნიადაგზე იყო აგებული. ეს ყმადნაფიცობა ოსებს ავალდებულებდა სამხედრო დახმარება გაეწიათ საქართველოსათვის საჭიროების შემთხვევაში. მაგრამ სამხედრო დახმარება უეჭველი პირობა არ ყოფილა და მისი რეალიზაცია დამატებითი ღონისძიებების გატარებით ხდებოდა.

საქართველო საჭიროებდა სამხედრო ძალას, ოსეთს სჭიროდა საქართველოსთან კავშირი თავის ეკონომიური და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. დაწინაურებული საქართველო ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის ძლიერი მიმზიდველი კერა იყო.

უკვე XIII ს. პირველ მეოთხედშივე საქართველოცა და ოსეთიც მონღოლთა ბატონობის მძიმე უღლის ქვეშ მოექცნენ. ამან მათ შორის ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა არ შეწყვიტა, მაგრამ ურთიერთობის ხასიათსა და მასშტაბზე კი გარკვეული გავლენა მოახდინა. მონღოლთა ბატონობის შედეგად ქართველ-ოსთა ურთიერთობის საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ ნორმებში ბევრი ახალი მომენტი იქნა შეტანილი. წყაროების სიმცირის მუხედავად, ჩვენ შევეცდებით ამ ახალი მომენტების ჩვენებას, განსაკუთრებით კი საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა გადმოსახლებას. ოსთა საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლების მიზეზები, დრო, პროცესი მისი თანმხლები მოვლენების შუქზე — ან ის ძირითადი საკითხები, რომლებსაც ქვემოთ შევვხებით.

### § 3. საქართველო-ოსეთის პოლიტიკური ურთიერთობა

(XIII ს. მეორე მეოთხედი — XIV ს.)

საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა გადმოსახლებისა და ამ მუდმივი ოსური მოსახლეობის გაჩენის საკითხი მთელი იმ მნიშვნე-

ლობის მიუხედავად, რაც მას საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიისათვის აქვს, სათანადოდ დამუშავებული არაა. ეს აღნიშნული საკითხის ირგვლივ წყაროთა ცნობების სიმცირისა და მათში მიმკვლევართა უყურადღებო დამოკიდებულების შედეგად, კერძოდ დვილემში ეს საკითხი ფრიად საინტერესო და ყოველმხრივ დამუშავების ღირსია, რამდენადაც ორი მეზობელი ხალხის — ქართველებისა და ოსების მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, მის ახალ ვითარებაში გაგრძელება.

საქართველოში ოსთა გადმოსახლების საკითხზე მკვლევრები, საქართველოს თუ ოსეთის ისტორიის კერძო საკითხების კვლევასთან დაკავშირებით გარკვეულ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ. ჩვენ მოკლედ შევეხებით მათ<sup>1</sup>.

არც ერთ მკვლევარს საქართველოში ოსთა გადმოსახლების ფაქტი სადაოდ არ გაუხდია. აზრთა სხვადასხვაობა მათ შორის თავს იჩენს ამ გადმოსახლების დათარიღების საკითხზე. ზოგ მკვლევარს ამ მოვლენის დათარიღება შეუძლებლადაც კი მიაჩნია<sup>2</sup>.

მკვლევართა ერთი ჯგუფი საქართველოში ოსთა გადმოსახლებას უძველეს დროში დაწყებულად ვარაუდობს. ზ. ვანევეი იზიარებს სენ-მარტენის აზრს, რითაც ოსთა სამხრეთში გადმოსახლებას ძვ. წ. 215 წლიდან ვარაუდობს. იგი თვლის, რომ საბოლოოდ დადგენილია დვალი ოსების სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მოსახლეობა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზ. ვანევეს აღნიშნული დვალი ოსები, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე უძველეს დროიდან მოსახლე, თანამედროვე სამხრეთელი ოსების წინაპრე-

<sup>1</sup> დ. გერიტიშვილს სტატიაში „დვალი ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის“ (მიმოხილველი, I, 1949 წ.) მოყვანილი აქვს ამ საკითხზე არსებული შეხედულებანი. ჩვენ ესარგებლობთ მით და, თავის მხრივ, ვაცხებთ მათ.

2 „Юго-Осетия“, Труды Закавказской Научной Ассоциации, серия I, вып. I, Тифлис, 1924 г.

Г. Ф. Чурсин, Осетины. Этнографический очерк, стр. 136.  
„Установить с точностью время поселения осетия на южном склоне Главного хребта не представляется возможным.“

Л. Меликсет-беков, К археологии и этнологии Туальской Осии, стр. 277.

ბად არ მიაჩნია. უკანასკნელნი, მისი აზრით, აქ შედარებით გვიან-  
დელ პერიოდში გადმოსახლდნენ, ხოლო დვალი-ოსები ოსთა მოწო-  
ლის გამო ბარის მიმართულებით ინაცვლებენ და ასიმეტრიულად  
ქართველების მიერ<sup>1</sup>.

გ. ი. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

ავტორის თანახმად, ოსთა ეს ახალი ტალღები, რომლებიც  
დვალ ოსებს ბარისაკენ აძევებენ, XIV-XVI ს. ს. გადმოდიან საქარ-  
თველოს ტერიტორიაზე. სწორედ ეს ახალი ტალღები უყრიან სა-  
ფუძველს, ზ. ვანევიცის თანახმად, თანამედროვე სამხრეთ ოსეთს.

ზ. ვანევი 1956 წ. გამოქვეყნებულ ბროშურაში „Народное  
предание о происхождении осетин“ (Сталинир) ოსთა ვე-  
ლებიდან მთებში და იქიდან საქართველოში შემოსახლების საკითხს  
მონღოლთა შემოსევასთან აკავშირებს. ამასთან, იგი უშვებს შესაძ-  
ლებლობას, რომ ძველ ოსურ მოსახლეობას სხვადასხვა ტომთა  
თავდასხმების გამო მთებიდან საქართველოს მიმართულებით გან-  
სახლება უფრო ადრეც შეეძლო<sup>2</sup>.

XIX ს. დამლევეს დ. ლავროვი წერდა, რომ ოსებზე ჩრდილოე-  
თიდან რომაელთა, გოთთა, ჰუნთა მუდმივი თავდასხმები მათ ახე-  
ვინებდა კავკასიის ქედის სიღრმეში და გახდა კავკასიის ჩრდილო  
კალთებიდან მის სამხრეთ კალთებზე — საქართველოს ფარგლებში,  
გადმოსახლების მიზეზი ახ. წ. III ს. დასაწყისიდან<sup>3</sup>.

გ. კოკიევი საქართველოში ოსთა გადმოსახლებას უკავშირებს  
ჰუნთა შემოსევას (IV ს.)<sup>4</sup>.

ე. გ. პჩელინას მიაჩნია, რომ უკვე VI-VII ს. ს. ადგილი აქვს  
ოსთა სამხრეთით მოძრაობას, რაც თათარ-მონღოლთა შემოსევის  
დროიდან განახლდა<sup>5</sup>. აქედ. გ. ახვლედიანსაც შესაძლებლად მიაჩნია.  
VII ს. ახლო ხანებიდან, ქედს გადმოღმა ოსთა გადმოსახლება დვა-  
ლების სახით<sup>6</sup>.

მისი ცნობა უზუსტოა

1 „К вопросу о времени заселения Юго-Осетии“, Изв. Ю-Ос-  
НИИ, III, 1936 г., стр. 271—273.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 22.

3 СМЭМПК, вып. III, стр. 200.

4 Очерки по истории Осетии, стр. 22, 99.

5 Сборник „Юго-Осетия“, стр. 238.

6 ოსური ენის ისტორიისათვის, თბილისის სახელმწ. უნივ. მოამბე, V, 1925 წ.



7!

ზ. ჭიჭინაძემ თავის „ოსეთის ისტორიაში“ გაატარა აზრი, რომ XI-XIII ს. ოსეთში ორი სამეფო არსებობდა, ერთი კავკასიის ქედის სამხრეთ კალთებზე, მეორე კი ჩრდილოეთ კალთებზე.  
ვ. ბ. პაფფს მიაჩნია, რომ კავკასიის მთიანეთის სამხრეთ კალთებზე ოსები აღრიდანვე ცხოვრობდნენ. ამიერ ოსებზე ქართველთაგან უფოდალთა შვილები თავდასხმებს აწყობდნენ და უფოდალში გაავრცელეს (VIII-IX ს. ს.-დან)¹. კონკრეტულად როდის დასახლდნენ ოსები კავკასიის მთების სამხრეთით, ამაზე ის არაფერს არ ამბობს, ოღონდ წმინდა ნინოს მიერ ქრისტიანობის ქადაგება IV ს. სამხრეთ ოსთა შორის მას დამტკიცებულად მიაჩნია². მამისონის ხეობის სოფლების და მდინარეების სახელწოდებებზე დაყრდნობით ის ასკვნის, რომ სწორედ ამ ადგილზე შეერივნენ ოსები ქართველებს³.

პროფ. ბ. სკიტსკი პირდაპირ აცხადებს, რომ ოსთა გადმოსახლება საქართველოში, IV ს. დაწყებული ჰუნთა ზეგავლენით, ტალღებად ხდებოდა. ეს პროცესი განახლდა XIII ს. მონღოლთა ზეგავლენით. შემდეგი საკოლონიზაციო ტალღა საგვარეულო გადმოცემათა მიხედვით, XV-XVI ს. ს. მოდის. სამხრეთ ოსეთს, მისი აზრით, დვალეთი ეწოდებოდა⁴.

ბ. სკიტსკი, მისი თვალსაზრისის მქონე სხვა მკვლევართაგან განსხვავებით, ცდილობს კავკასიის სამხრეთ კალთებზე, ე. ი. დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ოსთა უძველესი მოსახლეობის არსებობა ისტორიული წყაროების ცნობებით დაამტკიცოს. იგი იმოწმებს პროკოპი კესარიელის შემდეგ ცნობას: „სადაც მარჯვნივ იბერთა საზღვრები არის, ხოლო პირისპირ კავკასიის მთა თავდება... ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს, მათ შორის ალანებიცა და აბაზგებიც, რომლებიც ქრისტიანები არიან და ძველთაგანვე რომაელთა მეგობრები“⁵. სინამდვილეში, პროკოპი მართლაც ალან-აბაზგთა დასახელებით არ იზღუდება და ასახელებს იმავე ტერიტორიაზე მცხოვრებ ზიქებს და ჰუნებს (სავირებს). უფრო საინტერესო

1 В. Б. Пфаф, Материалы для истории осетин. ССКГ, вып. V, стр. 23.  
 2 იქვე, ნაკვ. IV, გვ. 31.  
 3 ССК. 1, стр. 144.  
 4 В. Скитский, Очерки по истории осетинского народа . . . стр. 138  
 5 В. Скитский, Очерки . . . стр. 41.

ის გარემოებაა, რომ პროკოპი ყველა ამით მდინარე ფაზისს უკავშირებს, რომელიც, მის მიხედვით, ქანეთის მთებიდან გამოდის.

ამჟამად, რომ ფაზისის პროკოპისეული ლოკალიზაცია აწორი არაა. ის სწორედ რომ იყოს, მაინც ალანთა კავკასიის ქედის სამხრეთ კალთებზე ოსთა ცხოვრების დასადასტურებლად არ გამოდგება. მაშინ, იმავე უფლებით უნდა ვამტკიცოთ ზიქებისა და ჰუნების კავკასიის ქედის სამხრეთ კალთებზე ცხოვრება, რაც შეეცდომა იქნებოდა.

პროკოპის მოეპოვება სხვა ცნობები, სადაც ალანები კავკასიის მთიანეთის ჩრდილოეთით მოსახლე ხალხად არიან წარმოდგენილი. „ის ქვეყანა, რომელიც კავკასიის მთიდან დაწყებული კასპიის კარამდეა გადაჭიმული (კასპიის კარი მასთან დარიალის კარს ნიშნავს, — გ. თ.), ალანებს უჭირავთ, თავისთავად ტომს“. ან კიდევ: „აბაზგების საზღვრების შემდეგ კავკასიონის მთის გასწვრივ ცხოვრობენ ბრუქები, აბაზგებსა და ალანებს შუა, ხოლო ევქსინოს პონტოს ნაპირას ზიქები არიან დამკვიდრებული“<sup>2</sup>.

პროკოპის, მენანდრეს, თეოფანე ეამთალმწერლის ცნობებით, ბიზანტიას ალანებთან ურთიერთობის დასამყარებლად უხდებოდა კავკასიის მთიანეთის გადალახვა. ალანებს მის სამხრეთ კალთებზე რომ ეცხოვრათ, მაშინ მთიანი გადასასვლელების გავლა აღარ იქნებოდა საჭირო, რომლებიც ციხე-სიმაგრეებით იყვნენ გამაგრებული. ქართული წყაროები XIII ს. მეორე ნახევრამდე ამიერკავკასიაში ოსთა ცხოვრებაზე ერთ სიტყვასაც არ შეიცავენ და მათთან ურთიერთობას წარმოგვიდგენენ როგორც ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ხალხთან ურთიერთობას, რაც საუელელტეხილო გზებით ხორციელდება.

პროფ. ბ. სკიტსკის ამ შეხედულებაზე ასე ვრცლად იმიტომ შევეჩერდით, რომ იგი გაზიარებულია ოს ისტორიკოსთა შორის. ამან თავის ასახვა პოვა „ოსეთის ისტორიაში“ (მაკეტი), სადაც აღნიშნულია, რომ ჰუნთა შემოსევის დროიდან ალანთა ნაწილი გადავიდა ცენტრალური კავკასიის სამხრეთ კალთებზე. ესენი არიან თანამედ-

1 გეორგია, II, გვ. 71-72, 78-80.

2 იქვე, გვ. 100. 105.

როვე სამხრეთ ოსების შორეული წინაპრები. სამხრეთ <sup>კალთებზე</sup> IV ს.-ში ოსებით დასახლებული ტერიტორია XIII საუკუნეში დეცარიელდა, რადგან სამხრეთელი ოსები ველებზე დაეშენებნენ. ჩრდილოეთიდან შემდეგ ამ ადგილებზე სხვები გადმოვიდნენ.

ანთროპოლოგი მ. აბდუშელიშვილი სამხრეთ ოსების ანთროპოლოგიური შესწავლის საფუძველზე ასკვნის, რომ ჩრდილოეთი (ოსური) ელემენტის დაფენება ადგილობრივ ელემენტზე შედარებით ახალი საქმეა, რომელსაც ათასწლოვანი ისტორია არა აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი დიფერენცირება შეუძლებელი იქნებოდა?

მკვლევართა იმ ნაწილმა, რომელსაც ქართული ისტორიული წყაროების ყოველმხრივ გათვალისწინებისა და შეფასების საშუალება ჰქონდა, საქართველოში ოსთა გადმოსახლების საკითხზე სწორი, მეცნიერული აზრი გამოთქვა. უკვე გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა ვახუშტი ბაგრატიონმა საქართველოში ოსთა გადმოსახლება დაუკავშირა მათ განადგურებას მონღოლთა მიერ ჩრდილო კავკასიის ველებზე. „შემდგომად ჩინგიზ ყეენთა მოსვლისა, ბათო ყეენმან მოსრნა ოვსეთი და მოაოხრნა, ხოლო ოვსნი შემოივლტოდნენ კავკასიათა შინა“. მისი ცნობით, ოსთა ყოფილ სამოსახლო ტერიტორიაზე ჩერქეზები ანუ ყაბარდოელები დასახლდნენ და მას ჩერქეზეთი ანუ ყაბარდო ეწოდა<sup>3</sup>.

საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა გადმოსახლების საკითხზე ღრმა მეცნიერული თვალსაზრისი მოცემულია აკად. ნ. ბერძენიშვილის შრომებში. მან აღნიშნული მოვლენა მიზეზობრივად ორივე ქვეყნის იმ საშინაო და საგარეო ვითარებას დაუკავშირა, რომელიც მონღოლთა ამ ქვეყნებში გაბატონების შედეგად შეიქმნა. ასეთი მიდგომა საკითხისადმი ჭეშმარიტების მიღწევის ერთადერთი გზაა. ამ ზოგადი მეცნიერული დასკვნების საფუძველზე პროცესის კონკრეტული ჩვენების შესაძლებლობა შეიქმნა. აკად. ნ. ბერძენიშვილმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია საკითხის შესწავლით დაინტერე-

1 История Осетии, макет, 73.

2 მ. აბდუშელიშვილი, ოსები (ანთროპოლოგიური ნარკვევი). ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, თბ. 1957 წ. გვ. 312-323.

3 აღწერა..., გვ. 107.

სებულთ, ხაზი გაუსვა რა მის სამაჟულო ხასიათიდან გამომდინარე შეიარაღებული ბრძოლის ფორმას!

დ. გვრიტიშვილმა სტატიის — „ღვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის“ — შეაჯამა ამ საკითხის განმარტება ბული შეხედულებანი და დაასკვნა, რომ საქართველში — ტერორისტულ რიანზე ოსთა გადმოსახლება XIII-XIV ს. ს. ხდება და შემდეგშიც გრძელდება. მისი შეხედულებით, ოსთა ახალშენები კავკასიის ქედის პირაქეთა კალთებზე ჩნდება XIII ს. მეორე ნახევარსა და XIV ს. დვალეთის ტერიტორიაზე, შემდეგ დიდი და პატარა ლიხვის, ქსნის, ფაწის, არაგვის სათავეებში<sup>2</sup>.

მანვე ოსთა საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლების პროცესი სამ სახედ დაჰყო და თითოეული ეს სახე გარკვეულ პერიოდებს შეუფარდა. I სახე — შეიარაღებულ ოსთა დიდი ჯგუფები ქართველებით დასახლებულ ხეობებს იკავებენ და სახლდებიან იქ. გადმოსახლების ამ სახეს ადგილი ჰქონდა XIII-XIV ს. ს. რაც შეეხება II სახეს — ქართველ თავადთა ან მეფეთა მიერ წინასწარი შეთანხმებით ოსთა დიდი ჯგუფების გადმოყვანას და დასახლებას თავის მიწაწყალზე, და III — ეკონომიურად შევიწროებული ოსი გლეხების ნებაყოფლობით დაჰმობას ქართველ ფეოდალებისადმი, ესენი შედარებით მოგვიანო ხანას ეკუთვნიან<sup>3</sup>.

დ. გვრიტიშვილის იმავე სტატიაში აღძრულია საკითხი დვალთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ. ავტორი აკრიტიკებს იმ შეხედულებებს, რომლებიც დვალებს ოსურ ტომად მიიჩნევენ და მის საფუძველზე ასკვნიან საქართველოს ტერიტორიაზე კავკასიის მთიანეთის სამხრეთ კალთებზე ოსთა უძველესი დროიდან ცხოვრებას. იგი მიიღის დასკვნამდე, რომ დვალ-ოსთა იგივეობა საბოლოოდ უარყოფილი უნდა იქნას. რა ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან დვალები, თუ ისინი ოსები არ არიან — ისმის ასეთი საკითხი და ავტორს, თავს იკავებს რა გადაჭრილი პასუხისაგან, მოჰყავს ცნობები, რომლებიც დვალებზე ქართული კულტურის დიდ გავლენას ადასტურებენ, ხოლო დვალეთის ტერიტორიაზე არსებული ბევრი გეოგრაფიული სა-

1 ნ. პერძენიშვილი, საქართველოს ისტორია XIII-XIV ს. ს. თბილისის საბ. უნივერსიტეტის შრომები. VI. 1938 წ., გვ. 294; საქართველოს ისტორია, 1953 წ., გვ. 245.

2 შიმომხილველი, I, 1949 წ., გვ. 118.

3 იქვე, გვ. 119.



ხელის ქართულ წარმოშობას მიწმობენ (მაგ. ზეკარი, ყვლო, მარტუ-  
ბი). აქედან გამომდინარე, ავტორი დვალეების ქართულ ტომად მიი-  
ნევის აზრისაკენ იხრება<sup>1</sup>.

იულიუს კლავროტის აზრით, ოსთა უდიდესი წყაროა  
ველოში ეკუთვნის დვალთა ანუ დვალეთის ტომს<sup>2</sup>.  
ხალხს ორ დიდ ტომად ჰყოფენ, რომლებიც ენით და ჩვეულებებით  
ნაკლებ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სახელდობრ ოსებად და  
დვალებად<sup>3</sup>.

დვალეები ოსებად მიაჩნია პაფფს<sup>4</sup>, ვ. კოკიევს<sup>5</sup>, ზ. ვანეევს<sup>6</sup>.

დვალეების საკითხს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საკითხ-  
თან დაკავშირებით ბევრი მკვლევარი შეეხო, მაგ., გიულდენშტედ-  
ტი, პალასი, კლავროტი, პაფფი, მილერი, მარი, ყიფშიძე, ტომაშევი,  
ახვლედიანი, კეკელიძე, მელიქსეთ-ბეგი, ვანეევი, სკიტსკი, გვრიტი-  
შვილი, გამრეკელი. დვალთა ეთნიკური კუთვნილება მათგან სპეცი-  
ალური კვლევის საგნად არავის უქცევია. გამონაკლისს შეადგენენ  
ტომაშევი, დ. გვრიტიშვილი და ვ. გამრეკელი, რომელთაც თავის  
მოსაზრებანი ამ საკითხზე მეტნაკლებად დასაბუთებულად წარმოგ-  
ვიდგინეს. მათ გარდა, ყველა აღნიშნული ავტორი ვახუშტიზე მითი-  
თებით, ყოველგვარი მსჯელობის გარეშე, დვალეებს ოსურ ტომად  
აცხადებს. თავის ამ მოსაზრების გამამაგრებელ არგუმენტად მიაჩ-  
ნდათ ის ფაქტი, რომ ოსები თუალებს უწოდებენ ყოფილი დვალე-  
თის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებს.

ბ. სკიტსკი აღნიშნავს, რომ საქართველოს ძველ გეოგრაფიაში  
სამხრეთ ოსეთს დვალეთი ერქვა. ეს სახელწოდება მისი ძველი მო-  
სახლეობის — ოსების თვითსახელწოდება თუალ-იდან მომდინა-  
რეობს<sup>7</sup>.

1 მამოხილველი I, 1949 წ. გვ. 114.

2 J. Klaproth, Reise in den Kaukasus und nach Georgien. 1814.  
B. II, s. 13.

3 Anhang zur Reise in den Kaukasus und nach Georgien Von J.  
Von Klaproth. Halle und Berlin. 1814, s. 117.

4 Материалы для истории осетии. ССКГ, IV, стр. 29.

5 Очерки по истории Осетии, стр. 22.

6 К вопросу о времени заселения Юго-Осетии, Изв. Ю.-ОСНИИ,  
III, стр. 270, 272.

7 Очерки по истории осет. народа, стр. 139.

აკად. გ. ახვლედიანის აზრით, დევლები ქედს გადმოღობა ოსთა მოძრაობის პირველ ტალღას წარმოადგენდნენ. საქართველოს დევლეთს მათგან უნდა მიეღოს თავის სახელწოდება. ოსთა ახალ-ახალმა ტაღლებმა, რომლებიც მათ მოჰყვებოდნენ, ოსთა მძევლები ნაწილობრივ დასაეღეთისაკენ მისწიეს, ნაწილობრივ კი თავის მასში გათქვიფეს<sup>1</sup>.

დევლები ოსებად მიაჩნია ვს. მილერს, კერძოდ სამხრეთ ოსებად. VII ს. სომხურ ანონიმურ გეოგრაფიაში დევლების მოხსენება მას იმის შედეგად მიაჩნია, რომ ოსებს იმ დროს საერთო სახელწოდება არ ჰქონდათ და მისი ცალკეული ნაწილები სხვადასხვა სახელით იყვნენ ცნობილი<sup>2</sup>.

ტომაშეკს დევლები ფართო ტერიტორიაზე განსახლებულ, საკუთარი ენის მქონე და დამოუკიდებელ ტომად მიაჩნია, რომლებიც თამარ მეფის დროს საბოლოოდ შეუერთდნენ ქართველ ხალხს. ამ დევლებმა თავის მალაქმთან ადგილებიდან ბევრი დაქვარავს ოსთა სამხრეთით მოძრაობასთან დაკავშირებით<sup>3</sup>.

ივ. ჯავახიშვილი, ეხებოდა რა დევლეთს, მისი მდებარეობისა და ტერიტორიალური კუთვნილების საკითხით იფარგლებოდა<sup>4</sup>. ის საქართველოს სანაპირო მხარეა. დევლთა ეთნიკურ კუთვნილებას იგი არ შეეხო, რადგან მის გადასაწყვეტად საკმარისი ცნობები არ მოეპოვებოდა. ცნობები არ მოიპოვება ამჟამადაც.

ს. ჯანაშია X-XI ს. ს. ქართულ წყაროებში მოხსენებულ დევალ გადამწერებს იმდროინდელი ქართული ხელნაწერი წიგნის ჩინებულ მუშაკებად თვლიდა, ხოლო დევლებს ეთნიკურად თანამედროვე ოსებთან აიგივებდა<sup>5</sup>.

აკად. კ. კეკელიძეც აღნიშნავს, რომ „დვალი ქართულად... იგივე ოსია“<sup>6</sup>.

1 ოსური ენის ისტორიისათვის, თსუ მოამბე, V, 1925 წ., გვ. 319.

2 Осетнские этюды, ч. III, стр. 109.

3 Real Enzyklopädie der Classischen Altertumswissenschaft, Stuttgart, 1903, s. 1231.

4 საქართველოს საზღვრები ისტორიულად..., გვ. 6-9.

5 შრომები, II, გვ. 490.

6 ნიზამი ვანჯელი და საქართველო, გაზ. „სახალხო განათლება“, 1947 წ. №39.

დვალების ეთნიკური ვიზაობის, მათი განსახლების, გნის, ოსების მათი მიმართების საკითხები ამ უკანასკნელ პერიოდში სპეციალური კვლევის საგნად გაიხადა ვ. გამრეჯელმა<sup>1</sup>.

3. გამრეჯელი თვლის, რომ დვალთა ტომი ასწინდურად იქნა ნაწილობრივ ოსების, ნაწილობრივ კი ქართველები<sup>2</sup>. ისინი შევიდნენ ორივე ხალხის შემადგენლობაში და, ამის გამო, შედიან ორივე ამ ხალხის ისტორიაში<sup>3</sup>.

ვახუშტის ცნობების ანალიზის საფუძველზე ვ. გამრეჯელი აკვნიხს, რომ მდდარია დვალების ოსებთან იგივეობის აზრი. მისი გამოკვლევის ძირითადი შედეგები შემდეგში გამოიხატება:

1. ვახუშტით დვალები ოსები არ არიან. ისინი დამოუკიდებელ კავკასიურ ტომს წარმოადგენენ და ენათესავენ იან ძურძუკებს (ჩეჩენ-ინგუშებს).

2. დვალები, ნაწილობრივ, შევიდნენ ოსი ხალხის შემადგენლობაში ამ ხალხის წარმოშობის პროცესში. მათი ოსებთან ნაწილობრივი შერწყმა კი ხდება შემდგომ პერიოდშიაც, ოსთა კავკასიის ხეობებში შემოსვლისა და დვალებზე უპირატესობის მოპოვების გზით.

3. დვალეთი თავდაპირველად კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობდა. იგი ვრცელდებოდა თერგის მარცხენა ნაპირიდან ბასიანამდე, სამხრეთიდან ჩრდილოეთით კი მთავარი ქედის ხაზიდან ყაბარღოს XVIII ს. საზღვრამდე, სტეპიანი ზოლის ჩათვლით.

4. პირველად ოსებმა დაიპყრეს დვალეთი კასარის ვიწროების ჩრდილოეთით, ხოლო დვალები კავკასიის მთავარი ქედის ხეობებში გამოდევნეს. ეს ძველ წელთაღრიცხვას მიეკუთვნება.

5. უფრო გვიან ოსები მკვიდრდებიან კავკასიის ქედის ჩრდილო კალთებსა და ხეობებში აგრეთვე ნარ-მამისონის ქვაბურში და იმორჩილებენ იქ დვალებს. ეს ამბები XIII-XV ს. ს. თარიღდება.

6. ვახუშტის თანამედროვე ეპოქაში, XVI-XVIII ს. ს. ოსებმა ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზეც ვრცელდებიან და აქაც გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ დვალებზე. XVIII ს. დასაწყისი არის პერიოდი, როცა მთავრდება დვალთა საბოლოო ასიმილაცია ოსთა მიერ<sup>3</sup>.

1 О племена двалов, მსაჯები საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიკისათვის, IX, 1957 წ.

2 О племена двалов, стр. 179

3 О племена двалов, стр. 185—187.

ვინაიდან ვ. გამრეკელის დასკვნების ძირითად წყაროს ვახუშტის ცნობები წარმოადგენს, ამიტომ მივმართოთ მას და შევხედოთ ვაფასოთ მათ საფუძველზე გამოტანილი დასკვნები. გინჯი

ვახუშტით დვალეთის ტერიტორია იყოფა „კასრის — ხევად, ზრამავად, ქლელედ, ნარად, ზროგოდ და ზახად, ხოლო რომელნი დაშთნენ მეფეთა ოვსთა, სახელნი მათნი არიან ესენი: ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაქომი, დიგორი და ბასიანი და სახელნი ესენი ეწოდნენ ანუ დაბებთაგან, გარნა უმეტეს შემოსულთა ოსთაგან, რომელნი შემდგომად ჩინგიზ ყეენთა მოსკლისა, ბათო ყეენმა მოსრნა ოვსეთი და მოაოხრნა, ხოლო ოვსნი შემოივლტოდნენ კავკასიათა შინა, და იწოდნენ სახელითა მათითა ხეობანი ესენი ესრეთ, ვითარცა აჩენს გვარნი მათნი... ხოლო შემდგომად მოოხრებისა ოვსეთისა და შემოსკლისა მათისა კავკასიისა შინა, იწოდნენ: ოვსეთი ჩერქეზად ანუ ყაბარად. და კავკასიისა შინა მყოფნი მათ შემოსულთაგან ოვსეთად, რამეთუ აწცა გვარიანთა მათ უწოდებდნ ოსად, ხოლო სხვათა უგვაროთა — კვალად დვალადვე“<sup>1</sup>.

ამ ცნობიდან გამოდის, რომ ვახუშტის თანამედროვე მთელი ოსეთი დვალეთს ეკუთვნის, სადაც მხოლოდ მონღოლთა შემოსევის დროიდან (XIII ს. მეორე მეოთხედიდან) მკვიდრდებიან ოსები და თავის სახელს აძლევენ მას. აქ გვარიანები (წარჩინებულნი) ახლაც ოსებად იწოდებიან, უგვაროები (მდაბიონი) კი დვალებად.

ვახუშტის სხვა მოსაზრებაც აქვს გამოთქმული ამ საკითხზე. „შემდგომად ფარნაოზის (III ს. ძვ. წ. — გ. თ.) გამეფებისა დარჩა ფარნაოზს ძურძუკი და დვალეთი, და სხვანი ხევნი იგინი დაშთნენ მეფეთა ოვსთასა, და იწოდნენ ხევნი იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანვე“<sup>2</sup>.

ამ მეორე ცნობის მიხედვით, ფარნავაზის დროიდან (ძვ. წ. III ს.) დვალეთი (კასრის ხევი, ზრამავა, ზროგო, ზახა, ნარა, ქლელე) საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებში ექცევა. ცენტრალური კავკასიის მთიანეთის სხვა ხეობები: თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, დიგორი და ბასიანი მაშინვე ოსთა მეფეთა ხელქვეით აღმოჩნდა. ამ ხეობათა დვალური მოსახლეობა, ვახუშტის გაგებით, ოსების მიერ იქნა დამორჩილებული და მათზე თავის სახელი განაგრძეს.

<sup>1</sup> აღწერა..., 83. 107.

<sup>2</sup> იქვე, 83. 107.

ამრიგად, ვახუშტის კავკასიის მთების ხეობებში ახლ დვალეთის ტერიტორიაზე ოსთა დასახლების საკითხზე ორი, ურთიერთ საწინააღმდეგო, შეხედულება აქვს გამოთქმული. მათგან უფრო ადრე უნდა მივანიჭოთ იმას, რომელიც ისტორიულ შესაბამისობაში იმყოფება. ასეთად ჩვენ გვეჩვენება მეორე ცნობა: ოლონდ მისი ძვ. წ. III ს. დათარიღება მხოლოდ საორიენტაციოდ შეიძლება მივიჩნიოთ. მასში ძნელი არაა დავინახოთ ირანულ-ენიანი სარმატების, შემდეგ კი ალანების ცენტრალური კავკასიის მთიანეთში დამკვიდრების პროცესის შორეული გამოძახილი. რასაკვირველია, იგი ძვ. წ. III ს. არ დამთავრებულა. ის საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა და ახალი წელთაღრიცხვის დამდეგს ალანი (ოსი) ხალხის ჩამოყალიბებით დამთავრდა. ალანები ახ. წ. I ს-დან ჩრდილო კავკასიაში გაბატონებულ პოლიტიკურ ძალად გვევლინებიან.

ვახუშტის ის ცნობა, რომლითაც კავკასიის ჩრდილო ხეობებში ოსთა დამკვიდრება მონღოლთა შემოსევის შემდეგ პერიოდში ხდება, სწორია საკუთრივ დვალეთის მიმართ და არა თავაუტის, ქურთაულის, ვალაგირის და დიგორის ხეობათა მიმართ. მონღოლთა შემოსევას მოჰყვა ოსების არდონის ხეობით ნარ-მამისონის რაიონში, სადაც შედის ნარის, ზრუგის, ზაკის და სხვა ხეობები, და იქიდან უფრო სამხრეთით, გადმოსვლა.

მკვლევარმა ვ. გამრეკელმა ვერ შენიშნა ვახუშტის ცნობებში არსებული წინააღმდეგობა და ამიტომ მათ საფუძველზე დვალეთში ოსთა დამკვიდრების ეტაპების დადგენის მისი ცდა, ჩვენი აზრით, ნაკლოვანებებით ხასიათდება.

ჩრდილო კავკასიის ხეობებში (თავაუტის, ქურთაულის, ვალაგირის, დიგორის და სხვ.) ოსთა დამკვიდრება XIII-XV ს. ს. კი არ ხდება, არამედ გაცილებით ადრე. ქართული ისტორიული წყაროებით ოსები ამ ხეობებში მტკიცედ დამკვიდრებულ ხალხად გამოიყურებიან. გადმოსავალი გზების გარშემო ატეხილი ქიდილი აღნიშნულ ხეობებში ოსთა მოსახლეობის შედეგი იყო. დარიალის, დვალეთის და ქლუხორის გადმოსავალი გზების ოსთაგან გამოყენების სიადვილე ექვს არ ტოვებს ამ ხეობებში ოსთა დიდი ხნის მანძილზე ცხოვრებაში. VI ს. ბიზანტიელი მწერლები ოსებს კავკასიის მთების ჩრდილო კალთებზე მცხოვრებ ხალხად წარმოგვიდგენენ და არა მთისწინა სტეპების მოსახლეობად.

XIII-XV ს. ს. კავკასიის მთიანეთის ჩრდილო კალთებსა და ხე-

ობებში ოსების დამკვიდრება არ შეესაბამება სინამდვილეს. თუმცა სერიოდში ოსთა რომელიმე ახალ ტერიტორიაზე დამკვიდრებებზე ვილაპარაკებთ, მასში უნდა ვიგულისხმოთ ქართლის მთიანეთისა და ბარის ზოგიერთი რაიონი.

ოსები კავკასიონის სამხრეთ კალთებზე XVI-XVIII სს. ჩნდებიან. ისინი აქ ჩანან XIII-XIV საუკუნეებში და დვალელებზე უპირატესობას იმდროიდანვე აღწევენ. რა თქმა უნდა, ოსთა გადმოსახლების პროცესი, ნელი ტემპით, მაგრამ მაინც, გრძელდება შემდეგაც, არამარტო XVI-XVIII ს. ს., არამედ XIX საუკუნეშიც. მაგრამ შემდგომი დროის გადმოსახლებას ვითარება არსებითად არ შეუცვლია,

სხვადასხვა გაგებას იწვევდა ვახუშტის ცნობა დვალეების ენის შესახებ: „ენა აქუთ ძველი დვალური და აწ უზნობენ ოსურსა საკუთრად, ვინადგან ჩერქეზთა ენა სწვა არს“<sup>1</sup>. ეს ადგილი, აკად. გ. ახვლედიანის გაგებით, ნიშნავს, რომ „ძველი დვალური“ იყო ენა, რომელზეც დვალეები ირონთა შემოჭრამდე ლაპარაკობდნენ, ან და „ძველი დვალური“ გამოყენებულია როგორც „ახალი დვალურისადმი“ დაპირისპირება. გ. ახვლედიანისათვის „ძველი დვალური“ ძველი ოსური ენის დიალექტია<sup>2</sup>. ჩვენი აზრით, ძველი და ახალი დვალურის დაპირისპირება შეუძლებელია იმის გამო, რომ ახალი დვალური არ არსებობს, დვალეები ოსურ ენას ითვისებენ და მასზე ლაპარაკობენ.

იგივე ადგილი დ. გვრიტიშვილს ისე ესმოდა, თითქოს ვახუშტი დვალურ ძველ ენას ჩერქეზულ ენათა ოჯახს აკუთვნებდა<sup>3</sup>. ვ. გამრეკელისათვის დვალური და ოსური ენების შედარებისას ჩერქეზული ენის ხსენება ორიენტირის როლს ასრულებს, რათა ოსური ენა არ აურიონ ჩერქეზთა (ყაბარდელთა) ენაში<sup>4</sup>. ყოფილი ოსეთის ტერიტორია ჩერქეზებმა დაიკავეს და ჩერქეზეთად იწოდა. ამის გამო შესაძლებელი იყო ოსური ენა ვინმეს გაეგო როგორც ჩერქეზთა ენაც. ეს ახსნა ჩვენ დამაჯერებლად გვეჩვენება.

<sup>1</sup> აღწერა..., გვ. 110.

<sup>2</sup> ისტორიული ცნობა დვალეთისა და დვალეების შესახებ, ენიშკ-ის მოამბე, X, 1941 წ., თბილისი, გვ. 194-195.

<sup>3</sup> შიმომხილველი, I, გვ. 113-114.

<sup>4</sup> О племенах двалов, стр. 189.

თუ დვალელები ოსები არ არიან, ეს კი საეკეკო არაა, მაშინ ვინ არიან,  
რა კავშირი აქვთ მათ კავკასიურ ეთნო-კულტურულ სამყაროსთან?  
არის მოსაზრება, რომ ისინი ჩეჩნურ-ინგუშურ ტომს წარმოადგე-  
ნენ. ამ მოსაზრებას დასაბუთება აკლია, თუმცა შეიძლება იქნას  
არი აღმოჩნდეს.

იმის მიუხედავად, თუ ენობრივად ვინ იყვნენ დვალელები, ისინი საქართველოსთან მჭიდრო ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ კავშირში იმყოფებოდნენ, სახელმწიფო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით მასში შედიოდნენ. ისინი ოსებთანაც მტკიცედ იყვნენ დაკავშირებული უშუალო მეზობლობის გამო. საქართველოსთან ოსეთის ურთიერთობაში დვალეთის გზა გარკვეულ როლს თამაშობდა. დვალეთი ამ ურთიერთობის სისტემაში საშუაშელო რგოლს წარმოადგენდა.

XI ს-ში დვალელები საქართველოს კულტურულ ასპარეზზე მრავლად მოჩანან. დვალი გვარის აღმნიშვნელადაც იქცა. გვარის მონასტერში ყოფილა წიგნის გადამწერი მიქელ დვალი — მღვდელი. იოანე დვალსა და სიმონ დვალს ასევე მრავალი წიგნი გადაუწერიათ.<sup>1</sup>

თამარის მეფობის დროს ფხოველებისა და დიდოელების განდგომის სალიკვიდაციოდ „მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთიულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოხევეთა, ხადელთა, ცხაეტელთა, ქართალთა, ერწოთიახელთა... და წარავლინა მათ ზედა“.<sup>2</sup> დვალელები საქართველოს მთიანეთის მოსახლეობას ეკუთვნიან და, თუ ჩამოთვლის რიგს გავითვალისწინებთ, ცხრაზმის დასავლეთით ცხოვრობდნენ, მათ უშუალო მეზობლობაში. ეს დასტურდება ქსნის ერისთავთა ქრონიკითაც. დვალელები საქართველოს სახელმწიფოებრივ დვალელებს ისევე ასრულებდნენ, როგორც სხვა მთიელი ტომები.

ქსნის ერისთავთა ქრონიკა, შედგენილი XIV ს. მეორე ნახევარში, აშკარად ანსხვავებს ოსებს და დვალეებს.

XIV-XV ს. ს. დვალი, როგორც დამოუკიდებელი ეთნიკური

<sup>1</sup> თ. ვორდანი, ქრონიკები, I, თბილისი, 1892 წ., გვ. 177, 203, 210.

<sup>2</sup> ისტორიანი და აზმანი... გვ. 138.

ერთეული, არსებობს. დვალეები ოსთა გვერდით არიან დასახელებულნი.

მოყვანილი ცნობები და მათი ანალიზი ექვს არ ტოვებს იმედი, რომ დვალის გაიგივება ოსთან მცდარია. წყაროები ამატებენ მათ ეთნიკურ განსხვავებას, რაც, რა თქმა უნდა, ხელს არ უშლიდა მათ შორის, ტერიტორიულ ნიადაგზე წარმოშობილ გართულებათა გარდა, მჭიდრო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის არსებობას.

რატომ დავინახეთ საჭიროდ დვალთა საკითხზე ასე ვრცლად შეჩერება?—ჯერ კიდევ დ. გვრიტიშვილმა 1949 წ. სამართლიანად შენიშნა, რომ დვალთა ვინაობის საკითხთან მჭიდროდაა დაკავშირებული ოსთა საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლების საკითხის სწორი განსაზღვრა. ის ავტორები, რომლებიც საქართველოში ოსთა მოსახლეობას უშველესი დროიდან თვლიდნენ, ემყარებოდნენ სწორედ დვალის ოსთან იგივეობის მცდარ აზრს. რაკი ეს იგივეობა დამაჯერებლად არის უარყოფილი ამ უკანასკნელ ხანებში, იგი მსგავსი მტკიცებისათვის აღარ გამოდგება და ოსთა საქართველოში გადმოსახლების საკითხიც სხვანაირი ახსნის აუცილებლობის წინაშე დგება.

როგორ უნდა გვესმოდეს საქართველოში ოსთა გადმოსახლების საკითხი?—ამის გასაგებათ უნდა გაირკვეს საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XIII-XIV საუკუნეებში, შექმნილი ისტორიული ვითარება და მიზეზები, რომლებმაც აღნიშნული პროცესი გამოიწვიეს.

ოსები X-XII ს. ს. იმიერკავკასიის ველებსა და კავკასიონის ქედის ჩრდილო კალთებზე ცხოვრობდნენ, ჰქონდათ საკმაოდ ძლიერი (სამხედრო თვალსაზრისით) სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია და მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი საქართველოსთან, მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა. ისინი საქართველოს ძლიერ პოლიტიკურ და კულტურულ გავლენას განიცდიდნენ. ამ დროს ოსები საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილენიც იყვნენ. გახშირებული დინასტიური კავშირები მმართველ წრეებს

1 ბ. ვენაბაშვილი, ანალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის რედ., თბ., 1940 წ. გვ. 11-12; საქართველოს ისტორია, I, 1946 წ., გვ. 11.



შორის. აღმოცენებული სახელმწიფოთა რეალური პოლიტიკური ინტერესების ბაზაზე, ქართველი და ოსი ხალხების შემდგომი დაპყრობების საქმეში ახალ პერსპექტივებს შლიდა.

თავის მხრივ საქართველოც ყოველ ღონეს ხმარობდა ჩრდილო-კავკასიაში გავლენის განმტკიცებისათვის. ადგილობრივი მმართველი წრეების მოზიდვა თავის მხარეზე, მათთან ნათესაური კავშირის დამყარება, ქრისტიანული რელიგიის განმტკიცებისავენი მიმართული ღონისძიებანი — ყველაფერი ეს ჩრდილო კავკასიისადმი საქართველოს დიდი ინტერესის მაჩვენებელი იყო.

მაგრამ საქართველო-ოსეთის ურთიერთობის შემდგომი გაფართოების საქმეს, მათ მყუდრო ცხოვრებას ბოლო მოუღო მონღოლთათართა გამანადგურებელმა შემოსევებმა. XIII ს. 20-იან წლებიდან საქართველო და ოსეთი მათი თავდასხმების ობიექტებად იქცევიან. მოკავშირე ყივჩაყთა დალატის შედეგად ოსებმა სასტიკი მარცხი განიცადეს მონღოლი დამპყრობლებისაგან 1222 წელს<sup>1</sup>. 123-წელს ბათო ყაენმა სხვა ქვეყნებთან ერთად ოსეთიც დაიმორჩილა. ეამთაღმწერელი ამის შესახებ შემდეგს აღნიშნავს: „მაშინ ყაენთა უპირატესობა ბათოს ყაენსა ეპყრა, რომელსა ჰქონდა ოვსეთი და დიდი ყივჩაყეთი, ხაზარეთი და რუსეთი, ვიდრე ბნელეთამდის, და ზღვადმდე დარუბანდისა“<sup>2</sup>.

ოსებმა დამპყრობლებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. მტრისადმი წინააღმდეგობის გაწევის მთავარ კერებად იქცეოდა ოსეთი. მთიანი რაიონები. პლანო კარპინი (1246 წ.) აღნიშნავდა, რომ ალანთა მხოლოდ ნაწილი ემორჩილება მონღოლებს. ალანთა მიწაზე ერთ მთას 12 წელი ჰქონდა ალყა შემორტყმული და იქ დიდძალი თათარი დიდებული დაიღუპა<sup>3</sup>. მეორე ევროპელი მოგზაური რუბრუკისი (1254) ხაზს უსვამს ალანთა შეუთრგებლობას თათარ-მონღოლთა ბატონობის მძიმე უღლისადმი. ალან-ოსთა ამ შეუთრგებელ წინა-

<sup>1</sup> Тизенгаузен, Сб. материалов, относящихся к истории Золотой Орды, стр. 25—26.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოც. გვ. 365; ექ. თაყაიშვილის გამოც. გვ. 607.

<sup>3</sup> Пл. Карпини, История Монголов пер. А. И. Малеина, СПб., 1911 г. стр. 42.

აღმდგომის გამო თათრები იძულებული იყვნენ მნიშვნელოვანი სამხედრო ნაწილები ჰყოლოდათ მუდმივად მათ მიწაზე. რუბრეკვისის ცნობით, ბათოს შვილის, სარტახის ლაშქრიდან ~~ქაჯეცხმ წმელ~~ კაციდან ორს ევალებოდა მთის ხეობებიდან ველზე ~~ქაჯეცხმ წმელ~~ ადგილებში ყარაულობა, რათა ალანების თავდასხმები თავიდან აეცილებინათ<sup>1</sup>. XIII-XIV ს. ს. მიჯნაზეც მონღოლთა 10 ათასიანი რაზმი მუდმივად დგას ალანთა ტერიტორიაზე<sup>2</sup>.

ქართველი ანონიმური ისტორიკოსის ეამთააღმწერლის ცნობით, მონღოლებმა 1254 წელს აღწერა ჩაატარეს საქართველოში, რუსეთში, ოსეთში და სხვაგან. ბათომ არღუნი „წარავლინა ყოველსა საბრძანებელსა მისსა, რუსეთს, ხაზარეთს, ოვსეთს, ყივჩაყეთს, ვიდრე ბნელეთამდე, და აღმოსავლეთს ვიდრე ჩრდილოეთამდე და ხატეთამდე, რათა აღუთვალოს და განაჩინოს მხედარი და მეომარი ლაშქრად განმავალი ნოინთა თანა, დიდთა და მცირეთა, ღირსებისაებრ მათი ულუფაჲ, რომელ არს ძღვენი მიმავალთა გზად, და ქირაჲ ცხენისა და საპალნისა“<sup>3</sup>.

მოყვანილი ცნობიდან ჩანს, რომ 1254 წ. ჩატარებულ აღწერას სამხედრო-ფინანსიური მიზანი ჰქონდა და, თუმცა ეს წყარო ოსების კონკრეტულ ვალდებულებებზე მონღოლთა მიმართ არაფერს ლაპარაკობს, მას მოჰყვა ოსთა საშინელი დაბეგვრა, როგორც ამას საქართველოსა და სხვა დაპყრობილ ადგილებში ჰქონდა ადგილი. მონღოლთა ბატონობის მძიმე უღლის ქვეშ ყოფნა ოსებისათვის იმდენად აუტანელი იყო, რომ მის დასამზობად, ძალთა უთანასწორობის მიუხედავად, ბრძოლა არ შეუწყვეტიათ.

ოსები ვალდებულნი იყვნენ მონღოლთა მძიმე და განუწყვეტელ ლაშქრობებში მიეღოთ მონაწილეობა. ელომარის ცნობით, „ამ საჩელმწიფოს (ოქროს ურდო — გ. თ.) სულტანს ჰყავს ჩერქეზთა, რუსთა და ოსთაგან (იასთაგან) შემდგარი ჯარი“<sup>4</sup>. იასები იხსენებიან 1380 წელს მამაის ლაშქრის შემადგენლობაში<sup>5</sup>. შერეფ-ელ-დინ ალი იეზდის ცნობით, თოხთამიშის მიერ თემურის წინააღმდეგ

1 შესალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. V, (1943 წ.), გვ. 167.

2 Тизенгаузен, I. „უენედინ ბეიბარსი, გვ. 116; ენუვეირი, გვ. 160

3 ქცა, ბროსეს გამოც., გვ. 386.

4 Тизенгаузен, ... I, стр. 231.

5 Полное собрание русских летописей, Т. XI, стр. 46.

შეკრებილ ლაშქარში 1391 წელს შედიოდნენ რუსები, ჩეჩენები, ბულგარები, ყივჩაყები, ალანები და სხვები<sup>1</sup>. ოსთა (იასთა) მონაწილეობას მონღოლთა ლაშქრობებში არა მარტო მღვდელმთავრები, არამედ ფარგლებში, არამედ შორეულ აზიაშიც მონაწილეობის მოწმობს ჩინური მატთანე „იუანში“. მასში მთელი რიგი კონკრეტული პირებია დასახელებული, რომელთაც თავი გამოიჩინეს მონღოლ ყაენთა სამსახურში და მნიშვნელოვან სამხედრო — ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიაღწიეს<sup>2</sup>. მატთანეში ხაზი აქვს გასმული, რომ მათგან ზოგიერთი ნებაყოფლობით გადავიდა მონღოლთა სამსახურში, რათა თავისი მიწა და ხალხი შეენარჩუნებინათ. უნდა ვიფიქროთ, რომ ესენი გაბატონებული კლასის წარმომადგენლები იყვნენ, რომელთაც წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში თავის პრივილეგიების დაკარგვის ეშინოდათ და მონღოლ ყაენთა და ნოინთა ფრთებქვეშ თავის შეფარება მდგომარეობიდან უკეთეს გამოსავლად მიაჩნდათ. ასეთი რენეგატი დიდებულები, რომლებიც მონღოლებისადმი ერთგულებით ცდილობდნენ თავის მდგომარეობის შენარჩუნებასა და ზოგ შემთხვევაში განმტკიცებას, ყველა ქვეყანაში იყვნენ.

მაგრამ თავისუფლების მოყვარე ოსი ხალხი თათარ-მონღოლთა ბატონობას ერთი წუთითაც არ ურიგდებოდა და მის წინააღმდეგ სამკედრო-სასიციოცხო ბრძოლას განაგრძობდა. ოსებმა დაინახეს, რომ მარტო საკუთარი ძალებით მონღოლთა წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლის წარმოება შეუძლებელი იყო და სხვა ხალხებთან კავშირში გამოსვლაც სცადეს. ეს ხალხები მათსავით დაპყრობილნი იყვნენ და მათთვისაც ისევე სამძიმო და აუტანელი იყო მონღოლთა ბატონობის უღელი. ვინ იყვნენ ის ხალხები, რომლებთან ერთადაც ოსები გამოვიდნენ დამპყრობთა წინააღმდეგ? ჯუვეინი და რაშიდ ედ-დინი გვაცნობენ, რომ ბათო ყაენის დასავლეთით ლაშრობისას (XIII ს. 40-იანი წლების დასაწყისი) აჯანყებას აქონდა ადგილი, რომლის მთავარი მონაწილენი ბულგარები და ყივჩაყები იყვნენ. მასში მონაწილეობდა ასი (ალანი) წინამძღოლი კაჩირუ-

<sup>1</sup> Тизенгаузен, II, 1941 г., стр. 156.

<sup>2</sup> А. И. Иванов, История монголов (юань-ши) об асах-аланах, „Христианский Восток“, Т. II, вып. 3, СПб, 1914 г., стр. 282—289, 292—93

კულე (უეკველია თავის ხალხით). აჯანყება რომ საკმაოდ სურო-  
ზული ხასიათის უნდა ყოფილიყო, ამას მოწმობს, იმავე ავტორე-  
ბის ცნობით, ის, რომ ბათომ სასწრაფოდ მის ჩასახშობად გაუგუნდა  
სარდლები სუბედე და მუნკე, რომელთაც დიდი დრო დასჭირდნენ  
მის სალიკვიდაციოდ.<sup>1</sup>

ელომარი იძლევა ცნობას, რომ ყაენი (იგულისხმება ოქროს-  
ურდოს ყაენი — გ. თ.) იასების მხრივ ურჩობის გამოვლინების შემ-  
თხვევაში გამანადგურებელ თავდასხმებს აწყობს მათზე, ელეტს  
მათ, ტყვეებად მიჰყავს და ჰყიდის სხვადასხვა ქვეყნებში<sup>2</sup>.

მალე მონღოლთა ბატონობის იძიმე ულლის ქვეშ მგმინავ ოს-  
ხალხს ახალი უბედურება ატყდება თავს, რაც ისევე მონღოლთაგან  
მომდინარეობს. XIII ს. მეორე ნახევარში ოქროს ურდოს ხან  
ბერქასა და ილხან ჰულაუს შორის ატყდა სასტიკი ომი. ოსეთი ოქ-  
როს ურდოს ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, ამიერკავკასია კი ილ-  
ხანთა მბრძანებლობის ქვეშ იყო. 1263 წელს ჰულაუსა და ბერქას  
შორის თერგზე გაიმართა სასტიკი ბრძოლა, რაც ჰულაუს დამარც-  
ხებით დამთავრდა<sup>3</sup>. როგორც ვხედავთ, ბრძოლა ოსეთის ტერიტო-  
რიაზე მიმდინარეობდა და მისი მავნე შედეგები არ შეიძლებოდა  
ოსეთზეც არ გამოვლინებულიყო. ჩვენ წყაროები არაფერს გვეუბ-  
ნებიან ამ ბრძოლისადმი ოსთა დამოკიდებულებაზე, ისევე როგორც  
ქართველთა დამოკიდებულებაზეც. ჩვენ გვაქვს ცნობა, რომელიც  
ამ ბრძოლის მომდევნო ახლო ხანში ბერქას მიერ ოსთა დევნაზე  
მიგვითითებს და ეს ცნობა ჩვენ იმის ნიშნად მიგვაჩნია, რომ ოქ-  
როს ურდოსა და ილხანთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში ოსებს  
ილხანებისათვის დაუჭერიათ მხარი. ეს უკანასკნელნი ებრძოდნენ  
მათ ბატონებს — ოქროს ურდოს ყაენებს და ამ გზით ასუსტებდ-  
ნენ მათ. რაც შეეხება ძველი ბატონების ახალი ბატონებით შეცვ-  
ლის საფრთხეს, იგი ჯერ უშუალოდ არ არსებობდა ჩრდილო კავკა-  
სიაში მათთვის დასაყრდენი ბაზის უქონლობის გამო. ილხანებ-  
თავის მხრივ ცდილობდნენ ოსთა გამოყენებას მოწინააღმდეგის  
დასასუსტებლად. ამის შედეგია ისიც, რომ მარცხის დროს ოსებს

1 Тизенгаузен... Т. II, стр. 24, 35—36, 44.

2 Тизенгаузен... т. I, стр., 281.

3 იქვე, т. I, стр. 152.

ამიერკავკასიაში შემოსევისა და დასახლების საშუალებას აძლევს.<sup>1</sup>  
მსგავსი ფაქტები უაღრესად ნიშანდობლივი და საინტერესოა  
ქართველი და ოსი ხალხების მტერთან გმირული ბრძოლების ისტო-  
რიაში. ილხანთა ურდოს ბატონობის ქვეშ მყოფი საქართველოში  
როს ურდოთი ემუქრება მას (მუჟაჰრა მით უფროდ ჩუქურბუქისა)<sup>2</sup>  
დარიალის კარებზე მონღოლებს ხელი არ მიუწვდებათ და, შესაბ-  
ლებელია, მისი გახსნით ოქროს ურდოს შემოჭრის მოწყობა ილ-  
ხანთა სამფლობელოებზე), რითაც ქართველებისადმი მათ დამოკი-  
დებულებას გარკვეული აზრით არბილებს. ოსები პირიქით, ოქროს  
ურდოს უშუალო ბატონობის ქვეშ მყოფნი, მის წინააღმდეგ ილხან-  
თა ურდოს მიმართავენ, მის მხარდაჭერის მიღებას ცდილობენ,  
იციან რა ილხანთა მტრობის არსებობა ოქროს ურდოსადმი.

როგორ წავიდა საქართველო-ოსეთის ურთიერთობის საქმე  
მონღოლთა საქართველოში შემოჭრის დროიდან?—მონღოლებმა  
გარკვეული ხნით შეწყვიტეს ეს ურთიერთობა, ვიდრე ქართველები  
და ოსები მოვლენათა ახალ მსვლელობაში გარკვევას მოასწრებ-  
დნენ და შეაფასებდნენ მათ. მაგრამ თვით ამ ხალხების მოქცევამ  
დამბყრობთა უღელქვეშ დიდი ზიანი მიაყენა მათი მეგობრული ურ-  
თიერთობის შემდგომ განვითარებას. ჯალალედინის მეორე შე-  
მოსევისას (1227-28 წ. წ.) რუსუდანმა დარიალის კარები გახსნა და  
ოს-ძურძუკნი გადმოიყვანა მტერთან საერთო ძალით საბრძოლვე-  
ლად (რამაც ის დამარცხებას მაინც ვერ ააცდინა)<sup>2</sup>, მონღოლთა შე-  
მოსევების დროიდან კი ოსთა სამხედრო ძალების გადმოყვანა-გამო-  
ყენებაზე ჩვენ მასალები არ მოგვეპოვება. ჩვენ შემდეგში ვაჩვენებთ,  
რომ მონღოლთა ბატონობას ქართველ-ოსთა ურთიერთობა არ შე-  
უწყვეტია, იგი ახალ ვითარებასა და ფორმებში გრძელდებოდა. რომ  
ნათლად წარმოვიდგინოთ ის ახალი ვითარება და ურთიერთობის  
ახალი ფორმები, მონღოლთა ბატონობას რომ მოჰყვა, ჩვენ მათი  
წარმოშობის მიზეზებზე უნდა შევჩერდეთ და შემდეგ შედეგებზე  
გადავიდეთ.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოც., გვ. 398.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 357; ქართლის ცხოვრება, ეჭვთ. თაყაიშვილის გამოც. გვ. 587;  
(მასში „ოსთა“, მაგიერ სწერია „ორნი“, რაც ან კორექტურული, ანდა გრაფიკუ-  
ლი შეცდომაა).

XIII ს. მეორე ნახევარში ოსი ხალხი იწყებს უთანასწორო  
მაგრამ გამორულ ბრძოლას მონღოლთა ურდოების წინააღმდეგ.  
ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელი იყო ორივე მხარის მხრივ, მტრის  
ქარბი ძალების მოწოლის შედეგად ოსები თანდათანობით ქრები-  
ნენ ველებს, გადაინაცვლებენ მთების ვიწრო ხეობებში, სიღვი-  
თავდაცვის მეტი შესაძლებლობაა. მონღოლები იკავებენ ველზე მათ  
საცხოვრებელ ტერიტორიას და სამომთაბარო ადგილებად აქცევენ,  
ხოლო ამ ადგილებში თავის ჯოგების დასაცავად მთის ხეობებიდან  
გამომავალ ვიწროებს მნიშვნელოვანი სამხედრო ნაწილებით ამაგ-  
რებენ. ასეთ მძიმე პირობებში ჩაყენებული ოსები ადვილად არ  
სთმობდნენ საუკუნეების მანძილზე შეჩვეულ სამოსახლო ადგილებს  
და თავგანწირულ წინააღმდეგობას უწყევდნენ დამპყრობელთ. დამ-  
პყრობელი გრძნობდა მათი გამორული ბრძოლის ძალას და მათ გასა-  
ტეხად საკუთარი ძალების გარდა მიმართავდა დაპყრობილ ხალხე-  
ბისაგან გამოყვანილ ლაშქარსაც. რუსული მატეიანის ცნობით, 6785  
(1277) წელს წავიდნენ ურდოში მთავრები: ბორის როსტოველი,  
მისი ძმა გლები, იაროსლავლის მთავარი თევდორე როსტისლავის-  
ძე. ყვენ მენგუთემირთან ერთად ისინი ლაშქრობენ ოსებზე, ალყას  
არტყამენ მათ სახელოვან ქალაქს დედიაკოვს და იღებენ მას 8 თე-  
ბერვალს, შოულობენ დიდ ნადავლსა და ტყვეებს, მოსახლეობას  
ჟღერენ, ქალაქს კი ცეცხლს აძლევენ. აღნიშნული რუსი მთავრები  
მენგუთემირმა მადლობის ნიშნად დიდად დასაჩუქრებულნი გაის-  
ტუმრა თავის სამფლობელოებში.<sup>1</sup> ვარაუდობენ, რომ დედიაკოვი  
დღ. ორჯონიკიძის მიდამოებში იყო.<sup>2</sup> რუსი ხალხის ვარკვეული ნა-  
წილი, რომელიც გამორულად იბრძოდა მონღოლთა უღლის დასამ-  
ხობად, რენეგატი მთავრების ვიწრო ინტერესების გულისათვის,  
ყვენისადმი ერთგულებით რომ ცდილობდნენ თავის ბატონობის  
შენარჩუნებას, იძულებული იყო მონაწილეობა მიეღო მისთვის უც-  
ხო და, ვარკვეული აზრით, საზიანო ლაშქრობაში ოსთა წინააღმდეგ.

უფრო გვიან, XIV ს. დასასრულს, ოსეთის ტერიტორიაზე გა-  
ამალა თემურსა და თოხთამიშს შორის ამტყდარი სისხლისმღვრელი

1 Б. В. Скитский, Хрестоматия по истории Осетии, ч. I, 1949 г.,  
стр. 35—36. П.С.Р.Л., XXV., стр. 152.

2 В.с. Миллер, Осет. Этюды, ч. III, стр. 70.

ომი. თემურმა ოსები სასტიკად გაანადგურა (ოსები ასევე თხო-  
მიშის ლაშქრის შემადგენლობაში იყვნენ) — 1395 და 1400 წლებში  
დიდი ძალებით შეიჭრა მათ საცხოვრებელ ტერიტორიებზე და ადგი-  
ლაფერი მიწასთან გაასწორა!

მძიმე საგარეო ვითარებამ და ფეოდალიზაციის პროცესის გა-  
ვითარებამ შინაგან არეულობასაც გაუხსნა გზა. დომინიკანელი ბე-  
რის იულიანეს ცნობით, ოსეთში რამდენი ხევიცაა, იმდენი ბატონია,  
რომელთაგან არც ერთი არ ფიქრობს მეორის მორჩილი იყოს. მათ  
შორის მუდმივი ომია. სახნავად მთელი სოფელი გამოდის შეიარა-  
ღებული<sup>2</sup>.

ასეთი მძიმე საგარეო და საშინაო პირობების გამო ოსთა დარ-  
ჩენა ჩრდილო კავკასიის ველებზე შეუძლებელი გახდა. ადგილზე  
დარჩენა ნიშნავდა სრულ ფიზიკურ განადგურებას ანდა, უკეთეს  
შემთხვევაში, გადაშენებას. აღნიშნული საფრთხის გამო იწყება  
ოსთა უნებური განსახლება სხვადასხვა მიმართულებით. XIII ს.  
ოსები უკვე მოჩანან ყირიმში ალანების სანით, მოლდავეთში (მოლ-  
დავეთში ნახსენებ „იასკი ტორგს“ იასებს-ოსებს უკავშირებენ).  
ოსთა ნაწილი ყივჩაყებთან ერთად იმავე XIII ს. უნგრეთში წავი-  
და, ზოგიც ბულგარ და სერბ მეფეთა სამხედრო სამსახურში შევი-  
და ბალკანეთზე<sup>3</sup>.

მაგრამ დასავლეთის მიმართულებით ოსთა განსახლების გარდა  
ადგილი აქვს კავკასიის მთების ვიწრო ხეობებში ოსთა დიდი მასე-  
ბის კონცენტრაციას. მთების ვიწრო ხეობები, მართალია, თავდაც-  
ვის თვალსაზრისით ხელსაყრელი იყო, მაგრამ მალე მას თავის უარ-  
ყოფითი მხარეც აღმოაჩნდა — მისი ბუნებრივი რესურსების სიმ-  
წირე და შეზღუდულობა. ხეობებში კონცენტრირებული დიდი მა-  
სების გამოკვება ადგილობრივი რესურსების ბაზაზე შეუძლებელი  
შეიქმნა. ცეცხლსა და მახვილს გამოქცეული ოსი მოსახლეობა შიმ-  
შლით სიკვდილის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ხეობების კავშირი  
ბართან გაწყვეტილი იყო. ამან შინაური არეულობაც უფრო გაამწ-

1 Сиктский. Очерки по истории осет. народа..., стр. 64. хрестоматия по истории Осетии, ч. 1, стр. 37.

2 ЗООИД, т. V, стр. 999.

3 История Осетии, макет, стр. 70—71.

ვავა და, თუ დაუფურცებთ ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატრიცას, იქმნა ფრიადი შფოთი ქვეყანასა ოსეთისასა, და იქმნა ფრიადი ნისხლთ დათხევა მეფეთა შორის მათდა“<sup>1</sup>.

ასეთ პირობებში იმყოფებოდნენ ოსები თავის უკვე აღსანიშნავ მოსახლო ტერიტორიიდან განსახლების დროისათვის, რა დაწინაურებულა ში იმყოფებოდა საქართველო, რა პერსპექტივა არსებობდა ოსთა საქართველოში გადმოსახლების საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის?

საქართველო XIII ს. პირველ ნახევარში მონღოლთა ბატონობის მძიმე ულლის ქვეშ მოექცა. საქართველოს მწარმოებელი საზოგადოება მონღოლთა აუტანელი ბეგარა — გადასახადების მძიმე ტვირთის ქვეშ გმინავდა. ძველი ფეოდალური გადასახადებიც კიდევ უფრო იზრდებოდნენ და გლეხობის ისედაც მძიმე მდგომარეობას აუტანელს ხდიდნენ. ყოველივე ამის გამო გლეხობა გარბოდა რიგი რაიონებიდან, ხიზნობა-პოგანობას იწყებდა, ხოლო მონღოლთა განუწყვეტელი თარეშები მოსახლეობის შეთხელებას იწვევდა<sup>2</sup>.

ასეთია ის ისტორიული ვითარება, რომელშიც ხდება ოსთა მოძრაობა, სხვა ჩრდილო კავკასიელ ტომების მსგავსად, ამიერკავკასიის მიმართულებით. აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს: „XIII საუკუნეში ოქროს ურდოს მონღოლებმა ამიერკავკასიის ველები დაიპყრეს და თავის სამომთაბაროდ აქციეს. მთას შემოხიზნული ადგილობრივი მოსახლეობა — ჩერქეზ-აფხაზური მოდგმის ტომები, ოსები, ლუნძლილვეები თანდათან ამიერკავკასიისაკენ მოიწევდნენ და პირაქეთი კავკასიის ტომებს — აფხაზებს, დვალებს, ფხოვლებს ერეოდნენ. ეს პროცესი ზოგან ნელა და შედარებით მშვიდად მიმდინარეობდა, ზოგან კი, განსაკუთრებით ქართლში, ის სწრაფი და მტკივნეული აღმოჩნდა. შევიწროებულ ოსურ ტომთა ბელადებმა მარჯვედ ისარგებლეს ილხანთა ურდოს მხარდაჭერით და აჯანყების ცეცხლში გახვეული ქართლის დასუსტებით. მათ დაიპყრეს ლიახვის ხეობა და შიდა ქართლსაც ძლიერად შემოუტყეს. სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ოსთა მთავარი „განასხმიდა მამულისაგან აზნაურთა და იყო კი-

1 „ძველი ერისთავთა“, შ. მესხიას რედაქციით, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954 წ., გვ. 344.

2 ნ. ბერძენიშვილი, თათართა ბატონობის ხანა, თბილისი, 1941 წ., გვ. 18; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბ., 1949 წ. გვ. 245.



რი დიდი მკვიდრთა ქართლისაჲა“. ქართველ აზნაურთა მისის-  
მფლობელობა საფრთხის წინაშე დადგა და ისინიც თავდაუზოგავად  
იბრძოდნენ“<sup>1</sup>.

ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ხეობებში შემოსული ოსები  
პოლიტიკური (შინაური არეულობა-აშლილობის ექსპლუატაცია) და  
ეკონომიური (მატერიალური სიძნელეები) მიზეზებით განაგრძობდნენ  
თით მოიწვევენ — დვალეთის ტერიტორიაზე. დვალეები, ბუნებრივია,  
თვითაც ებმებიან მოძრაობაში და ინაცვლებენ საქართველოს ბა-  
რის რაიონებისაკენ — ლიახვ-ქსნის ხეობათა სათავეებისაკენ.  
დვალთა ნაწილი რჩება ადგილზე და მოსულ ოსთა ახალ-ახალი  
ტალღების ზემოქმედებას განიცდის. მოსული ოსები ერევიან დვა-  
ლებს, ახდენენ მათ ენობრივ და კულტურულ ასიმილაციას, რის  
შედეგად დვალეები თავის ეთნიკურ სახეს კარგავენ და ოსდებიან.  
დვალთა ნაწილი ოსთა გადმოსახლებამდე საქართველოს სახელმწი-  
ფოში მისი ყოფნის და საქართველოს ძლიერი პოლიტიკური და  
კულტურული გავლენის შედეგად ადრევე ქართველდება (რის და-  
ნამტკიცებელ გარემოებებად მიგვაჩნია ქართულ წყაროებში XI ს.  
დადასტურებული გვარები დვალი, დვალიშვილი, როგორც  
ქართული კულტურის ასპარეზზე მოღვაწენი). დვალთა ნაწილის გა-  
ქართველების შესაძლებლობა ოსთა გადმოსახლების დროიდანაც  
არაა გამორიცხული, რადგან ოსთა მოწოლის გამო დვალეები დამოუ-  
კიდებლადაც მოიწვევენ ქართლისაკენ და მკვიდრდებიან აქ.

ოსთა გადმოსახლების ფაქტთან დაკავშირებით ოს-დვალთა  
ურთიერთობა განსაკუთრებით მკვიდრო ხასიათს იღებს. ეს ვლინ-  
დება არამარტო დვალთა ასიმილაციაში ოსთა მიერ, არამედ დვალთა  
სახელწოდების გავრცელებაშიც მოსულ ოსებზე. ამიერიდან „დვა-  
ლი“ (ოსური ფორმა „თუალ“) სამხრეთ კალთებზე გადმოსახლე-  
ბულ ოსთა აღმნიშვნელ კონკრეტულ ტერმინად იქცევა, იმ ოსებისა,  
რომლებიც ყოფილ დვალეთის ტერიტორიაზე დამკვიდრდნენ. ეს  
გარემოება ზოგიერთ მკვლევარს უბიძგებდა დვალთა ოსურ ტო-  
მად მიჩნევისაკენ, რაც ისტორიულ პერსპექტივაში ჭეშმარიტებას  
მოკლედ უღიარებს. იყო, სწორი მხოლოდ ამ ავტორთა თანა-  
მედროვე პირობების მიმართ. ოსების მიერ დვალთა ასიმილაცია შე-  
დეგი იყო ერთ ტერიტორიაზე მათი დიდი ხნის მანძილზე თანა-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორია, I, 1958 წ., გვ. 245.

ცხოვრებისა, რომლის დროსაც ომები პოლიტიკურად ძლიერები აღმოჩნდნენ. ამ ასიმილაციის პროცესში ოსები დვალელებზე გააძლიერებულ მდგომარეობას იკავებენ. „დვალი“ და „ოსი“ მათ შორის კულტურულ-ენობრივ განსხვავებათა ლიკვიდაციის შედეგად გარკვეულ სოციალურ-კლასობრივ ურთიერთობათა ტერმინებად იქცევიან. ასე გვესმის ჩვენ ვახუშტის ცნობილი დებულება, რომ „გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვათა უგვართა კვალად დვალადე“<sup>1</sup>.

კონკრეტულად როდის ჩნდებიან ოსები საქართველოში ჩვენთვის ცნობილი წყაროების მიხედვით? ჩვენ მოგვეპოვება უამთაღმწერლის შემდეგი ცნობა: დავით ულუს (1243-1269) მეფობაში „გამოვიდეს ბერქას ყაინისგან ლტოლვილნი ორნი დედაკაცი საკვირველნი; სახელით ლიმ აჩავ, და მან მოიტანნა შვლნი მცირენი... პირმო ფარეჯან და უმრწემესა ბაყათარ და სხვანი თავადნი მრავალნი გამოვლეს კარი დარუბანდისა, და მოვიდეს მეფეს წინაშე: ხოლო მან პატივით ისტუმრნა და წარავლინა ყაინს ულოს წინაშე, და ყაინმან შეიწყნარნა ფრიად, და უბოძა ხარაჯა, და მოლაშქრედ და თანამბრძოლელად განაჩინნა. და ესრეთ მეფეს თანავე წარმოავლინნა: ხოლო მეფემან დასხნა რომელნიმე ქალაქსა, რომელნიმე დმანისსა, და სხვანი ეინვანს“<sup>2</sup>.

აღნიშნული ფაქტი XIII ს. 60-იან წლების ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო. ბერქასა (1257-1266) და ჰულაუს (1256-65) მოხსენება ამ ფაქტთან დაკავშირებით ექვს არ ტოვებს, რომ იგი 1257-65 წ. წ. შუა არის საძიებელი. კონკრეტულად კი იგი დაკავშირებული უნდა იყოს ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის ატეხილ ბრძოლასთან, რომელიც სწორედ ამ ყაენების მბრძანებლობის წლებში გაიშალა. 1263 წელს თერგზე მოხდა სასტიკი ბრძოლა, რომელიც ილხან ჰულაუს მარცხით დამთავრდა. ამ ბრძოლაში ოსებს გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით ილხანთათვის დაუჭერიათ მხარა, რის გამოც გამარჯვებული მბრძანებლის რისხვა და დევნა დაატყდათ თავს. ოსთა მეფე თუ მთავარი (მასზე კონკრეტული ცნობა არ მოგვეპოვება) ბრძოლაში ან დევნის პროცესში დაღუპულა და მისი ოჯახი თავის გადარჩენის მიზნით, ერთგული დიდებულების და თავის ხალხის თანხლებით, დარუბანდის გზით საქართველოში გამოქ-

<sup>1</sup> აღწერა..., გვ. 107.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოც. გვ. 398.



ცეულა<sup>1</sup>. დარუბანდის გზის გადმოლახვა ილხანთა გარეშე მათი არ შეეძლოთ და მათთვის გზის მიცემა კი აღნიშნული ოსთა მოქმედებით ილხანების დაინტერესების მკაფიო მაჩვენებელია. რომ ოსებს დავით ულუსთან ურთიერთობაც არ შეეძლოთ. ყვეტილი, წინააღმდეგ შემთხვევაში დარუბანდის გზის გამოვლის შემდეგ პირდაპირ მის წინაშე გამოცხადება და მისგან პატივით მიღება გაუგებარი დარჩება. დავით მეფესაც იგივე ფაქტი სასარგებლოდ უნდა სჩვენებოდა, მაგრამ, მონღოლთაგან მისი დამოკიდებულების გამო, იძულებული იყო ყაენის ნებართვა აეღო, რომ ისინი დაესახლებინა. ყაენმა ოსები მიიღო, სამხედრო სამსახური დააკისრა თავის სასარგებლოდ (რისთვისაც ხარაჯა დაუწესა — ერთგვარი ქირა სამსახურისათვის) და დავითთანავე დააბრუნა. მან ისინი სამ ნაწილად გაპყო — ნაწილი თბილისში („ქალაქსა“), ნაწილი დმანისს, ნაწილი კი ქინვანს დასახლა. დავითის მხრივ ეს იყო ზიარების ღონისძიება, რათა ერთგან ყოფნით მათი სამეფო ზღვლისუფლებას წინააღმდეგ გამოყენება მონღოლებს არ შესძლებოდათ. ილხანები ამ გარემოებით მოგებულნი იყვნენ — მათი სამხედრო ძალები მრავლდებოდა ოსებით, რაც ასე საჭირო იყო ბერქას წინააღმდეგ ბრძოლისა და ახალი ქვეყნების დაპყრობის საქმეში. აღნიშნულ ოსთა დასახლება სამ ნაწილად მათ რიცხობრივ სიდიდესაც მოწმობს.

1 მოტანილი ცნობის ტექსტი დეფექტურია. მასში სწერია „ორნი“ „ოსის“ მაგივრად. ეს შეცდომა ადვილად შეიძლება აიხსნას გრაფიკულ ნიადაგზე. მაგრამ ერთ შეცდომას მოჰყვა მეორეც, კერძოდ „ოსის“ (ტექსტის „ორი“-ს) მრავლობით რიცხვში აღება, რის საფუძველიც მოცემული რთული სახელია „ლიმ ანავ“ — ორ სახელად გაგებამ შექმნა. რაკი გადამწერმა ის ორ სხვადასხვა სახელად ჩათვალა, ამიტომ მასთან დაკავშირებული ამხსნელი სიტყვებიც მრავლობით რიცხვში აიღო („ლტოლვილინი“, „საკვირველინი“, „დედაკანი“), მაგრამ ბოლომდე ვერ დაიკვა ეს პრინციპი და როცა მიადგა ადგილს, სადაც მხოლოდობით რიცხვი ტექსტისა უპიკველი იყო, მოულოდნელად გადავიდა მხოლოდობით რიცხვზე. რომლის მიხედვითაც ორი დედაკანი აღარ ჩანს, იგი ერთად იქცევა, რომელსაც ორი ძე ჰყავს: უფროსი — ფარეჯანი, უმცროსი — ბაყათარი, რომ ტექსტის „ორნი“ შეცდომა და „ოსი“ უნდა იყოს მის ადგილზე, ამას მოწმობს ერთადღმწერლის თხზულებაში დაცული ცნობები, რომელთა თანახმად ფარეჯანი და ბაყათარი ოსებია.

აღნიშნული ფაქტი ქართულ წერილობით წყაროებში დასაბ-  
ტურებული ოსთა საქართველოს ტერიტორიაზე დიდ ჯგუფად და-  
სახლების პირველი მაგალითია. უფრო ადრე ოსთა გარეგანულ  
ფის საქართველოს ტერიტორიაზე დასახლების მგავლენა  
გვაქვს — კერძოდ ბულა თურქის მიერ 853 წელს ასი კომლი ოსის  
დმანისის რაიონში დასახლება. ცალკეულ პიროვნებათა თუ მცირე-  
რიცხოვან ჯგუფთა საქართველოში გადმოსვლასა და დარჩენაზე  
ჩვენ კონკრეტული ცნობები არ გავაჩნია, მაგრამ ურთიერთობის  
ის ხასიათი, რომელიც საქართველო-ოსეთს შორის არსებობდა საუ-  
კუნეების მანძილზე, მსგავსი მაგალითების არსებობას გულისხმობს.  
საქართველოში გამოთხოვილ ოს მეფეთა ასულებს მოჰყვებოდათ  
გარკვეული ამალა, რომელიც სამუდამოდ ადგილზე რჩებოდა.

საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა ამ დიდი პარტიის დასახ-  
ლების შემდეგ მათი მონაწილეობა საქართველოს ისტორიის ანშა-  
რებზე გაცილებით ფართო ხასიათს იღებს. ფარეჯანი და ბაყათარი  
ამ ასპარეზზე დიდხანს და აქტიურად მონაწილეობენ.

დაპყრობილ ქვეყნებში მონღოლთა პოლიტიკის ქვეყნობედი  
იყო დაქუცმაცებულობის დაკანონება და ამ გზით მათი წინააღმდე-  
გობის უნარის მინიმუმამდე დაყვანა. საქართველოში მონღოლები  
ემყარებოდნენ მთავრებს, არასასურველ მეფეს უპირობებდნენ  
მათთვის უფრო მისაღებ კანდიდატს. მეფისათვის პრეტენდენტის  
დაპირისპირება მონღოლთა ხელში შანტაჟის უძლიერესი საშუა-  
ლება იყო. ეს გარემოება საქართველოში შინაკლასობრივი ბრძო-  
ლის გამწვავებას ხელს უწყობდა. ძალაუფლებისათვის ბრძოლამ  
ქვეყანა ურთიერთისადმი დაპირისპირებულ პოლიტიკურ ბანაკებად  
გათიშა, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ. ამ შინაკლასობრივ  
ბრძოლაში უკვე მოხსენებული ფარეჯანი და ბაყათარი აქტიურად  
ჩაებნენ. ფარეჯანი მეფის მომხრე ბანაკში ჩანს, ბაყათარი კი სულ  
შალე სათავეში უდგება საქართველოში მომდინარე ოსთა ტაღლებს  
და დასახლებული ტერიტორიის მოსაპოვებლად ებრძვის ქართ-  
ველ აზნაურობას.

1289 წ. დიმიტრი თავდადებულის მონღოლთა ურდოში დასჯის  
შემდეგ ყანმა არღუნმა გაამეფა ვახტანგ ნარინისძე, რათა ამ გზით  
დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო გაერთიანებულიყო მონ-  
ღოლთა ხელქვეით. მაგრამ იგი შალე გარდაიცვალა და ეს გეგმა ვერ  
განხორციელდა. გამეფებულ იქნა დავით დიმიტრის-ძე. მისი გამე-



ფება ვახტანგის ჩამოგდების გზით სურდა ქართველ დიდებულთა ერთ ჯგუფს, რის გამოც დავითის სიცოცხლე საფრთხეში ჩაყვანილა. მის გადარჩენასა და შემდგომ გახმტკიცებაში მამამკაცის უარეჯანს დიდი როლი შეუსრულებიათ. აი რა ცნობას გვაწვდის ამაზე უამთაღმწერელი: „ტაჩარ თანა შეეწეოდა დავითს, და, ოვსთა მეფის ძე, სახელით ფარეჯან, იგიცა ძლიერად შეეწეოდა დავითს“<sup>1</sup>.

რატომ უჭერდა მხარს ფარეჯანი მეფეს, ამაზე ცნობები არა გვაქვს. საფიქრებელია, რომ მონღოლებისა და მათი მომხრე ქართველი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები დავითს აძულებდა მოკავშირეები ეძია. ასეთ მოკავშირედ შეიძლებოდა ოსები ქვეუღლიყვნენ მათთვის გარკვეული შეღავათების მიცემით. საერთოდაც ოსებისათვის ცენტრალურ ხელისუფლებასთან კავშირი გაცილებით ხელსაყრელი იყო, ვიდრე სეპარატისტული ტენდენციების მატარებელ ფეოდალებთან, და ეს მით უფრო, რომ საქართველოში ოსთა გადმოსახლების ფაქტთან დაკავშირებით ოსებისა და ქართველ ფეოდალთა ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა. ოსთა საქართველოში დასახლების ფაქტი საფრთხეს უქმნიდა მიწათმფლობელი კლასის საკუთრებას და მათ წინააღმდეგობის გაწევა არც დააყოვნეს. წინააღმდეგობათა გამწვავებამ ქართველ ფეოდალებსა და ოსებს შორის, უკანასკნელნი აიძულა ქვეყნის შავნით დასაყრდენი ძალა ეძიათ. ასეთ ძალად ხშირად სამეფო ხელისუფლება იქცეოდა, რომელიც თავის მხრივ დასაყრდენ ძალას საჭიროებდა ძალაუფლების რეალიზაციისათვის. ქელათუ (უამთაღმწერლის მიხედვით ქელთუყონ) ყაენის (1291-1295 წ. წ.) დროს ილხანებს ომი ჰქონდათ ბიზანტიასთან. დავით მეფე და ფარეჯანი ილხანთა ქარში იმყოფებოდნენ. „მუნ ყოფასა ფარეჯან ოვსთა მეფისა ძისასა, იწყეს ოვსთა ობრებად, ხოცად და რბევად, და ტყვენიად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყვენეს, და თჳსად დაიპირეს ოვსთა: მაშინ შეკრბეს ქართლისა ერისთავისა ბეგას წინაშე, ძისა ამადასი, ყოველნი, ქართველნი, და მოადგეს გორსა: და მრავალგზის შეებნეს, და ქალაქსა შინა მრავალი კაცი მოკულდა ოსიცა და ქართველნიცა, და დაწვეს გორი სრულიად: და ვითარ მისჭირდა ოვსთა, ციხიდან განდმოუშვეს საბლით კაცი და წარავლინეს მუხნარს მდგომთა თათართა თანა, რათა შეეწივნენ: ვითარცა ესმათ, ჩამოდგეს შუა, შეელა ქმნეს და შავი,

+

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოც. გვ. 426.

და მიერთვან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა, ვიდრეზღის... გიორგიმან განასხნა და აღფხურნა<sup>1</sup>.

ამრიგად, XIII ს. შუა ხანებიდან ხდება ოსთა სეპარატივიზმის ტერიტორიაზე დასახლება იგივე ჯერ მშვიდობიანი პროცესია, ვიდრე გადმოსახლებულთა მოწყობის რეგულირება ხერხდება. მაგრამ, როცა XIII ს. დასასრულს ოსთა ახალ-ახალი ტაღლები გადმოდინან ქედს ვადმოდმა, ლიახვის აუზში — ქართლის რაიონებში, სადაც მიწები ფეოდალთა საკუთრებაში იმყოფება და ოსთა მათზე დასახლების წინაპირობა ამ ფეოდალური მიწათმფლობელობის დარღვევაა, ბუნებრივია, ეს პროცესი აღარ შეიძლებოდა მშვიდობიანი ყოფილიყო და მას-მართლაც მოჰყვა გართულებანი. ქართველი ფეოდალები შემოიკრიბნენ ქართლის ერისთავის გარშემო და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს ოსებს. ოსებს გორის ციხე აუღიათ და დასაყრდენად გაუხდიათ ამ ბრძოლაში. გორის მნიშვნელობა ოსთა შემდგომი წარმატების საქმეში ქართველ ფეოდალებს კარგად ესმოდათ და მის დასაბრუნებლად არაფერი არ დაუზოგავთ. გორის ციხეში შევიწროებულმა ოსებმა მონღოლთა ლაშქარს მიმართეს დახმარებისათვის. მონღოლებმა შეარიგეს ისინი ქართველებთან, მაგრამ რადგანაც გორის ციხე და უკვე მოპოვებული ადგილები ოსების განკარგულებაში დარჩა, მტრობა ქართველ ფეოდალებსა და ოსებს შორის ამის შემდეგაც გაგრძელდა ქართველ ფეოდალთა დათმობა ტროებითი იყო, მონღოლთა ზეგავლენის შედეგად მოხდენილი, და პირველივე ხელსაყრელ მომენტში მოსალოდნელი იყო მათი ოსებთან ურთიერთობის გამწვავება.

როგორც მოყვანილი ცნობიდან ჩანს, ოსთა მახვილი მიმართულია ქართველი მიწათმფლობელი არისტოკრატის წინააღმდეგ. რა დამოკიდებულებაში იმყოფებიან ამ ბრძოლისადმი მეფე და ძირითადი მწარმოებელი კლასი — გლეხობა, არ ჩანს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მეფე ამ ბრძოლაში ოსებს თანაუგრძნობდა, მათი საშუალებით ფიქრობდა შეეზღუდა ურჩი ფეოდალების სეპარატისტული ტენდენციები. ასეთი მოსაზრების საფუძვლად მიგვაჩნია ქამთაღმწერლის შემდეგი ცნობა: „ფარეჯან ოვსთა მთავარი მსახურებდა კეთილად მეფესა, არამედ აქუხნდა მტერობაჲ ქართველთა“<sup>2</sup>. ამ ცნობის

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოცემა, გვ. 427-428.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოც. გვ. 429.

მიხედვით, მეფე დაპირისპირებულია ქართველებთან. როგორ უნდა გავიგოთ მეფისადმი სამსახური და მისი ქვეშევრდომებისადმი მტრობა? რასაკვირველია ისე, რომ მეფე ამ ბრძოლაში უწყვეტად მუშაობდა. თუ ამჟამად არ უკერძო მხარს მათ, ყოველ შემთხვევაში უნდა ხელს უშლის. ხოლო იმ ქართველებში, რომლებთანაც ოსებს მტრობა აქვთ, იგულისხმებიან ოსთა საქართველოში დასახლებით უკმაყოფილო ელემენტები, რომლებიც მათში თავის ეკონომიური საფუძვლისათვის — მიწისათვის საფრთხეს ხედავენ. იგივე ელემენტები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ მეფე ოსებთან დაახლოებას ეძებს, რაც მას ზედმეტად აძლიერებს ფეოდალებთან — ამ უკმაყოფილო ელემენტებთან. — ურთიერთობის საქმეში.

ეჭვი არაა, რომ ქართული ფეოდალური საზოგადოების თითოეული კლასი თუ ფენა თავის ინტერესების შესაბამისად აფასებს საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა გადმოსახლების საკითხს, სხვადასხვა პოზიციებიდან უღგება მას. მეფე ამ ოსთა თავის ინტერესების შესაბამისად გამოყენებას ცდილობს, ფეოდალები ებრძვიან მათ. რა დამოკიდებულებაშია ამ ფაქტისადმი ქართული ფეოდალური საზოგადოების ძირითადი, ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასი — გლეხობა, ამაზე ჩვენ კონკრეტული ცნობები არ გავაჩნია, მაგრამ ეს უაღრესად საინტერესო საკითხია, რომელიც თუ კი გადაიჭრებოდა, ნათელს მოფენდა ოსთა საქართველოში გადმოსახლების წარმატების მიზეზებს.

ის, რომ ისტორიკოსის ცნობის ადგილი „მიერითგან იქმნა მტრობა შორის ქართველთა და ოვსთა“, ანდა ფარეჯანს რომ „აქუნდა მტრობა ქართველთა“ არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ქართველებსა და ოსებს შორის საყოველთაო მტრობა დამყარებულიყოს. აღნიშნული „მტრობა“ არ უშლის ხელს ოსებს ემსახურებოდნენ ქართველთა მეფეს (ამ მეფეს კი თავისი ქვეშევრდომები ჰყავს, მეფისადმი სამსახური კი მის ქვეშევრდომებთან გარკვეული სახის ურთიერთობის არსებობას გულისხმობს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს მტრული). ამ „მტრობის“ პირობებში „წარვიდეს ქალაქსა ოვსნი

ვაჭრობად, და მოიქცეს და იხილეს გლახაკი, და მისცეს ქველის საქ-  
მე ოვსთა, რომელსა უპირველესსა ეწოდა სათხისა, და მეორეთა  
უზურაბეგ. და რქვეს „გლახაკო, ვევედრე ღმერთსა, რათა შექმნეს  
ნი და სურამელი ბეგას შვილის ხრმალი ერთად შეიყაროს“

გამომდინარე ამ ცნობიდან, ქართველ-ოსთა მტრობის კამთაღ-  
მწერლისეული სურათი ცალმხრივია და აშკარად ვახვიადებულ-  
მტრობა, უქვეელია, არსებობს, მაგრამ არა ქართველსა და ოს  
ხალხს შორის, არამედ ქართველ მიწისმფლობელ აზნაურ-დიდ-  
ბულთა გარკვეულ ჯგუფსა და ოსთა შორის. მათგან პირველნი უკა-  
ნასკნელთ დასასახლებელ ტერიტორიას არ აძლევენ და ამ ნიადაგ-  
ზეა გაშლილი ბრძოლა. მაგრამ ქართველ მოსახლეობასთან ოსებს  
მჭიდრო ეკონომიური კავშირი აქვთ, რაც საყოველთაო მტრობის  
პირობებში შეუძლებელია. სათხისა და უზურაბეგი თავისუფლად  
მიდიან თბილისში, ვაჭრობენ და ასევე დაუბრკოლებლივ ბრუნდ-  
ებიან უკან. მხოლოდ ქართლის ერისთავის ბეგა სურამელის მამულ-  
ზე გავლისას ხვდებოდა დაბრკოლება, ხვდებიან ბეგას ძე რატის, რო-  
მელთანაც მტრობა მათ ნამდვილად აქვთ და რომელთან შეხვედრა-  
საც თითონ ნატრობენ. ამ ფეოდალურ ოჯახთან მტრობას თავის მი-  
ზეუბები აქვს. ოსები მის კუთვნილ მამულზე სახლობიან და ისინი  
კი ამას წინააღმდეგობას უწევენ.

აღნიშნული ოსები (ცნობაში მხოლოდ ორი კაცია დასახელებული, მაგრამ მათ გარკვეული რაოდენობის მსლებლებიც ჰყოლიათ) — სათხისა და უზურაბეგი ვაჭრები სრულიადაც არ არიან, ისინი ოსების სოციალურად მაღალი, გაბატონებული წრის წარმომადგენლებია. ისტორიკოსი ისე ბუნებრივად აღწერს თბილისში მათ სავაჭრო მიზნით მგზავრობას, რომ ჩვენ გვექმნება შთაბეჭდილება ასეთი ვაჭრობის ნორმალური ხასიათის შესახებ იმ დროისთვის. სათხისა და უზურაბეგი ამ მიზნით „ქალაქს“ ჩასულთა შორის არც პირველნი და არც უკანასკნელნი არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, რადგან ქართველ-ოსთა დამოკიდებულებების ხასიათი ასეთ მიმოსვლას რეალურად ხდიდა. „მეფისადმი სამსახური“ ოსებს ასეთი მიმოსვლისათვის გზას უხსნიდა.

მემატიანესეული „მტრობა“ ქართველ-ოსთა შორის სინამდვი-  
ლეში ნიშნავს სამამულო ნიადაგზე ქართველ ფეოდალთა ერთი ნა-





წილის ინტერესებისადმი ოსთა დაპირისპირებულობას, იმ ფეოდალებისადმი, რომელთაც უშუალოდ მისწვდათ ოსთა ფეოდალური ტერიტორიის მოპოვებისათვის გაშლილი ბრძოლის შედეგად. ფაქტიც, რომ ოსები ქართული საზოგადოების შიგნით არსებულ პოლიტიკურ დაჯგუფებათა ბრძოლაში მონაწილეობენ გარკვეულ დაჯგუფების მხარეზე, იმას მოწმობს, რომ გაბატონებული ფეოდალური კლასის შიგნითაც ოსებისადმი დამოკიდებულების საკითხში ერთიანობა არ ყოფილა და ფეოდალთა იმ ნაწილის მტრობით ამოიწურებოდა საქმე, რომელთანაც ოსებს უშუალოდ შეჯახება ჰქონდათ, ანდა ახლო ხანებში მოელოდნენ ასეთ შეჯახებას.

ვინ არიან ის ოსები, რომლებიც XIII ს. მიწურულს აქტიურად ებმებიან ქართლის ერთსთავთა მიერ ორგანიზებულ ფეოდალურ ლაშქართან ბრძოლაში დასახლებისათვის საქირო აღგილების დასაკავებლად, რა კავშირი აქვთ მათ იმ ოსებთან, რომლებიც ფარეჯანმა და ბაყათარმა XIII ს. 60-იან წლებში გადმოიყვანეს დარუბანდის გზით და ქართლის სხვადასხვა რაიონებში დაასახლეს? რასაკვირველია, 90-იანი წლების ამბებს ნაკლები კავშირი აქვთ 60-იან წლებში გადმოსახლებულ ოსებთან. უკანასკნელნი ადრინდანვე არიან დასახლებულნი. ამავე დროს, 90-იან წლებში გაშლილ ოპერაციებს გორის მიდამოებში ოსები დიდი სიძლიერით ახორციელებენ, ჩანს, ისინი მრავალრიცხოვანნი ყოფილან. ადრე გადმოსახლებული ოსები ამ დროს ფარეჯანის მეთაურობით დავით მეფესთან ერთად მონღოლების ლაშქრობებში მონაწილეობენ ბიზანტიის წინააღმდეგ. სავსებით უეჭველია, რომ ეს ოსთა ახალი ტალღა, რომელიც როკის უღელტეხილით ეშვება დიდი ლიხვის ხეობაში, ე. წ. დვალეთის გზით. ეს ტალღა საქმარდ ძლიერი იყო სამხედრო-ორგანიზაციული თვალსაზრისით, რაკი მას ციხე-სიმაგრეთა სწორი გარემოცვა-აღების და შემდეგ დაცვის მოწყობის უნარი ჰქონდა. ვინაა კონკრეტულად ამ ოსების ბელადი, არც ეს ჩანს. შემდეგში ამ რაიონებში მოქმედ ოსებს სათავეში უდგება ბაყათარი. როგორ აღმოჩნდა იგი ახლად გადმოსულ ოსთა ბანაკში, ამაზე წყაროები სდუმან. საფიქრებელია, რომ იგი უკმაყოფილო იყო საქართველოში თავის მერჯობარისხოვანი როლით ფარეჯანთან შედარებით და თავის უკმაყოფილების გამო გადავიდა ოსთა ახალი მჯებინს მხარეზე, სათავეში მოექცა მათ.

ბაყათარი კარგად იყო გარკვეული ქართლში შექმნილ მდგომარ-

რეობაში, რომელიც მძაფრი შინაგანი აშლილობით ხასიათდებოდა. დავით მეფეს მონღოლთა მიმართ შეურიგებელი პოზიცია უნდა მიეღო მთიულეთში იყო გამაგრებული. მონღოლები მის ერთგულებს ესმოდნენ და ანადგურებდნენ. ბევრი ქართველი ფეოდალი მონღოლთა ხელშემწყობის როლს თამაშობდა. „ვინათგან მეფე დავით არა მიენდო თათართა, ზაფხულს მთიულეთს იყვის, და ზამთარს ქართლსა, ამისთვის იწლებოდა ქვეყანა ქართლისა, და მთავარი ბაყათარ განდიდებულ იყო, და აოხრებდა ქართლსა, თრიალეთსა, და განასხმინდა მამულისაგან აზნაურთა და იყო ჳირი დიდი მკვიდრთა ქართლისათა“<sup>1</sup>.

დავით VI-ს უნდა ეცადა ბაყათარის საქმიანობის შეზღუდვა, მაგრამ საამისოდ რეალური ძალა არ გააჩნდა. მისი ისედაც სუსტი ძალები დაბანდებული იყო მონღოლებთან ბრძოლაში. მონღოლები მას უპირისპირებდნენ თავისივე ძმებს — ჯერ ვახტანგს, შემდეგ გიორგის და მის ისედაც მძიმე მდგომარეობას უფრო აუტანელს ხდიდნენ.

ბაყათარი მოხერხებით ახორციელებდა თავის ძირითად მიზანს — ოსთათვის მტკიცე დასასახლობელი ბაზის შექმნას ქართლში. ის ერიდებოდა ძლიერ ქართველ ფეოდალებთან შეჯახებას, უთანხმდებოდა ზოგიერთ მათგანს, რომ მის სამფლობელოს არ შეეხებოდა და ამით თავს იზღვევებდა მათი გამოსვლებისაგან. ბაყათარი შალვა ქვენიფნეველს — ქსნის ერისთავს — მიუღვა მეფისაგან განდგომისას<sup>2</sup>. ყველაზე დიდ წინააღმდეგობას უწყევდნენ სურამელი აშაი და რატი, რადგანაც მათ მამულზე ხდებოდა ოსთა დამკვიდრება. ბაყათარმა გამრეველ კახასძეს ძამის (ტექსტში — რამის) ციხე წაართვა და სამცხის ათაბაგ ბექას სამფლობელოებსაც დაემუქრა. პირისპირ ბრძოლაში დამარცხებულმა ბაყათარმა იკისრა არ დასხმოდა მომავალში ბექას სამფლობელოს და მორიგებით გათავდა საქმე: „იქმნა ომი ფიცხელი, და პირველსავე შებმასა გაიქცა ბაყათარ, და შევიდა ციხესა: და ვითარ განძლიერდა, ითხოვეს ოვსთა ზენაარი და

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოცემა, გვ. 441.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 434.

აღუთქვეს არა წყენა, და ესრეთ მოვიდა ბექასა წინაშე გაუშევებ/ლი, და უკანას მოკლდა ბაყათარი<sup>1</sup>.

ძველი ქართველი ისტორიკოსი ხაზგასმით აქვეყნებდა  
ლის სამამულო ხასიათს. აზნაურთა მამულიდან მართლაც „დიდი ჭირი“ იყო „მკვიდრთა ქართლისათა“. ეს „მკვიდრ-  
ნი“ — მიწათმფლობელთა კლასი, თავის სამფლობელოების დასა-  
ცავად არაფერს ზოგავენ, მაგრამ ვიდრე ძალთა თანაფარდობა მათ  
სასარგებლოდ არ შეიცვლება (გიორგი ბრწყინვალეს მეფობაში),  
ოსთა მოგერიებას ვერ ახერხებენ.

ოსთა ქართლში დამკვიდრების პროცესის აღწერ ისტორი-  
კოსს — ქამთაღმწერელს, იმის მიუხედავად, რომ ბრძოლის სა-  
მამულო ხასიათს ამჩნევს, იგი უბრალო ძარცვა-გლეჯამდე დაჰყავს,  
რაც რეალურ ვითარებას არ შეესაბამება. იგი გამოწვეული იყო  
ღრმა სოციალურ-ეკონომიური მიწეზებით და თუ ძარცვა-გლეჯა-  
საც ადგილი ჰქონდა, იგი მიზანი კი არა, ეპოქის შფოთიანი ხასია-  
თის შედეგი იყო.

ავადმეიკოსი ივ. ჯავახიშვილი საქართველოში ოსთა დამკვიდ-  
რებისათვის ბრძოლის პროცესს შემდეგნაირად ახასიათებს: „სა-  
ქართველოს აოხრებამ, ხვარაზმელების შემოსევამ, და მონღოლთა  
ბატონობამ მოსახლეობა ბევრგან შეათხელა და ქვეყანა გააუკაცუ-  
რა, უმთავრესად ბარად და ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპი-  
როებსა და შუაგულში. განთავისუფლებულ ადგილებზე მთებით-  
გან ქართველი მთეულნი დასახლდნენ. ხოლო მათ მაგიერ თანდათა-  
ნობით იმიერკავკასიითგან ოსები გადმოვიდნენ. თავის სამშობლოში  
ნავარდს შეჩვეულნი, საქართველოში ისინი თავის ზნე-ჩვეულებებს  
ვერ დაიშლიდნენ და ცარცვა-გლეჯას ეტანებოდნენ. ამ ნიადაგზე  
ქართველთა და ოსთა შორის მტრობა ჩამოვარდა და ერთმანეთს

1 ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოცემა, გვ. 442.

მ. ჯანაშვილი სტატიაში „Об осетинской истории“ („Новое обозрение“,  
1895 г. № 1076) წერს, რომ ფარეჯანი თავის სიუზურენ დავით VI მტრად გაუხდა,  
დამარცხდა მასთან ბრძოლაში. შემდეგ გამოვიდა ბაყათარი — ფარეჯანის ძე,  
ამან აიღო რამის ციხე, მაგრამ სამცხისა და სურამის მმართველთაგან შალე შიიკ-  
ლაო. ისტ. წყაროებით იგი თავისით მოკვდა.

დაუნდობლად ეპყრობოდნენ<sup>1</sup>. იმ ისტორიულ პერიოდში, როცა ქართველ ტომთა შორისაც უგუნური ძმათაშორისი ბრძოლა სასტიკად გამწვავდა, ციხე-კოშკების, სოფლების დანგრევა ~~ჩვეულებრივი~~ ამბავი გახდა,<sup>2</sup> ოსთა საქართველოში დამკვიდრების ~~პროცესში~~ შეიძლებოდა ძარცვა-გლეჯის ცალკეული შემთხვევები არ ხლებოდა თან (ეს ყოველ სამხედრო შეტაკებას ახლდა იმ დროს), მაგრამ რომ ოსთა მიზანი სრულიადაც ძარცვა-გლეჯა არ ყოფილა, ამას მოწმობს ის, რომ ისინი ციხე-სიმაგრეთა და დაბათა ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ, რათა ამ გზით ქართველ ფეოდალთა წინააღმდეგობა დათრგუნონ და მტკიცედ დასახლდნენ ქართლში. ხელში ჩაგდებულ ციხე-სიმაგრეებს (მაგ. გორის ციხე) ისინი უკანასკნელ შესაძლებლობამდე იცავდნენ. უბრალო ძარცვა-გლეჯის ინტერესებისათვის ციხე-სიმაგრეთა აღება და დაცვა საექვეთა რომ წარმოებულყო.

რევოლუციამდელ ისტორიოგრაფიაში XIII-XIV ს. ს. ოსთა საქართველოს ტერიტორიაზე დასახლების აღნიშნული პროცესი მცდარად იყო გაგებული. დოქტ. პაფფი თვლიდა, რომ ქართველი ფეოდალები მკვიდრდებოდნენ ოსეთში, ფეოდალური ურთიერთობანი შექმნდათ იქ. XI ს.-დან დაწყებული, ოსეთის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სრულ დამოკიდებულებაში მოექცა, რაც XIII ს. დასაწყისამდე გაგრძელდა<sup>3</sup>. ოსეთის ბაგრატიონები ოსეთში დამკვიდრებულ ქართველ ფეოდალებს ეყრდნობოდნენ<sup>4</sup>.

დ. ლავროვს ოსეთის საქართველოს რელიგიურ და პოლიტიკურ გავლენაში მოქცევის მიზეზად მიაჩნდა ძლიერი ფეოდალური არეულობის დაწყება ოსეთში XI ს.-დან. ამ შინაბრძოლამ დაასუსტა ოსეთი და მას საშუალება აღარ ჰქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი როლი შეესრულებინა<sup>5</sup>.

ოსეთის დამოკიდებულება საქართველოზე მონღოლთა ბატონობის დამყარების წინა ხანებში პაფფსაც და ლავროვსაც მიაჩნიათ

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, გვ. 245.  
2 იქვე, წ. III, გვ. 259.  
3 Пфаф, Народное право осетин. ССК, 1, стр. 199—200.  
4 ССКГ, вып. V, стр. 39.  
5 СМОМПК, вып III, стр. 208.

არა როგორც შედარებით განუვითარებელი სახელმწიფოს ტიპური დამოკიდებულება განვითარებულ სახელმწიფოებთან, როგორც უხეშ ძალადობაზე დამყარებული ბატონობა საქართველოს მხრივ, რომელიც ოსებისათვის შშიმე იყო. მეფე ივანე IV ველოს ტერიტორიაზე ოსთა დასახლების პროცესი უხეშად აჯანყება ოსებისა ქართველთა ბატონობის დასამხობად.

პაფფის აზრით, ოსებს უშშიმდათ ქართველთა უღელი და თათრებს სიხარულით მიუყვიდნენ. მონღოლთა წაქეზებით XIII ს. ბოლოს ოსებსა და ქართველებს შორის სასტიკი ბრძოლა დაიწყო. ოსებმა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა საქართველოში შემოჭრით დაიწყეს<sup>1</sup>. ამ დროს ჩრდილოეთისა და სამხრეთ ოსეთის ზოგიერთი ნაწილი ოს-ბაყათარმა გაანთავისუფლა ქართველთა ბატონობისაგან, აღადგინა პატრიარქალური წყობა, ძველი გვარების თვითშმართველობა<sup>2</sup>. დ. ლავროვს მონღოლ-თათართა შემოსევა ოსებისთვის დადებით მოვლენად მიაჩნია, რადგან თათართა მხარდაჭერამ შესაძლებლობა მისცა ოსებს განთავისუფლებულიყვნენ საქართველოს დამოკიდებულებისა და გავლენისაგან. ამ განთავისუფლების პერიოდში (XIII ს. ბოლო) ოსთა წრიდან გამოიყო ოს-ბაყათარი, რომლის ისტორიული მნიშვნელობა ოსი ხალხის ცხოვრებაში იმაშია, რომ გააერთიანა მტრული ფეოდალური ჯგუფები და ოსეთიდან ქართველი ფეოდალები გამოდევნა<sup>3</sup>.

გ. კოკიევს მიაჩნია, რომ მონღოლ-თათართა ურდოებს ოსები შეზღუნენ როგორც თავის გამათავისუფლებელს ქართველთა ბატონობისაგან და მათთან ერთად მონაწილეობდნენ ქართველ თავადთა წინააღმდეგ ბრძოლაში<sup>4</sup>.

აღნიშნულ ისტორიკოსთა თვალსაზრისი აშკარად ანტიმეცნიერულია და მიუღებელია ჩვენთვის. ჩვენ უკვე ზემოთ მოვიყვანეთ ისტორიული მონაცემები, საიდანაც ცხადი იყო, რომ ოსები მონღოლებს ქართველებისადმი „მტრობის“ გამო სიხარულით კი არ

1 ССКГ, V, стр. 54—55.

2 ССК, I, стр. 200.

3 СМОНПК, III, стр. 210.

4 Очерки по истории осетии, стр. 38.

მიუღწინ, არამედ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს და საქართველოში გადმოსახლება დაიწყეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი მონღოლებმა ჩრდილო კავკასიის ველებიდან გამოაძევეს და მთების ვიწრო ხეობებში ჩაკეტეს. მეორე გამოსავალი ~~ქვეყნის~~ და, ქართველ ფეოდალთა გამოაძევა შეუძლებელი ~~მოხდა~~ ~~ქვეყნის~~ ~~და~~ ~~ოსეთიდან~~ ~~იმ~~ ~~უბრალო~~ ~~მიზეზის~~ ~~გამო,~~ რომ ისინი იქ არ იყვნენ. ეს ისტორიკოსები სწორად ვერ აფასებდნენ მონღოლთა ბატონობის დამლუბველ შედეგებს ოსეთზე. პირიქით, მათ ეს ერთგვარ დადებით მოვლენადაც კი მიაჩნდათ, რაკი მას, თითქოს, შედეგად სდევდა საქართველოს „მძიმე უღლის“ დამხობა ოსეთზე, ასეთ შეხედულებას, ისტორიული ფაქტების ასეთ ახსნას, ქეშმარიტებასთან საერთო არაფერი არა აქვს.

თქმა არ უნდა, რომ ქართლის შიდა რაიონებში მოქმედ ოსებს გარკვეულ შემთხვევებში მონღოლთა მხარდაჭერა ჰქონდათ, მაგრამ მონღოლები ამით ოსების მიმართ ვანმათავისუფლების როლში კი არ გამოდიოდნენ, არამედ თავისი პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტას ფიქრობდნენ — მონღოლთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ხალხისათვის ხელ-ფეხი შეებორკათ მათდამი ოსების დაპირისპირებით. თუ არა ასეთი მიზანი, რატომ უნდა დაეჭირათ მხარი მონღოლებს ოსთათვის, როცა საქართველო მათი ქვეშევრდომი იყო (ილხანების), ოსები კი ჩრდილო კავკასიიდან — ოქროს ურდოს ქვეშევრდომ ქვეყნიდან იყვნენ მოსულნი? ოსები, რა თქმა უნდა, მონღოლთა ბატონობისათვის საქართველოში სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ. პირიქით, ოსთა გადმოსახლებული ნაწილი ქართველებთან ერთად ემსახურებოდა მონღოლებს (ყაენ ხარაბანდას ლაშქრობისას გილანზე მის ლაშქრის შემადგენლობაში არიან ვახტანგ მეფე, ბექა „ოსები“<sup>1</sup>). საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა გადმოსახლებაში მონღოლთათვის იყო ის სასარგებლო მომენტი, რომ ოსებთან სამამულო ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტი ქართველებს მონღოლთა წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლებისაგან შეაკავებდა. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ ოსთა საქართველოში გადმოსახლება ჩრდილო კავკასიის ველებზე მონღოლთა

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოც., გვ. 443-444.

მიერ ოსთა საშინელი განადგურება-გამოძევების შედეგი იყო. ხოლო მათი ურთიერთობა ქართველებთან იმავე მონღოლების მიერ ხელოვნურად მწვავდებოდა. მონღოლთა ინტრიგებზე შეიქმნა თუ ქართველ-ოსთა შორის წინააღმდეგობის მიზეზად მ. ჯიქინაძის „ქინაძეს“.

რით უნდა აიხსნას ოსთა წარმატება ქართლში დამკვიდრებისათვის ბრძოლის საქმეში? — ცხადია, საქართველოში იმ დროისათვის შექმნილი ისტორიული პირობებით. მონღოლთა შემოსევა-გაბატონებამ საქართველოში დაქუცმაცებულობა დააკანონა და ამით მისი ძლიერება საგრძნობლად დასცა. ცალკეული ქართველი ფეოდალები საეცებით დამოუკიდებელ პირებად გადაიქცნენ და ყველა მოვლენას საკუთარი ინტერესების თვალსაზრისით აფასებდნენ. ასეთ პირობებში ქართველთა გაერთიანებული ძალების დაპირისპირება ოსებისადმი შეუძლებელი იყო. ქართველი ფეოდალები მხოლოდ მაშინ ებმებოდნენ ოსებთან ბრძოლაში, როცა უშუალოდ მათ მამულს მოადგებოდნენ. მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენთვის უკვე ცნობილი ბექა. მან ოსთა წინააღმდეგ გამოსვლა მხოლოდ მაშინ მოაწყო, როცა მათ ძამის ციხე აიღეს და მის სამფლობელოს მიადგნენ. საკმარისი იყო ოსებს მისი სამფლობელოს ხელუხლებლობის პირობა მიეცათ, რომ იგი მათ დაზავებოდა და თავისთვის წასულიყო. შალვა ქსნის ერისთავი ასევე ხშირად ოსთა მოკავშირედ მოჩანს.

მაგრამ ოსთა წარმატების მიზეზი არ ყოფილა მხოლოდ ფეოდალური კლასის შიგნით არსებული სეპარატიზმი და დაქუცმაცებულობა. საქმე ისაა, რომ ქართული ფეოდალური საზოგადოება ანტაგონისტური კლასებისაგან შედგებოდა და თითოეული ეს კლასი ოსთა გადმოსახლებას სხვადასხვანაირად აფასებდა. თუ „ქართველ აზნაურთა მიწისმფლობელობა საფრთხის წინაშე დადგა და ისინიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ...

...ასეთივე არ იყო ამ საქმეში ქართველი გლეხის პოზიცია.

1 М. Джанашивили, Об осетинской истории, „Новое обозрение“, 1895 г. № 4076;

• ზ. ჯიქინაძე, ოსეთის ისტორია, 1913 წ. გვ. 184.

აზნაურთა მიწის დაცვა გლეხის ინტერესს არ შეადგენდა და ქართველი გლეხი მის დასაცავად ხელსაც არ გამოიღებდა, თუ ახალმოსულისაგან მას უარესი არ მოელოდა<sup>1</sup>.”

ქვეყნის

მართალია, ჩვენ კონკრეტული ცნობები არ გვაქვს გლეხთა პოზიციის განსაზღვრისათვის აღნიშნული მოვლენისადმი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ შექმნილ ისტორიულ ვითარებას, აღმოჩნდება, რომ ქართველი გლეხოზა ქართლის რაიონებში ოსთა დასახლების საკითხს პასიურად უნდა მოპყრობოდა, ხოლო კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისს თუ მოვიშველიებთ, უნდა დავუშვათ, რომ ზოგ შემთხვევაში მოკავშირედ მიუღებოდა ოსებს.

ტერიტორიაზე, რომელზეც ოსები სახლდებოდნენ, მონდოლთა თავაშვებული თარეშების შედეგად ქართული მოსახლეობა საგრძნობლად შეთხელებული იყო, ზოგან გაუჟაკრიელებულიც. შემცირებულ მოსახლეობას ფეოდალური ექსპლოატაციისა და მონდოლთა ბატონობის მიმე უღელი სულ უფრო და უფრო უჭერდა მარწუხებს. ასეთ პირობებში გლეხოზა კარგავდა ყოველივე ინტერესს მამულისადმი და, შესაბამად, მის დაცვისადმი. იგი ასეთ პირობებში მამულისაგან თავის დაღწევის გზების ძიებით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე დაცვით. მეორეს მხრივ, ოსთა გადმოსახლებას საქართველოში არავინ არ უყურებდა როგორც დამპყრობელთა შემოსევას, მათ შორის არც გლეხოზა. თვით ოსები დაინტერესებული იყვნენ საქართველოში მათ მოძრაობას ქვეყნის შიგნით დასაყრდენი ჰქონოდა და, ბუნებრივია, უნდა ეზრუნათ ასეთი მოკავშირის გამოსაძებნად, მით უმეტეს, ასეთი მოკავშირის მოძებნა, გართულებული საშინაო და საგარეო პირობების არსებობის გამო, ძნელი არ უნდა ყოფილიყო. ჩვენ ვხედავთ, რომ ოსები იმყოფებოდნენ ხან მეფის, ხან შალვა ერისთავის მხარეზე, ხანაც სეპარატულ შეთანხმებას დებდნენ ცალკეულ ძლიერ ფეოდალებთან (ბექასთან). ოსებს ყველაზე ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ ქართლის ერისთავები — სურამელები, რადგან მათ მამულზე ხდებოდა ოსთა დასახლება. ისინი იცავდნენ თავის მამულს, მაგრამ ამ მამულის დაცვით გლეხოზა ასევე არ იყო დაინტერესებული. ყმა-გლეხის დაინ-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორია, გვ. 245.



ტერესება ექსპლოატაციის ორმაგი უღლის პირობებში მამულის  
დაცვით, რომელიც ფეოდალის საკუთრებაა, უმნიშვნელო უნდა ყო-  
ფილიყო და ის, მართლაც, მის დასაცავად თავს ატყვევებდა  
ფეოდალებს ჰყავდათ ქვეშევრდომთა გარკვეულ რაოდენობა  
რომლებიც მათი დროშის ქვეშ ებრძოდნენ ოსებს, მაგრამ მოსახ-  
ლეობის ძირითადი მასა არ თანაუგრძნობდა მათ. ოსები „განასხ-  
მიდნენ მამულისაგან აზნაურთა“ და „იყო ღირი დიდი მკვიდრთა  
ქართლისათა“ — ე. ი. ისტორიკოსის აზრით, ამ მიწისმფლობელ  
კლასს ატყუებოდა ოსთა დარტყმები, უბრალო მშრომელი ხალხის  
მიმართ ოსები სიმკაცრეს და ძალმომრეობას არ მიმართავდნენ. ის  
ფაქტი, რომ ასეთ გართულებულ ვითარებაში ოსები სავაჭროდ და-  
დიან თბილისში და მათი მტრული ანგარიშები ქართლის ერისთავთა  
წრით შემოიფარგლება, ჩვენი მოსაზრების დამამტკიცებელ საბუ-  
თად მიგვაჩნია. ქართველ-ოსთა საყოველთაო მტრობის პირობებში  
ასეთი სავაჭრო მოგზაურობანი შეუძლებელი იყო.

ფეოდალური ურთიერთობების შედარებით დაბალი დონე და  
პატრიარქალურ ურთიერთობათა ძლიერი გადმონაშთები, შესაძლე-  
ბელი იყო გამნდარიყო ქართველი გლეხობის ოსთა გადმოსახლები-  
სადმი ლოიალური დამოკიდებულების ერთ-ერთი ფაქტორი.

ახლა შევეცადოთ კონკრეტულ-ტერიტორიული თვალსაზრი-  
სით შევეხოთ საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა ჩამოსახლების სა-  
კითხს იმ ფრაგმენტული ცნობების საფუძველზე, რასაც ქსნის ერის-  
თავთა საგვარეულო მათიანე „ძეგლი ერისთავთა“ შეიცავს. მისი  
ცნობები პროცესის სისტემატურ სურათს ვერ ქმნიან, მაგრამ „ქარ-  
თლის ცხოვრების“ ცნობებთან მათი შეჭერება ამ პროცესს შედა-  
რებით სრულად წარმოგვიდგენს.

საქართველოში ოსთა გადმოსახლების საკითხი მჭიდროდაა  
დაკავშირებული დვალეების საკითხთან. ეს კავშირი ისე მტკიცე იყო,  
რომ მკვლევართა აბსოლუტურ უმრავლესობას მათი (დვალ-ოსთა)  
იგივეობა უქველ ფაქტად მიაჩნდა. დვალ-ოსთა ურთიერთობის სა-  
კითხებსა და საქართველოს მთიანეთში ოსთა გადმოსახლების დრო-  
ისათვის შექმნილ ვითარებაზე „ძეგლი ერისთავთა“ მნიშვნელოვან  
ცნობებს იძლევა, რის გამოც მისი „როგორც სოციალური ისტორი-  
ის დოკუმენტის მნიშვნელობა სცილდება საქართველოს ფარგ-

ლებს<sup>1</sup>. აღნიშნული ძეგლის უკანასკნელი გამომცემელი შ. მუსხიშვილის შედგენას 1348-1400 წ. წ. ათარიღებს<sup>2</sup>. ამ პერიოდში უკვე საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ, გრძელდება ისტორიკოგრაფიის პროცესი და ამდენად ბევრი რამ ამ მოვლენის შესახებ ძეგლის ავტორისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო.

ძეგლი ასახავს ქსნის საერისთავოს ისტორიას VI ს.-დან XIV ს. ბოლომდე, მაგრამ მას მხოლოდ XIII-XIV ს. ს. მოვლენების გასაგებად აქვს მნიშვნელობა. ქსნის ერისთავთა ისტორიის დაწყება VI ს.-ით ამ ფეოდალური საგვარეულოს განდიდების მიზნითაა გაპირობებული.

„XIV ს.-ე ქსნის საერისთავოს ჩამოყალიბების და გაფორმების საუკუნეა. ქსნის ერისთავებმა ამ დროისათვის უკვე გაიჩინეს რეზიდენცია — „დარბაზოვანი“ და „თავადი ციხე“ ქვენიფნეცს, საგვარეულო მონასტერი ლარგვისს, ე. ი. ყველაფერი ის, რაც ფეოდალურ საქართველოში დიდებული თავადის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. ეს პროცესი ვირშელ III მოღვაწეობის დროისათვის დასრულებული ჩანს. ამ დროისათვის ერისთავებს მხოლოდ თავიანთი გვარის წარსულისა და სიდიადის მაუწყებელი ძეგლი-ლა აკლდათ. ამგვარი ძეგლიც მალე შეიქმნა, რომელიც იდეოლოგიურ გამართლებას აძლევდა ყველაფერ იმას, რაც საქართველოს, კერძოდ ქსნის საერისთავოს, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში უკვე ფაქტად იყო ქცეული“<sup>3</sup>.

ქრონიკის ცნობით, „ამა ყამთა შინა (შემდგენელი VI ს. გულისხმობს, ნამდვილად XIII ს. ამბებს უნდა შეეხებოდეს — გ. თ.) იქმნა ფრიადი შფოთი ქუეყანასა ოვსეთისასა და იქმნა ფრიადი სისხლთა დათხევამ მეფეთა შორის მათთა. მაშინ მძლე ექმნეს შვილნი უხუცესისა ძმისანი და გარდამოიყვანნეს მთასა ზახისასა შვილნი უმრწემესისანი — როსტომ, ბიბილაჲ, ფითლოსანი და ძენი მათნი სამეოცდაათითა მონითა კეთილითა და მოიყვანნეს ქუეყანასა დვალეთისასა“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 167.

<sup>2</sup> ძეგლი ერისთავთა, გვ. 321.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 316.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 344.

ოსეთში გაშლილი ფეოდალური შინაბრძოლის ბაზაზე დაბრუნებული ჯგუფი გამარჯვებულის მიერ იდევნება დეალოთა ქვეყანაში. ამისათვის საჭიროა ზახის მთის გადმოლახვა. ალაგირის ქვეყნის მფლობელი ნად ოსეთად ივლისხმება. დვალებს განუცხადებენ: „არა გინდათ ისინი ვერ მოითმენენ თავის ქვეყანაში. ოსებს ფიცით უკისრიათ, რომ შეფობის მიღებას არ შეეცდებოდნენ და დაკმაყოფილდებოდნენ იმ ადგილის სახელწოდებით, რასაც ისინი, — დვალები, გამოუყოფდნენ. მაგრამ, როცა ოსებმა გამაგრებული სახლებისა და ციხეების აგება დაიწყეს, დვალები მიხვდნენ რა მოჰყვებოდა ამას. „მაშინ გულისხმა ჰყვეს დვალთა, შეკრბეს და თქუეს: ვხედავთ ვითარითა საქმითა იწყეს შენებად ოვსთა ამათ მეფეთა. დაღათუ სახელ — ვსდევით ბიბლიურად, არამედ სახელი ესე ვერ დაჰფარავს გუარანათესაობასა მათსა; და შემდგომად მცირედისა ქამისა ეუფლნენ ყოველსა ქუეყანასა ჩუენსა; და მართუეთა სხმამდის და ბოლომთა დაბმამდის განვაძოთ ორთავი გუელი მუცლით ჩუენით“. პატრიარქალურ ურთიერთობათა დონეზე მდგარი დვალები ვერ ურიგდებიან ოს არისტოკრატთა ტენდენციებს გაბატონებისაკენ და ვიდრე მომრავლდებოდნენ („მართუეთა სხმამდის“) და ფეხს მოიკიდებდნენ („ბოლომთა დაბმამდის“) გააძევეს ისინი. „ალიყუანეს და მოასხნეს ნევისა ისროლისასა, ხაკაფუანს როსტომ და ყოველნი ძმანი და მონანი მისნი“.<sup>1</sup>

როსტომი თავის ამალით ებმება ცხრაზმისხეველთა და გრუელთა ბრძოლაში პირველთა მხარეზე და ამარჯვებინებს მათ. ამის გამო ცხრაზმისხეველები აცხადებენ: „არა განვიშორით ჩუენგან ამიერითგან კაცი ესე გოლიათი, არამედ უყოთ ყოველი, რაჲცა უნდეს მას“.<sup>2</sup>

როსტომს ადგილზე გამოუჩნდა მრჩეველი ლარგვისის მამასახლისის ხუციანდაბისძის სახით, რომელიც, თავის პირადი სარგებლობიდან გამომდინარე (შეინარჩუნოს თანამდებობა), ურჩევს მას: „უკეთუ გნებავს მკვიდრ ყოფაჲ ქუეყანასა ამას, ითხოვე საფლავი მონასტერსა ამას, რამეთუ ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა

<sup>1</sup> ძველი ერისთავთა, გვ. 344.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 345.

საფლავი აქა არს და სოფელნი ესე, რომელნი ღმრთივ გვირგვინის-  
ნისა ისტენიანე აღმაშენებლისაგან შემოწირულ არიან, ეკლესიის  
ძღვარ მათაა<sup>1</sup>.

როსტომის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა „ყოველი ერის“  
მიერ. აკად. ს. ჭანაშვიას მემატიანეს მიერ „ყოველი ერის“ გამოყვა-  
ნა იმის ნიშნად მიაჩნია, რომ „ავტორი ტენდენციურად ცდილობს  
ხალხის ნებაყოფლობითი სანქციის შთაბეჭდილება შექმნას ბიბი-  
ლურთა გაერისთავების საქმეში“<sup>2</sup>.

როსტომი თავის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ მალე  
იქცევა ხეობის სამხედრო ორგანიზაციის მეთაურად. „იწყეს შენე-  
ბად ციხისა დიდ-დიდებისა. და უკეთუ სადა იყვის ლაშქრობაჲ იგი,  
იყუნიან წინამძღვარ მბრძოლთა და არვინ იპოებოდა მარტოდ  
მბრძოლი როსტომისა, და შეიყუარნა ყოველმან ერმან ცხრაზმის-  
ხევისამან“<sup>3</sup>. საეჭვოა, ცხრაზმისხევის ერს როსტომი შეეყვარებინა  
იმავე მიზეზების გამო, რითაც იგი დვალებმა „არ შეიყუარეს“ და  
გამოაძევეს. მაგრამ ამ დროისათვის მას უკვე ძალა აქვს ხელში და  
მემატიანეს კი მის მიმართ „ხალხის სიყვარული“ ერისთავთა განსა-  
დიდებლად აქვს აღნიშნული.

მემატიანის მიხედვით, როსტომის გარდა ბევრი დიდებული  
აზნაური მიისწრაფოდა ქსნის ხეობის ერისთაობის მოპოვებისადმი,  
მაგრამ მათ შორის როსტომი ეკონომიურად და სამხედრო თვალ-  
საზრისით ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა და ამან მის სასარგებლოდ  
გადაწყვიტა საქმე. მეფემ „ერის ნებართვით“ როსტომს „მიუბოძა  
შვიდნი ესე ხეენი განსაგებელად, ეკლესიანი და ყოველნი აზნაურნი  
მკვიდრნი მას შინა და უწოლა ერისთავი ცხრაზმისხევისა“<sup>4</sup>.

აღნიშნული ადგილები იმიტომ მოვიყვანეთ, რომ საინტერესო  
ცნობებს გვაწვდიან ოს-ღვალთა ურთიერთობის საკითხზე XIII სა-  
უკუნეში, ქსნის ხეობაში ოსეთიდან გამოსული გაბატონებული წრის  
წარმომადგენლების დამკვიდრებისა და მალალი მდგომარეობის

1 ძეგლი ერისთავთა, გვ. 345.

2 ს. ჭანაშვია, შრომები, II, გვ. 169.

3 ძეგლი ერისთავთა, გვ. 345.

4 იქვე, გვ. 346.

მიღწევის საკითხებზე. მართალია, ძეგლი ამ ამბებს VI ს-ით ათარ-  
ლებს, მაგრამ გვიანდელი ამბების დროში წინ გადაწევის მიზანი  
ჩვენთვის გასაგებია და, ამიტომ ძეგლის დახატული სტრატეგია  
XIV ს. ს. ამბებს შეეხება.

ბიზანტიური

ქსნის ერისთავთა ოსთავან წარმოშობის საკითხში გასაკვირი  
არაფერია. საქართველო-ოსეთის მჭიდრო ურთიერთობა მონღოლ-  
თა შემოსევამდე, ხოლო შემოსევის შემდეგ ოსთა დიდი ჯგუფების  
საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრება შესაძლებლობას იძლე-  
ოდა ზოგ შემთხვევაში მათ თვალსაჩინო მდგომარეობამდე მიელ-  
წიათ ადმინისტრაციულ აპარატში სათანადო სამხედრო და ეკონო-  
მიური ძლიერების პირობებში. ადმინისტრაციულ სფეროში აღზე-  
ვება ერთდროულად მათი სოციალური და პოლიტიკური აღზევე-  
ბის შედეგიც იყო და პირობაც. ცალკეულ ოსთა დაწინაურებას სა-  
ქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს სისტემაში ხელს უწყობდა  
ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებლის დროიდან ეროვნულ გან-  
სხვავებულობის საკითხს დაწინაურების ხელისშემშლელ გარემოე-  
ბად არ თვლიდნენ და პიროვნება, რა ეროვნებისაც არ უნდა ყოფი-  
ლიყო იგი, თუ კი საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს ინ-  
ტერესებს ერთგულად დაიცავდა, შესაძლებელი იყო გამხდარიყო  
მნიშვნელოვანი მოხელე.

არსებობს ქსნის ერისთავთა წარმოშობის სხვა ვარიანტიც, რომ-  
ლის მიხედვით, იუსტინიანეს თხოვნით ქსნის საერისთაოში საქარ-  
თველოს მეფემ დაასახლა ავარული წარმოშობის ხალხი, რომელ-  
თაც ერისთავთა მიადწიეს, მაგრამ ამოწყდნენ. „მაშინ მართვიდნენ“  
ქსანსა სხუადასხუა მოხელენი მთისანი და სხუანი თავადნი სხვათა  
და სხვათა დროთა შინა. უკანასკნელ დროსა მეფისა რუსუდანისასა  
იქნა რა აღრეულობა საქართველოსა შინა და ბრძოლაჲ ნოინთავან,  
მაშინ მოვიდეს ეს აწ წოდებულნი ერისთავთა წინაპარნი სამეფოსა  
ოსეთის ხეობითგან, რომელიც არის ნარად წოდებული ადგილი,  
რომელნიც იყვნენ გვარით გორჭიანნი, რომელნიცა აწცა არიან ნარ-  
სა შინა გუარნი მათნი. ამათნი უკუე მოვიდნენ ორნი მამანი: პირ-  
ველს ეწოდა ბიბილა, მეორესა რატი, რომელნიცა დაეშენნენ ქსნის  
ხეობასა შინა წელსა ქეს აქეთ 1235. ბიბილა უკუე დაესახლა ქაშუ-  
რის ხეობასა შინა და უკანასკნელ დროსა მეფობისა კონსტანტი

ნესა მსახურებისათვის მიიღეს თავადობისა ხარისხი წელსა 1412<sup>1</sup> სა-  
შინა და იწოდენ ბიბლიურები ქვენაფლოველებად გუაჩიტა და იუ-  
ვენენ ნაიბად ერისთავთა და მართვიდნენ ადგილთა მათ შემდგომად  
რა მიიღო მეფობა სიმონ მეფისა ძმამან დაუთხანად წოდებულმან,  
ამან იმოყვრა ელიზბარ ქვენაფნოველი და დაუმტკიცა ერისთაობა  
განსამტკიცებლად თავისა თვისისა, წელსა ქეს აქეთ 1569 და მუ-  
ნითგან იწოდებიან გვარნი ამათნი ერისთავად.<sup>1</sup>

ამ ხელნაწერი ცნობის მიხედვით, ოსები-ორნი ძმანი, გვა-  
რათ გორჭიანები, რუსუდან დედოფლის დროს გადმოსახლდნენ და  
1235 წ. ქსნის ხეობაში დამკვიდრდნენ. 1412 წ. მათ თავადობა მიი-  
ღეს და ერისთავთა ნაიბების სახელწოდებით მართავდნენ ცალკე-  
ულ ადგილებს, ხოლო 1569 წ. დაუთხანმა თავის მოყვარე ელიზბარ  
ქვენაფნოველი ქსნის ერისთავად დაამტკიცა.

ჩვენს წინაშეა ორი, სხვადასხვა, ცნობა ერთი და იმავე საკით-  
ხის შესახებ. ისინი ორივე გარკვეული ტენდენციების გამომხატვე-  
ლები არიან და ისტორიულ სინამდვილეს თითოეული თავის ინ-  
ტერესების შესაბამისად გადმოგვცემენ. ამიტომაც მათი უკრიტი-  
კოდ გაზიარება არ შეიძლება.

პირველი, — ძეგლი ერისთავთა, საგვარეულო მატრიანეა და თავის  
გვარის განდიდების მიზნით მის გაერისთავებას ქსნის ხეობაში  
რუსტინიანე კეისრის დროსა (VI ს.) და პიროვნებას უკავშირებს.  
მაგრამ არც ერთი დამადასტურებელი საბუთი იმისი, რომ XIII ს-  
მდე ქსნის ერისთავები არსებობდნენ, არ მოიპოვება.

შედარებით სწორია მეორე ცნობა, რომელიც ოსთა ქსნის ხეობაში  
დასახლებას XIII ს. ათარილებს, მაგრამ იგი აშკარად ტენდენ-  
ციურად იქცევა ამ ოსთა შემდგომი ბედის გადმოცემის საქმეში. მი-  
სი გადმოცემით ისინი კერძო, შეუმჩნეველი პირები არიან, რომლებიც  
მხოლოდ XV ს. დასაწყისის იღებენ თავადობას და ერისთავთა

<sup>1</sup> აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილების  
S ფონდი, საბუთი 550. ეს საბუთი გამოქვეყნებული და გამოყენებული აქვს ის-  
ტორიკოს დ. გვრიტიშვილს მონოგრაფიაში „ფეოდალური საქართველოს სოცია-  
ლური ურთიერთობის ისტორიიდან“, სახელგამი, 1955 წ. საბუთი შედგენილი  
არის იოანე ბაგრატიონის მიერ 1799 წ.

მსახურებს წარმოადგენენ, ხოლო გვიან, XVI ს. მეორე ნახევარში, ისინი ერისთავობას აღწევენ. ვინ იყვნენ ერისთავებად 1569 წლამდე ქსნის ხეობაში, ამ ვარიანტის თანახმად ბნელით შეკვდილნი არიან<sup>1</sup> და, მაშინ როცა ქართული ძეგლები, რომ აღარაფერად ვთქვამთ ერისთავთა საგვარეულო მატრიანზე, ქსნის ხეობაში XIII-XIV ს. ს. ბიბლიურ-ქვენათნოველთა ერისთავობას აღიარებენ<sup>1</sup>.

„ძეგლი ერისთავთა“-ს მიხედვით, ბიბლიურები ერთბაშად ხდებიან ხეობის ერისთავებად, იოანე ბაგრატიონის ცნობა კი მათ დასახლებასა და გაერისთავებას შორის 334 წელს ანგარიშობს. ამასთან მათი აღზევება საფეხურებად მიდის და ეს მათდამი ბაგრატიონთა მოწყალე დამოკიდებულების შედეგად მიაჩნია.

ამრიგად, ეს მეორე ცნობაც აშკარად ტენდენციურია. იგი გამოხატავს ქსნის ერისთავთა მიმართ სამეფო კარის თვალსაზრისს, რომელიც აშკარად მტრული იყო მთელი XVIII ს. განმავლობაში. ერეკლემ ქსნის საერისთავო გააუქმა და ბატონიშვილებს დაურიგა. ამ ამბების უშუალო შედეგი ის იყო, რომ სამეფო კარზე შედგენილ ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორიაში ქსნის ერისთავთა ისტორიამ ისეთი ასახვა ჰპოვა, რითაც მათი აღზევება-გაერისთავება მთლიანად ბაგრატიონთა დინასტიის წყალობად იყო წარმოდგენილი ოსეთიდან გადმოსულ ბიბლიურთა მიმართ, მას არ ჰქონია ის სიძველე, რასაც ისინი თავის გვარს აწერდნენ და, ამდენად, თუ

<sup>1</sup> არსებობს ქსნის და არაგვის ერისთავთა წარმოშობის შესახებ სხვა გადმოცემა. ამ გადმოცემის თანახმად, ქსნის და არაგვის ხეობათა მოსახლეობა წმ. გიორგის დღესასწაულს ერთად იხდიდა რომელიღაც მთის მწვერვალზე, ამ ხეობებს რომ ჰყოფდა. მათ განუწყვეტელი დავა ჰქონდათ ამ დღეობაში თავის ადგილისა და უფლებების გამო, რომელიც ყოველწლიურად სისხლისღვრაში გადადიოდა. ერთ-ერთ დღესასწაულზე იმყოფებოდა ორი ძმა — ოსი თავადები გვარად დუღარუკოვები, რომლებმაც ორი ხეობის მოსახლეობა შეარაგეს და ზავის პირობები დაუდგინეს. მადლობის ნიშნად ძმებიდან როსტომი ქსნის, ხოლო სიდამონი არაგვის ხეობათა მამასახლისებად მიიწვიეს, საქართველოს მეფემ კი, მხედველობაში მიიღო რა მათი დამსახურება და ჩამომავლობა, ისინი ერისთავებად გაიხადა.

სამეფო ხელისუფლება მათზე უკმაყოფილო იქნებოდა, შეეძლო ყველაფერი ჩამოერთმია მათთვის.

ქართული

ამ ამბებზე შეჩერებისას ჩვენთვის საინტერესოა ქსნის ერისთავები თავის წარმომობას ოსთავან იღებენ და ოსები არიან, არამედ ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსულ ოსთა მდგომარეობას გვიხასიათებს. ოსები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქსნის ერისთავებს, XIII ს. პირველ ნახევარში გადმოვიდნენ მცირერიცხოვანი ჯგუფის სახით, შინაგან არეულობის გამო. ისინი პატივით იქნენ მიღებული და, ბოლოს, ხეობის მმართველობის სადავეებიც ჩაიგდეს ხელში.

ქსნის ერისთავები თავიდანვე დვალებისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი. ეს აიხსნებოდა დვალების თავისუფლებისმოყვარეობით, ერისთავებისადმი ურჩობაში რომ ვლინდებოდა. როცა XIII ს. ბოლოს აღმოსავლეთ საქართველოში სამეფო ტახტის გარშემო ბრძოლა გაიმართა დავით VI და ვახტანგ შორის, შალვა ერისთავმა ააოხრა დვალეთი და თრუსოდან აჩაბეთამდე არსებული ციხეები დაანგრია. შალვიერმა ვახტანგმა მას „მიუბოძა თრუსუი, ლუდა და სხვა ადგილები“. განდიდებულმა შალვამ ცოლად მოიყვანა ოსთა მეფის ასული შირდი.<sup>1</sup>

აღნიშნულ პერიოდში ქსნის ერისთავებსა და დვალებს შორის ურთიერთობა მწვავედბა. დვალები აოხრებენ საერისთავოს ტერიტორიებს, იტაცებენ საქონელს. ჟამური მათი თავდასხმების ობიექტად იქცევა. „ჟამურს მოუხდეს ყოველნი დვალნი. მაშინ ბრძოლა უყვეს ჟამურელთა და იყუნეს ბეგრის მკრეფელნი ცხრაზმელნი და მოვიდნეს იგიცა და ვითარცა ესმა დვალთა მისლვაჲ ცხრაზმელთაჲ, ზარი დაეცა და გაიქცეს და შეიხუეწეს ციხეთა ქნოლოდსათა“. ქნოლოელები დვალთათვის თავშესაფარის მიცემის გამო სასტიკად ისჯებიან,<sup>2</sup> მაგრამ სასტიკი ზომების მიუხედავად დვალთა თავდასხმები არ წყდება. მათ წაასხეს „ხუასდაგი ჟამურით“, „ლუდით ზროხაჲ“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ძეგლი ერისთავთა, გვ. 348.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 353.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 353, 355.



ამ მოვლენათა შუქზე ცხადი ხდება, რომ შალვა ერისთავის მიერ ოსთა მეფის ასულის, — შირდის, შერთვა გარკვეულ პოლიტიკურ ანგარიშს ემყარებოდა. ამ დაქორწინებით იგი ფიქრობდა თავის პოზიციების გამაგრებას დვალებთან ბრძოლაში. უნაა, საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა ვადმოსახლების პროცესის გააქტიურების ხანა. ოსები ამ მოძრაობის გზაზე, ბუნებრივია, დვალებს ვერ ასცდებოდნენ, ისინი კი ოსთა მოწოდების გამო თითონაც იწყებდნენ ქართლის რაიონებისაკენ მოძრაობას, განსაკუთრებით კი ქსნის საერისთაოს ტერიტორიაზე. დვალებს მხოლოდ ნადავლი კი არ აინტერესებდათ, როცა საერისთაოს ცალკეულ ნაწილებს ესმოდნენ, არამედ დასასახლებელი ტერიტორია, ისევე როგორც ოსებს. მაგრამ რაკი ერისთავისადმი ურჩობის გზას ადგნენ, იგი მათ სასტიკად უსწორდებოდა, ხოლო მისი მეხოტბე ისტორიკოსი ამ სისასტიკის გასამართლებლად დვალთა მოქმედებას მტაცებლობად ნათლავდა.

დვალებს ადგილზე მხარდამჭერი ძალა ჰყავდათ ქნოლოელების სახით. რას უნდა აეძულებინა ქნოლოელები დვალთათვის მხარი დაეჭირათ, მაშინაც კი, როცა ეს ერისთავთა მხრივ სასტიკ სასჯელს იწვევდა? — ერისთავთა მხრივ სასტიკ ფეოდალურ ექსპლოატაციას. მისი ბეგრის ამკრეფი რაზმი დაუნდობლად ართმევს ყველაფერს მოსახლეობას. მოსახლეობა წინააღმდეგობას უწევს მათ, ამიტომაცაა ეს რაზმი მრავალრიცხოვანი და შეიარაღებული. ძეგლის ეს ცნობები ქართლის მთიანეთში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებისა და საერთო მდგომარეობის დახასიათებისათვის კარგ მასალას იძლევიან.

ქსნის საერისთაოზე თავდასხმებში დვალთა ყველა თემები მონაწილეობენ, ერისთავმა ამის გამო „თლე (თლი — გ. თ.) ბიბილურთაჲ“ და წერლუე ააოხრა. ვირშელ ერისთავი დვალთა დამორჩილებასა და მოხარკედ ქცევას ცდილობს: „ავაოხროთ ქუეყანაჲ მათი ანუ შევქმნეთ მსახურ და მობეგრედ ჩუენდა“<sup>1</sup>. მან ილაშქრა კიდეც. „ესმა ქუემო დვალთა კოშკელ-იოსებურთა, თლეველ-მულისველელთა, ზღუბერელ-როკაელთა. შეძრწუნდეს და მოუსხეს

<sup>1</sup> ძეგლი ერისთავთა, გვ. 356.

მძევლები, ძღვენი და ბეგარი და ფიცით აღუთქმეს ერთგულად მსახურებაჲ<sup>1</sup>.

მათ შემდეგ მალრან-ღვალებს მიადგა ერისთავი ბრუტას შვილნი და კელეურ-კაბუშურნი და ყოველნი წუბენის ხეველნი, ხოჯაელ-წაელნი მძევლითა, ბეგარითა და ძღვენისა სიმრავლითა. და მოიმტყიცნა ფიცითა და აღუთქმეს ერთგულად მონებაჲ<sup>2</sup>.

აქედან ერისთავი თრუსოს ჩავიდა. „მოეგებნეს თრუსოელნი მრავლითა ძღვენითა და ერთგულებისა ჩვენებითა და ვევედრეს მტერთა ზედა მათდა მნას“. მნაველთ ებრძანათ ერისთავის წინაშე მორჩილებით გამოცხადება, მაგრამ მათ უარი შემოუთვალეს. სასტიკი ბრძოლა მოხდა, „რამეთუ კაცი იგინი იყუნეს მარჯუელ მბრძოლნი, მხნენი და გოლიათნი და აბჯარსრულნი... მაშინ მოიკლეს სიმრავლითა ისართაჲთა თავნი და გოლიათნი ქუეყანისა მათისანი: სუნლუ, ფარეჯან, ამსაჯან, ბალათარ და სხუანი მრავალნი“<sup>3</sup>.

ძეგლის უკანასკნელი ცნობა ძალზე საყურადღებოა. თრუსოელების სამოსახლო ტერიტორიაჲ, მაგრამ XIV ს. დასაწყისისათვის მათთან აღწევენ ოსები და ნაწილობრივ მკვიდრდებიან თრუსოში, კერძოდ კი მნაში. ღვალებს მათთან საადგილმამულო ნიადგზე ბრძოლა დაუწყიათ, მაგრამ ამ ბრძოლაში ისინი უძლურნი იყვნენ. ერისთავის დახმარებით ისინი აპარცხებენ მათ და საერისთაოს მორჩილებაში აქცევენ. ძეგლი მნაველთა ეთნიკურ კუთვნილებაზე სიტყვას არ სძრავს, მაგრამ მასში დაცულ ონომასტიკურ მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (ფარეჯან, ამსაჯან, სუნლუ, ბალათარ), ცხადი ვახდება, რომ ისინი ოსები არიან.

ერისთავის მიერ ღვალთა დამორჩილების მიუხედავად უკანასკნელთ არ შეუწყვეტიათ ბრძოლა ფეოდალური უღლის გადასაგდებად, მაგრამ ერისთავს სამეფო ხელისუფლების მხარდაჭერით ყოველთვის დარბევა-აოხრებებით გაუცია პასუხი მათთვის. მაგალითად, გიორგი ბაგრატის ძემ XIV ს. გაილაშქრა ღვალეებზე ერის-

1 ძეგლი ერისთავთა, გვ. 357.  
2 იქვე, გვ. 357.  
3 იქვე, გვ. 357.

თავისადმი მათი წინააღმდეგობის გამო, შევიდა მათ ქვეყანაში ან-  
ბეთის გზით (დიდი ლიახვის ხეობით) და „იწყო ტყუენება და ოხ-  
რება მათი“<sup>1</sup>.

მთელი შემოხსენებული ფაქტები ნათლად იხსენიებულია  
XIII-XIV ს. ს. კავკასიის მთიანეთში დიდი არეულობის არსებობას.  
ეს მთიანეთში ფეოდალურ ურთიერთობათა შეჭრის შედეგი კი არაა  
მხოლოდ, არამედ იმ პოლიტიკური ვითარებისა, რაც საქართველო-  
სა და ჩრდილო კავკასიაში მონღოლთა ბატონობის შედეგად შე-  
იქმნა.

ჩრდილო კავკასიის ველებზე მონღოლთაგან განადგურებული  
ოსები მთას შემოეხიზნენ, აქედან კი მთის ზოლის მეურნეობის  
თავისებურების გამო სამხრეთით დაეშვნენ, დვალეთის ტერიტო-  
რიის გამოვლით, რომელიც გადაჭიმული იყო თრუსოს ხეობიდან  
(აღმოსავლეთიდან) რაჭის საზღვრებამდე (დასავლეთით), კასარის  
ხეობიდან (ჩრდილოეთიდან) დიდი ლიახვის შემოწელამდე (სამხ-  
რეთით).

დვალეთი საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა. ვახუშტის  
მიხედვით „დვალეთი განიყოფის ხევებად: კასრის-ხევედ, ზრამაგად,  
ქლეღედ, ნარად, ზროგოდ და ზახად“. ეს ტერიტორია კავკასიის  
მთავარი ქედისა და პირიქითელ ქედს შუაა მოთავსებული, მდ. არ-  
დონის სათავეს მიდამოებში, ე. წ. ნარ-მამისონის ტაფობში, სადაც  
ერთდება ვახუშტის მიერ ჩამოთვლილი პატარა ხეობები და ქმნიან  
საკმაოდ დიდ მთის მდინარე არდონს სოფ. ქვემო ზარამაგთან. სოფ.  
ზარამაგთან იწყება და ჩრდილოეთით მიიშართება კასარის ხეობა,  
რომელსაც ვახუშტი კასრის-ხევს უწოდებს.

კასარის ხეობის მიდამოებში ოსეთ-საქართველოს საზღვრის  
თაობაზე შემოთ გვექონდა საუბარი, ამჯერად მასზე სიტყვას აღარ  
გავაგრძელებთ. მაგრამ დვალეთის ტერიტორიის შემოფარგვლა  
ჩამოთვლილი ხეობებით სწორი არ იქნებოდა. მასში შედის ქვემო  
დვალეთი, რომელიც „ძველი ერისთავთა“ ცნობით, მოიცავს კომ-  
კას, თლის, მუღისველს, ზღუბერს (თანამედროვე ზღუბერი), როკას  
(ყველა ესენი დიდი ლიახვის შემო დინებაზეა). დვალეთშივე შედის

<sup>1</sup> ძველი ერისთავთა, გვ. 361.

ს. ლრან-დვალეთი, რომელიც, იმავე ძეგლის ცნობებით, შემდეგი თემებისაგან შედგება: სოსხოას, წუბენისხევის, ხოჯას, მალრან-დვალეთი თრუსოს ხეობის სათავედან იწყებულ მთაწვეთ კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებს სოსხოას მთამდე (დიდი ლიახვის ხეობის სათავეში), სამხრეთით ესაზღვრება მთიულეთს (ხადას, ცხაოტს), ჩრდილოეთით კი დვალეთსა და ოსეთს. დვალეთშივე შედიოდა თრუსოს ხეობაც.

ვახუშტის საკუთრად დვალეთად მიაჩნდა ზემოთ ჩამოთვლილი ხეობები და მალრან—დვალეთი. რაც შეეხება დიდი და პატარა ლიახვის, ქსნის ხევისა და კუდაროს მოსახლეობას, ისინი არიან „დვალნივე; ამ დვალეთიდან გარდასულნი, რჭულითა, წესითა და ზნითა ერთნი, და დღესაც მონათესავენი ურთიერთთა“<sup>1</sup>.

ამრიგად, მონღოლთაგან იმიერკავკასიის ველებზე განადგურებული ოსები სხვადასხვა მიმართულებით იფანტებიან. ოსთა ძირითადი ნაწილი შემოდის მთებში, იქიდან კი დვალეთის ტერიტორიაზე, საიდანაც დვალეთთან ერთად ქართლის ბარისაკენ მოიწევენ. ოსთა გადმოსვლა ძირითადად არდოხის ხეობით—როკის უღელტეხილით ხდება. სწორედ ამ გზის დასასრულს (სამხრეთ ოსეთსა და გორ-ქარგლის რაიონებში) გაიშალა ძირითადი ოპერაციები. ოსთა სამხრეთით მოძრაობისას მამისონის უღელტეხილი არ გამოყენებულა, რაც იმის შედეგი იყო, რომ მონღოლთაგან შედარებით მოსვენებულ დასავლეთ საქართველოს ფეოდალურ წრეებს საკმაოდ ალა გააჩნდათ გზის დასაცავად. რომ ამ გზის გამოყენებისაკენ მიმართული ცდებიც უნდა ყოფილიყო, ამას შეიძლება მოწმობდეს რაჭულ ხალხურ სიტყვიერებაში დაცული ერთი ლექსი, რომლის თანახმად: „უღელეს ჩამოდგა დიდი ლაშქარი, დიდი ლაშქარი ოვსიდა დვალთ“<sup>2</sup>.

XIV საუკუნისათვის ქსნის ერისთავთა ქრონიკის ცნობით, დვალთა მთელი რიგი თემებისა ერისთავებმა მორჩილებაში მოიყვანეს. ამ დვალეებში ოსებს უკვე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ. მე-

<sup>1</sup> აღწერა..., გვ. 115.

<sup>2</sup> შ. ძიძიგური, ძებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბილისი, 1954 წ., გვ. 251.

მატიანე მათ არ იხსენებს, მაგრამ თრუსოში გაშლილ ამბებთან და-  
კავშირებით მის მიერ მოცემული ონომასტიკური მასალა, აგრეთვე  
თლიში ბიბლიურების (ოსური წარმოშობის) მოსახლეობის დადას-  
ტურება ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ერისთავთ-ცხოვრება-ქრ-  
თიერთქიდილი ოსთა მონაწილეობით მიმდინარეობდა. მათქმულსა-  
ფერს ვიტყვი იმაზე, რომ დვალთა ამოძრავებას უშუალო ბიძგი  
ოსთა ტალღების გამოჩენამ მისცა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა მიწათმფლობელთა კლას-  
მა — ფეოდალებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ოსებს  
ქართლის რაიონებში დასახლების საქმეში, მათ მაინც შექმნილი  
საერთო მდგომარეობის ხელსაყრელობის გამო (შინაური არეუ-  
ლობა საქართველოში, ქართველი მშრომელი მოსახლეობის კეთილ-  
განწყობილება ოსთადმი) მოახერხეს აქ დაშველრება. უამთა-  
ალმწერლის ცნობით, ოსებს ქართლში ეკავათ რიგი ციხეები და და-  
ბები, რომლებიც გიორგი ბრწყინვალემ წაართვა მათ. „მეფემან  
განასხნა ძლიერებითა თვისითა, და წარუხუნა ციხენი და დაბნები.  
მერმე შევიდა და შემუსრნა კაგკასსა შინა მყოფნი, ურჩნი მოსრნა  
და დაიმორჩილნა. მოხარკე ჰყუნა ყოველნი იგი, და დაამშვიდა  
ქართლი (ქართველი ფეოდალები — გ. თ.) ოგსთაგან, ვინაიდან გზა-  
ნი ყოველნი თვთ დაიპყრნა“<sup>1</sup>.

ქართველი მწარმოებელი საზოგადოების ფართო ფენები გარკ-  
ვეულ ხანს თანაუგრძობდნენ ქართლის რაიონებში მოქმედ ოსებს,  
რომელთა მახვილი მიმართული იყო მათთვის საძულველი ფეოდა-  
ლების წინააღმდეგ. გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროისათვის  
აღდგენილ იქნა ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობა, დასუსტდა მონ-  
ღოლთა ბატონობის მძიმე უღელი და ქვეყნად მშვიდობიანი ცხოვ-  
რების პირობები შეიქმნა. ასეთ ვითარებაში ქართლში ოსთა შემდ-  
გომი მოქმედება ახალ-ახალი მიწების ხელში ჩასაგდებად ქართვე-  
ლი მწარმოებელი საზოგადოებისათვის სამძიმო შეიქმნა და მანაც  
თავისი დამოკიდებულება ოსთადმი შეცვალა. ეს გარემოება გამოი-  
ყენა გიორგი V და ქართული ფეოდალური მიწის მფლობელობის

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოც., გვ. 448.

აღდგენისა და ცენტრალური ხელისუფლებისადმი ოსთა დამორჩილების რეალური ამოცანა დაისახა.

გიორგი ბრწყინვალეს (1314-1346) ღონისძიებათა შედეგად საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოსადმი ოსების დამორჩილება. ამ ღონისძიებებს შედეგად არ მოჰყოლია ოსთა განდევნა საქართველოს ტერიტორიიდან და ოსეთში გაძევება, როგორც ეს წარმოდგენილი ჰქონდათ ზ. კიკიხაძეს<sup>1</sup>, ურბნელს (ხიზანი-შვილს)<sup>2</sup> და სხვ. მოყვანილი ცნობიდან ნათლად გამოძინარეობს, რომ გიორგიმ მათ ციხე-სიმაგრეები წაართვა, ურჩებს სასტიკად მოექცა, სხვები კი დაიმორჩილა და ხარკი დააკისრა. რაც შეეხება გადმოსავალ ვხების თავის ხელში აღებას, მისი მიზანიც ნათელია, — ოსთა ახალი ტალღების გადმოსვლისათვის ხელის შეშლა, რომ უკვე დამორჩილებულთაც კვლავ ფეოდალების მიმართ არ წარემართათ მახვილი.

გიორგი ბრწყინვალეს სამხედრო ღონისძიებათა შედეგად ოსთა ძირითადი მასა შეჩერებულ იქნა ყოფილი დვალეთის ტერიტორიაზე, დიდი ლიახვის ხეობის სათავეებში, აგრეთვე ნარ-მამისონის ტაფობში. ამ ადგილებში მცხოვრები დვალეები ასიმილირდებიან ოსთაგან და თანდათან თავის ეთნიკურ ინდივიდუალობას კარგავენ. ისინი ოსურ ენას ითვისებენ და მათი ენა — დვალური დავიწყებას ეძლევა. ამის მიუხედავად სახელწოდება „დვალი“ არ გამქრალა. იგი დარჩა „თუალთა“ ფორმით და ყოფილი დვალეთის ტერიტორიაზე დამკვიდრებულ ოსთა სახელწოდებად იქცა. ასე უწოდებენ ამ ადგილების მოსახლეობას დღესაც ჩრდილო ოსეთში. მალრან-დვალეთის ძველი სახელწოდებაც შემორჩა „მალრანდოლეთის“ ფორმით.

ქართლის მთიანეთში წარმოებული ბრძოლა მოსული ოსების გამარჯვებით დამთავრდა. ამ გარემოებას მოჰყვა საქართველოს მთიანეთში ძველ ურთიერთობათა რღვევა და ახალი სამართალობრივ-ადმინისტრაციული ნორმების დაწესების აუცილებლობა. ეს,

<sup>1</sup> ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და ღვაწლი მათზე, გვ. 6.

<sup>2</sup> გიორგი ბრწყინვალე მეფე საქართველოსი, ტფილისი, 1889 წელი, გვ. 75-76.

მით უმეტეს, საქირო იყო იმიტომაც, რომ საქართველოს ბარისაგან  
ოსებს გარდა სხვა მთიელი ტომებიც მოიწვედნენ. ისინი სარგებ-  
ლობდნენ შინაური აწლილობით, მეფის ხელისუფლებას სისუსტით  
და ბარის (ფეოდალიზმის სიმბოლო მთიელებისათვის) დაუპყრობეს  
თავიდან მოცილებას ფიქრობდნენ.

ამიტომ იყო, რომ „კვალად განიხილა მეფემან მთიულთა და  
კავკასთა საქმენი, რამეთუ მრავალნი უჯერთნი იქნებოდნენ: შე-  
მოიკრიბნა სპანი, შევიდა და დაიმორჩილნა ყოველნი უმეტეს პირ-  
ველისა, კავკასსა შინა მყოფნი.“ მათი თავკაცები მოიყვანა თბილის-  
ში „და განუჩინა მათ სამართალი, და წესნი დაუსხნა წიგნითა, რათა  
პყოფდნენ წადმართ ეგრეთ“<sup>1</sup>.

როგორც ჩანს, ოსთა საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახ-  
ლება განკერძოებული მოვლენა არაა და ასეთივე პროცესები კავ-  
კასიის მთიანეთის სხვა ტომთაგანაც მომდინარეობდა, თუმცა ისინი  
შედარებით მცირე მასშტაბისა იყვნენ.

გიორგი ბრწყინვალის მეფობის ეპოქა (XIV ს. პირველი ნახე-  
ვარი) გადმოსახლებული ოსები საქართველოს სახელმწიფოში შე-  
ვიდნენ. ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი  
ოსური მოსახლეობა შეიქმნა, მაგრამ ოსთა შემდგომი გადმოსახლე-  
ობის პროცესი არც შემდეგში შეწყვეტილა. ამიერიდან ოსები ჩრდ-  
ლო კავკასიიდან კი აღარ გადმოდიან ქართლის ბარში, არამედ სა-  
ქართველოს მთიანეთის რაიონებიდან.

საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა დასახლებით ქართველ-  
ოსთა ურთიერთობაში ახალი ფურცელი გადაიშალა. ოსები XIV ს.  
ოფიციალურად ქართველ მეფეთა ქვეშევრდომები არიან. ბ. ეგნა-  
ტაშვილის ცნობით, ბაგრატ მეფე თემურლენგს უცხადებს: „აწ მო-  
მეც სიმრავლენი სპათა თქუენთანი, და მე წარვალ თემთა და სამე-  
ფოთა ჩემთა საქართველოსა, და მოვნადო კაცთა მყოფთა მთის აღ-  
გილისათა: მთიულთა, ოსთა, დვალთა, სვანთა, აფხაზთა“<sup>2</sup>. სომეხი  
მწერალი თომა მეწობელი ოსებს „ქართველთა სახლში“ — ქართულ  
ეროვნულ-პოლიტიკურ და კულტურულ გაერთიანებაში შემავალ

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოც., გვ. 449.

<sup>2</sup> ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 11-12.

ხალხად თვლის ქართველს, იმერლების და სხვათა გვერდით. სხვა-  
თადვე მიაჩნია დევლებიც<sup>1</sup>.

ამრიგად, XIII-XIV ს. ს. საქართველოს ტერიტორიაზე შექმნი-  
ნა კომპაქტური ოსური მოსახლეობა, საფუძველი მისი  
მედროვე სამხრეთ ოსურ მოსახლეობას. სამხრეთ ოსთა ისტორიუ-  
ლი ბედი ამიერიდან მჭიდროდ გადაეხლართა ქართველი ხალხის  
ბედს, მისი ჭირისა და ლხინის თანაზიარი გახდა. მათი ისტორიული  
ბედის ერთობა განაპირობებდა მათ მხარდამხარ გმირულ ბრძოლას  
უცხოელ დამპყრობლებთან. უკვე XIV ს. დამლევს ქართველმა და  
ოსმა ხალხებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს თე-  
მურლენგის ურდოებს. მძვინვარე დამპყრობელმა დაუნდობლად  
ააოხრა არამართ საქართველოს რიგი რაიონებისა, არამედ ოსეთი-  
არც ამის შემდეგ შეწყვეტილა ქართველი და ოსი ხალხის საერთო  
ძალებით გამოსვლა გარეშე მტრების წინააღმდეგ. ქვეყნის შიგნით  
იგი გამოხატულებას პოულობდა ამ ხალხების შშრომელი მასების  
მხარდამხარ ბრძოლაში ფეოდალური ექსპლოატაციის უღლის და-  
სამზობად.

#### § 4. საქართველო-ოსეთის კულტურული ურთიერთობა

(XI-XIV ს. ს.)

XI ს.-დან დაწყებულ საქართველო-ოსეთის ურთიერთობა  
ახალ, მაღალ საფეხურზე ადის. საქართველოს ფეოდალური მონ-  
არქიის ჩამოყალიბების დროიდან იწყება მეზობელ ხალხებზე პო-  
ლიტიკური და კულტურული გავლენის გავრცელების პოლიტიკის  
გატარება. თვით ოსეთშიც ამ დროიდან არსებობს სახელმწიფო,  
რომელიც თავის მხრივ საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობის  
დამყარებისაკენ მიისწრაფვის. პოლიტიკურ-ეკონომიურ ურთიერ-  
ობათა გაფართოებამ ამ ორ მეზობელ ხალხს შორის კულტურული  
თანამშრომლობის გასაშლელად ფართო ასპარეზი შექმნა.

<sup>1</sup> საქართველოს ისტორია, I, 1946 წ. თბილისი, გვ. 11.



X ს.-ში ოსეთში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად იქცა მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა, რომ მისი გავრცელების სფერო საყოველთაო იყო. საქართველო-ოსეთის ურთიერთობებში შემდგომ პერიოდში სწარმოებდა სათანადო ლოკალიზაციას რეზიდაციის მისი შემდგომი განმტკიცებისათვის. საქართველომ (ყერძოდ დასავლეთ საქართველომ) დიდი როლი შეასრულა ოსთა მიერ ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების საქმეში, ხოლო შემდგომ პერიოდში ინიციატივა ამ მიმართულებით მთლიანად და სავსებით გაერთიანებული საქართველოს სამეფოს ხელში გადავიდა.

ოსთა გაქრისტიანების პირველ საფეხურზე ბიზანტიის ცბიერმა დიპლომატიამ მოახერხა მათი თავის რელიგიურ გავლენაში მოქცევა, შეიტანა რა იგი საპატრიარქოს ეპარქიათა სიაში ჯერ საარქიეპისკოპოსოს, შემდეგ სამიტროპოლიტოს რანგით. კონსტანტინოპოლიდან იგზავნებოდნენ ეპისკოპოს-მიტროპოლიტები, რომლებიც ბიზანტიის სახელმწიფოს ინტერესებს განასახიერებდნენ.

ბიზანტიის რელიგიური გავლენის სფეროში ოსთა მოქცევა შეუძლებელი იყო საქართველოს წინააღმდეგობის გარეშე მომხდარიყო. მაგრამ X ს. დასაწყისისთვის საქართველოს გაერთიანების პროცესის დაუმთავრებლობამ წარმატება ბერძნებს არგუნა. ბრძოლა ოსეთზე გავლენის დამყარებისათვის არც შემდეგში შეწყვეტილა და გაგრძელდა.

დინასტიური ქორწინებანი საქართველოსა და ოსეთის მმართველ წრეებს შორის მათი კულტურული დაახლოების დიდ შესაძლებლობებს ქმნიდა. გიორგი I (1014-1027), ბაგრატ IV (1027-1072), გიორგი III (1156-1184) დაქორწინებული იყვნენ ოსეთის მეფეთა ასულებზე. დავით აღმაშენებლის ქალი რუსუდანია ოსთა მეფეზე იყო გათხოვილი, თვით თამარი კი ბაგრატიონთა სახლის შვილზე, ოსეთის უფლისწულ დავით სოსლანზე დაქორწინდა. XI საუკუნიდან ბაგრატიონთა წარმომადგენელი ოსეთის სამეფო ტახტზე არის. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ოსეთის ფეოდალური ხედაფენები კულტურული განვითარების თვალსაზრისით იმ დონეზე იდგნენ, რომ წინა აზიის იმდროინდელი უძლიერესი სახელმწიფოს პოლიტიკურ მესვეურებს მათთან ნათესაური კავშირის დამყარება სასურველ და შესაძლებელ გარემოებად მიაჩნდათ. იგივე

ფაქტები იწვევდა ქართველი და ოსი ხალხის წარმომადგენელთა მისვლა-მოსვლის გაფართოებას მზღებელთა, ელჩობათა და სხვ. სახით, რაც მათ საშუალებას აძლევდა უშუალოდ გასწავლობათ ერთმანეთის ცხოვრებას, ურთიერთ კულტურულ მისწვემას, რაც კულტურულ ურთიერთობათა დამყარების გზაზე პირველი ნაბიჯია.

ოსეთის მეფის ასულები საქართველოში ვადედოფლების შემდეგ ხელს უწყობდნენ თავის სამშობლოსთან კავშირის განმტკიცებას. საქართველოს საეფთოში ისინი ქრისტიანობის მფარველების როლში გვევლინებიან. ბაგრატ IV-ის მეუღლე ბორენა თავის ქალ მართასთან (ბიზანტიის იმპერატორის მეუღლესთან) ერთად ცხოვრობდა როგორც პალესტინაში არსებული მონასტრის კაპაათას აშენებელი<sup>1</sup>. ბორენა ცნობილია სვანეთში, ლენჯერის საზოგადოებაში, მაცხოვრის ეკლესიის ღვთისმშობლის ოქროქედილი ხატის წარწერისაგან, რომელიც იკითხება:

„რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი,  
პრჭუი რაჲ გაბრიელს: „ვარ უფლისა მხევალი“.  
მაშინ ისტუმრე, ქუეყნად მოუვალი,  
დაემხო ძალი, პირველვე სისხლ დამთრალი.  
ქალწულო მიხსენ ბორენა ჭირმრავალი“<sup>2</sup>.

ქართული ისტორიული წყაროებით გიორგი მესამის მეუღლე, თამარის დედა ბურდუხანი ფიზიკური და ხეობრივი სილამაზის განსაზღვრება ყოფილა. იგი „ჰმატდა სიკეთითა ყოველთა დედათა.. მისებრი რძალი არ ეხილვა ქართლისა თემსა“<sup>3</sup>...

ბურდუხან დედოფალი იხსენება ხობის მონასტრის ღვთისმშობლის ხატის არშიის ასომთავრულ წარწერაში, მასვე იხსენებს ნიკოლოზ კათალიკოზი წერილში, რომლის მიხედვით „საყდრისა მის (რუისისა) ზრუნვა და საურავი ხელს ეყო დედოფალსა ბურდუხანს“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, 1941 წ. გვ. 96.

<sup>2</sup> ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წ. პარიზი, 1937 წ. გვ. 316.

<sup>3</sup> ქვა, ბროსეს გამოცემა, გვ. 265.

<sup>4</sup> თ. ყორღანია, ქრონიკები, ტფილისი, 1892 წ., 1, გვ. 268.

საქართველოს ეს ქრისტეს მმოსავი დედოფლები, ბუნებრივი, არც თავის სამშობლოს ივიწყებდნენ. ზ. ჭიჭინაძე ბურდუხანის შესახებ აღნიშნავს: „ბურდუხანი დიდი საძირკველი ქრისტიანობის მეფეთა ოჯახში ხშირად გადმოდიოდნენ ოსეთში წარჩინებულ ოჯახთა ქალები და ბურდუხანისაგან წერა-კითხვას, ოქროთ ქსოვას-ქარგვას სწავლობდნენ... ბურდუხანმა იზრუნა და ოსეთში ერთს მონასტერში გახსნა დედათა სასწავლებელი, სადაც ხშირად... დაბრძანდებოდა და მოწესე ოსთა მოლოზნებს თვით სწვრთნიდა წერა-კითხვასა და სამლო წერილში“...<sup>1</sup> მართალია, ზ. ჭიჭინაძის აღნიშნული ცნობა ისტორიული წყაროების ცნობებით არ დასტურდება. მაგრამ მასში შეუძლებელი არაფერია.

ზ. ჭიჭინაძეს აღნიშნული აქვს ქართველ მეფეთა—ბაგრატ IV და დავით აღმაშენებლის დიდი ზრუნვა ოსთა კულტურული დაწინაურების საქმეზე. ბაგრატმა ოსებს „მრავლად გაუხსნა სხვადასხვა სახის სკოლები, მასწავლებლებად დაუნიშნა ქართველნი და ბერძენნიც“. შიო მღვიმის სასწავლებელში, ბაგრატის ღონისძიებითა შედგად, მზადდებოდა კადრები ოსეთის ეკლესიისათვის. მათ ნიჭიერი აკურთხებდა სამღვდლო პირებად. შიო მღვიმე ოსთათვის იყო ის, რაც ათონი და ათინა ქართველთათვის<sup>2</sup>.

დავით აღმაშენებელი თავის მწიგნობართუხუცეს გიორგი ქუთხიდიელთან ერთად დაუღალავად ზრუნავდა ოსთა განათლებათვის. ოსეთში „ოსთა შეილებისათვის დააარსა სასწავლებლები, დაუწყო მათ აღზრდა და გამოწურთნა... რასაკვირველია, ქართულის მხედროულის და ხუცურის ასოებით იწერებოდა ყოველივე მაშინ“<sup>3</sup>.

როგორც არ უნდა იყოს გადაჭარბებული ზ. ჭიჭინაძის მოსაზრებანი, ერთი რამ მაინც ფაქტია: საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები მის შესვეურებს უკარნახებდა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან, მათ შორის ოსებთან ურთიერთობის გაფართოებას. ოსეთში რელიგიის განმტკიცებისაკენ მიმართული ღონის-

1. ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, გვ. 160.

2. იქვე, გვ. 137-138.

3. იქვე, გვ. 152.

ძიებანი სწორედ ამ მიზანს ისახავდა. ოსეთში სკოლების გახსნა და სხვ. მართლაც გადაჭარბებულა, მაგრამ სამღვდელო პირთა მისიონერული მუშაობის წარმოება, რასაც გარკვეული საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა, სრულიად უეჭველია. ოს. წარჩინებულთა შვილებს საქართველოში სწავლის მიღების დიდი შესაძლებლობა ჰქონდათ.

დავით სოსლანი საქართველოში აღიზარდა და „მწიგნობრობა-სა და მეცნიერებაშიც დიდად დაწინაურებული აღმოჩნდა“<sup>1</sup>.

ოსთა საქართველოს პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში ასეთ ფართო მონაწილეობას განსაზღვრავდა ურთიერთნდობისა და მეგობრული დახმარების სულისკვეთება, რაც მათ შორის საუკუნეების მანძილზე ურთიერთობამ წარმოქმნა. საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში დავით აღმაშენებლის დროისათვის შეიქმნა ისეთი ატმოსფერო, რომ ეროვნულ განსხვავებას საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის ხელშემშლელ გარემოებად არ თვლიდნენ. აკად. ივ. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ქართველების მაშინდელ მთელ სიძლიერეს ის შეადგენდა, რომ სამხედრო ძლევამოსილების გარდა, მათ, თავიანთ სახელმწიფოში სხვა ერთათვის ისეთი ხელშემწყობი პირობები შექმნეს, რომ ისინიც, როგორც მაგალითად სომხები, თვით მაჰმადიანნიც, ქართველთა მეთაურობით საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებისათვის და კეთილდღეობისათვის ქართველებთან ერთად თავგამოდებით იღვწოდნენ“<sup>2</sup>.

მაღალგანვითარებული ქართული ფეოდალური კულტურა, რომელმაც შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის პოეზია, ფილოსოფია და ხუროთმოძღვრება, თავიდანვე იზიდავდა მეზობელი ხალხების ყურადღებას. შოთა რუისთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ თარის ინტერნაციონალური ტენდენციით შედგეგია იმ საერთაშორისო ურთიერთობათა ფართო განვითარებისა, რაც მის შექმნის დროისათვის საქართველომ განასორციელა. საგნებით მართალია მკვლევარი ტ. სარიშვილი, როცა აღნიშნავს: „ქართული ენა და ქართული

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 261.

2 იქვე, გვ. 308.

წიგნები. ქართველთა კულტურული მონაპოვარი, პოეზია, ხელოვნება, ფილოსოფია და ისტორია, საყოფაცხოვრებო წესები და აღიზნებულებანი, უმთავრესად თავისი პროგრესული ხასიათისა და ნაარსობლივი მიმზიდველობის გამო, ძლიერი ეროვნული კარჩაკეტილობის ძველ ზღუდეებს და არა მარტო კავკასიელთა, არამედ ბევრი სხვა ხალხის შემოქმედებითი ინტერესის საგნად და მისი შესწავლის ობიექტად ხდებოდა<sup>1</sup>.

ქრისტიანობის მიღების დროიდან ქართული ეხა და კულტურა უფრო ძლიერად იჭრება ოსებში. ქრისტიანულ კულტთან დაკავშირებული ტერმინები ოსურში თითქმის ქართულია: ბუარ (ჯვარი), кьуыри (კვირა), таранджелос (მთავარანგელოზი), мархо (მარხვა), барысчы-барæскъæ (პარასკევი), микалгабуртæ (მიქელ-გაბრიელი), чырысти (ქრისტე), майрæм (მარიამი) და სხვა მრავალი<sup>2</sup>. წმინდა გიორგი (ოს. уастырджи), ილია წინასწარმეტყველი (ოს. уацилла) დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ოსებში, ისევე როგორც ქართველებში.

ქართულიდან ოსურში ათვისებულ იქნა მებაღეობა-მემოსტნეობის ტერმინები: კიტრი (джитри), ბოლოკი (булкы), ნორო (нуры), ბალი (бал) და სხვ. მატერიალური კულტურის ელემენტები: ფოცხი (поцхи), ტიკი (дичы), კაბა (къаба), წინდა (цъында), დროშა (тырыса), კირი (чыр), ხერხი (хырх), და სხვ.<sup>3</sup>.

ოსებზე, ქართული კულტურის დიდი გავლენის მიუხედავად, დიდი ჰქონდა პირუკუ გავლენასაც. პროფ. ვ. აბაევი ამ თვალსაზრისით ქართველ-ოსთა კულტურული ურთიერთობის ისტორიაში ორ ეტაპს განასხვავებს. პირველ ეტაპზე იგი ორმხრივი იყო, ორივე განიცდიდა ერთმანეთის გავლენას. მეორე პერიოდში ოსი ხალხის დასუსტების შედეგად ქართული გავლენა სქარბობს. პირველ პერიოდში ქართულმა ენამ ოსურიდან აითვისა რიგი სიტყ-

1 ტ. სარიშვილი, სკოლა და სახალხო განათლება რევოლუციამდელ ოსეთში, 1956 წ., თბილისი-სტალინბრი, გვ. 30.

2 В. Миллер, Осетинские зюды, ч. III, 1887 г., стр. 14; В. Абаев, Осетинский язык и фольклор, I, стр. 87.

3 Осетинский язык и фольклор, I, стр. 87.

ვები, მაგ.: შავი (ოს. сау), ბევრი (დიგ. беврае), ქუდი (ოს. худ), ლუდი (ოს. алутов), დოდი (ოს. душь), რომო (ოს. уарм), ხიდი (ოს. хид). ოსური სიტყვა „кадаг“ (ბილინა თქმულება) ქართულად „ქადაგის“ ფორმას ღებულადაა სიტყვა „кад“ ძირი кад იმავე მნიშვნელობით იხმარება ქართულად „სასი-ქად-ულო“<sup>1</sup>.

ოსების მიმდგომი ქართული მოსახლეობის მეტყველებაში ოსური ელემენტები მეტია. მთარაქულში ოსურიდან ნასესხებია ისეთი მნიშვნელოვანი ცნების გამომხატველი სიტყვა, როგორცაა ლაპარაკი, საუბარი, — ესაა ნახშობა. მენახშება (მესაუბრება), ვნახშობ (ვსაუბრობ), ვადენახშა (ვადესაუბრა) — ასეთი ფორმებით გვხვდება იგი. აქედანვეა წარმოებული სანახშო (ე. ი. სსსაუბრო ადგილი). ნახშობის მთელი ეს ფორმები ოსურ ნიხასიდან (ლაპარაკი, საუბარი), წარმოდგა. მთარაქული სახელწოდება — დუროიანი სახლი ოს. დურთან (ქვასთან) კავშირში უნდა იყოს. მთარაქაში კავის მხარის ნაწილს გვინოლს უწოდებენ ოსური გუინონის შესაბამისად. თალაყაური — ტყარპის ტყივილი ოსურ თალახ-ს (тәлпәх) შეესაბამება. რძეში გამომცხვარ პურს ან მჭადს მთარაქაში ჯიკას უწოდებენ, შდრ. (ოს. дзыкка). ოსურ ჟაიდაზე გამომცხვარ პურს იქ ქარჯინას (ოს. кәрдзын) უწოდებენ<sup>2</sup>. კავს (ოს. дзыбыр) მთარაქულში იზბირი ეწოდება, ლუდს-ალუდი (ოს. алутов)<sup>3</sup>. მთარაქულში არის ტობონომიკური სახელები, როგორცაა ვალდუქომუ, კარაგომ. ისინი რთული შედგენილი სახელებია, რომლებშიაც მოისმის დაბოლოება ქომ (გომ), რაც ოსურად ნიშნავს ხეობას<sup>4</sup>.

გარდა მთარაქულისა, ოსური ენა მეგრულ, აფხაზურ და საქართველოს მთიანეთის სხვა მოსახლეობის სალაპარაკო ენებთანაც აელენს საერთოს. ოსთა სახელწოდება „ალანი“ მეგრელებში დარ-

1 Осетинский язык, и фольклор, 1, стр. 86-87.

2 შ. ძიძიგური, ძივბანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 1954 წ., გვ. 252-253.

3 იქვე, გვ. 201.

4 იქვე, გვ. 206, 207.

ჩა როგორც „გმირის“, „ყოჩაღის“ აღმნიშვნელი ტერმინი<sup>1</sup>. ნეკლე-  
ლებში არსებობდა სპორტული შეჯიბრება „ალანურობის“ სახე-  
ლით, როცა ორი ახალგაზრდული ჯგუფი იბრძოდა ორი მოხუცის  
გარშემო<sup>2</sup>. ეს ფაქტი, ვ. აბაევის აზრით, მიუთითებს სპორტულ  
ხალ კონტაქტზე მეგრულ-ალანებს შორის რომელიმე კონტაქტის  
ეპოქაში<sup>3</sup>. ალანები ჩრდილო კავკასიაში, მდ. ყუბანის სათავეების  
ჩათვლით, ცხოვრობდნენ, ქლუხორის უღელტეხილის გადაღმა.  
მის გადმოღმა მეგრული ტომები ცხოვრობდნენ და კონტაქტიც  
აქედან ხორციელდებოდა მათ შორის. ალანები აღნიშნულ ადგილას  
მე-XIV ს. ცხოვრობდნენ, შემდეგ კი იქ ყარაჩაელი ტომები და-  
სახლდნენ. მეგრელები მათაც ალანების სახელით იცნობენ. ვ. აბა-  
ევმა ოსურ ენაში მეგრული ელემენტების გავრცელების 11 მაგა-  
ლითი მოიყვანა, რომელთაგან არც ერთი XIV ს-ზე გვიან ოსეთში  
ვერ მოხვდებოდა. რადგან უშუალოდ აღარ ემეზობლებოდნენ  
მათ<sup>4</sup>.

ასეთივე მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ ოსებს  
სვანებსა და აფხაზებთან. ისინი მათ უშუალოდ ემეზობლებოდნენ,  
საუღელტეხილო გზებით იყვნენ დაკავშირებული. ოსებს სვანებთან  
ბევრი საერთო აქვთ რელიგიურ დღესასწაულებში, წეს-ჩვეულებ-  
ებში, მატერიალურ კულტურისა და სოციალურ ინსტიტუტებ-  
ში<sup>5</sup>. წართების ეპოქაში მოხსენებული სასმელი რონგი სვანებმა  
რონგის სახით აითვისეს. ასეთივე ფორმით აითვისეს იგი მეგრელებ-  
მა<sup>6</sup> და რაჭველებმა<sup>6</sup>.

ასევე, აფხაზებსა და ოსებს ენობრივი და კულტურული ხა-  
სიათის ბევრი საერთო ელემენტი აქვთ. იგი აფხაზ-ალანთა ურთი-  
ერთობა-მეზობლობის დროიდან მომდინარეობს<sup>7</sup> აფხაზური

1 И. Книшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка. 1914 г., стр. 193.

2 „სახალხო ვაზეთი“, 1910 წ. № 170, გვ. 2.

3 Осет. язык и фольклор, I. стр. 149.

4 იქვე, გვ. 326—327, 330.

5 იქვე, გვ. 306.

6 იქვე, გვ. 317.

7 იქვე, გვ. 322.

სიმღერების მისამღერი „ვარაიდა“ იმდენად გავს ოსურ სიმღერების მისამღერ „ვარაიდას“, რომ მათი გარჩევა შეუძლებელია. რისათვის შეუძლებელია. მეხდაცემულის დასაფლავებისას აფხაზები ასრულებდნენ სიმღერას „ატლარ წოთა“. ოსებმა კი ასრულებდნენ შემთხვევაში ასრულებდნენ სიმღერას „аишай, аадагъа и ситишай“. ნართული ეპოსის სახელები ასეთივე დიდ მსგავსებას იჩენს ორივე დასახელებულ ენაში. სათანა (ოს.) — სათანა (აფხ.), ბათრაზ — პატრაზ, ხამიცი-ხმეშ<sup>1</sup>.

თავისებურად გამოვლინდა ოსი ხალხის ქართველ ხალხთან კულტურული ურთიერთობა მუსიკაშიც. ოსური ხალხური მუსიკის ნკვლევალი პ. ბ. მამულაძე დიგორული სიმღერების შესახებ აღნიშნავდა, რომ მათ აქვთ შორეული მსგავსება ქართულ მოტივებთან. სიმღერების სინარჩარე, ელასტიკურობა, სამხრეთული ელფერი არის ის კვალი, რაც ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობიდან დარჩა<sup>2</sup>.

საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ზოგიერთი კონკრეტული მაგალითი აისახა იმდროინდელი ქართული პოეზიის ძეგლებში. დავით სოსლანის პიროვნების საკმაოდ ვრცელ დახასიათებას იძლევა ქართული სახტობო პოეზიის ისეთი უდიდესი ძეგლი, როგორცაა ჩახრუხაძის „თამარიანი“. ჩახრუხაძე დიდ ადგილს უთმობს დავით სოსლანის სამხედრო ქველობისა და ვაჟკაცობის აღწერას:

„ისერის ისარსა, ვიტყვი: ის არსა  
ეფრემის ძირთა აღმორჩებულად.  
ვინ ხმლითა ბადრობს, უშიშ უკადრობს  
მტერთა სრვისათვის აღმართებულად“.  
„თვით ამან დავით ქმნა, უნდოდა ვით  
ურჩ ქმნილთა ძებნად მოწოდებულად“.  
„ოს — დიდმან დავით, ოს დიდმან დავით,  
ფარეზ შემუსრა წინა მგებარე“.  
„დავით ძლიერი, მხნე უძლეველი

1 ოსეტ. язык и фольклор, стр. 315-317.

2 П. В. Махулов, Осетинская народная музыка. Извест. осет. Научно-исследовательского института краевед. вып. 1, 1925 г., стр. 368.



წყნარი და მკრძალი, მოყმეთა ძალი  
მეფეთა სკიპტრა, პორფირთა მცმელი“  
„რომელ დღეს ტაოს მოემატა ოს  
ისპირს და შარვანს მოვლათა ძნელი“<sup>1</sup>.



ქრისტეანობის  
ბიზანტიის

პოეტი ხაზს უსვამს, რომ დავითი ხმლით ამხობს მტრებს, რომ იგი სამეფო კარის დიდი ბურჯია. საქართველოში დავითის მოსვლის დროიდან ისპირსა და ტაოზე თავდასხმების მოწყობა ძნელი გახდა.

საქართველო-ოსეთის კულტურული ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესოა მოკლედ თვალი გავადევნოთ ქრისტიანობის შემდგომ ბედს ოსეთში.

X ს. შექმნილ ოსეთის ეპარქიას სათავეში ბერძენი მიტროპოლიტი ედგა. ალანური წარმოშობის პირს — თევდორეს მხოლოდ XIII ს. პირველ ნახევარში მიუღწევია კათედრის დაკავებისათვის. კონსტანტინოპოლში ამ დროს ლათინები ბატონობდნენ, ბიზანტიის მთავრობა კი ნიკეაში იმყოფებოდა. თევდორეს ალანებში ქრისტიანობა მძიმე პირობებში დახვდა. აქ ბევრი უკანონოდ დასმული მღვდელიც დახვედრია, რომელთა ნაწილი მას ხელმეორედ მოუნათლავს<sup>2</sup>.

ქრისტიანობა ოსეთში, იულიანეს აზრით, ქრისტიანობისა და წარმართობის ნარევი<sup>3</sup>. ამასვე უსვამს ხაზს 1253 წლისათვის რუბრუკვისი, რომელიც აღნიშნავს, რომ „ალანები ბერძნული წესის ქრისტიანები არიან და ბერძნულ დამწერლობას იყენებენ. არაფერი იციან ქრისტიანული წესების შესახებ, მარტოოდნ ქრისტეს სახელი გაუგიათ“<sup>4</sup>.

როგორც ჩანს, XIII ს. ოსეთზე (მის დასავლეთ ნაწილზე) ბიზანტიის რელიგიური გავლენა იყო შერჩენილი, თუმცა იგი

1 ჩაბრუხაძე, თამარიანი, ს. კაკაბაძის გამოცემა, ტფილისი, 1937 წ. სტროფი 8, 10, 32, 74, 80.

2 Епископа Феодора „Аланское послание“, ЗОИИД, т. XXI, 1888 г. стр. 25.

3 ЗОИИД, т. V, 1863 г., стр. 999.

4 ვ. რუბრუკვისი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. V, 1943 წ., გვ. 37.



საგრძობლად შეიკა. ქრისტიანობამ წარმართობის საბოლოო განდევნა ვერ შესძლო და მასთან კომპრომისზე წავიდა. ამდენად ხალხზე მისი ზემოქმედება გარეგნული იყო, რაც ხელს ვერ უშლიდა ქრისტიანულ სამყაროსთან რეალური კავშირის წარმოებას. საქართველოსთან, ტმუტარაჯანის რუსულ სამთავროსთან, ბიზანტიის შავი ზღვის სანაპირო ქალაქებთან ოსებს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ.

ოსეთში ქრისტიანობის გავრცელების ზედაპირული ხასიათი უნდა აიხსნას სოციალურ ურთიერთობათა განვითარების შედარებით დაბალი დონით. მეორე მიზეზი იყო რელიგიური პროპაგანდისა და ღვთისმსახურების ხალხის ფართო მასებისათვის გაუგებარ ბერძნულ ენაზე წარმოება. ამიტომ გასაგებია რუბრუკების ცნობა, რომ ალანები მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები.

ასეთ პირობებში ოსეთში ქრისტიანობას არსებობა შეეძლო გარედან მუდმივი მხარდაჭერის პირობებში. კავკასიისა და მცირე აზიის ასპარეზზე თურქ-სელჩუკთა გამოჩენამ ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის არე შეზღუდა. ამავე დროს გაერთიანებული საქართველო, მანამდე ხშირად ბიზანტიის პოლიტიკის ხელშემწყობის როლში რომ გამოდიოდა ოსების მიმართ, თვით დაჟინებით ცდილობს ჩრდილო კავკასიის საკუთარი პოლიტიკური გავლენის ორბიტში მოქცევას, იქიდან ბიზანტიის საბოლოო გამოდევნას. ასეთი პოლიტიკის ჩანასახი უკვე გიორგი აფხაზთა მეფის საქმიანობაში მოჩანს და შემდეგში ის გაბატონებულ პოლიტიკად იქცევა. საქართველოს ფეოდალური მონარქია ოსეთის აღმოსავლეთ რაიონებში ქრისტიანობის გაძლიერებულ პროპაგანდას ეწევა. ოსეთის დასავლეთ რაიონებში ბიზანტიის გავლენა სჭარბობდა და ერთდროულად ტარდებოდა ღონისძიებები საქართველოს გავლენაში მისი მოქცევისათვის.

მდ. ყუბანის სათავეს რაიონებში, სადაც ბიზანტიური გავლენა იყო დამყარებული, 10-მდე ტაძრის ნაშთი შემორჩა. ასეთი ნაშთებით განსაკუთრებით მდიდარია მდ. ზელენჩუკის ხეობა. ამ ვიწრო ხეობაში დარჩენილია 7 კმ-ზე გავიშვლი ნაქალაქარი, რომელსაც თავსა და ბოლოში კოშკები ჰქონდა აღმართული. ამ ნაქალაქარში რამდენიმე ტაძრის ნაშთი ყოფილა, რომელთაგან 3 გან-

საკუთრებით კარგადაა შემონახული. ერთი მათგანი XIX ს. დასაწყისში (1889 წ.) მოქმედ ტაძრად აქციეს. ტაძრებს აქვთ წაგრობილი გვირგვინის ფორმა, სამნავიანი, აღმოსავლეთის მხარეზე სამი აბსიდა. პატარა გუმბათები დაბალ ყელზე აქვთ დაყრდნობილი. რეზულ ტაძარში მღვდელთ-მთავრისა და მღვდლების დასაჯდომი ადგილები ყოფილა, რის გამოც მას ალანთა სამიტროპოლიტოს კათედრალურ ტაძრად მიიჩნევენ<sup>1</sup>.

ფორმით და მოცულობით აღნიშნული ტაძრები ქართულს მოგვეგონებენ, განსაკუთრებით ლიხნის ტაძარს, ქრონოლოგიურად ისინი X-XI ს. ს. ეკუთვნიან<sup>2</sup>. ისინი სპეციალისტებს ბერძნული გავლენის ნიშნებად მიაჩნიათ<sup>3</sup>. მაგრამ, ისინი წმინდა ბერძნული გავლენის ნიშნები ვერ იქნებოდნენ, რადგან ხუროთმოძღვრების ეს სტილი ოსეთში საქართველოს მეშვეობით გადადიოდა.

უკვე XII ს. დასაწყისში, კერძოდ ალექსი კომნინის დროს (1081-1118) დასმულა ალანეთის ეპარქიის სხვა საეკლესიო ოლქთან გაერთიანების საკითხი იმ მოტივით, რომ იქ არ იყო დაბა-ქალაქი, სადაც ეპარქიის კათედრა იქნებოდა. ამიტომ იგი გააერთიანეს სოტიროპოლის კათედრასთან. სოტიროპოლი მკვლევრებს გაიგივებული ჰქონდათ ბიჭვინთასთან, აბაზგ-ზიხის კათედრის ცენტრად მიაჩნდათ იგი<sup>4</sup>. სოტიროპოლის ბიჭვინთასთან გაიგივებას კატეგორიულად უარყოფს პ. ინგოროყვა და ათავსებს მას ზოფთან, ტრაპიზონსა და რიზეს შორის<sup>5</sup>.

1 В. Сысоев, Поездка на реки: Зеленчук, Кубань и Теберда летом 1895 года. МАК, вып. УП, 1898 г., Москва, стр. 116, 122-123; Б. Скитский, Очерки по ист. осет. народа . . . стр. 61; История Осетии. макет, стр. 59.

2 МАК, в. УП, стр. 122-123, 125.

3 იქვე, 83, 129; Н. А. Владимиров, Древний христианский храм близ аула Сенты в Кубанск. обл. Изв. Императ. Археолог. Комисии, вып. 4-й, С.-Пб, 1902 г., стр. 4-5, 8-9.

4 Ю. Кулаковский. Где был построен имп. Юстинианом храм для Авазгов. Арх. известия и заметки, 1897 г. № 2, М. стр. 33-37.

5. ვახუშტისეული გეორგიკა ტ. IV, ნაკვ. 2, გვ. 217-218.

6 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954 წ., გვ. 249-263.

ისმის კითხვა — ალანებს აღრე თუ პქონდათ ადგილი, სადა  
არა თუ საარქიეპისკოპოსო კათედრა, არამედ სამიტროპოლიტო  
კათედრაც შეიძლებოდა არსებულებოდა, რატომ ახლად დასაბუთდა  
ამისთანა ადგილი. XI-XII ს. ს. საფიქრებელია თუ არა, რომ  
მატერიალური წარმოების წესში ისეთი ხასიათის ცვლილებები,  
ანდა რაიმე საგარეო გართულებანი, რომლებიც იქ ეპარქიისათვის  
გამოსადეგ ადგილთა გაქრობას გამოიწვევდნენ? — არა.  
ეს ფაქტი დაკავშირებულია ოსეთის დასავლეთ რაიონების საქართ-  
ველოს გავლენაში მოქცევასთან, რასაც შედეგად სდევდა ბიზან-  
ტიის გავლენის გამოდევნა და ამის შესაბამისად ბიზანტიელი სა-  
სულიერო პირების გამოძევებაც. ასეთ შემთხვევაში ბიზანტიისათ-  
ვის კათედრის ადგილი აღარ რჩებოდა და რაკი იგი ოსებზე თავის  
გავლენის აღდგენის იმედს არ კარგავდა, ამიტომ საპატრიარქოს  
ეპარქიათა სიაში შეინარჩუნა ალანთა ეპარქია, ოღონდ დროებით  
იგი სოტიროპოლის კათედრასთან გააერთიანა. ამიერიდან ალანთა  
ეპარქია ფიქტიური კათედრა ხდება და აშკარად მიუთითებს იმ  
გარემოებაზე, რომ ბიზანტია ვერ ურიგდებოდა ჩრდილო კავკა-  
სიის ხალხებზე თავისი გავლენის დაკარგვას. იგი ცდილობდა აღედ-  
გინა ეს გავლენა და დროდადრო ახერხებდა ამას კიდევაც.  
საამისოდ იგი მკვეთრ ღონისძიებებსაც მიმართავდა. განმტკიცე-  
ბული ტრადიციის მიუხედავად ბიზანტიამ ალანი თევდორე 1240-  
იან წლებში ალანთა ეპარქად დანიშნა და გამოგზავნა ალანეთში.  
მას ბიზანტიის შერყეული გავლენა უნდა აღედგინა ქრისტიანული  
რელიგიის ადგილობრივ მკვიდრთა — ოსთა ენაზე ქადაგებით.

ასეთი ღონისძიებების გატარება მით უფრო საჭიროდ დაუნა-  
ხავთ, რომ ქართველი მისიონერები მეტად აქტიურად მოქმედებდ-  
ნენ ოსეთში. თევდორეს ცნობით, ოსთა მოსაზღვრე რომელიღაც  
ქართული ეპარქიის ეპისკოპოსს (იგი მას ლაზიკელს უწოდებს)  
უსარგებლია ბიზანტიელი ეპისკოპოსის არყოფნით ოსებში და-  
მღვდლებად უკუთხებიან ადგილობრივი წარმოშობის ისეთი პი-  
რები, რომელთაც ღვთისმსახურების შესრულება შეეძლოთ. თევ-  
დორეს ამაში სამართლიანად დაუნახავს თავისი პრესტიჟის შელახვა  
და რაკი მათი მთლიანად შეცვლა ვერ მოახერხა, ნაწილი ხელ-

მეორედ აკურთხა! ასეთი ფაქტი ერთადერთი არსებობდა და მასში ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ბრძოლა საქართველოსა და ბიზანტიას შორის ჩრდილო კავკასიაში გავლენისათვის. ალნიშნული ბრძოლა და მეტოქეობა საქართველოსა და ბიზანტიას შორის XI ს-დან იწყება. დავით აღმაშენებლის დროს გამარჯვების სასწორი საბოლოოდ საქართველოსაკენ იხრება. ამის შემდეგ ინიციატივა აღარ გაუშვია მას ხელიდან, ვიდრე მონღოლთა ბატონობის მიხედვით უღლის ქვეშ არ მოექცა. ის ხშირი ღინას-ტიური ქორწინებანი, რომლებიც საქართველოსა და ოსეთის მმართველ წრეებს შორის ხდებოდა XI ს-დან, ხელშემწყობ პირობებს ქმნიდა საქართველოს გავლენის გავრცელებისათვის ჩრდილო კავკასიის ხალხებზე.

ამრიგად, X-XI ს. ს. ოსეთზე ბიზანტიის რელიგიური გავლენა სკარბობს, XI ს. დასასრულიდან დაწყებული კი მას საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გავლენა სცვლის. XII ს. იგი ოსეთში გაბატონებული გავლენაა. ბიზანტიელ მისიონერთა მოღვაწეობას მოვლენათა განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა აღარ შეეძლო.

შემთხვევითი არაა, რომ ოსეთის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საკულტო ნაგებობას ოსური მოსახლეობა ტრადიციულად თამარ მეფეს მიაწერს, თუმცა ზოგი უფრო ადრეც, ზოგი გვიანაც შენდებოდა.

ქრისტიანობას, ყოველი რელიგიის რეაქციული ხასიათის მიუხედავად, ჩრდილო კავკასიის ხალხებისათვის, განსაკუთრებით ოსებისათვის, გარკვეული პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ოსეთში ქრისტიანული კულტურა და დამწერლობა შევიდა. მართალია, მას ოსური დამწერლობის შექმნა არ გამოუწვევია, მაგრამ ქართული და ბერძნული დამწერლობა კი გამოუყენებიათ. მდ. ზელენჩუკზე აღმოჩენილ საფლავის ქვაზე ოსური წარწერა ბერძნული ანბანის საფუძველზე იყო გაკეთებული<sup>1</sup>. ქართული წარწერები გვხვდება ოსეთში აგებულ რიგ ქრისტიანულ ტაძრებზე.

1 ЗООИД, т. XXI, стр. 22, 25.

2 В. Миллер, Древне-осетинский памятник из Кубанской обл. МАК, III, 1893 г., стр. 110—116; В. Абаев, Осет. язык и Фольклор, стр. 48.

საქართველოდან ოსეთში ვრცელდება ქართული ხუროთმოძღვრული სტილი. ნუხალის ტაძარი მდ. არღონის ხეობაში, რუქომი ცეის ხეობაში, ძივგისის ტაძარი ქუთათინის ხეობაში და სხვ. ოსეთზე ქართული კულტურის გავლენის მაჩვენებელი ანალოგიები, პროფ. ლ. სემიონოვის აზრით, გვხვდება საქართველოს სამხედრო გზაზე ქვემო მღეთსა და ფასანაურს შორის<sup>1</sup>.

ტაძარი „ხოზიტა-მაირამი“ მდ. არღონის შენაკად ზრუგის ხეობაში (ისტორიული დვალეთის ტერიტორია) ქართული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების ნიშანდობლივ თვისებებს ამჟღავნებს<sup>2</sup>. იგი ოსეთში ქართული საეკლესიო არქიტექტურის გავრცელების გზებსაც გვიჩვენებს. ასეთი გზები იყო დარიალისა და ოსეთის სამხედრო გზები.

საქართველოს ოსეთთან კულტურული ურთიერთობის პრობლემისათვის თვალსაჩინო საბუთს წარმოადგენს ნუხალის საყდარი მდ. არღონის მარცხენა ნაპირზე; სოფ. ნუხალში, ოს მღვდელ ა. გატუევის ცნობით, საყდარი მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სახელზეა და მთელი ოსეთის სალოცავს წარმოადგენს<sup>3</sup>. ნუხალში უცხოვრია ისტორიაში ცნობილ გვარს — ცარაზონოვებს. ნუხალის საყდარი (ოს. Нушалы ар-ყაი.) XII-XIII ს. ს. ძეგლია. ის სწორედ თავისი სიძველით იპყრობს ყურადღებას. ფორმით ოსურ მიწისზედა აკლდამებს ჰგავს. პროფ. სემიონოვი თვლის, რომ ქრისტიანული ძეგლები ოსეთში ძირითადად XII-XIII ს. ს. ეკუთვნიან, როცა ძლიერდება ქართველ მეფეთა მიერ ქართველი მღვდლების სამისიონერო მოღვაწეობის წაქეზება. საქართველოდან მოდიოდნენ მქადაგებლები და მშენებლები, რომლებიც ოსეთის ბევრ კუთხეში აგებდნენ ტაძრებს<sup>4</sup>.

1 Л. Семёнов, К вопросу о культурных связях Грузии и народов Сев. Кавказа, МИА, в. 23, стр. 304.

2 ვ. დოლიძე, ხოზიტა-მაირამი — საქართველოსა და ჩრდალ კავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთობის საბუთი, საქ. სსრ მეცნ. აკად. შოამბე, ტ. XV, № 2, 1954 წ., გვ. 119.

3 А. Гатуев, Христианство в Осетии, стр. 12.

4 Л. Семенов, Археол. разыскания в Северной Осетии, Изв. СОИИИ, т. XII. Двауджикау, 1948 г., стр. 103-104.

ნუხალის საყდარი მრავალმა მკვლევარმა აღწერა: ჯვარცხანაში, პაფფმა<sup>1</sup>, მ. ჯანაშვილმა<sup>2</sup> და სხვ. ვინაიდან მათი აღწერილობა საყდრის თანამედროვე მდგომარეობისაგან დიდად უკავშირდება, მე ვამჯობინებ მისი ახლანდელი მდგომარეობის აღწერას საყდარი შიგნით შელესილი და მოხატულია. ნაღესი ალაგ-ალაგ ჩამოცივდა და მხატვრობაც საგრძნობლად დააზიანა. მარცხენა კედელზე (შესავლიდან) მამაკაცთა დაზიანებულ ფიგურებს ქართული ახომთავრული შრიფტით მიწერილი აქვთ სახელები, რომელთაგან ზოგი კარგად, ზოგიც ფრაგმენტებად შემორჩა. მაგ... ონ, სოსლან, ... ოზ, მის ქვეშ ელია, მარჯვნივ, კუთხეში მიწერილია გ...ლი, მის ქვეშ ...ლი, მის თავზე გბლ. იმავე მხარეს, დაბლა წარწერაა რომა ნოზ. ამავე მარჯვენა მხარეს არის წ: იე — წმინდა იერონიმე. მასთან ახლო თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგია გამოსატული აბჯრით და შუბით.

შესავალი კარების თავზე შიგნიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის გამოსახულებაა და თან ახლავს წარწერა: ჯუადი ქრისტესი. პაფფი მას კითხულობდა როგორც „ტაძარი ქრისტესი“<sup>3</sup>

1947 წელს ე. გ. პჩელინამ გათხარა საყდრის შიდა ფართობი და მამაკაცის გოლძათური ჩონჩხი აღმოაჩინა. ეს ჩონჩხი დავით სოსლანის ნაშთადაა მიჩნეული.

მკვლევარები ხაზს უსვამდნენ ხოლმე ვრცელი ქართული წარწერის არსებობას ნუხალის საყდარზე, რომელშიც ჩამოთვლილია ოს-ბალთარის წინაპრები და მის ქართველთა მეფესთან ორთა ბრძოლაზე უკანასკნელის დის მოტაცების გამო<sup>4</sup>. ზ. კიჭინაძეს იგი დავით სოსლანის შეთხზულად მიაჩნია<sup>5</sup>. მოვიყვანო ტექსტს:

1 П. Уварова, Кавказ. Путевые заметки, 1879 г., стр. 40-41

2 Пфаф, Материалы для истории осетии, ССКГ, вып. V, 1871 г., стр. 33-35.

3 М. Джанашвили, Изв. грузинских летописей о Сев. Кавказе и России, СМОМПК, т. XXII, 1897 г., стр. 42-44.

4 ССКГ, V, стр. 33-34.

5 М. Джанашвили, Изв. грузинских летописей о сев. Кавказе и России, СМОМПК, в. 22, 1897 г., Journal Asiatique, 1890, № 305 და სხვ.

6 ზ. კიჭინაძე, ოსეთის ისტორია, გვ. 207: თვით ტექსტი 207-208 გვერდებზე.

..ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი,  
ჩარჯონიძე-ჭარხილანი;  
ოს — ბაყათარ, დავით სოსლან,  
ოთხ სამეფოთ მებრძოლანი;  
ფიდაროს, ჯადაროს, საყურ  
მტერთა რისხვით შემხედვარნი;  
გიორგი, ისაკ, რომანოზ  
იქმნენ ქრისტეს კარგი ყმანი,  
ჩვენ გვიჭირავს მიმავალთა  
ოთხის კუთხის ვიწრო გზანი.  
კასარს სიმაგრე მაქვს, საბაჟო,  
აქ მიჭირავს ხიდის კარი  
საიჭიოს მოიმედე,  
სააქაოს კარგა მდგარი.  
ოქროსა და ვერცხლის მიწა  
იმდენი მაქვს, ვითა წყალი.  
კავკასიონი დავიბყარ,  
ოთხ სამეფოდ გავუმკლავდი,  
ქართველ მეფეს და მოვტაცე,  
არ დავაგდე ჩემი გვარი.  
მომწვდა, ფიციტ მილალატა,  
მან დაიდვა ჩემი ბრალი:  
ბაყათარ წყალსა მიეცა  
აღიხოცა ოსთა ჯარი.  
ვინცა ეს ლექსი იხილოთ  
მცირედ ბრძანეთ შენდობანი“<sup>1</sup>.

აღნიშნული ტექსტის, როგორც ისტორიული დოკუმენტის, ღირებულება დიდი არაა, რადგან იგი ლიტერატურული და ფოლკლორული მასალების თავისუფალი და ამავე დროს სუსტი დამუშავების შედეგია. მაგრამ წარწერას გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ ოსთა მიერ ქართული დამწერლობის ფართო

<sup>1</sup> М. Джанашивили, „Картлис-Цховреба“... СМОМПК, в. 35, 1905 г., стр. 181-182.



გამოყენებაზე მიუთითებს. დოქტორი პაფფი კატეგორიულად უარყოფდა ნუზალის საყდარზე ასეთი დიდი წარწერის არსებობას და ამას ასაბუთებდა ადგილის უქონლობით წარწერის არსებობის ნიშნული მოსაზრების გაზიარება ძნელია, რადგან ქვემოთაღნიშნული არ იყო იგი კედელზე ყოფილიყო გაკეთებული და სავსებით შესაძლებელია, იგი ქალაქზე ან პერგამენტზე არსებულიყო. ასეთ თვალსაზრისზე დგას ზ. ვანევეცი<sup>1</sup>.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ოსეთის და საქართველოს კულტურული ერთიერთობის საკითხი სპეციალური კვლევის საგანი ჯერ არ გამხდარა. როცა ზოგიერთი მკვლევარი აღწერდა ოსეთში არსებულ საკულტო ნაგებობებს (ნუზალის საყდარს, რეკომს, ძიგვისის ტაძარს), მათ ქართულ წარწერებს და დასკვნადა, რომ ოსეთში ქრისტიანობა საქართველოდან შევიდა, ყოველივე ეს იძლეოდა ბიძგს საკითხის სპეციალური შესწავლისათვის. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ შორს არ წავსულვართ და ეს უაღრესად საინტერესო საკითხი თავის მომავალ მკვლევარს მოვლის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საკითხის გაშუქების ჩვენი დონე ოდნავადაც ვერ ამოსწორავს კულტურულ ერთიერთობათა იმ წრეს, რომელიც ოსებსა და ქართველებს შორის ისტორიულ წარსულში არსებობდა, მაგრამ, რამდენადაც ჩვენ აღნიშნული საკითხი საქართველო-ოსეთის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიერთობის საკითხებს დავუკავშირეთ, ამ ერთიერთობის ზოგად ფონზე განვიხილოთ, იგი ინტერესს მოკლებული არაა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქრისტიანულ კულტთან დაკავშირებული არქიტექტურის ის ძეგლები, რომელთაც საქართველოს გავლენის მაჩვენებლად თვლიან, ოსეთის მთიან რაიონებზე მოდის, ველზე ისინი არ გვხვდება. ამის მიზეზი ისაა, რომ მტრის თარეშების სიადვილემ ველზე ისინი დაუნდობლად გაანადგურა. ამითვე უნდა აიხსნას ის, რომ საქართველოს სამხედრო გზის ჩრდილოეთ ნაწილში ასეთი ძეგლები არ გვხვდება, მაშინ როცა ამ გზისაგან დაშორებულ ადგილებში ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანია.

1 ССРГ. V, стр. 34-35;

2 З. Н. Ванев, Народное предание о происхождении осетин, Сталинград, 1956 г., стр. 15.

აღნიშნული გზა სამხედრო ღონისძიებათა მუდმივი ასპარეზი იყო. ქართველი და ოსი ხალხის კულტურული ურთიერთობის შედეგები ვლინდება ფოლკლორული შემოქმედების რიგ საერთო მოტივებში. ამ მხრივ აღსანიშნავია თქმულებანი ამირანზე, მანამა, რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ოსებში და მკვლევარმა მაჩვენებელია თქმულებანი ტარიელზე და სხვ.

ოსი ხალხის კულტურა ქართულ კულტურასთან მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა.

## დასკვნები

1. საქართველო-ოსეთის მეგობრული ურთიერთობა შორეულ წარსულში იღებს სათავეს. არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის მოსახლეობას შორის გარკვეული სახის კულტურული განვითარების ერთიანობა და გაცვლა-გამოცვლა ძვ. წ. II ათასწლეულიდან შეიმჩნევა. ძვ. წ. I ათასწლეულში, ე. წ. კოლხურ-ყოზანურ კულტურათა აყვავების ხანაში, ეს ერთიანობა და ურთიერთობა მაღალ საფეხურზე აღის.

2. ჩრდილო კავკასიის ტომები ჯერ კიდევ სტრაბონის (I ს.) დროს მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობით იყვნენ დაკავშირებული ამიერკავკასიის ხალხებთან. დიოსკურია (სოხუმი) იყო ამ ტომების წარმომადგენელთა შეხვედრის ადგილი, სადაც საჭირო საქონელს, მათ შორის მარილს, იძენდნენ. რიგი ჩრდილო კავკასიელი ტომებისა დარიალის და დარუბანდის კარებით სომხეთსა და მიდიამდე აღწევდნენ სავაჭრო მიზნით.

3. საქართველო-ოსეთს შორის საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედს გასდევდა. ამის გამო მათ შორის ყოველგვარი ურთიერთობა ხორციელდებოდა საუღელტეხილო გზების (დარიალის, მამისონ-როკის და ქლუხორის უღელტეხილებით) მეშვეობით. ეს გზები გამავრებული იყო ციხე-სიმაგრეებით და ყოველთვის დიპლომატიური და სამხედრო შეხლა-შემოხლის საგანს წარმოადგენდნენ.

4. ქართლის სახელმწიფოსთან ოსებს დარიალის და დვალეთის გზებით ცხოველი სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდათ. ოსეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მონეტათა ძირითადი მასა იქ

საქართველოდან ხვდებოდა. ხშირი ომიანობა ვაქრობდა და ვაქც-  
ლა-გამოცვლას ხელს არ უშლიდა, რადგან იმ ეპოქაში ომი და ვაქ-  
რობა მკიდროდ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან (საქართველო).

5. ქართლისა და ლაზიკის ბრძოლაში რომაელ, <sup>სამარსკლ</sup> მკაცრ  
ზანტიელ და არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ ოსები ქართველე-  
ბის საიმედო მოკავშირენი იყვნენ. მათი სისტემატური დახმარება  
საგრძნობლად ამსუბუქებდა ქართველთა ბრძოლას დამოუკიდებ-  
ლობისათვის.

6. VI ს-ში, როცა ბიზანტია და სპარსეთი ამიერკავკასიაში გა-  
ბატონებისათვის იბრძოდნენ, თვითიული მებრძოლი მხარე ქართ-  
ლისა და ლაზიკის მეშვეობით ცდილობდა ოსთა მხარდაჭერის მი-  
ღებას. გუბაზ ლაზთა მეფე და გურამ ქართლის ერისმთავარი ბი-  
ზანტიის დავალებითა და ფულით ქირაობდნენ ოსებს და მოწინა-  
აღმდეგესთან ბრძოლაში აბამდნენ. თავის მხრივ, ქართლი და ლაზი-  
კა ოსებთან ურთიერთობაში საკუთარი პოლიტიკური ინტერესე-  
ბის შესაბამისად მოქმედებდნენ.

7. საქართველოს სამეფო-სამთავროთა გაერთიანებისათვის  
ბრძოლის პერიოდში ოსები აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს)  
სამეფოს მოკავშირეები იყვნენ. აფხაზეთის მეფეები ცდილობდნენ  
ოსების გაქრისტიანებას, რათა იდეოლოგიური გზითაც განემტკი-  
ყებინათ მათთან პოლიტიკური ურთიერთობა.

8. საქართველოს ფეოდალური მონარქიის შექმნის დროიდან  
(XI ს.) დიდი ყურადღება მიექცა ოსებთან ურთიერთობის განმტკი-  
ყებას. გახშირებული დინასტიური ქორწინებანი ამ ქვეყნების პო-  
ლიტიკურ მესვეურებს შორის ასეთი ურთიერთობის განმტკიცე-  
ბას ისახავდნენ მიზნად. გიორგი I (1014-1027), ბაგრატ IV  
(1027-1072), გიორგი III (1156-1184) ოს მეფეთა ასულებზე იყ-  
ვნენ დაქორწინებულნი. დავით აღმაშენებლის (1089-1125) ასული  
რუსუდანი ოს მეფეს გაჰყვა, ხოლო თამარ მეფე (1184-1213) ოსთა  
უფლისწულზე, ბაგრატიონთა შთამომავალ დავით სოსლანზე (1189-  
1207) დაქორწინდა. ყველა ეს გარემოება აპრობებდა საქართვე-  
ლოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ოსთა აქტიურ მონაწილეობას.

9. საქართველოს ოსთა სამხედრო დახმარება სჭირდებოდა თავ-  
დაცვითი და დაპყრობითი ომების წარმოების საქმეში. ხშირად ოსე-

ბი საქართველოში გაშლილი შინაკლასობრივი ბრძოლის მონაწილენიც ყოფილან. თავის მხრივ, ოსეთს საქართველოსთან მშვიდობიანი ურთიერთობა საკუთარი ეკონომიური ინტერესებისათვის სჭირდებოდა, ოსები ქართველებთან ერთად ომებში მონაწილეობისათვის ქირასა და ნადავლსაც ღებულობდნენ და სხვ.

10. დავით აღმაშენებლის დროიდან ოსეთიდან გადმოსასვლელი გზების კონტროლი საბოლოოდ გადავიდა საქართველოს მთავრობის ხელში და ოსეთიც ამიერიდან მის პოლიტიკურ გავლენაში მოექცა. ოსთა რაზმები საქართველოს ლაშქრობათა უეჭველ მონაწილეებად იქცნენ.

11. XI საუკუნიდან ჩრდილო კავკასიის სავაჭრო-ეკონომიური მნიშვნელობა იზრდება. ეს განაპირობა კასპიისა და შავი ზღვების სანაპიროთა დამაკავშირებელი გზების მცირე აზიიდან ჩრდილო კავკასიაში გადმონაცვლებამ, რაც იქ (მცირე აზიაში) თურქ-სელჩუკთა გაბატონების შედეგი იყო. ამის შემდეგ ჩრდილო კავკასია აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის დამაკავშირებელ სავაჭრო გზაჯვარედინად იქცა. ყირიმის სანაპიროს ქალაქები იმდროინდელი საერთაშორისო ვაჭრობის პუნქტებად იქცნენ, რაშიც ოსები აქტიურად მონაწილეობდნენ. საქართველოსთან ოსების ვაჭრობა ამ დროიდან გაფართოვდა. ქართველი ვაჭრები ოსეთის მეშვეობით ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებსა და რუსეთთან ვაჭრობდნენ.

12. საუღელტეხილო გზების ორივე მხარეზე რიგი ქალაქების წარმოშობა მონღოლთა ბატონობის დამყარების წინა ხანებში (ყინვანი და დუშეთი არაგვის ხეობაში, ნაქალაქარი ქ. ორჯონიკიძესთან, ჯულათი ანუ ტატარტუფი თერგის ხეობაში, მაჯარი მდ. კუმაზე და სხვ.) ამ გზებით განვითარებული სავაჭრო ურთიერთობის არსებობას ადასტურებენ.

13. ოსეთის გაბატონებული წრეების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ფუფუნების და ზოგ აუცილებელ საგნებზე საქართველოსა და სხვა ქვეყნებიდან იმპორტის ბაზაზე ხორციელდებოდა.

14. საქართველოს და ოსეთის მონღოლთა ბატონობის მიხედვით უდლის ქვეშ მოქცევის შემდეგაც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქალაქებში ოსთა მიმოსვლა სავაჭრო მიზნით არ შეწყვეტილა.

15. საქართველოსა და ოსეთს შორის ვაჭრობას უნდა პირობა  
როგორც ფულადი ანგარიშსწორების, ასევე ნატურალური გაცვლითი  
გამოცვლის ხასიათი.

16. XIII ს. პირველ ნახევარში ჩრდილო კავკასიის ველებზე  
მონღოლთაგან განადგურებული ოსები კავკასიის მთების ხეობებში  
შემოვიდნენ. აქედან ეკონომიურ ნიადაგზე (მთის ზოლის მეურნეო-  
ბის შეზღუდულობა, რაც მოსახლეობის დიდი მასების არსებობას  
შეუძლებელს ხდიდა), ისინი XIII ს. მეორე ნახევრიდან ქართლის  
მთიანეთის, ხოლო შემდეგ ბარის რაიონებისაკენ დაიძრნენ. ქართ-  
ლის ამ რაიონებში მაშინ, მონღოლთა თარეშების შედეგად, მოსახ-  
ლეობა შემცირებული იყო.

17. ქართველმა ფეოდალებმა სასტიკი ბრძოლა გაუმართეს  
გადმოსახლებულ ოსებს, რადგან ქართლში მათი დასახლება ამ ფე-  
ოდალების ეკონომიურ საფუძველს — მიწისმფლობელობას საფრ-  
თხეს უქმნიდა. ქართლის ერისთავები (სურამელები) აჰმადას, ბე-  
გას, რატის სახით იქცევიან ოსთა წინააღმდეგ დარაზმული აზნაუ-  
რობის ბელადებად.

18. ქართული ფეოდალური საზოგადოების შიგნით არსებულმა  
კლასობრივმა და შინაკლასობრივმა წინააღმდეგობებმა, როცა თი-  
თეული საზოგადოებრივი კლასი თუ ფენა თავისი კლასობრივი ინ-  
ტერესებიდან გამომდინარე შეფასებას აძლევდა ოსთა გადმოსახ-  
ლებას და ამის მიხედვით ეხმაურებოდა მას, (ებრძოდა, ნეიტრალი-  
ტეტს იცავდა ან მხარს უჭერდა), საშუალება მისცეს ოსებს წარ-  
მატებით დაემთავრებინათ ბრძოლა ქართველ ფეოდალებთან და  
ქართლის რიგ რაიონებში, განსაკუთრებით კი მდინარე დიდი ლიახ-  
ვის ხეობაში, დამკვიდრებულიყვნენ.

19. ამ ბრძოლაში მონღოლები მხარს უჭერდნენ ოსებს, რათა  
ქართველ ფეოდალთაღმე მათი დაპირისპირებით საქართველოში  
თავიანთი ბატონობა განემტკიცებინათ.

20. ქართველმა ფეოდალებმა გიორგი ბრწყინვალის მეთაურო-  
ბით შესძლეს ოსებისათვის რიგი ციხე-სიმაგრეებისა და დაბების ჩა-  
მორთმევა, შეუზღუდეს მათ საცხოვრებელი ტერიტორია და ისინი  
დაუმორჩილეს სახელმწიფო ხელისუფლებას. მათვე გაამაგრეს  
გადმოსასვლელი გზები, რომ ოსთა ახალ ტაღებს თვითნებურად  
არ გადმოეღობათ ისინი.

21. იმ დროის მოწინავე ფეოდალური ქართული კულტურა ოსეთშიაც იკაფავდა გზას. საქართველოდან ვრცელდებოდა ოსეთში ქართული ენა და დამწერლობა. ოსური ენის ლექსიკონი ფუნდამენტურად შეივსო ქართული ენის ლექსიკონიდან შესული რიგი ტერმინებით. ქართველ-ოსთა ურთიერთობის ადრინდელ ეტაპზე ადგილი ჰქონდა პირუკუ გავლენასაც.

22. ქართული კულტურის გავლენა ოსებზე განსაკუთრებით გაძლიერდა უკანასკნელთა მიერ ქრისტიანული რელიგიის მიღების დროიდან (X ს.). ბიზანტიის იდეოლოგიური გავლენა ოსებზე საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნის დროიდან წარმატებით იცვლება ქართული გავლენით. დავით აღმაშენებლის დროიდან ოსეთი საქართველოს გავლენას რელიგიის სფეროშიაც დაექვემდებარა.

23. საქართველო-ოსეთის ფართო პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა XIII-XIV ს. ს. დაგვირგვინდა შიდა ქართლის ტერიტორიაზე ოსთა დასახლებით. ამ ფაქტით საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე სამხრეთ-ოსურ მოსახლეობას, რომლის ბედი მკიდროდ გადაეხლართა ქართველი ხალხის ისტორიულ ბედს, მისი ჭირისა და ლხინის თანაზიარი გახდა.

წყაროებისა და ლიტერატურის სია

I. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომები

1. К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, т. IX, М., 1933.
2. ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, თბილისი, 1953 წ.
3. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავისათვის, თბილისი, 1957 წ.

II. წყაროები

1. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1, თბილისი, 1955 წ.
2. ქართლის ცხოვრება, მ. ბროსეს გამოც., ს-პეტერბ., 1, 1949 წ.
3. ქართლის ცხოვრება, ე. თაყაიშვილის გამოც., ტფილისი, 1906 წ.
4. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის გამოცემა, თბილისი, 1941 წ.
5. ბასილი ეზოსმოდღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ივ. ჯავახიშვილის გამოც., თბილისი, 1944 წ.
6. გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის თარგმანითა და რედაქციით, II, III, IV<sup>1</sup> და IV<sup>2</sup>, თბილისი, 1934, 1936, 1941, 1952 წწ.
7. ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოც., მსკი, ნაკვ. 30, თბ., 1914 წ.
8. თ. ჟორდანი, ქრონიკები, I, ტფ., 1892 წ.
9. საბინინი, საქართველოს სამოთხე, ს-პეტერბურ., 1882 წ.
10. შიო მღვიმის სამი საბუთი, ს. კაკაბაძის გამოც., თბილისი, 1912 წ.

11. ჩახრუხაძე, თამარიანი, ს. კაკაბაძის გამოც., თბილისი, 1937 წ.
12. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსაჲს 6. ბერძენიშვილისა და თ. ლომოურის გამოც., თბ. 1941 წ.
13. კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული კულტურა, თბილისი, 1935 წ.
- 14 სტრაბონი, გეოგრაფია, თ. ყაუხჩიშვილის თარგმანითა და რედაქციით, თბ., 1957 წ.
15. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბილისი, 1951 წ.
16. გ. რუბრუკისი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ვ. ქიქოძის თარგმანი, მსკი, ნაკვ. V, თბილისი, 1943 წ.
17. Е. Такаишвили, Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“, т. II, вып. I-4, Тифлис, 1906-1912.
18. М. Джанашвили, Известия грузинских летописей и историков о Северном Кавказе и России, СМОМПК, вып. 22, Тифл., 1897.
19. В. Латышев, Известия древних писателей греческих и римских о Скифии и Кавказе, т. I-II, 1893-1906 гг.
20. Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане, пер. Н. А. Караулова, СМОМПК, вып. 32, 38, 1903, 1908.
21. Сочинения Корнелия Тацита, пер. В. И. Модестова, С.-Пбг., т. II, 1887 г.
22. М. Хоренский, История Армении, пер. Н. О. Эмина, М., 1893.
23. Баладзори, Книга завоевания стран, текст и пер. с арабского проф. П. К. Жузе, Баку, 1927.
24. Н. К. Коковцев, Новый еврейский документ о хазарах и хазаро-русско-византийских отношениях в X веке, С.-Пбг., 1913.
25. Сочинения Константина Багрянородного „О фемах“ и „О народах“, с предисловием Г. Ласкина, М., 1899.
26. Пл. Карпини, История монголов, пер. А. И. Малеина, С.-Пбг., 1911.



27. Тизенгаузен, Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, тт. I-II, 1884, 1941 гг.

28. Епископа Феодора „Аланское послание“ 300ИД, т. XXI, Одесса, 1898.

29. Рассказ доминиканца Юляна . . . 300ИД, т. XXI, Одесса, 1863.

30. Полное собрание русских летописей, т. XI.

31. Д. Бакрадзе, Грузинская палеография, Труды V арх. съезда в Тифлисе, 1881.

32. З. Н. Ванеев, Исторические известия об аланах-осах, Сталинир, 1941.

33. Б. Скитский, Хрестоматия по истории, Осетии т. I, Орджоникидзе, 1949.

34. Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Баку, в. II, III, V, 1938, 1940, 1949 гг.

### III. გამოკვლევები

1. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., ტფ., 1845 წ.

2. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბილისი, 1944 წ.

3. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია XIII—XIV ს. ს. კონსპექტი, თსუ შრომები, VI, 1938 წ.

4. ნ. ბერძენიშვილი, თათართა ბატონობის ხანა, თბილისი, 1941 წ.

5. ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. მიჯნაზე, მსკი, ნაკ. 1, თბილისი, 1944 წ.

6. ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1955 წ.

7. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბილისი, 1919 წ.

8. მისივე, ქართველი ერის ისტორია, წ. I, II, III, 1948-51 წწ.

9. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1941 წ.
10. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I-II, 1948-49 წწ.
11. მისივე, საზოგადოებრივი მეცნიერებანი საქართველოში ველოში დიდი ოქტ. რევ. 20 წლისთავზე, ენიშკის მოამბე, I, ტფ., 1927 წ.
12. საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილის რედაქც., I, თბილისი, 1958 წ.
13. გ. ახვლედიანი, ოსური ენის ისტორიისათვის, თსუ მოამბე, V, 1925 წ.
14. მისივე, ისტორიული ცნობა დვალეთისა და დვალეების შესახებ, ენიშკი-ს მოამბე, X, თბილისი, 1941 წ.
15. დ. გვრიტიშვილი, დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, მომომხილველი, I, თბილისი, 1949 წ.
16. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955 წელი.
17. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1941 წ.
18. მისივე, რუსთველოლოგიური შტუდიები, თსუ შრომები, III, 1936 წ.
19. მისივე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956 წ.
20. მისივე, ნიშაში განჯელი და საქართველო, ვაზ. „სახალხო განათლება“, № 39, 1947. წ.
21. გ. გოზალიშვილი, კასპიის კარი, ენიშკი-ს მოამბე, V-VI, თბ., 1940 წ.
22. ს. მაკალათია, თამარ მეფე, თბ., 1942 წ.
23. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954 წ.
24. ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XVI სს.), თბ., 1956 წ.
25. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, მსკი, ნაკვ. 31, 1954 წ.
26. მ. ინაძე, ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1953 წ.
27. ტ. სარიშვილი, სკოლა და სახალხო განათლება რევოლუციამდელ ოსეთში, თბილისი-სტალინირი, 1956 წ.

28. ვ. დოლიძე, ხოზიტა-მაირამი—საქართველოს და ჩრდილო-კავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთობის საბუთი, საქ. სსრ/მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 2, 1954 წ.
29. შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიის თბილისი, 1954 წ.
30. ი. ჯანაშვილი, თამარ მეფე და მისი ისტორიკოსნი, ჟურნალი „მოამბე“, II, 1904 წ.
31. მისივე, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1906 წ.
32. ნ. ურბნელი, გიორგი ბრწყინვალე მეფე საქართველოსი, თბილისი, 1889 წ.
33. ზ. კიკინაძე, ოსეთის ისტორია, თბილისი, 1913 წ.
34. მისივე, ოსთა გადმოსახლება ქართლში და ქართველების დეაწლი და ამაგი მათზე, ტფილისი, 1919 წ.
35. История Осетии, макет, Дзауджикау, 1954.
36. С. Баратов, История Грузии, тетради I-V, С.-Пбг., 1865—1871.
37. В. Б. Пфаф, Материалы для древней истории Осетии, ССКГ, вып. IV-V, Тифлис, 1870-71.
38. Его же, Народное право осетин, ССК, I-II, Тифлис, 1871-72.
39. Его же, Этнологические исследования об осетинах, ССК, II, 1-72.
40. Его же, Путешествие по ущельям Северной Осетии, ССК, I, 1871.
41. Вс. Миллер, Осетинские этюды, ч. III, 1887.
42. Его же, Древне-осетинский памятник из кубанской области, МАК, III, 1893.
43. Д. Лавров, Заметки об Осетии и осетинах, СМОШК, вып. III, Тифлисе, 1883.
44. Ю. кулаковский, Христианство у алан, Византийский временник, V, 1899.
45. Его же, Где был построен имп. Юстинианом храм для Авазгов, Арх. известия и заметки, V, 1897.
46. М. Джанашвили, Об осетинской истории, газ. „Новое обозрение“, № 4076, Тифлис, 1895.

47. А. Козаев, Древние осетины и Осетия, Владикавказ, 1903.
48. Вано (Темирханов), Иры история, Владикавказ, 1913. (ოსებრ ენაზე).
49. С. Фарфоровский, Народное образование у осетин, журнал министерства народного просвещения, январь, 1917.
50. Макарий Архиепископ, История христианства в России, второе издание, С.-Пбг., 1863.
51. А. Гатуев, Христианство в Осетии, Владикавказ, 1901.
52. В. Сысоев, Посадка на реки: Зеленчук, Кубань и Теберду летом 1895 г., МАК, вып. III, М., 1898.
53. Н. А. Владимиров, Древний христианский храм близ аула Сенты в Кубанской области, Изв. Имп. Арх. Комиссии, вып. 4, С.-Пбг., 1902.
54. А. Н. Иванов, История монголов (Юань-ши) об асах-аланах, „Христианский восток“, т. II, вып. 3, С.-Пбг., 1914.
55. И. Кишвидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, 1914.
56. Г. Ф. Чурсин, Осетины. Этнографический очерк, Труды Кавказской научной ассоциации, I, сб. „Юго-Осетия“, Тифл., 1924.
57. Л. Меликсет-беков, К археологии и этнологии Туальской Осии, сборник „Юго-Осетия“, 1924.
58. П. Б. Мамулов, Осетинская народная музыка, Изв. ОСНИИ краеведения, вып. I, Владикавказ, 1925.
59. Г. Кокнев, Очерки по истории Осетии, ч. I, Владикавказ, 1926.
60. Н. Пигулевская, Византия на путях в Индию, М.-Л., 1951.
61. Дьячков-Тарасов, Неизвестный древний торговый путь из Хорезма в Византию через Кавказ, „Новый Восток“, кн. 28, М., 1930.
62. Д'Оссон, История монголов, Иркутск, 1937.
63. М. В. Левченко, История Византии (краткий очерк), М., 1940.

64. З. Н. Ванев, К вопросу о времени заселения Юго-Осетии, Изв. ЮОСНИИ, III, Сталинир, 1938.

65. Его же, Средневековая Алания, кандидат, диссерт., 1947.

66. Его же, Народное предание о происхождении осетин, Сталинир, 1956.

67. В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, I, М.-Л., 1949.

68. Б. Скитский, Очерки по истории осетинского народа с древнейших времен до 1867 года, Изв. СОНИИ, т. XI, 1947.

69. Я. Манандян, О местонахождении Caspica'via и Caspiae Portae, Исторические записки, № 25, 1948.

70. Л. Семенов, Археологические разыскания в Северной Осетии, Изв. СОНИИ, т. XII, 1948.

71. Его же, К вопросу о культурных связях Грузии и народов Северного Кавказа, МИА, вып. 23, 1951.

72. В. Долидзе, р. Шмерлинг, Военно-Грузинская дорога, Тбилиси, 1956.

73. В. Гамрекели, О племени двалов, Материалы по этнографии Грузии и Кавказа, IX, 1957.

74. Д. Капанадзе, О медной монете с именами Георгия и Тамары, КСИМК, вып. XXIV, 1949.

75. Памятники народного творчества осетии, Владикавказ, вып. I, 1925.

76. П. С. Уварова, Кавказ. Путевые заметки, 1879.

77. М. М. Ивашенко, Материалы к изучению культуры колхов, მსკო, ნაკვ. II. თბილისი, 1941 წ.

78. А. А. Иессен, Археологические памятники Кабардино-Балкарии, МИА, № 3, 1941.

79. Е. И. Крупнов, Краткий очерк археологии Кабарды, Нальчик, 1946.

80. Его же, К вопросу о культурных связях населения Северного Кавказа по археологическим данным, Ученые записки Каб. НИИ, т. II, Нальчик, 1947.

81. Его же, Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода, МИА, № 23, 1951.

82. Его же, Древняя история Кабарды, Уч. зап. Кав. НИИ, VII, Нальчик, 1952.

83. Его же, О происхождении осетинского народа и его культуры по археологическим данным, газ. "Советская Осетия" от 4 июля 1952.

84. Его же, О происхождении и датировке кобанской культуры, журн. "Сов. археология", № I, 1957.

85. А. В. Арциховский, Основы археологии, М; 1955.

86. Е. П. Алексеева, Поздне-кобанская культура Центрального Кавказа, Уч. зап. ЛГУ, № 85, вып. 13, 1949.

87. О. М. Джапаридзе, Бронзовые топоры Западной Грузии, Советская археология, XVII, 1953.

88. С. С. Куссаева, Археологические материалы Восточной Осетии VI-IX вв. н. э. (Чми, Балта) как исторический источник по древней Алании, канд. диссертация, Гос. Эрмитаж, Ленинград, 1953.

89. J. Klaproth, Reise in den Kaukasus und nach Georgien, B. II, Berlin, 1814.

90. Зобозо, Anhang zur Reise in den Kaukasus und nach Georgien . . . Halle und Berlin, 1814.

91. M. Brosset, Histoire de la Georgie, S.-P., 1849.


92. Зобозо, additions a' l' Histoire de la Georgie, 1851.

93. DuJaurier. Recueil des histoire des croisades, Docum. armen., I.

94. Real Enzyklopädie der Clasischen Altertumsvissenschaft, Stuttgart, 1903.

შემოკლებათა ახსნა

- ენიმიკი** — ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი  
**მსკი** — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის  
**მტნე ძსა** — მათიანე ქართლისა  
**ქცა** — ქართლის ცხოვრება  
**ВДИ** — Вестник древней истории  
**ЗООИД** — Записки одесского общества истории и древностей  
**КСИМК** — Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях института истории материальной культуры  
**МАК** — Материалы по археологии Кавказа  
**МИА** — Материалы и исследования по археологии СССР  
**СА** — Советская археология  
**СК** — Известия древних писателей греческих и римских о Скифии и Кавказе  
**СМОМПК** — Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа  
**ССК** — Сборник сведений о Кавказе  
**ССКГ** — Сборник сведений о кавказских горцах  
**ПСРЛ** — Полное собрание русских летописей.  
**ESA** — Eurasia Septentrionalis Antiqua



შესავალი

თ ა ვ ი I.

ლიტერატურისა და წყაროების მოკლე მიმოხილვა . . . . . 6

თ ა ვ ი II.

საქართველო-ოსეთის საერთო საზღვარი და დამაკავშირებელი გზები . . . . . 23

თ ა ვ ი III.

ოსეთის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების შესახებ . . . . . 36

თ ა ვ ი IV.

საქართველო-ოსეთის ურთიერთობა I-X სს.

- § 1. ჩრდილო კავკასიის ძველი მოსახლეობის ურთიერთობა ამიერკავკასიასთან (ძველესი დროიდან ახ. წ. დამდეგამდე . . . . . 53
- § 2. საქართველო-ოსეთის ეკონომიური ურთიერთობა (I-X სს.) . . . . . 60
- § 3. საქართველო-ოსეთის პოლიტიკური ურთიერთობა . . . . . 67
- § 4. საქართველო-ოსეთის კულტურული ურთიერთობა . . . . . 106

თ ა ვ ი V.

საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XI-XIV სს.

- § 1. საქართველო-ოსეთის ეკონომიური ურთიერთობა . . . . . 119
- § 2. საქართველო-ოსეთის პოლიტიკური ურთიერთობა (XI ს.—XIII ს. პირველი მეოთხედი) . . . . . 125
- § 3. საქართველო-ოსეთის პოლიტიკური ურთიერთობა (XIII ს. მეორე მეოთხედი — XIV ს.) . . . . . 171
- § 4. საქართველო-ოსეთის კულტურული ურთიერთობა და სკენები . . . . . 225
- წყაროებისა და ლიტერატურის სია . . . . . 248
- შემოკლებათა ახსნა . . . . . 256







364935340  
30340101033

**Автор Георгий Давидович Тогошвили  
ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-ОСЕТИНСКИХ  
ВЗАИМООТНОШЕНИЙ**

Редактор **М. К. Думбадзе**  
Техредактор **Н. С. Сивкаев**  
Корректор **л. Б. Цховребона**

---

Сдано в набор 1. X. 1958 г. Подписано к печати 16. XII. 1958 г. Заказ  
№ 753. Формат бумаги 60x92см. Изд. листов 12,3. Печатных  
листов 16. Эт 00186. Тираж 3000 экз. Цена 4 руб. 50 коп.

---

Сталинградская типография Грузглавиздата,  
г. Сталинград, ул. Исака, 2.